

ჯურ ვულაია

საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი

პირველი ტომი

მეცნიერებათა აკადემიის ფონდი
გამომცემლობა „ინტელექტი“

თბილისი
1996

წინამდებარე ნაშრომში (რომლის შექმნასაც საფუძვლად დაედო ჩვენ მიერ შედგენილი და წაკითხული ლექციების კურსი სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში), საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერების მდგომარეობის გათვალისწინებით, განხილულია განსაკუთრებული ნაწილის ცნება, სისტემა, ნორმის სტრუქტურა, დანაშაულის კვალიფიკაციის არსი, სისხლის სამართლის კოდექსის პირველ და მეორე თავში მოცემულ დანაშაულთა სახეები.

წიგნი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და სამართალდაცვის ორგანოების მუშაკთათვის.

ზაურ წულაია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი.

პროფესორი.

**საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული
ნაწილის შესავალი**

§ 1. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ცნება

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომელიც სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრინციპებთან და დებულებებთან შესაბამისობაში ადგენს პასუხისმგებლობას დანაშაულის ცალკეული სახეებისათვის, ამ დანაშაულთა შემადგენლობის კონკრეტული ნიშნების განსაზღვრისა და მათზე შესაბამისი სასჯელის დადგენის გზით.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილით დგინდება იმ ქმედობათა წრე, რომელიც დანაშაულადაა მიჩნეული, აგრეთვე განსაზღვრება დანაშაულის ცალკეული შემადგენლობის ნიშნები და ის სასჯელები, რომლებიც შეიძლება დაენიშნოს პირს შესაბამისი დანაშაულის ჩადენისას.

როგორც ვხედავთ, სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში ჩამოთვლილია დანაშაულის კონკრეტული სახეები, ასევე აღწერილია თუ რა შინაარსის ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა) ჩაითვლება საზოგადოებრივად საშიშად, ე. ი. დანაშაულად. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი განსაზღვრავს ცალკეული დანაშაულის შემადგენლობას (დისპოზიციას), ასევე აწესებს სასჯელის ზომას, რომელიც უნდა შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენს (სანქციას). სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი ზუსტად ადგენს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადი რა მოქმედება ან უმოქმედობა როგორ უნდა დაისაჯოს.

სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისაგან განსხვავებით (რომელიც განსაზღვრავს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ზოგად ცნებებსა და ძირითად დებულებებს; ან უფრო სწორად, რაც ამკვიდრებს სისხლის სამართლის ზოგად დებულებებს, პრინციპებსა და ინსტიტუტებს) სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი ადგენს კონკრეტულ ქმედობათა დანაშაულობასა და მათ დასჯადობას.

სისხლის სამართლის ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილის ნორმები, ერთმანეთთან იმდენად მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რომ ისინი ერთობლიობაში ქმნიან ერთ მთლიან დარგს — სისხლის სამართალს. სისხლის სამართლის დისციპლინის ცალ-ცალკე ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილად შესწავლა, ნაკარნახევია წმინდა მეთოდური თვალსაზრისით; სახელდობრ, აღნიშნული დარგის შესწავლის გაადვილების მიზნით.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული და ზოგადი ნაწილის ერთიანობა იმაშიც ვლინდება, რომ ისინი ერთსა და იმავე ამოცანის განხორციელებას ემსახურებიან. სახელდობრ, იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზოგადოების ძირითად პოლიტიკურ და სოციალურ ღირებულებებს. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლიც ზემოაღნიშნული თეზისის დადასტურებაა. აქ ხაზი გაესმის იმას, რომ „სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანაა დაიცვას საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, მოქალაქეთა პიროვნება, უფლებანი და თავისუფლებანი და მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობაა დანაშაულებრივი, და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ“.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული და ზოგადი ნაწილის ერთიანობა აშკარად ვლინდება სასამართლო პრაქტიკაში, როცა წყდება საკითხი განსასჯელის მიმართ სასჯელის თუ რა ღონისძიება ჯნდა იქნას გამოყენებული. ამ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმებით, რომლებიც შეეხებიან სასჯელის მიზნებს, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, თანამონაწილეობას და სხვ.

მაგალითად, იმისათვის, რომ პირი მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში და გასამართლებული იმ დანაშაულისათვის, რასაც ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი მე-100 მუხლის პირველი ნაწილი (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება)

ნება), აუცილებელია დადგინდეს, რომ ამ ქმედობის ჩამდენი პირი შერაცხადია (სსკ მე-13 მუხლი — შერაცხადობა), მიღწეულია 16 წლის ასაკს (სსკ მე-12 მუხლი — არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობა), მოქმედებდა განზრახ (სსკ მე-9 მუხლი — დანაშაულის განზრახ ჩადენა), რომ დანაშაული ჩადენილი არ იყო უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში (სსკ მე-16 მუხლი), რომ ქმედობა მცირე მნიშვნელობის მქონე არაა (სსკ მე-8 მუხლის II ნაწილი) და სხვ. აღნიშნული დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდებისას სასამართლო ვალდებულია იხელმძღვანელოს სისხლის სამართლის კოდექსის ისეთი მუხლით, როგორცაა: 22-ე (სასჯელის მიზნები), 37-ე (სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები), 38-ე (პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი), 39-ე (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი) და სხვ. სასჯელის თუ რა სახე უნდა შეურჩიოს მე-100 მუხლის დროს ამ შემთხვევაშიც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სსკ 23-ე მუხლით (სასჯელის სახეები). თუ სასამართლო განსასჯელს შეუფარდებს გამასწორებელ სამუშაოებს თავისუფლების აღუკვეთლად (სსკ 28-ე მუხლი) ამ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს რა ვადით, სად მოიხადოს და რა პროცენტი დაექვეითოს მსჯავრდებულს ხელფასიდან.

მოტანილი მაგალითიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ნორმები აუცილებელი ბაზაა იმისა, რომ განსაკუთრებული ნაწილის ნორმებმა რეალიზაცია პოვონ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში.

განსაკუთრებული ნაწილი, ისევე როგორც მთლიანად სისხლის სამართალი, ემყარება მისთვის დამახასიათებელ პრინციპებს, რომელთა შორის წამყვანი კანონიერების პრინციპია. ეს პრინციპი განმტკიცებულია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ასევე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-4 მუხლით (პირის ცნობა ბრალეულად და მისთვის სასჯელის დადება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად). ამ მუხლის თანახმად — არაიქნება არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაიდოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად.

რაც შეეხება სხვა ზოგად პრინციპებს (ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი; პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი; პასუ-

ხისმგებლობის აუცდენლობის პრინციპი; პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი; დემოკრატიზმის პრინციპი; ჰუმანიზმის პრინციპი), ამ პრინციპებზე (ძირითად საწყისებზე) დაფუძნებულია როგორც სისხლის სამართლის სისტემა, ისე მთლიანად სისხლისსამართლებრივი რეგულირება.

განსაკუთრებული ნაწილი უნდა გავიგოთ არა მხოლოდ როგორც სისხლის სამართლის შემადგენელი, ორგანული ნაწილი, არამედ გარკვეული თვალსაზრისით, როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი ნაწილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ნაწილი წარმოგვიდგება საზოგადოებაში გაბატონებულ იდეათა, შეხედულებათა და წარმოდგენათა ერთობლიობა ნორმათა სისტემაზე, ცალკეულ დანაშაულებზე — რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით და სხვ.

სისხლის სამართლის მეცნიერების განსაკუთრებული ნაწილის საგნად გვევლინება ნორმათა შესწავლა (რომლებიც განსაკუთრებულ ნაწილს ქმნიან), მათი გამოყენების პრაქტიკა, ნორმათა სისტემატიზაცია, ნორმათა მთელი სისტემის ეფექტურობა, თანამედროვე ეტაპზე ახალი კანონმდებლობის შემუშავება, მოქმედი კანონების სრულყოფა და რეკომენდაციები პრაქტიკაში მათი გამოყენების გაუმჯობესების მიზნით.

სისხლის სამართლის მეცნიერების განსაკუთრებული ნაწილის საგანში შემავალ ატრიბუტთა შესწავლისას სარგებლობს ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი, კონკრეტულ-სოციოლოგიური, კორელაციური, ლოგიკურ-სემანტიკური, სისტემური, ლოგიკურ-იურიდიული, სისტემურ-სტრუქტურული, გრამატიკული, სტატისტიკური და კვლევის სხვა მეთოდებით. სტატისტიკის კვლევის მეთოდებიდან დომინირებს დაკვირვების, დაჯგუფების, შეფასების, შეფარდებითი სიდიდეების, საშუალო სიდიდეებისა და ინდექსირების მეთოდები. იყენებს იმ რეზულტატებს, რაც მიღებულია დანაშაულის ცალკეული სახეებისა და ჯგუფების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე, ოთვალისწინებს საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობის თავისებურებებს და ა. შ.

განსაკუთრებული ნაწილის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დანიშნულებაა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სტაბილურობის შენარჩუნება. ახალი კოდექსის მიღებისა და მოქმედი

სისხლის სამართლის კანონებში ცვლილებათა შეტანის დასაბუთება, კრიმინალიტიკისა და დეკრიმინალიზაციის მიზანშეწონილობის გარკვევა და სხვ. ამ ამოცანის შესრულება უნდა მოხდეს მასშტაბური კომპლექსური გამოკვლევების საფუძველზე, რაც უნდა ჩატარდეს იურისტების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების და სხვა სპეციალისტების მიერ და უნდა დაეყრდნოს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ, ზნეობრივ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა პირობებს.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი ელემენტია. ამის დასტურია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლები), რომელშიც ხაზი გაესმის იმას, რომ „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში, ესე იგი ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი შეიცავს დანაშაულთა ამომწურავ ჩამოთვლას, თითოეულ ამ დანაშაულს კონკრეტული სახელი ჰქვია და, როგორც წესი, აღწერს მისთვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მოვალეობაა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაადგინონ პირის ქმედობაში იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მოცემულ მუხლში.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლი იყოფა ნაწილებად (მაგალითად, სსკ 252-ე მუხლი შვიდი ნაწილისაგან შედგება) და პუნქტებად (მაგალითად, სსკ 104-ე, 256-ე, 262-ე და სხვა მუხლები). საერთო წესის მიხედვით, თუ მუხლი ნაწილებისაგან შედგება, თითოეული ნაწილი ცალკე აბზაცით არის გამოყოფილი, ხოლო პუნქტებს თავიანთი ნუმერაცია აქვს. ვინაიდან მუხლის ნაწილებსა და პუნქტებს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვთ, ამდენად საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ამნაირი მუხლების გამოყენებისას საჭიროა როგორც მუხლის, ასევე სათანადო ნაწილის ან პუნქტის ზუსტად მითითება.

§ 2. დანაშაულის კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი საფუძველი პირის მოქმედებაში სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის კონკრეტული ნიშნების არსებობაა. ბუნებრივია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ პირს, რომელმაც ჩაიდინა ისეთი ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც პირდაპირაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ერთ-ერთ ნორმაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, დანაშაულის ჩამდენი პირის ქმედობა სწორად უნდა დაკვალიფიციროს.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია გულისხმობს პირის ქმედებაში დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის დადგენას, ე. ი. კანონით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების დამოხვევას მოცემული ქმედობის გარემოებებთან. სხევანაირად, დანაშაულის კვალიფიკაცია — ესაა სრული მოცულობით ზუსტი შესატყვისობის (იგივეობის) დადგენა პირის მიერ ჩადენილი ქმედობის ნიშნებისა დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობის ნიშნებთან, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მოცემული ნორმით, ხოლო სათანადო შემთხვევებში — ზოგადი ნაწილის ნორმითაც.

სისხლის სამართლის თეორიაში კვალიფიკაცია ზოგჯერ ორგვარადაა გაგებული: ა) როგორც პროცესი კონკრეტული შემთხვევის იგივეობის დადგენისა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან, რაც სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმაშია მითითებული; ბ) როგორც ქმედობის სისხლისსამართლებრივი შეფასება. არსებითად, აქ წინააღმდეგობა არაა. რადგან შედრეგთან შესატყვისობის დადგენის პროცესი სწორედ ესაა ქმედობის სისხლისსამართლებრივი შეფასება!

1 დანაშაულის კვალიფიკაციის ცნებაზე დაწერილებით იხ. Кудрявцев В. Н. Общая теория квалификации преступлений. М., 1972, стр. 7—18; Наумов А. В., Новиченко А. С. Закон логики при квалификации преступлений, М., 1978, стр. 25—30; Куринов Б. А. Научные основы квалификации преступлений, М., 1976; стр. 7—19.

ასე მაგალითად, თუ სისხლის სამართლის საქმეზე დადგინდება, რომ: ა) პირმა ჩაიდინა ხელყოფა დაზარალებულის სიცოცხლეზე; ბ) ხელყოფა გამოიხატა მოქმედებაში, რაც უშუალოდ მიმართული იყო დაზარალებულის სიცოცხლის მოსასპობად (გასროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან), რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი და იყო უშუალო მთავარი მიზეზი ასეთი შედეგის დადგომის; გ) პირი მოქმედებდა ბრალეულად, ჰქონდა პირდაპირი განზრახვა სიცოცხლის მოსპობაზე, ხოლო მისი მოქმედების მოტივი იყო ეჭვიანობა; დ) იგი იყო შერაცხადი და 14 წელს მიღწეული, — ასეთ შემთხვევაში ქმედობა ქმნის განზრახი მკვლელობის შემადგენლობას და უნდა დაკვალიფიციკრდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლით, როგორც განზრახი მკვლელობა.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის საჭიროა დაცულ იქნას რამდენიმე პირობა.

პირველი — აუცილებელია დადგინდეს ის ჭკუფი ერთგვაროვანი საზოგადოებრივი ურთიერთობებისა, რომელზედაც მიმართულია დანაშაული, ე. ი. უნდა განისაზღვროს ხელყოფის გვარობითი ობიექტი. გვარობითი ობიექტის განსაზღვრა შესაძლებლობას მოგვცემს ზოგადად ავხსნათ ჩადენილი ქმედობის საშიშროების ხარისხი. პრაქტიკული თვალსაზრისით გვარობითი ობიექტის დადგენა შესაძლებლობას იძლევა პასუხი გავცეთ კითხვაზე — სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის რომელ თავში მოექცენოთ ნორმა, რომელიც ითვალისწინებს ჩადენილ ქმედობას. ამასთან ერთად, საჭიროა განისაზღვროს დანაშაულის უშუალო ობიექტი, რომელიც ასევე გვევლინება ქმედობის საშიშროების ხარისხის მაჩვენებლად და რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა გამოყენებულ იქნას საჭირო ნორმა ერთგვაროვან დანაშაულთა რიცხვიდან (მაგალითად, იმასთან დამოკიდებულებით გვევლინება თუ არა უშუალო ობიექტად დაზარალებულის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, ასეთ შემთხვევაში კვალიფიკაცია მოხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104—108-ე ან 110—112-ე მუხლებით).

მეორე — აუცილებელია აიხსნას, რომ ჩადენილი ქმედობის ნიშნები ზუსტად, და არა მიახლოებით, სრული მოცულობით შესატყვისება ნიშნებს, რომლებიც აღწერილია სისხლის სამართლის

ვანსაკუთრებული ნაწილის გამოსაყენებელ ნორმაში. შესატყვისობის სიზუსტე აღნიშნავს იგივეობას მომხდარ ფაქტსა (ჩადენილსა) და კანონში აღწერილ ქმედობას (მოქმედებასა და უმოქმედობას) შორის. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონით ქურდობა გაგებულია, როგორც სხვისი ქონების ფარული დატაცება. ბუნებრივია, ქურდობის კვალიფიკაცია როგორც დატაცება, რომელიც შეგნებული ქონდა დაზარალებულს, არ პასუხობს მის საკანონმდებლო განსაზღვრებას. სრული მოცულობით შესატყვისობა უნდა გავიგოთ, როგორც დამთხვევა კონკრეტული შემთხვევის ყველა ნიშნისა კანონში დასახელებულ ნიშნებთან. მაგალითად, სისხლის სამართლის კანონი ყაჩაღობად მიიჩნევს არა უბრალო თავდასხმას სხვისი ქონების დატაცების მიზნით, არამედ ისეთს, რომელსაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა. ან ასეთის გამოყენების მუქარა. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მიუთითებს ძალადობისა და მუქარის ინტენსივობაზე. იმ შემთხვევაში თუ ქონების დაუფლებას ადგილი აქვს ძალადობის გამოყენებითა და მუქარით, მაგრამ რაც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვექნება არა ყაჩაღობა, არამედ გაძარცვა. სრული თანადამთხვევა იმასაც აღნიშნავს, რომ შემადგენლობის ყველა ოთხივე ნიშანი (ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი, სუბიექტური მხარე) მთლიანად ემთხვევა სისხლის სამართლის კოდექსის მოცემულ ნორმაში აღწერილ ნიშნებს.

მესამე — საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტულ მუხლში აღწერილი ქმედობის ყველა ნიშნის შესატყვისობის დადგენა. ეს იმას ნიშნავს, რომ გარემოებების შეუსატყვისობა იმასთან, რომელსაც კანონი აღნიშნავს, იწვევს არასწორ კვალიფიკაციას. მაგალითად, სს კოდექსის 191-ე მუხლი სამსახურებრივი სიყალბის სუბიექტური მხარის აუცილებელ ნიშნად მიიჩნევს ანგარებას ან სხვა პირად მიზანს. კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე თუ ეს მოტივები დადგენილი არ იქნება, მაშინ სს კოდექსის 191-ე მუხლის გამოყენება დაუსაბუთებლად უნდა მივიჩნიოთ. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ამავე აზრით სირთულეს ქმნის ე. წ. რთული, ანუ შენადგენი დანაშაულები. შენადგენი დანაშაული არსებობს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი თავისთავად დანაშაულებრივი ქმედობა ერთმანეთთან ისეა დაკავშირებული,

რომ სხვა, მესამე ერთიან დანაშაულს ქმნიან¹. მაგალითად, ავიღოთ ისეთი შენადგენი დანაშაული, როგორცაა ყაჩაღობა. იგი ერთდროულად მიმართულია ქონებისა და პიროვნების წინააღმდეგ-მაშასადამე, იგი ორი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს შეიცავს: 1) პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას და 2) ხელყოფას პიროვნების ან სახელმწიფოს, ან საზოგადოებრივი ქონების ინტერესებზე. რასაკვირველია, ყაჩაღობის, როგორც შენადგენი დანაშაულის, საშიშროება გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე იმ დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროება, რომელთა ნიშნებსაც იგი შეიცავს. თუ ყაჩაღობისას დაზარალებულს სხეულის მძიმე დაზიანება მიაღდა, ამ შემთხვევაში, ქმედობათა შინაგანი ერთიანობის გათვალისწინებით, სახეზე გვაქნება ერთი დანაშაული, სახელდობრ, ყაჩაღობა კვალიფიკაციური სახით.

მეოთხე — სწორი კვალიფიკაციისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის ნორმის კონკურენციის შესახებ საკითხის შეუცდომლად გადაწყვეტას. ასეთი მდგომარეობა აღმოცენდება იმ შემთხვევაში, როცა ქმედობა ექცევა ზოგადი და სპეციალური ნორმის ნიშნების ქვეშ. ამ სიტუაციაში გამოიყენება სპეციალური ნორმა. მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, დოკუმენტების გაყალბება ჩადენილი ქვენა გრძნობით, შეიცავს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა (სსკ 186-ე მუხლი) და სამსახურებრივი სიყალბის (სსკ 191-ე მუხლი) ნიშნებს. მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას სს კოდექსის 191-ე მუხლი, რაც ითვალისწინებს სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სპეციალურ სახეს. კერძოდ, თანამდებობის პირის მიერ შეგნებულად ყალბი დოკუმენტების შედგენას, გაცემას და სხვ. ამრიგად, თუ ქმედობა ექცევა ორი ან მეტი ნორმის ნიშნებს ქვეშ (მხედველობაში გვაქვს ზოგადი და სპეციალური ნორმის ნიშნები), ამ შემთხვევაში ქმედობა კვალიფიცირდება სპეციალური ნორმით.

მეხუთე — იმის გარკვევასთან ერთად, რომ ქმედობის ნიშნები სრულად და ზუსტად ემთხვევა სს კოდექსის განსაკუთრებული ნა-

¹ დაწვრილებით რთულ, ანუ შენადგენ დანაშაულზე იხ. გ. ტყეშელაძე, პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის, თბ., 1965, გვ. 48—55.

წილის კონკრეტულ ნორმაში აღწერილ ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს — დამთავრებულია მოცემული დანაშაული თუ არა, ჩადენილია იგი მხოლოდ ბრალდებულის თუ სხვა პირების მიერაც. პირველ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ პირმა განახორციელა მხოლოდ დანაშაულებისათვის მზადება ან ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენის მცდელობას, ასეთ შემთხვევაში სწორი კვალიფიკაცია მოითხოვს განსაკუთრებული ნაწილის მუხლის გამოყენებასთან ერთად მითითებულ იქნას სს კოდექსის მე-17 მუხლის (პასუხისმგებლობა დანაშაულის მზადებისა და დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის) შესაბამისი ნაწილი. მაგალითად, პირის მოქმედება, რომელიც ცდილობდა განზრახი მკვლელობის ჩადენას ანგარებით, უნდა დაკვალიფიციროდეს სს კოდექსის მე-17 მუხლის მეორე ნაწილითა და 104-ე მუხლის პირველი პუნქტით. მეორე შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ პირმა დანაშაული ჩაიდინა სხვა ადამიანთან ერთად, რომელიც მოიცავს დანაშაულის სუბიექტის ნიშნებს, მისი მოქმედება განსაკუთრებული ნაწილის სუბლოან ერთად უნდა დაკვალიფიციროდეს სს კოდექსის მე-19 მუხლი, შესაბამისი ნაწილით. პირს, რომელმაც მოქალაქის პირადი ქონების ქურდობა ჩაიდინა სხვა პირთან შეთანხებით და რომელიც გამოდიოდა ამსრულებლის როლში, უნდა შეეფარდოს სს კოდექსის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილი და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილი. თუ ამსრულებელი იყო სხვა თანამონაწილე, ხოლო მოცემული პირი გამოდიოდა დახმარების როლში, მაშინ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიციროდეს მე-19 მუხლის მე-6 ნაწილითა და 150-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სისხლის სამართლის პრინციპების განხორციელებაში. არასწორმა კვალიფიკაციამ კი შეიძლება გამოიწვიოს დაუსაბუთებელი მკაცრი სასჯელის გამოყენება (ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთა). მაგალითად, თუ პირმა მტრული ურთიერთობის ნიადაგზე მეორეს მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება და მისი მოქმედება დაკვალიფიციროდა არასწორად, როგორც ბოროტი ხულიგნობა, ასეთ შემთხვევაში ბრალდებულს ემუქრება სასჯელი სს კოდექსის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთიდან

ხუთ წლამდე. მაშინ როცა სანქცია, მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედობისათვის (სსკ 112-ე მუხლის პირველი ნაწილი), ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით, ან საზოგადოებრივ გაკიცხვას. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია არის დანაშაულის ჩამდენი პირის უფლებების დაცვის გარანტია. განსაკუთრებული ნაწილის ნორმების არასწორი გამოყენება იწვევს არა მხოლოდ უსამართლო სასჯელს, არამედ სხვა ნეგატიურ შედეგებსაც. მაგალითად, მოქმედების მცდარი შეფასება როგორც ბოროტი ხულიგნობა (სსკ 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომელიც მიეკუთვნება მძიმე დანაშაულებს (სსკ მე-8¹ მუხლი), როგორც წესი, გამოიწვევს პირობითი მსჯავრის გამოუყენებლობას, სასჯელის მოხდის უფრო მკაცრი რეჟიმის განსაზღვრას, განაჩენის აღსრულების გადადების დაუშვებლობას და სხვ. დაბოლოს, სწორი კვალიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა უფრო ზუსტად და დასაბუთებულად დავადგინოთ დამნაშავეობის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები არასწორ კვალიფიკაციას, ცხადია, მიყვავართ დამნაშავეობის არსებული მდგომარეობის (სრული სურათის) დამახინჯებამდე, რაც შემდგომში ასევე უარყოფით გავლენას ახდენს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და რეალიზაციაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით, გვინდა ხაზი გავუსვათ რამოდენიმე მომენტს:

1. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია არის ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხი მოკვლევის, საგამოძიებო, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში.

2. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია არის აუცილებელი წინა პირობა ერთიანი კანონიერების განხორციელების. კანონიერების უხეშ დარღვევად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როცა ერთი და იგივე საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, მაგალითად ქურდობა, ერთი სასამართლოს მიერ კვალიფიცირდება როგორც ქურდობა (რაც სავსებით სწორია), ხოლო მეორეს, მესამესა და მეოთხეს მიერ შესაბამისად როგორც გაძარცვა, თაღლითობა და ყაჩაღობა. ამრიგად, კანონიერება უნდა იყოს ერთიანი და მისმა განმხორციელებელმა ორგანოებმა აბსოლუტურად უნდა დაიცვან იგი.

3. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია არის აუცილებელი პირობა დასჯის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების (მკაც-

რად ისჯება ის პირები, რომლებმაც ჩადინეს მძიმე დანაშაულები). საღღესოდ, ადამიანთა აღზრდა ხდება ზაგავლენის ორი მეთოდის — დარწმუნებისა და იძულების გამოყენებით. სახელმწიფო პრიმატს ანიჭებს დარწმუნების მეთოდს, როგორც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებთან უფრო შესაბამისს, რაც შეეხება იძულებას, მას შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს იძულების მეთოდის როლი ამით კნინდებოდეს, პირიქით, მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა და ასევე რეციდივისტების მიმართ სახელმწიფო იყენებს მკაცრ სასჯელს.

დასჯის სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა ასევე გამოიხატება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელის სახეების შეცვლაში ადმინისტრაციული, დისციპლინური და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებით. არასწორი კვალიფიკაცია იწვევს სასჯელის ხელოვნურ გაზრდას ან შემცირებას.

4. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია პირდაპირ კავშირშია სამართალდამცავი ორგანოების ავტორიტეტის ამაღლებასა და დაცემასთან (მაგალითად, დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია და მის საფუძველზე სამართლიანი განაჩენის გამოტანა დადის მასებამდე, მათთვის გასაგები ხდება განაჩენის არსი და მოქალაქეები მას სრული კმაყოფილებით ხვდებიან. ასეთი განაჩენები ავტორიტეტს უქმნის სასამართლოებს და პირიქით, უსამართლო განაჩენების გამოტანა უკმაყოფილობისა და ზიზღის გრძნობას იწვევს მოქალაქეებში, რითაც, საბოლოო ჯამში, მათ ავტორიტეტს საბედისწერო ზიანი ადგება — ხალხი რწმენას კარგავს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისადმი).

5. დანაშაულის სწორი კვალიფიკაცია, საბოლოო ჯამში, დანაშაულობის მდგომარეობის რეალური სურათის ამსახველია (მხედველობაში გვაქვს დანაშაულობის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები). რეალური სურათის გათვალისწინება კი პროფილაქტიკური საქმიანობის სწორად წარმართვის საფუძველია. დანაშაულთა არასწორი კვალიფიკაცია ცხადია, დანაშაულობის შესახებ მონაცემებს ამახინჯებს და ამით დანაშაულობასთან ეფექტურ ბრძოლას ზიანი ადგება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ დანაშაულებრივ ქმედობათა სწორ კვალიფიკაციას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სხვანაირად თუ ვიტყ-

ვით, ყოველ დანაშაულებრივ ქმედობას, მისი შესატყვისი ზუსტად სახელი უნდა დაერქვას. ამის მისაღწევად კი სასამართლოებმა ზუსტად და ურყევად უნდა დაიცვან სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნა, კერძოდ, არ დაუშვან იმ პირთა მსჯავრდება, რომელთა ქმედობაშიც არაა დანაშაულის შემადგენლობა, ასევე ქმედობის არასწორი კვალიფიკაცია და სასჯელის ღონისძიების დანიშვნა საქმის გარემოებათა და დანაშაულის პიროვნების შესწავლის გარეშე. ჩადენილი დანაშაული უნდა დაკვალიფიციროდეს კანონთან ზუსტ შესაბამისობაში, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ამ ქმედობისათვის და ყოველგვარი გადახრა ამ მოთხოვნისაგან დაუშვებლად უნდა მივიჩნიოთ.

6. ზემდგომი სასამართლოს მიერ დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შეუცვლელად, პიროვნების უფლებათა დაცვის მნიშვნელოვან გარანტიად უნდა მივიჩნიოთ. სასამართლო პრაქტიკაში გავრცელებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის შეცვლას, სასჯელის შეუცვლელად დატოვების შემთხვევაში, თითქოსდა მსჯავრდებულისათვის არ ჰქონდეს ზნიშვნელობა, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ. კვალიფიკაციის შეცვლა შესაბამის იურიდიულ შედეგებს იწვევს (მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას ვადამდე — პირობით გათავისუფლება; სასჯელი შეიძლება მოიხადოს საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, ნაცვლად მკაცრი რეჟიმისა და სხვ.).

§ 8. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმის სტრუქტურა¹

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმები (65—283-ე მუხლების ჩათვლით) იყოფა ორ ნაწილად — დისპოზიციად და სანქციად. გამონაკლისს შეადგენს ისეთი ცალკეული მუხლები, რომლებშიც მოცემულია ზოგადი ხასიათის განმარტება-

¹ ამ პარაგრაფში ეკმაყოფილებით მხოლოდ დისპოზიციისა და სანქციის განხილვით, რადგან იგი ორგანულ კავშირშია განსაკუთრებული ნაწილის ნორმასთან. რაც შეეხება პიპოთეზას, სამართლის ნორმის ცნებას, სახეებს, ნორმის შეფარდება და ა. შ., ამ საკითხებზე იხ. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1993, გვ. 108—132.

ნი და არაა გათვალისწინებული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა. ასეთს მიეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის 185-ე მუხლი (თანამდებობის პირის ცნება) და 255-ე მუხლი (სამხედრო დანაშაულის ცნება). ამ მუხლებში მხოლოდ ხაზი გაესმის იმას, თუ ვინ ითვლებიან თანამდებობის პირებად და სამხედრო დანაშაულად თუ როგორი ქმედობა ჩაითვლება.

დისპოზიცია ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, სადაც აღწერილია კონკრეტული დანაშაულის ნიშნები. სხვანაირად თუ ვიტყვი, იგი კანონმდებლის მიერ დადგენილი ქცევის წესის შინაარსია, რომელიც შეიცავს მითითებას სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. გარეგნულად დისპოზიცია გამოიხატება იმაში, რომ როგორც ჰიპოთეზა, ისე სანქცია დისპოზიციის გარშემოა დაჭფუფებული და დისპოზიცია ჰიპოთეზისა და სანქციის დამაკავშირებელი რგოლია. როგორც ვხედავთ, დისპოზიცია ნორმის ის ნაწილია, რომელშიც აღწერილია მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი, იგი შეიცავს მითითებას იმაზე, თუ რა უფლებები და მოვალეობები გაუჩნდებათ ამ ნორმით რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეებს ჰიპოთეზაში აღნიშნული პირობებისა და გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

იმისდა მიხედვით, თუ რა ფორმით არის გამოხატული ქცევის წესი დისპოზიციაში, განასხვავებენ: მავალბელ, ამკრძალავ და აღმკურველ დისპოზიციებს. მავალბელი დისპოზიცია ფორმულირებულია როგორც მოთხოვნა ამა თუ იმ მოქმედების შესრულების შესახებ. ამკრძალავი დისპოზიცია ფორმულირებულია ამა თუ იმ მოქმედების შესრულების პირდაპირ აკრძალვის, მისი დაუშვებლობის სახით. სისხლის სამართლის ნორმებს, რომლებიც დანაშაულთა ცალკეულ სახეებს შეეხებიან, ამკრძალავი დისპოზიცია გააჩნიათ. აღმკურველი დისპოზიცია ფორმულირებულია როგორც პირის უფლებამოსილება ამა თუ იმ მოქმედების შესრულებასა და შესრულებლობაზე (ე. ი. პირდაპირ არც ავალბებს და არც უკრძალავს).

ქცევის წესთა გამოხატვის საშუალებების მიხედვით სამართლის ნორმის დისპოზიცია შეიძლება იყოს მარტივი, აღწერილობითი, მითითებითი და ბლანკეტური.

მარტივია ისეთი დისპოზიცია, რომელიც მხოლოდ ასახელებს დანაშაულებრივ ქმედობას საყოველთაოდ ცნობილი ტერმინით მისი ნიშნების აღწერის გარეშე. ე. ი. მარტივი დისპოზიცია მიუთი-

თებს მხოლოდ ქცევის წესზე და არ გვაძლევს ამ ქცევის წესთა დახასიათებას. ასეთია, მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 105-ე მუხლის დისპოზიცია (განზრახი მკვლელობა), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისათვის ამ დანაშაულის ნიშნების დაუსახელებლად. მარტივ დისპოზიციას კანონმდებელი იყენებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი აზრით დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნები ყველასათვისაა ნათელი კანონში მათი ჩამოთვლის გარეშეც. მარტივი დისპოზიცია აქვს სსკ 108-ე (გაუფრთხილებლობით მკვლელობა) მუხლს, ასევე 189¹-ე (მექრთამეობაში შუამავლობა) და 190-ე (ქრთამის მიცემა) მუხლების პირველ ნაწილებს და სხვა მუხლებს.

აღწერილობითი ეწოდება ისეთ დისპოზიციას, რომელშიც არა მარტო დანაშაულია დასახელებული, არამედ აღწერილია აგრეთვე მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებიც. სხვანაირად თუ ვიტყვი, აღწერილობითი დისპოზიცია შეიცავს არა მარტო ამა თუ იმ ქცევის წესის სახელწოდებას, არამედ მისი არსებითი ნიშნების აღწერასაც.

აღწერილობითი დისპოზიცია, მარტივი დისპოზიციისაგან განსხვავებით, გვაძლევს სამართლებრივი ნორმის მიერ დადგენილი ქცევის წესის თითქმის ყველა მხარის აღწერასა და დახასიათებას. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მხედველობაში იღებს იმას, რომ მისი დადგენილი ქცევის წესის შინაარსი შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს გაგებული სამართლის სუბიექტთა მიერ. ამიტომაც რომ იგი არ კმაყოფილდება ქცევის წესის ზოგადი დახასიათებით და გვაძლევს ქცევის წესის დაწვრილებით დახასიათება-აღწერას. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსი შეიცავს ნორმას, რომელიც კრძალავს ქურდობას, როგორც საზოგადოებრივად საშიშ, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ, დასჯად და ამორალურ მოქმედებას, მაგრამ კანონმდებელი არ კმაყოფილდება ქურდობის საწინააღმდეგო ნორმის დადგენით და გვაძლევს ქურდობის ცნების დახასიათებასაც. სახელდობრ, ხაზს უსვამს იმას, რომ ქურდობა არის სხვისი ქონების ფარული დატაცება. მაგრამ საყურადღებოა ისიც, რომ იმავე კოდექსის სხვა მუხლებით იგივე ქონების დატაცება, უკეთუ იგი მოხდა აშკარად, კვალიფიციკრებულია როგორც გაძარცვა; თუ დატაცება მოხდა მოტყუებით ან ნდობის ზოროტად გამოყენებით, მაშინ სახეზეა თაღლითობა; ხოლო თუ ქო-

ნების დატაცება განსორციელდა თავდასხმის ფორმით, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, ასეთ შემთხვევაში მოქმედება კვალიფიცირდება როგორც ყაჩაღობა.

საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმების უმრავლესობას აღწერილობითი დისპოზიცია აქვს, რაც ხელს უწყობს დანაშაულის შემადგენლობაში მართებულად გარკვევასა და კანონის სწორ გამოყენებას.

მითითებითი ეწოდება დისპოზიციას, რომელიც მოცემული დანაშაულის ნიშნების დასადგენად მიუთითებს იმავე სისხლის სამართლის კანონის (კოდექსის) სხვა მუხლში გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებზე. იგი შეიძლება აიგოს იმავე პრინციპების მიხედვით, როგორც მარტივი ან აღწერილობითი დისპოზიცია, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კანონმდებელი არ კმაყოფილდება მასში გადმოცემული ქცევის წესების დახასიათებით და მიუთითებს სხვა ნორმების დისპოზიციაზე, რომლებშიც ქცევის ეს წესი კიდევ უფრო კონკრეტუზებულია. ამრიგად, მითითებითი დისპოზიცია მაშინ არის, როდესაც ქცევის წესის შინაარსს ჩამოსაყალიბებლად ან დასაზუსტებლად იგი მიუთითებს რომელიმე სხვა ნორმის დისპოზიციაზე. ასეთია, მაგალითად, საქ. რესპ. სს კოდექსის 113-ე მუხლის დისპოზიცია, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „სხეულის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უცარი ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, რომელიც გამოწვეულია დაზარალებულის კანონსაწინააღმდეგო ძალადობით ან მძიმე შეურაცხყოფით დამნაშავეს ან მისი ახლობლების მიმართ“. ამ მუხლის შესაფარდებლად საჭიროა არსებობდეს არა მხოლოდ მასში აღწერილი ნიშნები, არამედ აგრეთვე სს კოდექსის 110-ე და 111-ე მუხლებით დადგენილი ნიშნებიც, რომლებიც განსაზღვრავენ თუ სხეულის როგორი დაზიანება ჩაითვლება მძიმედ ან ნაკლებად მძიმედ.

მითითებით დისპოზიციას მეტწილად იყენებენ იმისათვის, რომ აცილებულ იქნას ერთი და იმავე დებულების მრავალჯერ განმეორება.

დაბოლოს, ბლანკეტური ეწოდება დისპოზიციას, რომელშიც არ არის მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი და მათ დასადგენად მიუთითებს არა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებს, არამედ სხვა ნორმატიულ აქტებს (დებულებებს,

წესდებებს, ბრძანებებს, ინატრუქციულ წერილებს და ა. შ.). როგორც ვხედავთ, ბლანკეტური დისპოზიცია მიუთითებს ზოგადი ფორმით რა წესის შესრულებაა აუცილებლად მიჩნეული, მაგრამ რაც შეეხება ამ წესის კონკრეტულ შინაარსს, იგი მოცემულია სპეციალურ ნორმატიულ აქტებში ამ სამართლებრივი ნორმისაგან დამოუკიდებლად. ასეთია მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის 183-ე მუხლის (სავეტერინარო წესების დარღვევა), 184-ე მუხლის (მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა), 216-ე მუხლის (სასაზღვრო ზოლში ან სასაზღვრო ზონაში შესვლის ან ცხოვრების წესების დარღვევა), 272-ე მუხლის (შინაგანი სამსახურის საწესდებო წესების დარღვევა) დისპოზიციები და სხვ.

სანქციასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ სანქცია ეწოდება ნორმის იმ ნაწილს, რომელშიც მითითებულია, თუ რა შედეგი მოჰყვება ნორმის შეუსრულებლობას, მის დისპოზიციაში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევას. ე. ი. სანქცია ადგენს სასჯელის ღონისძიებას დისპოზიციაში აღწერილი ქმედობისათვის. სხვათაგანად თუ ვიტყვი, სანქცია მიუთითებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იყენებს სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში. სანქცია არამართლზომიერი მოქმედების ზოგადი იურიდიული შეფასებაა და მისი მიზანია მართლწესრიგის დაცვა. ამრიგად, სანქციაში გამოხატულია ის იძულებითი ხასიათის ღონისძიებანი, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს სამართლის ნორმის განხორციელებას. ნორმით რეგულირებული ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვასა და მოვალეობების შესრულებას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ სს კოდექსის 108-ე მუხლი (გაუფრთხილებლობით მკვლელობა). აღნიშნული სახის მკვლელობა, ისევე თავისუფლების აღკვეთით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

შესაბამისად იმისა თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელი მხარის მარეგულირებელი ნორმაა დარღვეული, სანქციები იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული, დისციპლინური და ქონებრივი სანქციები.

სისხლისსამართლებრივი სანქციები გამოიყენება სისხლის სამართლის ნორმის დარღვევის შემთხვევაში, დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ. ასეთ სანქციებად სსკ 23-ე მუხლის თანახმად

მიჩნეულია: თავისუფლების აღკვეთა; გადასახლება; გასახლება; გამასწორებელი სამუშაოები თავისუფლების აღუკვეთლად; გარაკვეული თანამდებობის დაკავების ან გარაკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; ჭარიმა; თანამდებობიდან დათხოვნა; საზოგადოებრივი გაკიცხვა; ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების მიმართ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს სასჯელი სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნის სახით. იმ პირთა მიმართ, რომლებიც ბოროტად თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას ან შეიღების რჩენას, აგრეთვე არღვევენ საპასპორტო სისტემის წესებს, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას სასჯელი შრომა-აღმზრდელით პროფილაქტორიუმში გაგზავნის სახით. იმ პირთა მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს ნასვამ მდგომარეობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო დანაშაული, შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას დამატებითი სასჯელი პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის სახით. ძირითადი სასჯელების გარდა, შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი სასჯელები: ქონების კონფისკაცია, სამხედრო ან სპეციალური წოდების ჩამორთმევა, მშობლის უფლების ჩამორთმევა.

სანქციები განსაზღვრულობის თვალსწარისით იყოფა: აბსოლუტურად განსაზღვრულ, შედარებით განსაზღვრულ, ალტერნატიულ, კუმულაციურ და მითითებით სანქციებად.

აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია ზუსტად განსაზღვრავს ზემოქმედების იმ ზომას, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული ნორმის დამრღვევის მიმართ. სხვანაირად თუ ვიტყვით, იგი ზუსტად განსაზღვრავს სასჯელის როგორც სახეს, ასევე ზომას. მაგალითად, თავისუფლების აღკვეთა ხუთი წლის ვადით. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ასეთი სახის სანქცია მიზანშეუწონელია, რადგანაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სასამართლომ განახორციელოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, სახელდობრ, გაითვალისწინოს ყოველი კონკრეტული დანაშაულის თავისებურება და თვით დამნაშავეის პიროვნება. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ნორმები არ ითვალისწინებს აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციას.

შედარებით განსაზღვრულ სანქციებში მითითებულია მხოლოდ საზღვრები, რომლის მიხედვითაც კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოები განსაზღვრავენ იძულებითი ღონისძიების ზომას კონკრე-

ტული გარემოებების გათვალისწინებით. შედარებით განსაზღვრული სანქციები შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით; ერთ შემთხვევაში კანონმდებელი მოუთითებს იძულებითი ღონისძიების მინიმუმს, რომლის ქვევით არ შეიძლება სასჯელის შეფარდება. სხვა შემთხვევაში იგი მოუთითებს იძულებითი ღონისძიების მაქსიმუმს, რომლის ზევით არ შეიძლება სასჯელის შეფარდება. შესაძლებელია კანონმდებლობამ სანქციების განსაზღვრისას მიუთითოს სასჯელის მინიმუმზეც და მაქსიმუმზეც. სხვანაირად თუ ვიტყვი, შედარებით განსაზღვრული სანქცია ითვალისწინებს სასჯელის როგორც სახეს, ასევე მის უდაბლეს და უმაღლეს ზღვარს. თავის მხრივ ასეთი სანქცია ორი სახისაა: 1) სასჯელის მინიმუმისა და მაქსიმუმის დაწესებით. ასეთია მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის 117-ე მუხლის (გაუპატიურება) პირველი ნაწილის სანქცია, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან შვიდ წლამდე; ამ შემთხვევაში მოცემულია სასჯელის როგორც უდაბლესი, ასევე უმაღლესი ზღვარი და სასამართლოს ამ ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს სასჯელის შესაბამისი ვადა; 2) სასჯელის მაქსიმალური ვადის დაწესებით. ასეთია, მაგალითად, სს კოდექსის 118-ე მუხლის (ქალის იძულება სქესობრივი კავშირის დაკერისათვის) სანქცია, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამი წლის ვადით (და არავითარ შემთხვევაში მის ზევით) და მის ქვემოთ მინიმუმამდე. ე. ი. სამ თვემდე დაყვანით (სსკ 25-ე მუხლის თანახმად თავისუფლების აღკვეთის მინიმუმი განსაზღვრება ვადით არანაკლებ სამი თვისა).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლები ითვალისწინებენ მხოლოდ შედარებით განსაზღვრულ სანქციებს, რაც სავსებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი სანქციის არსებობა სასამართლოს საშუალებას აძლევს დაიცვას სასჯელის შეფარდების ინდივიდუალიზაციის პრინციპი. განსაზღვროს სასჯელის ზომა კონკრეტული საქმის ყველა გარემოებისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით.

ალტერნატიული სანქცია თავისთავში შეიცავს სხვადასხვა სახის ორ ან რამდენიმე სანქციას, რომელთაგან არჩევანი სამართლის ნორმის შემფარდებელმა უნდა მოახდინოს. როგორც ვხედავთ, ალტერნატიული სანქციები შეიცავს ორი ან რამდენიმე სახის შემოქმედების ზომას, რომელთაგანაც ნორმის შემფარდებელმა ორ-

განომ უნდა აირჩიოს მხოლოდ ერთი. ამრიგად, ალტერნატიული სანქცია ითვალისწინებს სასჯელის ორ ან მეტ სახეს. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი დანაშაული. როგორცაა შრომის კანონმდებობის დარღვევა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით. ან თანამდებობიდან დათხოვნით. სასჯელის ამ სამი სახიდან სასამართლოს შეუძლია აირჩიოს მხოლოდ ერთი. რა თქმა უნდა, საქმის კონკრეტული გარემოებებისა და დამნაშავეს პიროვნების თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ განსაკუთრებული ნაწილის ნორმის ალტერნატიული სანქციები ზოგჯერ, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისას, ითვალისწინებს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობას. ასეთია, მაგალითად. საქ. რესპ. სისხლის სამართლის კოდექსის 112-ე მუხლის (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება) მეორე ნაწილის, 116-ე მუხლის (ცემა და წამება) პირველი ნაწილისა და სხვა მუხლების სანქციები. ალტერნატიული სანქციების ფართოდ გამოყენება სისხლის სამართლის მოქმედ კანონმდებლობაში მართებულად უნდა მივიჩნიოთ. რადგან მის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დამნაშავეს შეუფარდოს სასჯელი არამართო მისი ერთი სახის ფარგლებში, არამედ ამოიჩიოს სასჯელის სხვა, უფრო მიზანშეწონილი სახე.

კუმულაციური სანქციები შეიცავს სხვადასხვა სახის ორ ან მეტ სანქციას და კანონმდებლის მიერ დაშვებულია, სამართლის ნორმის შეფარდებისას. ამ სანქციების ერთობლივად გამოყენება ერთი და იმავე პირის მიმართ. სხვანაირად თუ ვიტყვით, კუმულაციური სანქციები შეიცავს ორ ან მეტ სხვადასხვაგვარ სანქციას, ხოლო ნორმის შეფარდებისას აუცილებელია მათი შეერთება. მაგალითისათვის მოვიტან სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის (დატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) მესამე ნაწილის (დატაცება ჩადენილი დიდი ოდენობით) სანქციას, სადაც ხაზი გაესმის შემდეგს: „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე. ქონების კონფისკაციით და გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ორიდან ხუთ წლამდე“.

დაბოლოს, მითითებითი სანქციის შესახებ, რგი არ განსაზღვრავს სასჯელის არც ზანხეს და არც ზომას, არამედ მიუთითებს იმაზე, რომ გამოყენებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლის სანქცია. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის 103-ე მუხლისა (დანაშაული სხვა ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ) და 159-ე მუხლის (დანაშაული ისეთ დაწესებულებათა ან გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ) სანქციები, სადაც ხაზი გაესმის შემდეგს: „ისჯება ამ თავის შესაბამისი მუხლებით“.

ჰიპოთეზასთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმებში ჰიპოთეზა არ არის. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმას მხოლოდ ორი ელემენტი გააჩნია, კერძოდ, დისპოზიცია და სანქცია.

§ 4. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა¹

სისხლის სამართლის კოდექსის შემუშავებისა და მისი განსაკუთრებული ნაწილის თეორიულ ასპექტში შესწავლისას, უთუოდ აღმოცენდება იმის აუცილებლობა თუ როგორ, რა წესით განლაგდეს დანაშაულის თითოეული შემადგენლობა კოდექსში. თავის მხრივ ამ საკითხის მართებული გადაწყვეტა ამარტივებს კოდექსის პრაქტიკულ გამოყენებას, ხელს უწყობს დანაშაულთა ცალკეული სახეების იურიდიულ ანალიზს, დანაშაულებს შორის ურთიერთკავშირისა და განსხვავების დადგენას და სხვ.

ცალკეულ დანაშაულთა გაერთიანება თავების მიხედვით და თავების განლაგების წესი, რაც შეადგენს სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემას, ყოველთვის აახავეს საზოგადოებრივი ურთიერთობის იმ სისტემას, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის კანონით. ამრიგად, საზოგადოებრივი ურთიერ-

¹ განსახილველ საკითხზე იხ. მ. ლეკვეიშვილი, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის სრულყოფისათვის, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 1, 1988, გვ. 34—38; თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე. მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 149—153.

თობის ხასიათით განისაზღვრება სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის კლასობრივი და პოლიტიკური აზრი. სახელმწიფოს ყოველ ტიპს შეესატყვისება თავისი სისხლის სამართალი და განსაკუთრებული ნაწილის სისტემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აშკარაა, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა — ესაა გვარეობითი ობიექტის მხედველობაში მიღებით დაჯგუფებულ კონკრეტულ დანაშაულთა ერთობლიობა და ამ ჯგუფებში ნორმათა განლაგების წესი. რაც შეეხება გვარეობით ობიექტს იგი არის სისხლის სამართლის კანონით დაცული ის ერთგვაროვანი ან იგივეობითი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა წინააღმდეგაც მიმართულია დანაშაულებრივი ხელყოფა. „სისხლის სამართლის კოდექსის საკანონმდებლო სისტემატიზაციას, — აღნიშნავს პროფ. გ. ტყეშელიაძე, — საფუძვლად უდევს იმ ურთიერთობათა ერთგვაროვნობა, რომელთა დაცვა კანონმდებლის ამოცანას წარმოადგენს. საზოგადოდ ყოვილგვარ სისტემატიზაციას, ე. ი. მთელს დაყოფას ნაწილებად, მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, როდესაც ერთ ნაწილად, ერთ ჯგუფად გაერთიანდება მონათესავე, ერთგვაროვანი საგნები და მოვლენები. სისტემატიზაციის საფუძვლად არ გამოდგება ისეთი ნიშანი, რომელიც არ გამოხატავს საგნის, მოვლენის არსს, სპეციფიკურ თავისებურებას. ამიტომ დანაშაულთა კლასიფიკაცია განსაკუთრებულ ნაწილში არ შეიძლება წარმოებულ იქნას დანაშაულის სუბიექტური მხარის მიხედვით. ეს გამოიწვივდა იმას, რომ ერთ ჯგუფში აღმოჩნდებოდა საშიშროების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული დანაშაულობანი... ასევე მიზანშეუწონელია დანაშაულთა კლასიფიკაცია სუბიექტისა და სასჯელის ზომის მიხედვით. დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკური არსი გამოიხატება სისხლის სამართლის კანონით დაცული ობიექტის ხელყოფაში. არსებითაც სწორედ ამ ნიშნით ერთიანდებიან ან განსხვავდებიან დანაშაულები ერთმანეთისაგან“¹.

პროფ. მ. ლეკვეიშვილის აზრით, „განსაკუთრებული ნაწილის სისტემა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი დანაშაულის ობიექტის სამწვერიან კლასიფიკაციასთან, რათა არამარტო

¹ იხ. თ. წერეთლისა და გ. ტყეშელიაძის დასახ. ნაშრომი, გვ.

ერთგვაროვანი დანაშაულები გაერთიანდნენ ერთ თავში, არამედ ამ თავში შემავალი ყველა კონკრეტული დანაშაულებრივი ხელყოფა ემთხვეოდეს გვარეობით ობიექტს. მხოლოდ ასეთი კლასიფიკაცია მოგვცემს სასურველ შედეგს ჰისტემის სრულყოფის მიზნით... სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემატიზაციის ერთადერთი კრიტერიუმი დანაშაულის გვარეობითი ობიექტი უნდა იყოს... ჰისტემის სწორი აგებისათვის აუცილებელია ყველა დანაშაულის შემადგენლობის დეტალური, ღრმა შესწავლა და მათი გვარეობითი ერთიანობის საფუძველზე კოდექსის განსაზღვრული თავისადმი მიკუთვნება. ამასთან, კოდექსის თავებად დაყოფისას წინ უნდა დავაყენოთ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დაცვა, რომელთაც სოციალური შინაარსით განსაკუთრებული ღირებულება გააჩნიათ¹.

სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში თავების განლაგების თანამიმდევრობა ხელყოფის გვარეობითი ობიექტის მხედველობაში მიღებით რომ უნდა მოხდეს, ამაზე ხაზგასმულია ბოლო დროს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებშიც².

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის დაწესება და დაცვა, ცხადია, უადვილებს თეორეტიკოსსა და პრაქტიკოსს მუშაობებს კანონის ნამდვილი შინაარსის გარკვევას, კანონის წინაშე დასახული ამოცანის ნათელყოფასა და, მაშასადამე, განსაკუთრებული ნაწილის ცალკეული ნორმების სწორ ინტერპრეტაციას. სისხლის სამართლის კოდექსის სისტემატიზაციის საფუძველს, როგორც უკვე შევნიშნეთ, წარმოადგენს ხელყოფის ობიექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ კოდექსში თავები და შემდეგ ცალკეული მუხლები განლაგებულია იმისდა მიხედვით, თუ, სახელდობრ, რას ხელყოფენ მასში გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობანი, რა სახის ობიექტის წინააღმდეგ არიან ისინი მიმართული.

სისხლის სამართალში განასხვავებენ: 1) ზოგად (საერთო) ობიექტს (ესაა სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობები, რომელთაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედობა); 2) გვარეობით, ანუ სპეციალურ ობიექტს (ესაა სისხლის

1 იხ. მ. ლეკვეიშვილის დასახელებული სტატია, გვ. 34, 37, 38.

2 იხ. Советское уголовное право. Особенная часть, М., 1988, стр. 15; Уголовное право. Особенная часть, М., 1995, стр. 16.

სამართლის კანონით დაცული ერთგვაროვანი ან იგივეობითი საზოგადოებრივი ურთიერთობები. რომელთაც ხელყოფს დანაშაულებრივი ქმედობა. მაგალითად, პიროვნება. საკუთრება და სხვ.) და 3) უშუალო ობიექტს (ესაა კონკრეტული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მიმართაც უშუალოდ არის მიმართული კონკრეტული დანაშაული. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და ღირსება).

ზოგადი (საერთო) ობიექტის განსაზღვრა საჭიროა დანაშაულის საერთო შემადგენლობის სწორი ანალიზისათვის. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ, სახელდობრ, როგორი ინტერესების დაცვას მოითხოვს სახელმწიფო.

სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი, როგორც უკვე შევნიშნეთ, აგებულია გვარეობითი ობიექტის მიხედვით, ამიტომ მის სწორ განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის შექმნისათვის, კანონის სწორად გაგებისა და შემდგომში მისი შეუცდომლად გამოყენებისათვის. მართალია, ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს და კიდევაც გავაკეთოთ მცდარი დასკვნა, რომ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი თავი (სამხედრო დანაშაული, თანამდებობრივი დანაშაული) თითქოს აგებული იყოს არა ხელყოფის ობიექტის, არამედ სუბიექტის მიხედვით, რადგან მათში გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულის ჩამდენი შეიძლება იყოს არა ყოველი პირი, არამედ მხოლოდ სამხედრო მოსამსახურე ან თანამდებობის პირი, მაგრამ ასეთი დასკვნა არ ექნებოდა სწორი. საქმე იმაშია, რომ დასახელებული დანაშაულებიც ობიექტის მხედველობაში მიღებითაა აგებული და ისინი ხელყოფენ სწორედ ერთ, გარკვეულ გვარეობით ობიექტს, მაგალითად, სამხედრო დანაშაული — სამხედრო დისციპლინას, სამხედრო სამსახურის წესს, ხოლო თანამდებობრივი დანაშაული — სახელმწიფო აპარატის სწორ, ნორმალურ მუშაობას. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გვარეობითი ობიექტის მიხედვით განსაკუთრებული ნაწილის შესაბამის თავში გათვალისწინებული ყველა დანაშაული შეიძლება დაიყოს მცირერიცხოვან ჯგუფებად, თუ, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობას მოცემული თავის დანაშაულები იძლევა.

ე. ი. გვარეობითი ობიექტი შეიძლება დაიყოს ქვეგვარეობით ობიექტებად. მაგალითად, მკვლელობის ქვეგვარეობითი ობიექტია პი-

როვნების სიცოცხლე, სხეულის დაზიანებისა პიროვნების ჯან-
მრთელობა და სხვ. ასეთსავე ერთგვაროვან, მონათესავე ქვეგარე-
ობით ობიექტებს მოიცავს განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო
დანაშაული. გვარეობითი ობიექტი იმ შემთხვევაში არ დაიყოფა
ქვეგვარეობით ობიექტებად, როდესაც დანაშაულობანი იგივეობი-
თი საზოგადოებრივი ურთიერთობების წინააღმდეგაა მიმართული.
მაგალითად, დანაშაული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთ-
რების წინააღმდეგ. აქ გვარეობითი ობიექტი შესაბამისად იქნება
სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება. დანაშაულის გვარე-
ობითი ობიექტისა და აგრეთვე ქვეგვარეობითი ობიექტის დადგენა
მეტწილად შესაძლებელი ხდება სისხლის სამართლის კოდექსის
განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი თავის სახელწოდების მიხედ-
ვით. ხაზგასასმელია ისიც, რომ თუ საზოგადოებრივ ურთიერთობა-
თა განსაზღვრული ჯგუფის დაცვა აუცილებელი ხდება სისხლის-
სამართლებრივი წესით, მაშინ იგი დანაშაულის გვარეობით ობი-
ექტად იქცევა. ისიც უნდა დავძინოთ, რომ კანონმდებელი ამა თუ
იმ გვარის დანაშაულს კოდექსში მიუჩენს თავის გარკვეულ ად-
გილს, განალაგებს თავებს ზუსტი თანამიმდევრობით. ცალკეულ
დანაშაულთა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის მიხედვით.
იგი, პირველ რიგში, ითვალისწინებს ისეთ დანაშაულს, რომელიც
მეტ საშიშროებას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოსა და საზოგა-
დოებისათვის. შემდეგ — შედარებით ნაკლები საშიშროების შემ-
ცველს და ა. შ. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გარდა ამისა, ცალკე-
ულ დანაშაულთა სისტემატიზაციას. კანონმდებელი ნორმების
გადმოცემის თანამიმდევრობის საჭიროებასაც იღებს მხედველო-
ბაში. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის გარემოება, რომ სა-
ქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში სამხედრო დანაშაულ-
თა თავი ბოლო ადგილზეა მოქცეული, თუმცა, ცხადია, ასეთი სა-
ხის დანაშაული ვერ ჩაითვლება ნაკლებ საშიშად სხვა დანაშაულ-
თან შედარებით. დაბოლოს, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ განსა-
კუთრებული ნაწილის სისტემას საფუძვლად უდევს სწორედ ცალ-
კეულ დანაშაულთა მეტ-ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროების
ხარისხის გათვალისწინება, ამასთან ერთად, ანგარიში ეწევა
აგრეთვე მთელ რიგ სხვა გარემოებებსაც. მაგალითად, დანაშაულის
სუბიექტის თავისებურებას და ა. შ.

საქართველოს რესპუბლიკის ამჟამად მოქმედი სისხლის სა-

მართლის კოდექსის¹ განსაკუთრებული ნაწილის სისტემა ასეთნაირად გამოიყურება: თავი პირველი — დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (ეს თავი ორ პუნქტს მოიცავს: I. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული; II. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული); თავი მეორე — დანაშაული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ; თავი მესამე — დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ; თავი მეოთხე — დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ; თავი მეხუთე — დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ; თავი შეექვსე — სამეურნეო დანაშაული; თავი მეშვიდე — თანამდებობრივი დანაშაული; თავი მერვე — დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ; თავი მეცხრე — დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ; თავი მეათე — დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ; თავი მეთერთმეტე — სამხედრო დანაშაული. ვფიქრობთ, ეს სისტემა უახლოეს მომავალში არსებითად შეიცვლება, ამის თქმის საფუძველი ისაა, რომ ბოლო დროს აშკარად შეიცვალა სისხლისსამართლებრივი დაცვის პრიორიტეტები. კერძოდ, წინა პლანზე (პირველ ადგილზე) წამოიწია პიროვნება, მოქელაქეთა უფლებები და თავისუფლებები, ამის შემდეგ კი შოდის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე სისხლისსამართლებრივი რეფორმა, რომელიც სასამართლო რეფორმის შემადგენელი ნაწილია, მიზნად ისახავს ისეთი დემოკრატიული სისხლის სამართლის კანონმდებლობის შექმნას, რომელშიც უნდა დომინირებდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრიორიტეტული დაცვა. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადადში ერთმანეთს ემთხვევა. განსხვავება იმაში

¹ აღნიშნული კოდექსი მიღებულ იქნა საქ. სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მიერ 1960 წლის 30 დეკემბერს, ხოლო ძალაში შევიდა 1961 წლის 1 მარტიდან. ჩვენ ესარგებლობთ კოდექსით, რომელიც ცვლილებებითა და დამატებებითაა 1992 წლის 21 ოქტომბრამდე.

გამოიხატება, რომ თავების თანამიმდევრობა ერთმანეთს არ ემთხვევა. მაგალითად, უზბეკეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში სახელმწიფო დანაშაულის შემდეგ მოდის დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ. ყაზახეთისა და სომხეთის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში დამოუკიდებელ თავადაა გამოყოფილი „სატრანსპორტო დანაშაული“.

დასასრულს, გვინდა გამოვთქვათ ჩვენი თვალსაზრისი იმ დისციპლინის უკეთ ათვისებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ნაწილის შინაარსი შეიძლება დავყოთ საკითხების ორ ჯგუფად. პირველს შეადგენს დანაშაულის ცალკეული ჯგუფის ზოგადი დახასიათება. იგი მოიცავს ამ ჯგუფის ხელყოფის გვარობითი ცნების განსაზღვრას, აგრეთვე მათ დაჯგუფებას, ე. ი. სახეებად დაყოფას. ცნობილია, რომ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის თავებად დაყოფას საფუძვლად უდევს დანაშაულის გვარობითი ობიექტი, ე. ი. ერთგვაროვანი ან იგივეობითი საზოგადოებრივი ურთიერთობები. მაგალითად, კოდექსში ცალკე თავებადაა გამოყოფილი დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ (თავი პირველი), სამეურნეო დანაშაული (თავი მეექვსე) და სხვ. დანაშაულის ცალკეული ჯგუფის ზოგადი დახასიათება მოიცავს აგრეთვე მისი ობიექტური მხარის თავისებურებებს (შემადგენლობათა საკანონმდებლო კონსტრუქციას, უმოქმედობით მათი ჩადენის შესაძლებლობას), მისთვის დამახასიათებელ ბრალის ფორმას (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა). სუბიექტის ნიშნებს (ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც დგება ამ ჯგუფის დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, აგრეთვე სპეციალური სუბიექტის არსებობა ან არარსებობა). დანაშაულის ჯგუფების ზოგად დახასიათებაში შედის ასევე მათი დაყოფა სახეებად. ასეთი დაყოფის საფუძველი, საერთო წესის თანახმად, არის დანაშაულის უშუალო ობიექტი. მაგალითად, პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული იყოფა ხელყოფად სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე, თავისუფლებაზე და სხვ.

საკითხების მეორე ჯგუფს შეადგენს კონკრეტული დანაშაულის (ქურდობა, ყაჩაღობა, კონტრაბანდა და ა. შ.) დახასიათება (შემადგენლობათა ანალიზი). სისხლის სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში მოცემულ ნორმას თუ რა ადგილი უკავია, ამის განსა-

ზღვრისათვის საჭიროა გაირკვეს შემდეგი: ა) რომელ თავში იგი გათვალისწინებული და, ბ) მოცემული თავის შიგნით, რომელ სახეს მიეკუთვნება. ამასთან ერთად გაათვალისწინებელია ისიც, რომ სახეებად დაყოფის საფუძვლად ყველა შემთხვევაში არ გვევლინება დანაშაულის უშუალო ობიექტი. მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაული იყოფა სახეებად. უპირველეს ყოვლისა, სუბიექტური ნიშნის მიხედვით (ანგარებათი და არაანგარებითი ხელყოფა), ხოლო მართლმსაჯულების წინააღმდეგ დანაშაული დანაშაულის სუბიექტის მიხედვით. თანამდებობრივი დანაშაული სახეებად საერთოდ არ იყოფა.

შემდგომ საჭიროა მოხდეს მოცემული კონკრეტული სახის დანაშაულის საკანონმდებლო (რიგ შემთხვევაში — თეორიული) განსაზღვრა და მისი შემადგენლობის ნიშნების თანამიმდევრული ანალიზი. დანაშაულის შედგენილობის ანალიზი უნდა შეეხოს კონკრეტული დანაშაულის ოთხ ძირითად ნიშანს (ანუ ელემენტს), სახელდობრ, განსახილველი დანაშაულის ობიექტს, ობიექტურ მხარეს, სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს. დანაშაულის ობიექტის ანალიზისას საჭიროა აიხსნას ხელყოფის გვარობითი და უშუალო ობიექტის შინაარსი. მაგალითად, გაუპატიურებისას გვარობითი ობიექტია პიროვნება, ხოლო უშუალო ობიექტი — სქესობრივი ურთიერთობის ნორმალური წესი ან სხვანაირად, ქალის სქესობრივი ხელშეუხებლობა და თავისუფლება. თუ სახეზეა დამატებითი ობიექტი (მაგალითად, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუებისას — მოქალაქეთა მატერიალური ინტერესები), ისიც უნდა განისაზღვროს. აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა დადგინდეს დანაშაულის საგანი (მაგალითად, ქურდობისას — ქონება), ობიექტური მხარის ანალიზისას, საჭიროა აიხსნას მისი შინაარსი და აუცილებელი ნიშნები (მაგალითად, გაძარცვა განსაზღვრება როგორც სხვისი ქონების აშკარა გატაცება) და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დანაშაულის შემადგენლობის სახეები, კერძოდ, მატერიალური და ფორმალური შემადგენლობები. თუ მოცემული შემადგენლობა კანონში ჩამოყალიბებულია როგორც მატერიალური, მაშინ საჭიროა დასახელებული და გახსნილი იქნას მისი ობიექტური მხარის სამი აუცილებელი ნიშანი: მოქმედება (უმოქმედობა). დანაშაულებრივი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის, ე. ი. ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. მაგალითად,

დაუდევრობის ობიექტური მხარე გამოიხატება: ა) ქმედობაში თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება; ბ) შედეგში — სამართლით დაცულ ინტერესებზე მნიშვნელოვანი ზიანის მიყენებაში; გ) მიზეზობრივ კავშირში — სამსახურებრივ ქმედობასა და ზიანს შორის. თუ კანონში დანაშაულის შემადგენლობა აღწერილია როგორც ფორმალური, მაშინ ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშანი იქნება მხოლოდ ერთი — მოქმედება ან უმოქმედობა (ქმედობა). მაგალითად, ხულიგნობის ობიექტური მხარე, რომელსაც ფორმალური შემადგენლობა გააჩნია, გამოიხატება მოქმედებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი. დანაშაულის ფორმალური შემადგენლობისას — შედეგი და მიზეზობრივი კავშირი სავალდებულო ნიშნების რიცხვში არ შედის. შემადგენლობის სახე განსაზღვრავს ობიექტური მხარის არა მხოლოდ აუცილებელი ნიშნების რაოდენობას, არამედ დანაშაულის დამთავრების მომენტსაც. დანაშაული ფორმალური შემადგენლობით დამთავრებულად ითვლება მოქმედების ან უმოქმედობის ფაქტის ჩადენის მომენტიდან (მაგალითად, შეურაცხყოფა მოქმედების ჩადენიდან, რაც გამოიხატება უწესო ფორმით პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირებაში), რაც შეეხება დანაშაულებს მატერიალური შემადგენლობით, ამ შემთხვევაში დამთავრების მომენტი იქნება განსაკუთრებული ნაწილის მოცემულ ნორმაში მითითებული შედეგის დადგომა (მაგალითად, სიცოცხლეზე ხელყოფის შემთხვევაში მკვლელობა; სხეულის დაზიანებისას — ჯანმრთელობაზე ზიანი და ა. შ.).

სუბიექტური მხარის ანალიზისას ყურადღება უნდა გამახვილდეს კონკრეტული (განსახილველი) დანაშაულისათვის დამახასიათებელ ბრალის ფორმებსა და სახეებზე. უნდა აიხსნას ბრალის ინტელექტუალური და ნებელობითი ნიშნების შინაარსი. სუბიექტური მხარის დახასიათებისას ტიპური შეცდომაა ბრალის საკანონმდებლო ფორმულირებათა ზოგადი შინაარსის გადმოცემა (სსკ მე-9-ე და მე-10 მუხლები) განსახილველი დანაშაულის კონკრეტული შინაარსისაგან მოწყვეტით. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კანონში განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებები ფორმულირებულია მხოლოდ მატერიალურ შემადგენლობებთან

შეფარდებაში, მაშინ როცა მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში 60%-ზე მეტ დანაშაულს ფორმალური შემადგენლობა აქვს. ამის გამო ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზისას ბრალის ფორმულა იკვეცება (იზღუდება), მისგან ამოირიცხება ბრალდებულის დამოკიდებულება თავისი მოქმედების შედეგთან.

მკვლელობის სუბიექტური მხარის ახსნისას (მხედველობაშია სსკ 105-ე მუხლი, რომელიც მატერიალური შემადგენლობით ხასიათდება), აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ იგი შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ განზრახვ. თავის მხრივ, განზრახვი ბრალი შეიძლება გამოვლინდეს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (ევენტუალური, ირიბი) განზრახვის ფორმით. განზრახვის შინაარსი მოიცავს: ა) ბრალდებულის შეგნებას, რომ მისი მოქმედება (უმოქმედობა) მიმართულია სხვა პირის სიცოცხლის მოსპობაზე; ბ) იმის გათვალისწინებას, რომ მისი მოქმედება გამოიწვევს მეორე პირის სიკვდილს, ე. ი. ითვისწინებს სხვა პირის სიკვდილის დადგომის შესაძლებლობას; გ) სიკვდილის სურვილს ან დ) მის შეგნებულად დაშვებას. რაც შეეხება ხულიგნობას, ე. ი. დანაშაულს ფორმალური შემადგენლობით, მისი ჩამდენი პირის ბრალის შინაარსი მოიცავს ბრალდებულის შეგნებას იმაზე, რომ ის ჩადის მოქმედებას, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი და სურს მისი ჩადენა. ვინაიდან შედეგი და მიზეზობრივი კავშირი არ შეადგენენ ხულიგნობის აუცილებელ ნიშნებს, ცხადია, ისინი არც განზრახვის შინაარსში შედიან.

დანაშაულის სუბიექტის დახასიათებისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგაც, განსახილველი დანაშაულისათვის, დგება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ იგი უნდა იყოს შერაცხადი. თუ კანონი განსახილველ შემადგენლობაში სპეციალურ სუბიექტზე მიუთითებს, მაშინ აუცილებელია გაირკვეს მისი ნიშნები. მაგალითად, სს კოდექსის 123-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის (აბორტის უკანონოდ გაკეთება) სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ პირი, რომელსაც აქვს უმალღესი სპეციალური სამედიცინო განათლება.

კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობის ანალიზი უნდა

დამთავრდეს კვალიფიციური ნიშნების განხილვით (თუკი განსახილველ მუხლს ასეთი გააჩნია). დამამძიმებელი გარემოებები მეტწილად წარმოდგენილია სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლის მეორე, მესამე და ა. შ., ნაწილებში ან პუნქტებში. როგორც წესი, ამ ნიშნების შინაარსი ახსნილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებში. ამავე დადგენილებებშია მოცემული ამა თუ იმ დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე სავალდებულო ხასიათის ახანა-განმარტებები (მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 4 ნოემბრის დადგენილება „ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობის მქონე თანხის ახლებურად გაანგარიშების შესახებ“).

აუცილებლობის შემთხვევაში საჭიროა გაირკვეს მსგავს დანაშაულთა გამიჯვნის საკითხები (მაგალითად, ქურდობა და გაძარცვა, თაღლითობა და ყაჩაღობა და ა. შ., ერთმანეთისაგან განსხვავდება ქონების დაუფლების ხერხით).

ლიტერატურა

Курс советского уголовного права, том IV, М., 1970; Куринов Б. А. Научные основы квалификации преступлений. М., 1976; «Уголовное право. Особенная часть. М., 1995; თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969; გ. ინწკირველი. სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. თბ., 1993; მ. ლეკვეიშვილი. სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის სრულყოფისათვის. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, № 1, 1988, გვ. 34—38.

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

I. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაული

§ 1. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ცნება და სისტემა

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულად ითვლება სისსლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში განზრახი ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რაც მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან შესუსტებისაკენ.

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის გვარეობითაა ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილება, ე. ი. საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დაცვას. კონსტიტუცია, როგორც წესი, ამკვიდრებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა საფუძვლებს, რომელიც მოიცავს მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, პარტიათა და მასობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას და სხვ. ასე, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია აცხადებს: „დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომისა და ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს“... „დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა“ (26-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები).

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მისი ჩადენისას ბრალდებული ხელყოფს

თვით კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებს, კერძოდ, მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს; ცდილობს კონსტიტუციური წყობილების დამხობას, შესუსტებას ან შეცვლას ძალადობის გზით. სწორედ ამით განსხვავდება მოცემული კატეგორიის დანაშაულები სხვა ე. წ. საერთო სისხლისსამართლებრივი დანაშაულებიდან, სადაც კონსტიტუციური წყობილების საფუძვლებზე პირდაპირ ხელყოფას ადგილი არა აქვს, თუმცა ზიანი შეიძლება მიადგეს მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებს. სხვანაირად თუ ვიტყვით, განსხვავება განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულსა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულს შორის იმაშია, რომ პირველი მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების საფუძვლების დამხობას, შესუსტებას ან შეცვლას, მეორე შემთხვევაში ასეთ მიზნთან საქმე არა გვაქვს, თუმცა იგი ზიანს აყენებს სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებს, თავდაცვისუნარიანობას, სამეურნეო ძლიერებას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვის საქმეს, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობას, ფულად და საკრედიტო სისტემას, ტრანსპორტს და სხვ.

ზემოაღნიშნული მოწმობს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამინისტრო.

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულს ობიექტური მხარე მეტწილად გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში (მაგალითად, სამშობლოს დალატი, ჯაშუშობა, საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა და ძალადური შეცვლისაკენ და სხვ.). ცალკეულ შემთხვევებში ეს დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას უმოქმედობითაც (მავნებლობა, სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა და სხვ.).

დანაშაულთა მოცემული კატეგორია შემადგენლობათა კონსტრუქციის მიხედვით, უფრო ხშირად, წარმოდგენილია დანაშაულის ფორმალური შემადგენლობების სახით (სამშობლოს დალატი, ჯაშუშობა, მავნებლობა, მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ, ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, მოწოდება კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ), რაც იმას ნიშნავს, რომ ესე-

ნი დამთავრებულად ითვლება ქმედობის (მოქმედების ან უმოქმედობის) ჩადენის მომენტიდან. ამ შემთხვევებში მანვე შედეგებს ფაქტობრივად შეიძლება ჰქონდეს ადგილი, მაგრამ იგი შემადგენლობის გარეთაა და ბრალდებულის ქმედობის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს. მას შეიძლება მნიშვნელობა მიეცეს სისხლის სამართლის სასჯელის გამოტანისას.

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ცალკეული შემადგენლობები აგებულია მატერიალური ტიპის მიხედვით, ე. ი. მათი დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა სახეზე იყოს ის შედეგი, რაც კანონშია მითითებული. ასეთია მაგალითად, ტერორისტული აქტი (სსკ 67-ე მუხლი), ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (68-ე მუხლი) და გენოციდი (65¹-ე მუხლი).

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ თითქოსდა სამშობლოს დალატი და ჯაშუშობა შეიძლება ჩადენილ იქნას არაპირდაპირი (ევენტუალური, ირიბი) განზრახვითაც¹, რაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ. მოტივისა და მიზნის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მოტივი, როგორც წესი, არ გვევლინება სავალდებულო ელემენტად მოცემული სახის დანაშაულებში. ისინი სხვადასხვაგვარია და ქმედობის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ. გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ სსკ 67-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ტერორისტული აქტისათვის. ამასთან ერთად მოტივების გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის მექანიზმის ასახსნელად, დანაშავის პიროვნების დასახასიათებლად, ბრალის ხარისხის დადგენისა და სამართლიანი სასჯელის დანიშვნისათვის. განსახილველ დანაშაულებში დომინირებს სპეციალური მიზანი, სახელდობრ კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან შესუსტება (რა თქმა

¹ Курс советского уголовного права, том IV, М., 1970, стр. 77, 87, 89; Г. З. Анашкин. Ответственность за измену Родине и шпионаж. М., 1964, стр. 194, 195; Советское уголовное право, Особенная часть. М., 1971, стр. 27.

უნდა რაც დამახასიათებელია ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობისათვის).

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტთა შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი. ექსტერიტორიალობის უფლების მქონე უცხოელების პასუხისმგებლობის საკითხი გადაიჭრება დიპლომატიური გზით. 14 წლის ასაკიდან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაუქისრებლობა პირისათვის განპირობებულია იმით, რომ ამ ასაკში მას არ შესწევს უნარი შეიგნოს თავისი ქმედობის პოლიტიკური აზრი. უკეთეს ასეთი ასაკის პირი გამოიყენა უფროსი ასაკის პირმა ტერორისტული აქტის ჩასადენად, მან პასუხი უნდა აგოს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით, ხოლო გამოიყენებულმა (როგორც უშუალო შემსრულებელმა) ტერორისტული აქტისათვის.

განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ზოგიერთი შემადგენლობისათვის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სპეციალურ სუბიექტს. მაგალითად, სამშობლოს დაღატაკების (სსკ 65-ე მუხლი) — მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს, ხოლო ჯაშუშობისათვის (სსკ 66-ე მუხლი) — უცხოელ მოქალაქეს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს.

საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის პრაქტიკაში მრავლადაა მაგალითები, როცა განსახილველი დანაშაულის სუბიექტებად გვევლინებიან: უცხო სახელმწიფოთა სპეციალური სამსახურის კადრის თანამშრომლები ან მათი აგენტურა (აგენტები); საზღვარგარეთის ორგანიზაციების ემისრები¹; ზოგიერთი მოქალაქე, რომელიც კონსტიტუციური წყობილებასადმი მტრულადაა განწყობილი; მორალურად ზნედაცემული ხალხი, რომლებიც დანაშაულის გზას დაადგა მუქარის, მოსყიდვის, პირადი სიმხდალსა და ლაჩრობის ძალით.

უშუალო ობიექტთან დამოკიდებულებით, განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულები შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას ასეთნაირად:

¹ „ემისარი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს პირს, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით.

1. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ან სახელმწიფო უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას (სამშობლოს დაღატი — მუხლი 65-ე; გენოციდი — მუხლი 65¹-ე; ჯაშუშობა — მუხლი 66-ე; დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტებში ან საბრძოლო მოქმედებაში — მუხლი 66¹-ე).

2. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას (ტერორისტული აქტი — მუხლი 67-ე; საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ — მუხლი 71-ე; მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ — მუხლი 71¹-ე).

3. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემას (დივერსია — მუხლი 69-ე; მავნებლობა — მუხლი 70-ე).

4. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს მშვიდობასა და სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას (ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ — მუხლი 68-ე; მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ — მუხლი 72-ე).

5. ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა (მუხლი 73-ე).

§ 2. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ან სახელმწიფო უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას

ა) სამშობლოს დაღატი (სსკ 65-ე მუხლი). მოცემული მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სამშობლოს დაღატისათვის. ეს უკანასკნელი არის ქმედობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ განზრახ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მისი ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სახელმწიფო უშიშროების და თავდაცვისუნარიანობის საზიანოდ: მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა, სახელმწიფო ან

სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის, დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, აგრეთვე შეთქმულება საელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით.

სამშობლოს ღალატი — ყველაზე მძიმე დანაშაულია კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ, რადგანაც მოღალატის მოქმედება მიმართულია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვისუნარიანობის დამხობისაკენ. სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა იმედროულად ნიშნავს პიროვნებისა და საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებზე ზიანის მიყენებას. სახელმწიფოებრიობის დაცვა თვითმიზანი კი არაა, არამედ იგი თვით არის ისეთი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უშიშროების დაცვას როგორც გარედან (იგულისხმება საზღვარგარეთის სპეცსამსახურები, სადივერსიო-ტერორისტული და სხვა მტრული ორგანიზაციები და ა. შ.), ასევე შიგნიდან (მაგალითად, შეთქმულება ხელისუფლების ხელში ჩაგდების მიზნით).

ღალატის¹ არსი მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი მოქალაქე, განწყობილია რა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი მტრულად, ჩადის ისეთ მოქმედებას, რომელიც მიმართულია ქვეყნის საგარეო და საშინაო უშიშროების სისტემის დასამხობად. მეტწილად ისინი დაკავშირებული არიან უცხოეთის სახელმწიფოსთან, მის აგენტურასთან, სპეცსამსახურთან ან სხვა ორგანიზაციასთან და დახმარებას უწევენ მათ საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში.

სამშობლოს ღალატის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, ტერიტორიული ხელშეუხებლობა ან სახელმწიფო უშიშროება და თავდაცვისუნარიანობა.

სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და მის სრულ თავისთავადობას მიიღოს გადაწყვეტილებები საშინაო და საგარეო საკითხებზე. სხვანაირად, სახელმწიფო სუვერენიტეტი

¹ „ღალატი“ — არაბული სიტყვაა და უნდა გავიგოთ როგორც: გამყვამლობა, ვერაგობა, ორგულობა, მუხანათობა. სხვაზე გაცელა, მოტყუება, უარყოფა, დაგმობა (თავისი რწმენის, წესისა და მისთ.).

გულისხმობს მის შესაძლებლობას სრულუფლებიანად აწარმოოს საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას თავის საქმიანობაში სხვა სახელმწიფოებისა ან სახელმწიფოთა შიგნით არსებული სხვა ძალების (ორგანიზაციების) ჩარევა. ე. ი. სუვერენიტეტი ნიშნავს სახელმწიფოს უზენაესობას ქვეყნის შიგნით და დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

ტერიტორიული ხელშეუხებლობა ნიშნავს სახელმწიფოს განუყოფელობას (დაუნაწილებლობას) და მისგან ტერიტორიის რაიმე ნაწილის ჩამოუშორებლობას (წაურთმეველობას) ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს თანხმობისა და გადაწყვეტილების გარეშე.

სახელმწიფო უშიშროება ვაგებულ უნდა იქნას, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების დაცვის მდგომარეობა შინაგანი და გარეგანი მუქარისაგან. რაც შეეხება „უშიშროების მუქარას“, იგი უნდა გავიაროთ, როგორც იმ პირობებისა და ფაქტორების (გარემოებების) ერთობლიობა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების სასიცოცხლო ინტერესებს.

თავდაცვისუნარიანობის ცნება მოიცავს თავდაცვის ღონისძიებებს, რომლებსაც გარედან აგრესორის შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში (ეკონომიკური შესაძლებლობები, შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, მეომართა მორალური და საბრძოლო სულისკვეთება, სამოქალაქო მოსახლეობის სამობილიზაციო მზადყოფნა და სხვ.).

უშუალო ობიექტის სიფართოვე და სირთულე განპირობებულია მოღალატური ქმედობის სპეციფიკურობითა და მრავალგვარობით, რომლის ჩადენითაც სუბიექტი ზიანს აყენებს აღნიშნულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს.

სამშობლოს დალატის ობიექტური მხარე იქმნება კანონში მითითებულ ქმედობათა დალაგებით. ეს ქმედობები კი შემდეგია: 1) მტრის მხარეზე გადასვლა; 2) ჯაშუშობა; 3) სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხო სახელმწიფოსათვის; 4) დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში; 5) შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალადობის ხელში ჩაგდებას მიზნით.

სამშობლოს ღალატის ობიექტური მხარის ყველა ფორმის გვარობით ნიშნად (შეთქმულების გამოკლებით), გვივლინება დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის დროს.

მტრის მხარეზე გადასვლა ნიშნავს, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მიერ, დახმარების გაწევას სამხედრო მოწინააღმდეგეზე ომის ან საომარი კონფლიქტის პერიოდში. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკით მტრის მხარეზე გადასვლად მიჩნეულია: ფრონტის ხაზზე გადასვლა და მოწინააღმდეგის არმიას შიგნით შესვლა; მტრის მიერ სადამსჯელო ექსპედიციებში მონაწილეობის მიღება; პარტიოტიზმისა და პარტიზან-ბრძანების გამოვლინება და მტრისათვის ჩაბარება; დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მასობრივი ბოროტმოქმედებების ჩადენა; მოწინააღმდეგის სამხედრო ხელმძღვანელობასთან კონტაქტში შესვლა რა სხვაოაზრე სახის სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების გაცნობა; მშვიდობიანი მოსახლეობის დახარკვა და სხვ.

მტრის მხარეზე გადასვლა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება სამხედრო მოწინააღმდეგისთან კონტაქტში შესვლის მომენტიდან. რათა მას აოპოზიციონოს პრაქტიკული დახმარება.

ჯაშუშობა, რომელსაც ჩადის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, განიხილება როგორც სამშობლოს ღალატის ერთ-ერთი ფორმა. ჯაშუშობა, რომელსაც ჩადის უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, ავალიტიცირდება სს კოდექსის 66-ე მუხლით. ამ მუხლის ანალიზზე ცალკე გვიჩნება საუბარი.

სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაღება უცხოეთის სახელმწიფოსათვის. სამშობლოს ღალატის ეს ფორმა, გულისხმობს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მიერ უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის ისეთი მონაცემების გადაცემას, რომლებიც სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებას შეადგენს, და რაც მას განდობილი ჰქონდა ან რაც მისთვის ცნობილი იყო სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით.

გადაცემის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოება. სხვა მონაცემების გადაცემა (მაგალითად, კომარტოლოგიური საიდუმლოება) მოცემული დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის.

სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეულია სახელმწიფოს მიერ დაცული ცნობები, რომლებიც შეეხება სამხედრო, საგარეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ, დაზვერვის, კონტრდაზვერვისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროებს და რომლის გავრცელებასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების დაცვის ინტერესებს. ცნობების ნუსხას, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას, ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. მეცნიერებასა და ტექნიკაში პრიორიტეტების შეცვლა შესაბამის ცვლ-ლებებს იწვევს ნუსხაში (მხედველობაში გვაქვს „სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების ნუსხა, რომლის განმაურებაც ისჯება კანონით“).

სამხედრო საიდუმლოებას სამხედრო ხასიათის ცნობები ქმნიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სახელმწიფო საიდუმლოებას არ შეადგენენ, განმაურებას მაინც არ ექვემდებარებიან. სამხედრო საიდუმლოება სამსახურებრივი (საუწყებო) საიდუმლოების ნაირსახობაა. მის დაცვას სამშობლოს ღალატთან შეფარდებაში კანონმდებელი იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საიდუმლოებას უთანაბრებს.

სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლისათვის ხორციელდება სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. სახელდობრ: ზიპირად, წერილობით, ნახაზების, ფოტოსურათების, მოდილების, სქემების, დიაგრამების, ხელსაწყოების, ნაწარმის ნიმუშების სახით; ტელე, ვიდეო და აუდიოტექნიკის დახმარებით და სხვ. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ცნობების აღრესატზე (უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელი) გადასვლის მომენტიდან.

უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებად საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ცნობს: საზღვარგარეთის სპეცსამსახურის ოფიციალურ თანამშრომლებს; საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლებს, რომლებიც საქართველოშია აკრედიტებული; გამოთენებზე საზღვარგარეთის ფირმათა ოფიციალურ წარმომადგენლებს და სხვ.

¹ „აკრედიტება“ ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს რწმუნების (აკრედიტების) მიცემას უცხო სახელმწიფოს მთავრობასთან წარმომადგენლობისათვის. აქედან გამომდინარე, „აკრედიტებულად“ უნდა გავიანროთ პიროვნება, ვინც დანიშნულია წარმომადგენლად უცხო სახელმწიფოს მთავრობასთან.

ჯამუშობისაგან განსხვავებით, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემა უცხო სახელმწიფოსათვის იმით ხასიათდება, რომ გაცემული ცნობები დამნაშავეს კი არ შეუგროვებია სხვა პირის მეშვეობით ან დაუტაცებია დაწესებულება — ორგანიზაციიდან თუ სხვა ადგილებიდან, არამედ ცნობილი იყო მისთვის სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით. გარდა ამისა გადაცემული ცნობები შეადგენს მხოლოდ სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებას და არა სხვა შინაარსისას, რააც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ჯამუშობის დროს.

სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის სტატიებს. დანაშაულის მომზადებას ქმნის: დანაშაულებრივი აქციის გეგმის შემუშავება, თანამონაწილეთა შერჩევა, დანაშაულის ჩასადენ ადგილზე ვითარების შესწავლა, უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელთან კონტაქტის დამყარება და ა. შ. უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელზე სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემის უხეირო ცდა კვალიფიცირდება როგორც მცდელობა.

დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, სამშობლოს ღალატის ეს გვარეობითი ფორმა, მოიცავს ღალატური ქმედობის იმ ნიშნებს, რომელიც არ შედის ზემოგანხილული ღალატის სპეციალურ ფორმებში. სხვანაირად თუ ვიტყვით, განსახილველი ფორმა მოიცავს სამშობლოს ღალატის ყველა იმ შემთხვევებს, რომელიც არ ემთხვევა: მტრის მხარეზე გადასვლის, ჯამუშობის, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემისა და შეთქმულების (სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით) ცნებებს.

უცხო სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევა შეიძლება ორ ვარიანტში გამოიხატოს: 1. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის მიერ, უცხოეთის სახელმწიფოს დავლებით, ისეთი ქმედობის ჩადენა, რომელიც სხვა განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულის ნიშნებს ქმნიან. ამ შემთხვევაში ბრალდებულის მოქმედება დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიცირდება: კერძოდ, სამშობლოს ღალატით და კონკრეტული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულით, რომელიც ჩადენილ იქნა გარედან დავალებით.

ბით (ტერორისტული აქტი, მავნებლობა და ა. შ.); 2. ისეთი ქმედობის ჩადენა, რომლებიც სხვა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ნიშნებს არ ქმნიან, მაგრამ ზიანს აყენებენ სამშობლოს ღალატის უშუალო ობიექტს (სუვერენიტეტს, ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ან სახელმწიფო უშიშროებას და თავდაცვისუნარიანობას). ამ სახის ქმედობათა წრე (მხედველობაშია დახმარების გაწევა) ფართოა და სხვადასხვაგვარი. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა დახმარების გაწევას მიაკუთვნებს ისეთ მოქმედებებს, როგორცაა: მოქალაქეთა გადაბირება უცხოეთის სპეცსამსახურისათვის დახმარების გასაწევად; უცხო ქვეყნის ჯაშუშების, დივერსანტების, ტერორისტებისა და სხვა აგენტების დაფარვა; ფარული და კონსპირაციული ბინების შერჩევა; საზღვარგარეთის ემისრებსა და კადრის მზვერავეებზე სხვადასხვა სახის ღოკუმენტების შოვნა (სამუშაოზე მოწყობის, ჩაწერის მიზნითა და ა. შ.); უცხოეთის აგენტების მომარაგება მათთვის საჭირო ინფორმაციით, და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება უცხოეთის სახელმწიფოსათვის დახმარების ფაქტობრივად გაწევის მომენტიდან საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში. შეიძლება აღგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის სტადიებს. მომზადებას ქმნიან: დახმარების გაწევის გეგმის შემუშავება; ხელსაყრელი პირობების შექმნა იმ მონაცემების გადასაცემად, რომელსაც ფლობს მოცემული პირი და ა. შ. მცდელობას ქმნიან: უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელთან კონტაქტის დამყარების წარუმატებელი ცდა; მოქმედებათა ჩადენა, მიმართული დახმარების გასაწევად, რომლითაც უცხოეთის სახელმწიფოს სპეცსამსახურმა ვერ ისარგებლა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

დახმარების გაწევა უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში, განსხვავებულ მტრის მხარეზე გადასვლისაგან, როგორც წესი, ხდება მშვიდობიან ან ომიანობის დროს; მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ ამ შემთხვევაში დახმარების გაწევა ხდება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არამებრძოლი მხარისათვის, მაშინ როცა მტრის მხარეზე გა-

¹ „კონსპირაცია“ ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს სისტემასა და მეთოდებს, რომლებსაც იყენებს არალეგალური ორგანიზაცია თავისი მუშაობის საიდუმლოების შესანახად, საიდუმლოს მკაცრად დაცვისათვის.

დასვლა ნიშნავს ომიანობის დროს, საომარი მოქმედებისას სამხედრო მოწინააღმდეგეზე დახმარების გაწევას. ე. ი. ამ შემთხვევაში დახმარების გაწევა ხდება ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მებრძოლი მხარისათვის.

დახმარების გაწევისათვის (საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში) საქართველოს მოქალაქე შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საზღვარგარეთ.

დახმარების გაწევისათვის შეთანხმება შეიძლება მოხდეს, როგორც საზღვარგარეთის წარმომადგენლების, ასევე თვით საქართველოს მოქალაქის ინიციატივით.

შეთქმულება სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ესაა პირთა ჯგუფის მიერ ფარული შეთანხმება, რათა ძალადობით, ანტიკონსტიტუციურ: გზით დაამხონ და ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება. ხელისუფლების ხელში ჩაგდება — თვითმიზანი კი არაა, არამედ ანტიკონსტიტუციური საქმიანობის მოქმედების საშუალება (ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტების შეცვლა, ეკონომიკის განვითარების მიმართულებებში ცვლილებების შეტანა, სულიერ და სოციალურ სფეროებში ორიენტაციების შეცვლა და სხვ.). საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-5 მუხლის შესაბამე პუნქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“. თუ ასეთი რამ განხორციელდა (მხედველობაში გვაქვს ხელისუფლებისა და სახელისუფლებო უფლებამოსილების ხელში ჩაგდება ან მიითვისება), ცხადია, იგი ისჯება სისხლის სამართლის კანონით.

შეთქმულთა ჯგუფი დარაზმულობისა და ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით წარმოადგენს დანაშაულებრივ გაერთიანებას, რომელიც მიზნად ისახავს ძალაუფლების ხელში აღებას როგორც ხელისუფლების უმადლეს, ასევე ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. ხელისუფლების ხელში აღება შეუძლებელია იმ პირთა მიერ, რომლებიც მას სრული მოცულობით ფლობენ. თუ ვინცობაა, ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი, მაშინ მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება როგორც თანამდებობრივი დანაშაული (ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;

ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშე-
ტება და სხვ.).

შეთქმულება დამთავრებულ დანაშაულად ითვლება იმ მომენ-
ტიდან, როცა პირთა ჯგუფი შეთანხმდება ხელისუფლების დამხო-
ბისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე, ასევე როცა პირი შეევა
შეთქმულთა ორგანიზაციაში.

სამშობლოს ღალატის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდა-
პირი განზრახვით. სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის
საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს მისი ჩადენა. მოტი-
ვები, ღალატის ცალკეული სახეების მიხედვით სხვადასხვაგვარია
და ისინი ქმედობის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ.

სამშობლოს ღალატის სუბიექტია საქართველოს რესპუბლიკის
მოქალაქე, სულერთია თანამდებობის პირია იგი, სამხედრო მოსამ-
სახურე, თუ სხვა პირი.

სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლში გათვალისწინე-
ბულ სამშობლოს ღალატს აქვს მეორე ნიშნი, რომლის ძალითაც:
„სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლება საქარ-
თველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც უცხოეთის ორგანო-
ებმა ან ორგანიზაციებმა გადაიბირეს საქართველოს რესპუბლიკის
წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, თუ მან
მიღებული დავალების შესასრულებლად არავითარი მოქმედება არ
ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუცხადა საქართველოს რესპუბლი-
კის ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის ორგანოებთან და ორ-
განიზაციებთან თავისი კავშირის შესახებ“.

ზემოაღნიშნული დებულებიდან აშკარაა, რომ პირის სისხლის-
სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის სა-
ჭიროა სახეზე იყოს ორი პირობა: 1. საქართველოს მოქალაქემ,
რომელიც უცხოეთის ორგანოებმა ან ორგანიზაციებმა გადაიბირეს
ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორ-
ციელებლად, არავითარი მოქმედება არ უნდა ჩაიდინოს მიღებული
დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად. იმ შემთხვევაში,
თუ პირმა თუნდაც ნაწილობრივ შეასრულა მიღებული დანაშაუ-
ლებრივი დავალება ან კიდევ უკვე განახორციელა მოსამზადებელი
მოქმედებანი მის შესასრულებლად და შემდეგ ნებაყოფლობით გა-
ნუცხადა ამის შესახებ ხელისუფლების ორგანოებს, იგი სისხლის
სამართლის პასუხისმგებლობისაგან ვერ გათავისუფლდება; 2. სა-

ქართველოს მოქალაქემ ნებაყოფლობით უნდა განუცხადოს ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის ორგანოებთან ან ორგანიზაციებთან თავისი კავშირის შესახებ. ეს შეიძლება მოხდეს ტელეფონზე დარეკვით, ტელეგრამის გაგზავნით, მოხსენებითი ბარათის შედგენითა და სათანადო ორგანოებში წარდგენით და სხვა ფორმით.

ამ ორ პირობათაგან ერთ-ერთის შეუსრულებლობა, ცხადია, გამოიწვევს საქართველოს მოქალაქის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სსკ 65-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

ბ) გენოციდი (სსკ 65¹-ე მუხლი). ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1993 წლის 8 ივლისს მიიღო კანონი გენოციდის შესახებ. განსახილველ მუხლში ხაზი გაესმის შემდეგს: „გენოციდი, ე. ი. მოქმედება, რომელიმე ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის პირთა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად, რაც გამოიხატება ასეთი ჯგუფების წევრთა მკვლელობით, მათი მძიმე დაშავებით, ან განზრახ ცხოვრების ისეთი პირობების შექმნა, რომელიც გამოიწვევს მათი მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად, ბავშვთა შობადობის ძალადობით შესამცირებლად ან ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაცემა“.

ვიდრე განსახილველი მუხლის იურიდიულ ანალიზს მოვახდენთ, მანამდე უნდა შევნიშნოთ, რომ „გენოციდი“ ორი სიტყვის ბერძნულისა (genos — გვარი, ტომი) და ლათინურის (caedo — ვკლავ, ვხოცავ) შეერთების საფუძველზეა აღმოცენებული და ნიშნავს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკურ მოსპობას ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენებას, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. გენოციდი კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია. იგი ორგანულად უკავშირდება რეაქციულ თეორიებს, რომლებიც ქადაგებენ რასობრივ და ეროვნულ სიძულვილს, ე. წ. „უმადლესი“ რასის გაბატონებას „დაბალ“ რასაზე და სხვ. გენოციდს მასობრივად მიმართავდნენ ჰიტლერელები,

რომლებმაც მილიონობით ადამიანი გაუღიტეს „სიკვდილის ბანაკებში“.

პასუხისმგებლობა გენოციდისათვის გათვალისწინებულია ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით და სპეციალური კონვენციით „გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და მისი დასჯადობის შესახებ“ (მოიწონა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 9 დეკემბერს). კონვენციაში დაწვრილებითაა აღწერილი გენოციდის გამოვლენის კონკრეტული ფორმები, დადგენილია ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ გენოციდის დამნაშავეთა დასჯის ეფექტური ღონისძიებანი.

გენოციდის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, სახელმწიფო უშიშროება, ადამიანთა გარკვეული ჯგუფების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. სხვანაირად თუ ვიტყვით, გენოციდის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილება, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო წესწყობილების, მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

ობიექტური მხრივ გენოციდი, როგორც ეს განაახილველი მუხლის დისპოზიციაშია აღნიშნული გამოიხატება: ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის პირთა მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობ მოქმედებაში. სახელდობრ, აღნიშნული ჯგუფის წევრთა მკვლელობაში; მათ შიშვე დაშობაში; ისეთი პირობების შექმნაში, რომელიც გამიზნულია მათ მთლიანად ან ნაწილობრივ გასანადგურებლად, ბავშვთა შობადობის ძალადობით შესამცირებლად ან ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში ბავშვების იძულებით გადაცემასთან.

სუბიექტური მხრივ გენოციდი ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. რაც შეეხება მიზანს, აქ დომინირებს სპეციალური მიზანანი — კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან შესუსტება. მოტივები გენოციდის ცალკეული სახეების დროს სხვადასხვაგვარია და ქმედობის კვალიფიკაციაზე ისინი გავლენას არ ახდენენ. გენოციდისას მოტივებად გვევლინება: საქართველოს რესპუბლიკისადმი მტრობა, სიძულვილი, ანგარება, სულმოკლეობა და სხვ.

გენოციდის სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც მათი ჩადენის ორგანიზატორები (ე. ი. პირები, რომელთა ინიციატივითაც

დაიწყო გენოციდი, ან რომელთა მითითებითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ დანარჩენი მონაწილეები), ასევე მასში მონაწილეები. კერძოდ, როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე უცხოეთის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები. აფხაზეთში განხორციელებული გენოციდის სუბიექტებად გვევლინება არძინბა და მისი ხროვა, ასევე დაქირავებული „ბოევიკები“ უცხოეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან.

გენოციდი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

გ) ჯაშუშობა (სსკ 66-ე მუხლი). ამ მუხლის თანახმად ჯაშუშობად ითვლება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ასევე ამგვარი ცნობების გატაცება ან შეგროვება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე სხვა ცნობების გადაცემა ან შეგროვება უცხოეთის დაზვერვის დავალებით საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის, თუ ჯაშუშობა ჩაიდინა უცხოელმა მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა.

ჯაშუშობის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ მისი ჩადენის შედეგად საქართველოს რესპუბლიკის მფლობელობიდან შეიძლება გავიდეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო საიდუმლოებანი. ამის გარდა, საჯაშუშო საქმიანობა ხშირად ქმნის პირობებს სხვა განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულების ჩასადენად (ტერორისტული აქტების, მავნებლობისა და ა. შ.).

ჯაშუშობის ობიექტი იგივეა, რაც სამშობლოს ღალატის ჩადენისას. საგანი შეიძლება იყოს „ცნობები“, რომლებიც სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების შემცველია, აგრეთვე „სხვა ცნობები“, თუ მათი შეგროვება ხდება უცხოეთის დაზვერვის დავალებით. ჯაშუშობასთან ბრძოლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ „სხვა ცნობები“ წარმოადგენენ პრაქტიკულად განუსაზღვრელ ინფორმაციას, თუ ის აინტერესებს საზღვარგარეთის სპეცსამსახურს. ასეთია ცნობები კონკრეტულ პიროვნებებზე; კონკრეტული ადგილის ნიჟარა და წყლის ნიმუშები; მისასვლელი გზების, რკინიგზის, აეროდრომებისა და სხვა სტრატეგიული ნაგებობების შესახებ გეგ-

მები და ჭქემები; ცნობები კონკრეტულ ადგილებში სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და კონფლიქტური სიტუაციების შესახებ; ხალხის მორალური მდგომარეობა და ა. შ. „სხვა ცნობებს“ მიეკუთვნება აგრეთვე ცნობები, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას შეადგენენ (სამხედრო საიდუმლოების გამოკლებით).

ჯაშუშობის დისპოზიციის გააზრება გვაძლევს საფუძველს განვასხვაოთ მისი ორი სახე. პირველი სახე ჯაშუშობისა გამოიხატება სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემაში უცხოეთის სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი აგენტურისათვის, ასევე ამგვარი ცნობების გატაცებასა ან შეგროვებაში მათთვის გადაცემის მიზნით. ჯაშუშობის მეორე სახე მდგომარეობს უცხოეთის დაზვერვის დავალებით „სხვა ცნობების“ გადაცემასა ან შეგროვებაში საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების საზიანოდ მათი გამოყენებისათვის.

სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა ნიშნავს, ყოველგვარი ხერხის გამოყენებით, მის შეტყობინებას ადრესატისათვის (ზეპირად, წერილობით, შუამავლის მეშვეობით, რადიოტექნიკური საშუალებების გამოყენებით და ა. შ.).

ცნობების გატაცებად უნდა გავიგოთ მფლობელისაგან მისი უკანონო ამოღება (ფარულად ან აშკარად). ცნობების შეგროვებანიშნავს მათ მოპოვებას გამოკითხვით, უშუალო მოსმენით, ფოტოსურათების გადაღებით, შანტაჟით, ფულის მიცემით და სხვა ხერხით. სხვანაირად თუ ვიტყვით, ცნობების შეგროვება არის დასახელებული ცნობების მიღების ნებისმიერი ფორმა (გარდა დატაცებისა).

პირველი სახის ჯაშუშობა დამთავრებულად ითვლება ცნობების შეგროვების, გატაცების ან გადაცემის მომენტიდან, მიუხედავად იმისა იყო თუ არა უცხოეთის დაზვერვის დავალება; რაც შეეხება მეორე სახის ჯაშუშობას, მისი დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია სახეზე იყოს უცხოეთის დაზვერვის დავალება „სხვა ცნობების“ გადაცემასა ან შეგროვებაზე.

სამშობლოს ღალატით გათვალისწინებული სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების გაცემისაგან განსხვავებით (რა დროსაც პირს თვითონ გააჩნია საიდუმლო მონაცემები სამსახურებრივი

მდგომარეობის ძალით), ჯაშუშობისას პირი ასეთ მონაცემებს სამსახურში ან სამუშაოზე არ ფლობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჯაშუშობის ობიექტური მხარე გამოიხატება სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემაში, გატაცებასა ან შეგროვებაში, აგრეთვე „სხვა ცნობების“ გადაცემასა ან შეგროვებაში.

სუბიექტური მხრივ ჯაშუშობა ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე. ი. პირს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რაც დაკავშირებულია საჯაშუშო ინფორმაციის შეგროვებასთან, გადაცემასა ან გატაცებასთან და სურს ჩაიდინოს აღნიშნული მოქმედება. მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, რასაც დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, როცა მოქმედების ჩადენა ფორმალურად ემსგავსება ჯაშუშობის ნიშნებს, მაგრამ მიმართული არაა ობიექტის შერყევისაკენ. მაგალითად, სამხედრო ტექნიკაზე კოლექციონერის მიერ ინფორმაციის შეგროვება.

ჯაშუშობის სუბიექტი, როგორც ეს სსკ 66-ე მუხლის დისპოზიციისაშია აღნიშნული, არის მხოლოდ უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი. საქართველოს მოქალაქე, რომელმაც ჩაიდინა ჯაშუშობა, პასუხს აგებს სამშობლოს ღალატისათვის.

ჯაშუშობის მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც შეუდგა ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, მაგრამ ნებაყოფლობით შეწყვიტა ეს დანაშაულებრივი ქმედობა და ხელისუფლების ორგანოებს აცნობა ამის შესახებ, თუ აღიარებისა და ამასთან დაკავშირებით მიღებული ზომების შედეგად აღკვეთილ იქნა საქართველოს რესპუბლიკისათვის ზიანის მიყენება“.

ჯაშუშობა პირველი ნაწილის თანახმად — ისჯება თავისუფლების აღკვეთით შეიდიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

დ) დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტებში ან საბრძოლო მოქმედებაში (სსკ 66-1-ე მუხლი). ეს მუხლი სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1993 წლის 17 მარტს

მიიღო ზემოაღნიშნული ხასიათის ნორმა. განსახილველი მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში ხაზი გაესმის შემდეგს: „დაქირავებული პირის მონაწილეობა უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მატერიალური გასამრჯელოს, რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით, ან ასეთი მონაწილეობა სხვა ქვენაგრძობით, თუ ეს პირი არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე ან არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მუდმივად და არა აქვს უფლებამოსილება ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში“. მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე მოქმედებას, თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ზარალი ან სხვა მძიმე შედეგი. მესამე ნაწილში კი ხაზი გაესმის ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებას, თუ მას მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი, სახელმწიფო უშიშროება, სამხედრო ძლიერება, ადამიანთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება დაქირავებული პირის მონაწილეობაში უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში. მის მონაწილეობას შედეგად მოჰყვება: ადამიანთა სხეულის სხვადასხვა კატეგორიის დაზიანება; სიცოცხლის მოსპობა; სახელმწიფო, კოლექტიური და კერძო ქონების დატაცებები; განსაკუთრებით დიდი ზარალი (სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების დაზიანება ან განადგურება, რომელთა აღდგენა და აშენება მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯებს, შრომასა და დროს მოითხოვს); „სხვა მძიმე შედეგი“ (რაც საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დროებით პარალიზებას იწვევს) და სხვ.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გულისხმობს განზრახ ბრალს — განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი (ირიბი, ევენტუალური). შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში დაქირავებული პირის მონაწილეობის მამოძრავებელი ძალა (მოტივი) მეტწილად ანგარებაში გამოიხატება. ამ შემთხვევაში ანგარების მრავალსახეობასთან გვაქვს საქმე. სახელდობრ, დისპოზიციაში ხაზი გაესმის დაქირავე-

ბული პირის მონაწილეობას (შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში) მატერიალური გასამრჯელოს, რაიმე გამორჩენის მიღების მიზნით ან სხვა ქვენაგრძნობით. „სხვა ქვენაგრძნობაში“ უნდა ვიგულისხმოთ დაქირავებული პირის შური, ზიზღი, მტრობა, სიძულვილი და ა. შ., იმ უცხო ქვეყნის ხალხის მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც იგი იმყოფება საომარი მოქმედების საწარმოებლად. როგორც ვხედავთ, განსახილველ დანაშაულში დაქირავებული პირი მეტწილად ანგარების მოტივითა და მიზნით მოქმედებს, თუმცა შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა ქვენაგრძნობასაც.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტად გვევლინება სპეციალური სუბიექტი. სახელდობრ, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე, დაქირავებული პირი. ამ პირისათვის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ იგი არ არის ამ ქვეყნის მოქალაქე ან არ ცხოვრობს მის ტერიტორიაზე მუდმივად და არა აქვს უფლებამოსილება ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც არ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტში ან საბრძოლო მოქმედებაში.

სსკ 66¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თორმეტ წლამდე; ხოლო მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით.

**§ 3. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული,
რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის
პოლიტიკურ სისტემას**

ა) ტერორისტული აქტი (სსკ 67-ე მუხლი). განსახილველი მუხლი შვიდი ნაწილისაგან შედგება.

პირველი ნაწილი ჩამოყალიბებულია ასეთნაირად: „სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის ან ხელისუფლების წარმომადგენლის ქონების დაზიანება ან განადგურება, ჩადენილი მის სახელმწიფო

ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით“.

მეორე ნაწილის რედაქცია ასეთია: „იგივე ქმედობა, ჩადენილი აფეთქებით, ცეცხლის წაქიდებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით“.

მესამე ნაწილში ხაზი გაესმის „ამ მუხლის პირველ და მეორე ნაწილით გათვალისწინებულ ქმედობას, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით დიდი ზარალი ან ადამიანის მსხვერპლი“.

მეოთხე ნაწილის შინაარსი ასეთია: „სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა, ჩადენილი მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტებლს მიზნით“.

მეხუთე ნაწილში აღნიშნულია: „იმევე მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის სხეულის მძიმე დაზიანება მის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით“.

მეექვსე ნაწილის ფორმულირება ასეთია: „განზრახ მკვლელობა, ჩადენილი დაზარალებულის ახლო ნათესავის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეობასთან დაკავშირებით“.

დაბოლოს, მეშვიდე ნაწილში ხაზგასმულია „სხეულის მძიმე დაზიანება, ჩადენილი დაზარალებულის ახლო ნათესავის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეობასთან დაკავშირებით“.

ტერორისტული აქტის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა, ასევე სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ანდა ხელისუფლების წარმომადგენლის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება.

ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებულებად შვიძლება იყვნენ მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეები ან ხელისუფლების წარმომადგენლები, სახელმწიფო მოღვაწეებს მიეკუთვნება ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები; საზოგადო მოღვაწეებს -- პირები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ გაერთიანებათა მუშაობაში, დამოუკიდებლად მათი თანამდებობრივი მდგომარეობისა (ამათ მიეკუთვნება ასევე მეცნიერების, კულტურის, ტექნიკისა და ხელოვნების წარმომადგენლები);

ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეკუთვნება ყველა დონის დეპუტატები, პროკურორები, გამომძიებლები, მოსამართლეები, სამართალდამცავი ორგანოების ოპერატიული მუშაკები, აგრეთვე პირები, რომლებიც დაკავებული თანამდებობის ძალით ფლობენ აღმასრულებელ-განმკარგულებელ უფლებამოსილებას სხვა პირებთან დამოკიდებულებაში, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებიდან.

ტერორისტული აქტის ობიექტური მხარე, მისი დისპოზიციის გააზრებიდან გამომდინარე, გამოიხატება სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის ქონების დაზიანებასა ან განადგურებაში; განსახილველი მუხლის მეორე ნაწილში კი ხაზი გაესმის ქონების დაზიანებასა ან განადგურებას ჩადენილს აფეთქებით, ცეცხლის წაქიდებით ან სხვა საყოველთაო საშიში საშუალებით, მეოთხე და მეხუთე ნაწილების ძალით ობიექტური მხარის ნიშნებს მიეკუთვნება სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება, რაც შეეხება მეექვსე და მეშვიდე ნაწილებს, აქ ხაზი გაესმის განზრახ მკვლელობასა და სხეულის მძიმე დაზიანებას ჩადენილს დაზარალებულის ახლო ნათესავის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ქონების დაზიანება ნიშნავს ქონებისადმი ისეთ მოპყრობას, რომლის შედეგადაც ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია გარკვეული შრომის გაწივისა და სახსრების დახარჯვის შედეგად. დანგრევა კი ნიშნავს ქონებისადმი ისეთ მოპყრობას, რომლის შედეგადაც იგი კარგავს თავის სამეურნეო ღირებულებას და თავისი პირვანდელი სახით ვერ იქნება აღდგენილი (მაგალითად, თუ დაიწვა, დაინგრა, დაიმსხვრა, მდინარეში ჩაიღვარა და ა. შ.).

სსკ 67-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებებიდან „სხვა საყოველთაო საშიში საშუალებებით“ ქონების განზრახ დაზიანებად ან განადგურებად უნდა მივიჩნიოთ მოქმედების ისეთი ხერხი, რომლის გამოყენებით არამარტო ნადგურდება ან ზიანდება დაზარალებულის ქონება, არამედ დაზიანებისა და განადგურების რეალური საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე სახელმწიფო, კოლექტიურ ან სხვა მოქალაქეთა ქონებას. საყოველთაო საშიში საშუალების გამოყენების თავისებურება ისიცაა, რომ მისი

გამოყენება დამნაშავეს შესაძლებლობას უსპობს, შემდგომში დაიმორჩილოს იგი. ზემოაღნიშნულად უნდა მივიჩნიოთ ასევე ქონების ისეთი დაზიანება ან განადგურება, რომელიც ჩადენილია: აფეთქებით, წალეკვით (მაგალითად, წყალსადენის მაგისტრალის განცალკევება), ზევის მოწყობით, სახურავის დანგრევით და სხვ. სამომავლოდ კარგი იქნება თუ კანონმდებელი „საყოველთაო საშიში საშუალების ცნებაში“ გააერთიანებს აფეთქებასა და ცეცხლის წაქიდებასაც.

„ახლო ნათესავი“ — ნიშნავს მშობლებს, შვილად ამყვანთ, შვილებს, შვილად აყვანილებს, ძმებსა და დებს, პაპას, ბებიას, შვილიშვილებს, აგრეთვე ქმარსა და ცოლს.

ტერორისტული აქტის მესამე ნაწილით გათვალისწინებული „განსაკუთრებით დიდი ზარალი“ გულისხმობს ქონების მწყობრიდან გამოყვანას, ასევე ისეთი შედეგის დადგომას, რომლის გამოსწორება მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯს, შრომასა და დროს მოითხოვს. მაგალითად, ი-ს მიმართ ტერორისტული აქტის მცდელობის ფაქტზე, სასამართლომ „განსაკუთრებით დიდ ზარალად“ მიიჩნია ი-ს მეზობლების რვა საცხოვრებელი სახლის დანგრევა. რომლის ზარალმაც 25.000 ლარი შეადგინა.

„ადამიანის მსხვერპლი“ ნიშნავს როგორც ერთი, ასევე მრავალი ადამიანის დაღუპვას. „მკვლელობა“ ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის, ან ხელისუფლების წარმომადგენლის სიცოცხლის მოსპობას; ხოლო „სხეულის მძიმე დაზიანება“ იმას, რასაც ითვალისწინებს სს კოდექსის 110-ე მუხლის დისპოზიცია.

ტერორისტული აქტი დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს მიეკუთვნება და დამთავრებულად ითვლება დაზარალებულისათვის სიცოცხლის მოსპობის, სხეულის მძიმე დაზიანების, ქონების დაზიანებისა ან განადგურების მომენტიდან. ცხადია, ბრალდებულის მიერ ჩადენილ ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

სუბიექტური მხრივ ტერორისტული აქტი ხასიათდება პირდაპირი განზრახვითა და პოლიტიკური მოტივებით. პოლიტიკურ მოტივად მიჩნეულია ქვენაგრძნობები, რომლის საფუძვლადაც გვივლინება ბრალდებულის სწრაფვა ფიზიკურად ჩამოცილოს (მოკლას) პოლიტიკური მოწინააღმდეგე ან მიაყენოს მას სხეულის მძიმე დაზიანება. ასევე მისი ქონება დააზიანოს ან გაანადგუროს.

რაც შეეხება მიზანს, განსახილველ შემთხვევაში ბრალდებულ მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების შესუსტების მიზნით. თუ ასეთი მიზანი არ ამოძრავებს ბრალდებულს, მაშინ კვალიფიკაცია მოხდება სხვა მუხლებით. კერძოდ, როგორც განზრახი მკვლელობა (მუხლი 105-ე), სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება (მუხლი 110-ე), ქონების განზრახ დაზიანება ან განადგურება და სხვ.

ტერორისტული აქტის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი 16 წლის ასაკიდან.

სსკ 67-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით; მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით; მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით; მეხუთე ნაწილის ძალით დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით; მეექვსე ნაწილის ძალით ტერორისტული აქტი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით; დაბოლოს, მეშვიდე ნაწილის ძალით დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ბ) საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ (სსკ 71-ე მუხლი). მოცემული მუხლი ითვალისწინებს საჯარო მოწოდებას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ, ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, აგრეთვე ამ მიზნით ასეთივე შინაარსის მასალების გავრცელებას.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა, ხელისუფლების კონსტიტუციური

ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება და ხელისუფლების ორგანოებში კანონიერად არჩეული წარმომადგენლების ინტერესები. ამ დანაშაულის ობიექტურ მხარეს მოქმედების სამი მომენტი ახასიათებს: 1. საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ; 2. საჯარო მოწოდება ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ; 3. მასალების გავრცელება, რომლებიც შეიცავენ ზემოაღნიშნული ხასიათის მოწოდებებს.

ქმედობა რომ დაკვალიფიციკრდეს 71-ე მუხლით, საჭიროა მოწოდებები ატარებდეს საჯარო ხასიათს, ე. ი. მიმართული უნდა იყოს, აღამიანთა ფართო წრისადმი, ღიად და ადვილად გასაგებ ფორმაში. დანაშაული დამთავრებულად ითვლება ზემოაღნიშნულ ქმედობათაგან თუნდაც ერთ-ერთის ჩადენის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე. ი. პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს მისი ჩადენა. ამავე დროს საჭიროა დადგინდეს მოწოდებების მიმართულება: კონსტიტუციური წყობილების დამხობა, მისი ძალადური შეცვლა, ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

მოცემული დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი, ფიზიკური პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა 16 წელი.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს 71-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ მოქმედებას, თუ იგი ჩადენილია განმეორებით ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ; ხოლო მესამე ნაწილში ხაზი გაესმის 71-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ მოქმედებას, თუ იგი ჩადენილია სხვა სახელმწიფოების, უცხოეთის ორგანიზაციების ან მათი წარმომადგენლების დავალებით.

განხილული მუხლის კარგ პრაქტიკულ მაგალითად გამოდგება 1992 წლის 24 ივნისს პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ განხორციელებული შეტევა „საქტელერადიო“ დეპარტამენტის შენობაზე, რომლის აღების შემდეგ ჯგუფის წევრები გავიდნენ ეთერში და დილის 6 საათიდან 8 საათამდე მოუწოდებდნენ ხალხს შეიარაღებისაკენ და არჩეული ხელისუფლების ძალადური დამხობისაკენ. აღნიშნული მოქმედება წინასწარი გამოძიების მიერ სწორად

იქნა დაკვალიფიცირებული 71-ე მუხლის მეორე ნაწილით (საჯარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ — ჩადენილი პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ).

სსკ 71-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე; მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

გ) მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ (სსკ 71¹-ე მუხლი). განსახილველი მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს საჯარო მოწოდებას სამშობლოს დალათისაკენ, ტერორისტული აქტის, დივერსიის თუ მავნებლობის ჩადენისაკენ. მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ დამნაშავე, რომელიც საჯაროდ ზემოქმედებს მოქალაქეთა შეგნებასა და ნებაზე, ცდილობს ხელყოფილ იქნას კონსტიტუციური წყობილება.

მოცემული დანაშაულის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა.

ობიექტური მხარე გამოიხატება საჯარო მოწოდებაში, რათა ჩადენილ იქნას სამშობლოს დალათი, ტერორისტული აქტი, დივერსია თუ მავნებლობა. საჯარო მოწოდებები, როგორც წესი, ზოგადი ხასიათისაა და დაკავშირებული არაა კონკრეტულ პირზე ფსიქოლოგიურ და სხვა სახის ზემოქმედებასთან, რასაც ადგილი აქვს წამქეზებლობის დროს, როცა დანაშაულის ჩასადენად პირი სხვას დაიყოლიებს. დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდების განხორციელების მომენტიდან, დამოუკიდებლად იმისა შემდგომში თუ როგორ განვითარდა ვითარება და რა შედეგი დადგა. თუ მოწოდებების შედეგად ვინმემ მართლაც ჩაიდინა სამშობლოს დალათი, ტერორისტული აქტი, დივერსია ან მავნებლობა, მაშინ მათთვის პასუხისმგებლობა დადგება მოცემული სახის დანაშაულის შესაბამისად.

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მოტივები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს,

რაც დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ მისი მხედველობაში მიღება ხდება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასებისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი, ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან.

71-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

§ 4. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემას

ა) დივერსია (სსკ 69-ე მუხლი). ამ მუხლის დისპოზიციის მიხედვით დივერსიაა: „საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით აფეთქება, ციხლის წაკიდება ან სხვა მოქმედების ჩადენა მიმართული ადამიანთა მასობრივად მოსპობისაკენ, სხეულის დასაზიანებლად ან მათი ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მისაყენებლად, საწარმოთა, ნაგებობათა, მიმოსვლის გზათა და საშუალებათა, ნავთობისა და გაზგაყვანილობათა, ელექტროგადამცემი ხაზების, კავშირგაბმულობის გასანადგურებლად, აგრეთვე იმავე მიზნით მასობრივი მოწამვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელება“.

დივერსიის დროს ხელყოფის უშუალო ობიექტად გვევლინება საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური საფუძველი. კონკრეტულ შემთხვევებში ხელყოფა შეიძლება მიმართული იყოს ტრანსპორტზე, მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობაზე, სახელმწიფო და კოლექტიურ საკუთრებაზე, ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე.

კანონში მოცემულია ხელყოფის საგანთა სანიმუშო ჩამოთვლა:

1) საწარმოები, ე. ი. ფაბრიკები, ქარხნები და სხვა სამრეწველო ობიექტები, როგორც მოქმედი ასევე მშენებარე

2) ნაგებობები, ე. ი. ელექტროსადგურები, წყალსადენები, სასაწყობო ნაგებობები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, ინსტიტუტები, სავადმყოფოები, სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო და ბავშვთა დაწესებულებები და ა. შ.:

3) მიმოსვლის გზები და საშუალებები, ე. ი. ტრანსპორტის ყველა სახე (რკინიგზის, წყლის, საჰაერო, მიწისქვეშა, ელექტროტრანსპორტი, ყველა სახის გზატკეცილები და გზები, ხიდები, ბორანი და სხვადასხვა გადასაზიდი საშუალება);

4) ნავთობისა და გაზის გაყვანილობები;

5) ელექტროგადამცემი ხაზები;

6) კავშირგაბმულობის საშუალებანი (ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიოკავშირი, ტელეკავშირი და ა. შ.

7) სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონება, ე. ი. მანქანები და მოწყობილობები, ნედლეული და მასალები საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საქონელი, სურსათისა და საქონლის მარაგი და სხვა ფასეულობები.

განსახილველ დანაშაულის ობიექტური მხარე ნათლადა განსაზღვრული თვით კანონში: აფეთქება, ცეცხლის წაქიდება ან სხვა მოქმედების ჩადენა, აგრეთვე მასობრივი მოწამვლა ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელება. ცხადია, ყოველივე ესენი მიმართულია ადამიანთა მასობრივად მოსპობისაკენ, სხეულის დასაზიანებლად ან მათი ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ზიანის მისაყენებლად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გასანადგურებლად.

დივერსია დამთავრებულად ითვლება აფეთქების, ცეცხლის წაქიდების ან სხვა მოქმედების ჩადენის, მასობრივი მოწამვლის ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელების მომენტიდან. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა ბრალდებულმა ვერ შეძლო დასახული დანაშაულებრივი შედეგის სრულად მიღწევა. თუ დივერსიულ აქტს შედეგად არ მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არც სრული და არც ნაწილობრივი განადგურება, მაშინ ბრალდებულის მოქმედება უნდა დაკვალიფიციირდეს როგორც დივერსის ჩადენისათვის მზადება ან მცდელობა.

თუ დივერსიული აქტის ჩადენა ხდება მასობრივი მოწამვლის ან ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების გავრცელების გზით, მაშინ დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ მოქმედების ჩადენის მომენტიდან, რომელიც მიმართულია, ერთ შემთხვევაში, ადამიანთა მოსასპობად (მაგალითად, კვების პროდუქტებისა და სასმელი წყლის მოწამვლა), ხოლო მეორე შემთხვევაში — საქონლის მა-

სობრივად დახოციისავენ (მაგალითად, საქონლისათვის განკუთვნილი საძოვრების, სასმელი წყლის, საკვების, შენობებისა და სხვათა მოწამვლა).

დივერსია ტერორისტული აქტისაგან იმით განსხვავდება, რომ დივერსიის დროს ბრალდებულის მოქმედება მიმართულია სიცოცხლე მოუსპოს ადამიანთა ისეთ ჯგუფს, რომლის წევრებსაც ის ფაქტობრივად არ იცნობს. ტერორისტული აქტის დროს, რომელიც შეიძლება ასევე განხორციელდეს მოწამვლით, დამნაშავე მიისწრაფის იმისკენ, რომ მოკლას ან სხეულის მძიმე დაზიანება მიაყენოს განსაზღვრულ კონკრეტულ პიროვნებას, ან რამოდენიმე ადამიანს ერთად, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწეები ან ხელისუფლების წარმომადგენლები არიან.

დივერსიის ჩადენა, როგორც წესი, ხდება აქტიური მოქმედებით, მაგრამ არაა გამორიცხული მისი ჩადენა უმოქმედობითაც. მაგალითად, რკინიგზის შეისრე არ გადასწევს სათანადო დროს ისარს, რასაც შედეგად მოჰყვება მატარებლების შეჩანება და შესაბამისად მძიმე შედეგები.

დივერსიის სუბიექტური მხარე გამოიხატება პირდაპირ განზრახვაში. ბრალდებულის სპეციალურ მიზანს, როგორც ეს დისპოზიციისაშია ხაზგასმული, შეადგენს საქართველოს რესპუბლიკის შესუსტება.

დივერსიის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები.

თუ დივერსიულ აქტს ჩადის საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე უცხოეთის დაზვერვის დავალებით, მაშინ მისი მოქმედება მოგვეცემს ორი დანაშაულის შემადგენლობას: დივერსიასა და სამშობლოს ღალატს. სამშობლოს ღალატი შეიძლება გამოიხატოს მტრის მხარეზე გადასვლის ფორმაში (თუ ამას ადგილი ჰქონდა ომიანობის დროს ან უცხოეთის სახელმწიფოსთან საომარი კონფლიქტის პერიოდში), ან დახმარების გაწევის ფორმაში უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში (თუ დანაშაული ჩადენილია მშვიდობიან დროს). უცხოელები, დივერსიული აქტის ჩადენის შემთხვევაში, პასუხს აგებენ მხოლოდ სსკ 69-ე მუხლით.

დივერსიის მცდელობის მაგალითად მოგვაქვს შემდეგი ფაქტი: 1992 წლის ივნისში ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა: კ-მ, ბ-მ,

გ-მ, წ-მ და დ-მ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ დივერსიული აქტის ჩადენაზე. მათ აფეთქების ჩასადენ ადგილზე, ქარელის რაიონის სოფელ გომიდან საჩხერის მიმართულებით, საჩხერის რაიონის აღმნიშვნელი ტრაფარეტიდან მეხუთე კილომეტრზე, მიიტანეს 6 ტონარა, წონით 240 კგ. ასაფეთქებელი ნივთიერება „ამონიტი—6“, ელექტრო დეტონატორი და ზონარი. აღნიშნული ფეთქებადი ნივთიერებით დანადგემს საავტომობილო გზის ქვეშ არსებული ნიაღვარგამტარებელი მილი და დაელოდნენ, აფეთქების დროის თაობაზე, ბრძანების მიღებას თბილისიდან. ვინაიდან ჭგუფის წევრები დროულად იქნენ მხილებული და დაპატიმრებულნი, მათ ვერ განახორციელეს თავიანთი განზრახვის (საავტომობილო გზის აფეთქება და მწყობრიდან გამოყვანა) სისრულეში მოყვანა. ე. ი. დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი მათი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

სსკ 69-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

ბ) მავნებლობა (სსკ 70-ე მუხლი). მოცემული მუხლით მავნებლობა განსაღვრულია როგორც მოქმედება ან უმოქმედობა, მიმართული მრეწველობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ფულადი სისტემის, ვაჭრობის ან სახალხო მეურნეობის სხვა დარგების, ასევე სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის წინააღმდეგ საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით, თუ ეს ქმედობა ჩადენილია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების გამოყენების გზით ან და მათი ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით¹.

მავნებლობის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემა.

ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედობის ორივე სახეში: მოქმედებასა ან უმოქმედობაში, რომელიც მიმართულია სახალხო

¹ მავნებლობის ეს ცნება მოიცავს კონტრრევოლუციური საბოტაჟის შემადგენლობას (იხ. საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსი 1928 წლის რედაქციით, მუხლი 58¹⁴-ე).

მეურნეობის დარგების, სახელმწიფო ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის წინააღმდეგ საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით, რაც ხორციელდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების გამოყენების გზით. მავნებლობის მოცემული სახისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ თანამდებობის პირი განზრახ ბოროტად იყენებს იმ უფლებებსა და შესაძლებლობებს, რასაც მას ანიჭებს დაკავებული თანამდებობა საწარმოში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში. ე. ი. ამ შემთხვევაში იგი შიგნიდან მოქმედებს.

მავნებლობა, როგორც წესი, ატარებს არა ლოკალურ, არამედ მასშტაბურ ხასიათს და მას სჩადის არა ერთი პირი, არამედ რამოდენიმე. იგი წარმოადგენს სხვადასხვაგვარ ქმედობათა ჯაჭვს და შეიძლება გამოიხატოს მშენებლობისა და წარმოების არასწორ დაგეგმვაში, წინასწარი შეცნობით არასწორი პროექტების შედგენაში, ცუდი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში, საზოგადოებრივ ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის დარღვევაში, განათლების სისტემისათვის ზიანის მიყენების მიზნით უცოდინარ სტუდენტებსა და მოსწავლეებზე მასობრივად დადებითი ნიშნის დაწერაში, ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევაში, მუშაობის ჩაშლის მიზნით კადრების არასწორ შერჩევასა და განაწილებაში, გადაზიდვის გეგმების ჩაშლაში და სხვ. მავნებლის მოქმედება, როგორც წესი, ფართულ, შენიღბულ ხასიათს ატარებს და დაკავშირებულია არა მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურებასთან, არამედ მათი გამოყენებისა და ექსპლოატაციის შესაძლებლობების პარალიზებასთან.

მავნებლობის ჩადენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების ან ორგანიზაციების ნორმალური მუშაობისათვის წინააღმდეგობის გაწევის გზით. მავნებლობის პირველი სახისაგან განსხვავებით აქ სუბიექტი არ იყენებს თანამდებობრივ შესაძლებლობებს, იგი გარედან მოქმედებს და ამით სურს მიაღწიოს იმავე მიზანს (მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის შესუსტების მიზნით ყალბი ფულის დამზადება და გასაღება, მოსახლეობაში პანიკის გავრცელება და ა. შ.).

მავნებლობა მიეკუთვნება დანაშაულის ფორმალური შემადგენლობათა ჯგუფს და იგი დამთავრებულად ითვლება დისპოზიციაში

აღნიშნულ მოქმედებათა ჩადენის მომენტიდან. მავნებლობასა და დივერსიას შორის განსხვავება ობიექტურ მხარეშია. მავნებლობა, როგორც შევნიშნეთ, შენიღბული ფორმით ხორციელდება და შედეგი უმალვე კი არ გამოვლინდება, არამედ გარკვეული დროის გავლის შემდეგ. დივერსია კი უმალვე იწვევს შედეგს. დივერსია ყოველთვის ლოკალურია, მაშინ როცა მავნებლობა მასშტაბური ხასიათისაა, თუმცა გამორიცხული არაა მისი ლოკალური ხასიათი (მაგალითად, მავნებლობა კონკრეტულ ქარხანაში). მავნებლობა დამთავრებულად ითვლება ქმედობის განხორციელების, ხოლო დივერსია მავნე შედეგის დადგომის მომენტიდან.

მავნებლობის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განგანზრახვითა და სპეციალური მიზნით (საქართველოს რესპუბლიკის შესუსტება). დანაშაულის ჩადენის მოტივები შეიძლება სხვადასხვაგვარი ქვენაგრძნობა იყოს (შურისძიება, ანგარება, მტრობა, ვაბოროტება და სხვ.).

მავნებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომლებმაც მიაღწიეს 16 წლის ასაკს. მეტწილად ასეთი დანაშაულის სუბიექტებად გვევლინებიან თანამდებობის პირები. იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს მოქალაქე მავნებლობას სჩადის უცხოეთის სახელმწიფოს, უცხოეთის ორგანიზაციის ან მათი აგენტურის დავალებით, მან პასუხი უნდა აგოს სსკ 65-ე მუხლითაც (სამშობლოს დაღატაკების).

მავნებლობა — ისჯება თავისუფლების ზღვევით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

§ 5. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს მშვიდობასა და სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას

ა) ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (სსკ 68-ე მუხლი). მოცემული მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს უცხოეთის წარმომადგენლის მკვლელობას ომის პროვოკაციის ან საერთაშორისო გართულების მიზნით. მეორე ნაწილში ხაზი გაესმის იმავე მიზნით, იმავე პირის

სხეულის მძიმე დაზიანებას. ამ დანაშაულის მომეტებული სასოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია გამოიწვიოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში კონფლიქტები და დაძაბულობა. ცალკეულ შემთხვევებში კი საომარი მოქმედებანი. სწორედ ასეთ მიზანს ისახავენ პირები მოცემული დანაშაულის ჩადენისას.

ამ დანაშაულის ობიექტია მშვიდობა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანაარსებობა, მიუხედავად მათი კონსტიტუციური წყობილებ-სა და სოციალური ორიენტაციებისა. ამას გარდა დამნაშავე ხელყოფს უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დაზარალებული შეიძლება იყოს მხოლოდ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი. კერძოდ, უცხოეთის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები, ოფიციალური დელეგაციის წევრები, დიპლომატიური წარმომადგენლები — რომლებიც აკრედიტებულია საქართველოს რესპუბლიკაში, პარლამენტის დეპუტატები. საელჩოს მდივნები, ატაშეები, ელჩები და სხვები, რომელთა მიმართაც ხელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს ომის პროვოკაცია ან სხვა სახის საერთაშორისო გართულებები (მაგალითად, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, არსებული ხელშეკრულებების დენონსაცია და ა. შ.).

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება, უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის მკვლელობასა ან სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებაში.

ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ მიეკუთვნება დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობათა ჯგუფს. ბუნებრივია, ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა სახეზე იყოს დანაშაულებრივი შედეგი (უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის სიკვდილი ან მის ჯანმრთელობაზე მძიმე ზიანის მიყენების ფაქტი), ასევე მიზეზობრივი კავშირი ბრალდებულის ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის. თუ დამნაშავემ ჩაიდინა მოქმედება, მიმართული აღნიშნული სახის შედეგის მისაღწევად, მაგრამ იგი არ დადგა მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მაშინ სახეზე გვექნება 68-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მომზადება ან მცდელობა.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ჩასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ სიცოცხლეს უსპობს ან სხეულის მძიმე დაზიანებას აყენებს უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელს და სურს მიაღწიოს სწორედ ასეთ შედეგს. რაც შეეხება მიზანს — ამ შემთხვევაში დომინირებს ომის პროვოკაციისა ან საერთაშორისო გართულების სპეციალური მიზანი. თუ ასეთი მიზნის გარეშე ხდება უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენელზე ხელყოფა (ვთქვათ ანგარების ან შურისძიების საფუძველზე), მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან შესაბამისი მუხლით. იმ შემთხვევაში, როცა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ტერორისტულ აქტს ჩაიდენს უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ უცხოეთის სახელმწიფოს დავალებით, მაშინ მისი მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობით — 68-ე მუხლითა და სამშობლოს ღალატით (ეს უკანასკნელი ვლინდება დახმარების გაწევს ფორმაში უცხოეთის სახელმწიფოსათვის საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში).

მოცემული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან.

სსკ 68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ბ) მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ (სსკ 72-ე მუხლი). ამ მუხლის დისპოზიციის მიხედვით დანაშაულადაა მიჩნეული საჯარო მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი. საჯარო მოწოდებად უნდა გავიგოთ ადამიანთა ფართო წრისადმი ღიად და ადვილად გასაგებ ფორმაში მიმართვა, რომ ჩაიდინონ ან არ ჩაიდინონ ესა თუ ის მოქმედება. მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაშია, რომ ბრალდებული, რომელიც საჯარო მოწოდებით ზემოქმედებს მოქალაქეთა შეგნებასა და ნებაზე, ცდილობს ხელყოფილ იქნას მშვიდობის საქმე.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს მშვიდობა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, რომელიც, თავის

მხრავ, ნებისმიერი სახელმწიფოს ცხოველმოქმედებისა და განვითარების ძირითადი პირობაა.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საჯარო მოწოდებაში ომის გაჩაღებისაკენ, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი. საჯარო მოწოდება ნიშნავს ადამიანთა შეგნებასა და ნებისყოფაზე აქტიურ მოქმედებასა და მათში ისეთი სურვილის აღძვრას, რომ საერთაშორისო სადავო პრობლემები მილიტარისტული ხერხების გამოყენებით გადაწყვიტონ. კერძოდ, გააჩაღონ ომი. საჯარო მოწოდებები შეიძლება წარმოებდეს როგორც პირდაპირ, სააშკარაოდ, ასევე შენიღბულად, როგორც ერთი რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მიმართ, ასევე საერთოდ ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიმართ და ა. შ. იგი შეიძლება გამოიხატოს წერილობით, ზეპირად, სიმბოლურ მოქმედებებში. საჯარო მოწოდებები ასევე შეიძლება განხორციელდეს რადიოს, კინოს, ტელეხედვის საშუალებით, პროკლამაციების გავრცელებით, კრებებზე და მიტინგებზე გამოსვლითა და სხვ. მიუხედავად საჯარო მოწოდებების ასეთი მრავალსახეობისა, მისი არსი ყოველთვის მდგომარეობს მილიტარისტული იდეების გავრცელებაში, რომელთა მიზანია ადამიანების დაყოლიება ახალი ომის მომზადებასა და გაჩაღებაზე.

მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ მიეკუთვნება დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობათა ჯგუფს და დამთავრებულად ითვლება იმისდა მიუხედავად დადგა თუ არ რაიმე შედეგი. ე. ი. ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საჭიროა განხორციელდეს მოქმედება, რომელიც შეიცავს საჯარო მოწოდებას ომის გაჩაღებისაკენ.

სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე. ი. ბრალდებულს შეგნებული აქვს ომის გაჩაღებისაკენ საჯარო მოწოდების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. მოტივი და მიზანი მოცემული დანაშაულის შემადგენლობის კონსტრუქციულ ელემენტად არ გვევლინება, ამიტომ მათ კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, თუმცა მათი გათვალისწინება ხდება ქმედობის შეფასებისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოეთის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელთაც შეუსრულდათ 16 წელი.

მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

§ 6. ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა
(სსკ 73-ე მუხლი)

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებულია ისეთი ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობა, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა, აგრეთვე ამ ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობა. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილში ხაზი გაესმის იმავე მიზნით შეიარაღებულ ორგანიზაციის შექმნას.

ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია (გაერთიანება) თანამონაწილეობის ყველაზე უფრო საშიში ფორმაა. თანამონაწილეობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, იგი ხასიათდება მეტი სიმყარით, სიმტკიცით და შექმნილია, როგორც წესი, კონსტიტუციური წყობილების დამხობის, საქართველოს სუვერენული უფლებებისა და მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფის მიზნით. განსახილველ ორგანიზაციაში წევრები გაერთიანებული არიან დიდი რაოდენობით.

განსახილველი დანაშაულის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციის შექმნას და მის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ საფუძვლებსა და მის სხვა ძირეულ ინტერესებს. ამ დანაშაულის ჩადენით ზიანი აღგება კონსტიტუციურ წყობილებას, ე. ი. საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დაცვას. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლში ჩაწერილია, რომ „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დაგენილ ფარგლებში“... რომ „არავის არა აქვს უფლება მითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება“. ზემოაღნიშ-

ნულიდან გამომდინარე 73-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილება.

ობიექტური მხარისათვის დამახასიათებელია: 1. ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა; 2. მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა და 3. შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა. ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია რამოდენიმე პირის უბრალო, შემთხვევითი დაჯგუფება კი არაა, არამედ წინასწარ შეთანხმებული, მტკიცედ ორგანიზებული მყარი ჯგუფი, რომლის მონაწილეთა ძალ-ღონე გაერთიანებულა საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი საქმიანობის ვანსასორციელებლად. ამრიგად, ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა გულისხმობს ორი ან მეტი პირისაგან შემდგარ წყარ, მტკიცე ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. ასეთი ორგანიზაციის შემქმნელად და დანაშაულებრივი საქმიანობის ინიციატორად გვევლინება ორგანიზატორი. იგი არის რა თანამონაწილეთა შორის ყველაზე საშიში ფიგურა — დანაშაულის მომწყობი (შემქმნელი) ან მისი ჩადენის ხელმძღვანელი, აქტიურად წარმართავს ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციას საზოგადოებრივად საშიში მიზნების მიღწევისაკენ. იგი გეგმავს დანაშაულის ჩადენას, გამოიხატავს მათი განხორციელების საშუალებებს, აგროვებს თანამონაწილებს, ანაწილებს მათ შორის როლებს და ა. შ. საერთოდ, ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობა სხვადასხვა ფორმაში გამოიხატება. მასში ამა თუ იმ პირის შესვლა შეიძლება გაფორმდეს წერილობით ან კიდევ გამოიხატოს სიტყვიერი თანხმობით, ფიცის დადებათ და ა. შ. ძირითადი და მთავარი მაინც ისაა, რომ ყოველი მონაწილე დაკავშირებულია ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან ზუსტად გარკვეული ამა თუ იმ ვალდებულებით. ანტისახელმწიფოებრივ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს თავისი პროგრამა (სადაც მოცემული იქნება ამ ორგანიზაციის მიზნები, ამოცანები), შიფრი, საწევრო წიგნაკები და ა. შ.

ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა უნდა გავიგოთ ამ ორგანიზაციაში შემავალი პირის მიერ ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სასარგებლოდ ამა თუ იმ მოქმედების შესრულება (მაგალითად, მათთვის მატერიალური სახსრების გადაცემა, ყოველდღიურად საჭირო ინფორმაციის მი-

წოდება. თათბირების ჩასატარებლად ბინის დათობა. საბეჭდი მოწყობილობების შოვნა, ტრანსპორტის გარემონტება. კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა და სხვ.).

შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნა უნდა გავიგოთ. როგორც დანაშაულებრივი გაერთიანების ჩამოყალიბება. ამ ორგანიზაციის ნიშნებად უნდა მივიჩნიოთ: 1. პირთა რაოდენობა (რომლებიც ქმნიან შეიარაღებულ ორგანიზაციას); 2. ჯგუფის სიმტკიცე და სიმყარე (გაერთიანებული კონსტიტუციური წყობილებას დამახობად, სუვერენული უფლებების შესაზღვრდავად და საქართველოს ტერიტორიის ნაწილის გამოსაყოფად); 3. ორგანიზაციის შეიარაღება (იგულისხმება, რომ შეიარაღების ხარისხი უმაღლესია — მოიცავს ქვემეხებს, არტილერიას, ტანკებს, შოუმფრენებს, თვიომფრინავებს, სხვადასხვა სახის კურვებს, ბომბებს. ავტომატურ იარაღს და ა. შ.).

განსახილველი დანაშაული დამთავრებულად ითვლება ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნის ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის, ასევე შეიარაღებული ორგანიზაციის შექმნის მომენტიდან.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაულისათვის დამახასიათებელია პირდაპირი განზრახვა და სპეციალური მიზნის არსებობა. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამახობა, საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკიდან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა. რაც შეეხება მოტივებს, იგი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, რაც დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ მისი მხედველობაში მიღება ხდება ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების შეფასებისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტია, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შემქმნელები — ორგანიზატორები, ასევე მასში აქტიური მონაწილენი 16 წლის ასაკიდან.

სსკ. 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით; ხოლო მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

II. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული

§ 1. სხვა სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი დახასიათება და სისტემა

სხვა სახელმწიფო დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ხელყოფა საქართველოს რესპუბლიკის ძირითად ინტერესებზე სახელმწიფო მმართველობის, თავდაცვისუნარიანობის, სახელმწიფო საზღვრების რეჟიმის, ეკონომიკის, ტრანსპორტისა და მართლმსაჯულების დარგში და რომელიც მიმართული არაა კონსტიტუციური წყობილების დამზობისა და შესუსტებისაკენ. სწორედ ეს უკანასკნელი განასხვავებს მას სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულისაგან.

სხვა სახელმწიფო დანაშაულის გვარეობით ობიექტად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო მმართველობის, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის, სახელმწიფო საზღვრების დაცვის, ეკონომიკის, ტრანსპორტის მუშაობის უსაფრთხოების, მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობის ნორმალურ ფუნქციონირებასთან.

სხვა სახელმწიფო დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება ისეთ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა ჩადენით, რომლებიც ხელყოფს გვარეობით ობიექტს. მეტწილად მათი ჩადენა ხდება აქტიური მოქმედებით (მაგალითად, სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის ორგანიზაციისათვის, მასობრივი არეულობა, კონტრაბანდა და სხვ.).

სხვა სახელმწიფო დანაშაულის შემადგენლობათა უმრავლესობა თავისი კონსტრუქციის მიხედვით ფორმალურია (სახელმწიფო საიდუმლოების განმაურება, განუცხადებლობა, დაფარვა და ა. შ.).

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენის ადგილს, დროს, იარაღს, ხერხს, საშუალებებს, ვითარებასა და მიზეზობრივ კავშირს (ფაქულტატურ ნიშნებს), ამათ მნიშვნელობა ენიჭებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ შესახებ კანონმდებელი განსაკუთრებულად მიუთითებს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ფორმულირებისას.

სხვა სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტური მხარე მეტწილად ხასიათდება განზრახი ბრალით. მხოლოდ ზოგიერთი შეიძლება ჩადენილ იქნას გაუფრთხილებლობით (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა, საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა და სხვ.).

სხვა სახელმწიფო დანაშაულის სუბიექტად შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები. დანაშაულის ცალკეულ შემადგენლობებში დანაშაულის ამსრულებლის პასუხისმგებობა იზღუდება სპეციალური სუბიექტის ნიშნებით (მაგალითად, მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქემ შეიძლება აგოს პასუხი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდებისათვის — მუხლი 81-ე).

უშუალო ობიექტის მხედველობაში მიღებით სხვა სახელმწიფო დანაშაული შეიძლება სისტემატიზირებულ იქნას ასეთნაირად:

1. დანაშაული, რომელიც ხელუფლებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს სახელმწიფო მმართველობის დარღვევაში. ამათ მიეკუთვნება: ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა (მუხლი 75-ე); ბანდიტიზმი (მუხლი 78-ე); მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დარღვევებთანაა მუშაობაში (მუხლი 78¹-ე); მასობრივი არეულობა (მუხლი მე-80-ე).

2. დანაშაული, რომელიც ხელუფლებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას. აქ შედის: სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 76-ე); სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა (მუხლი 77-ე), სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის ორგანიზაციებისათვის (მუხლი 77¹-ე); საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება (მუხლი 81-ე); საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში გამოცხადებისათვის თავის არიდება (მუხლი 81¹-ე); მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (სსკ 82-ე მუხლი); ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება (მუხლი 83-ე).

3. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა (მუხლი 84-ე); საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა (მუხლი 85-ე).

4. დანაშაული, რომელიც ხელყოფს რესპუბლიკის ძირითად ინტერესებს ეკონომიკის სფეროში. ამ ჯგუფში შედის: კონტრაბანდა (მუხლი 79-ე); ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (მუხლი 88-ე).

5. დანაშაული, რომელიც ხელყოფს ტრანსპორტის მუშაობის უსაფრთხოებას. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა (მუხლი 86-ე); საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა (მუხლი 86¹-ე); რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების და ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება (მუხლი 87).

6. დანაშაული, რომელიც ხელყოფს სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების ნორმალურ საქმიანობას სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილებასთან დაკავშირებით. აქ შედის: სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა (მუხლი 90-ე) და სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა (მუხლი 90¹-ე).

§ 2. სხვა სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებს

ა) ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ 75-ე მუხლი). ამ მუხლის დისპოზიციის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული: „განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა ეროვნული ან რასობრივი კუთვნილების მიზნით მათი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება“. მეორე ნაწილის თანახმად დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია „იგივე მოქმედება ძალადობის, მოტყუების თუ მუქარის გამოყენებით, აგრეთვე ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ“. რაც შეეხება მესამე ნაწილს, აქ ხაზი გაესმის „ამ მუხლის პირველი და მეორე

ნაწილობით გათავალიწინებულო მოქმედებას, რომელიც ჩადენილია პირთა წესდების მიერ ან რომელსაც მოჰყვა ადამიანთა დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგი“.

განსახილველი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ დამნაშავე ხელყოფს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და ინტერესებს. რომლითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ დამოუკიდებლად მათი ეროვნული და რასობრივი კუთვნილებით. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-14-ე მუხლს თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შესუფთვლებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. ხოლო ამავე კონსტიტუციის 26-ე მუხლს მე-3 პუნქტში ჩაწერილია, რომ დაუშვებელია ისეთი საქმიანობა, რომლის მიზანია ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ და სოციალურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი დანაშაულის ობიექტად გვევლინება სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები. ე. ი. იმ კონსტიტუციური სტრუქტურების საქმიანობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის დაცვას მიუხედავად მათი ეროვნებისა და რასისა. სხეანარაღ თუ ვიტყვი, ამ დანაშაულის ობიექტია მოქალაქეთა ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობა.

ობიექტური მხრივ მოცემული დანაშაული გამოიხატება ისეთი მოქმედების ჩადენაში, რაც მიმართულია ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატრივისა და ღირსების დამცირების, მოქალაქეთა ეროვნული და რასობრივი კუთვნილების მიხედვით მათი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვის, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესებისაკენ. ობიექტურ მხარეს განეკუთვნება ასევე იგივე მოქმედება, ოღონდ თუ იგი ჩადენილია ძალადობის, მოტყუებისა თუ მუქარის გამოყენებით.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშანი, დამნაშავეს მოქმედება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება აგიტაციასა და პროპაგანდაში, რაც მიმართულია ეროვნული ან რასობრივი მტრობისა

თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირებისაკენ. აგიტაცია ნიშნავს რომელიმე ერთი იდეის გავრცელებას მრავალ ადამიანთა შორის, ხოლო პროპაგანდა — რამდენიმე იდეის გავრცელებას ადამიანთა ვიწრო წრეში (თუნდაც ცალკეულ პირებს შორის). განსახილველი მუხლის შემთხვევაში აგიტაცია და პროპაგანდა უნდა გავიგოთ, როგორც შეხედულებების, წერილობითი მასალებისა ან იდეების გავრცელება, რომელიც ძირს უთხრის ამა თუ იმ ერისა და რასისადმი ნდობასა და პატივისცემას, აღძრავენ სიძულვილსა და მტრობას მათდამი, მათი ცხოვრების წესისადმი, კულტურისადმი, ტრადიციებისადმი და ა. შ. მოცემულ შემთხვევაში აგიტაცია ან პროპაგანდა ატარებს ზოგად ხასიათს და მიმართული არაა კონკრეტულ პიროვნებაზე. მნიშვნელობა არა აქვს იმასაც, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ის ფაქტი, რასაც გამოთქვამენ ამა თუ იმ ერისა ან რასის მიმართ. აგიტაცია და პროპაგანდა შეიძლება განხორციელდეს ლიტერატურის დამზადების, შენახვისა და გავრცელების ფორმით, რომელშიც მოცემულია ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების ქადაგება.

რაც შეეხება ერის პატივისა და ღირსებას, ყოველივე ეს მისი მნიშვნელოვანი, თანაც მეტად სათუთი სიკეთეა. ერის პატივი წარმოადგენს ერის ინტელექტუალური და მორალურ-პოლიტიკური თვისებების შეფასებას განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრეში. ერის ღირსება წარმოადგენს ერის მიერ საკუთარი ინტელექტუალური და ზნეობრივ-პოლიტიკური თვისებების შეგნებას. მაშასადამე, ერის პატივი და ღირსება როგორც დანაშაულის ობიექტი გაგებულ უნდა იქნეს კომპლექსურად: როგორც ობიექტური შეფასება და როგორც საკუთარი ღირსების შეგრძნობა. აქედან გამომდინარე ერს უფლება აქვს მოითხოვოს არ დაამცირონ მისი პატივი, და არ მოეპყრან უპატივცემულოდ, ე. ი. არ განაცდევინონ სულიერი ტკივილი ღირსების დამცირებით. ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირება გამომხატულებას პოულობს როგორც ცილისწამებაში, ასევე შეურაცხყოფაში.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება აგიტაციისა და პროპაგანდის განხორციელების მომენტიდან. ე. ი. როცა მოხდა შემოქმედება, აღნიშნული ხერხების გამოყენებით, პირთა ფართო ან ვიწრო წრეზე. ლიტერატურის დამზადება და შენახვა უნდა დაკ-

ვალდიცირდეს როგორც დანაშაულის ჩადენისათვის მზადება, ხოლო მისი გავრცელებისა და სხვა პირებზე გაცნობის შემთხვევაში როგორც დამთავრებული დანაშაული.

განსახილველი მუხლის დისპოზიციაში ხანგასმულ — „მოქალაქეთა ეროვნულ ან რასობრივ კუთვნილებათა მიხედვით მათი უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვასა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესებასთან დაკავშირებით“ უნდა შევნიშნოთ, რომ აქ საუბარი მიდის მოქალაქეთა ფაქტობრივ დისკრიმინაციაზე, ე. ი. პირთა უფლებების შეზღუდვაზე მათი ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა და შესაბამისად. ობიექტურად ეს შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვაგვარ შეზღუდვებში, კერძოდ, უარის თქმაში: იმუშაოს თავისი სურვილისა და ცოდნის მიხედვით, ისწავლოს იქ, სადაც მას სურს, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დააწინაურონ სამსახურში ან სამუშაოზე, უზრუნველყოფილ იქნას მატერიალურად და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მოქალაქეთა უფლებების ფაქტობრივად შეზღუდვისა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესების მომენტიდან. შეიძლება ადგილი ჰქონდეს დანაშაულის ჩადენის სტადიებს.

75-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული „იგვე მოქმედების ჩადენა ძალადობის გამოყენებით“ უნდა გავიგოთ, როგორც ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება და სხვ. რაც შეეხება მოტყუებას ეს ნიშნავს ამა თუ იმ პირისათვის, როგორც ცრუ ცნობების შეტყობინებას, ასევე იმ ვითარების შეგნებულად დამალვას, რომლის შეტყობინებაც აუცილებლობას წარმოადგენდა. მოტყუება შეიძლება განხორციელდეს როგორც სიტყვიერად (ზეპირი), ისე წერილობითი ფორმებით. დაბოლოს, მუქარის შესახებ. მუქარა, ე. ი. ფსიქიკური ზემოქმედება — მდგომარეობს მოკვლის, სხეულის დაზიანების, ცემის, ქონების განადგურების ან გამაწილებელი ცნობების განმარტების მუქარაში. ასეთი სახის მოქმედება პირს აიძულებს თავი შეიკავოს ამა თუ იმ მოქმედებისაგან.

სუბიექტური მხრივ მოცემული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე. ი. სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რაც დაკავშირებულია ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევას-

თან. და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. მოტივები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: სხვა ერის ადამიანებისადმი სიძულვილი; მოსწრაფება იმისა, რომ სხვა ერისა და რასის ადამიანებში გამოიწვიოს კონფრონტაცია და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ მოტივები გავლენას არ ახდენს მოცემული სახის დანაშაულის კვალიფიკაციაზე, მათი გათვალისწინება მაინც ხდება ბრალის ხარისხისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

75-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან, როგორც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, ასევე უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი, როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი.

სსკ 75-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე; ხოლო მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე.

ბ) ბანდიტიზმი (სსკ 78-ე მუხლი). ამ მუხლის თანახმად ბანდიტიზმი არის შეიარაღებული ბანდის ორგანიზება სახელმწიფო ან სხვა საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე ანდა ცალკეულ პირებზე თავდასხმის მიზნით, აგრეთვე ასეთ ბანდაში და მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილეობა.

ბანდიტიზმი, სხვა სახელმწიფო დანაშაულის სახეებში, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დანაშაულია. იგი ხელყოფს სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებს, საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგის, პიროვნების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ბანდიტიზმის განსაკუთრებული საშიშროება იმაშიც გამოიხატება, რომ იგი დაკავშირებულია მკვლევლობებთან, დასახიჩრებებთან, საყოველთაოდ საშიშ მოქმედებებთან და ხორციელდება დანაშაულებრივი გაერთიანების (ბანდის) ფორმით.

ბანდიტიზმის ობიექტად გვევლინება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია მმართველობის ორგანოების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფასა და აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის დაცვასთან. სხვანაირად თუ ვი-

ტყვით, ბანდიტიზმის ობიექტია სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები და საზოგადოებრივი უშიშროება.

ბანდიტიზმის ობიექტური მხარე გამოიხატება დანაშაულებრივ ხელყოფაში, რომელიც ხორციელდება ბანდის, ე. ი. დანაშაულებრივი გაერთიანების მიერ. ბანდის ნიშნებია: 1. ორი ან მეტპირის არსებობა; 2. წინასწარი ორგანიზებულობა და სიმტკიცე; 3. შეიარაღება; 4. თავდასხმების ჩადენა (ბანდის ძირითადი მიზანი).

არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ბანდიტიზმი რამოდენიმე პირის მოქმედება, თუ ისინი ახორციელებენ დანაშაულებრივ ხელყოფას წინასწარი შეთანხმების გარეშე ან შეთანხმებით. მაგრამ რომელიც მიღწეულია დანაშაულის ჩადენის დროს.

ბანდა იქმნება, როგორც წესი, დანაშაულებრივ ხელყოფათა მთელი სერიის ჩადენისათვის, მაგრამ ბანდიტური დაჯგუფება შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენად.

„შეიარაღება“ იმას ნიშნავს, რომ ბანდის ერთ ან რამოდენიმე წევრს აქვს იარაღი, რომლის შესახებაც ციდან სხვა მონაწილეებმა. რასაც ყურადღებას აქცევენ დანაშაულებრივი გეგმების განხორციელებისას. „იარაღის“ ცნება მოიცავს როგორც ცეცხლმსროლელ, ასევე ცივ იარაღს. ცეცხლმსროლელ იარაღად ჩაითვლება არა მარტო ავტომატური იარაღი, შაშხანა, კარაბინი, რევოლვერი, პისტოლეტი და ა. შ., არამედ თვითნაკეთი (კუსტარული წესით დამზადებული) იარაღიც. ცივ იარაღად ჩაითვლება — საგნები. სპეციალურად გამიზნული მხოლოდ სხეულს დაზიანებისათვის (და არა სამეურნეო დანიშნულების მქონე). ასეთ იარაღს წარმოადგენს ხანჭალი, ხმალი, ფინური დანა, ხიშტი, დაშნა და სხვ. ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი უნდა იყოს იმ კატეგორიის, რომლის უკანონო ტარება, შენახვა, გადაგზავნა, გადაზიდვა, შექმნა, დამზადება ან გასაღება სათანადო ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ბანდის მონაწილედ ითვლება პირი, რომელმაც შექმნა იგი ანდა შევიდა უკვე შექმნილში და მონაწილეობა მიიღო მის მიერ მოწყობილ თავდასხმებში (იგულისხმება თავდასხმები სახელმწიფო სხვა საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებსა თუ ცალკეულ პირებზე).

78-ე მუხლით პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არაა ბანდის წევრი, მაგრამ მონაწილეობა მიიღო მის მიერ განხორციელებულ თავდასხმებში.

ბანდიტიზმის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მოტივები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი (შურისძიება, ანგარება და ა. შ.).

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან. თანაც პირი პასუხს აგებს ბანდის საქმიანობის ყველა დანაშაულებრივი ეპიზოდისათვის, რომელშიც იგი უშუალოდ მონაწილეობდა, აგრეთვე იმისათვის, რასაც მოიცავდა მისი განზრახვა და არ გამოდიოდა ბანდის საქმიანობის მიზნებისა და გეგმების ფარგლებიდან. სხვანაირად თუ ვიტყვით, ბანდიტიზმის სუბიექტები არიან შეიარაღებული ბანდის ორგანიზატორები (პირები, რომლებმაც ბანდა შექმნეს), შეიარაღებული ბანდის მონაწილენი (რომელთა შემადგენლობითაც ჩამოყალიბდა ბანდა) და ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმებში მონაწილენი, მიღწეულნი 16 წლის ასაკს. ბანდის ორგანიზატორი ან მონაწილე პირი 14-დან 16 წლამდე ასაკისა პასუხს აგებს მხოლოდ იმ დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სს კოდექსის მე-12 მუხლის მეორე ნაწილით (სახელდობრ, მკვლელობისათვის, ყაჩაღობისათვის და სხვ., უკეთუ ბანდაში მონაწილეობისას მათ მიერ ჩადენილია ამ სახის დანაშაული).

შეიარაღებული ბანდის ორგანიზება რომ ხდება სახელმწიფო ან სხვა საწარმოებზე, დაწესებულებებზე, ორგანიზაციებზე, ანდა ცალკეულ მოქალაქეებზე თავდასხმის მიზნით, ამის მაგალითად გამოდგება დ-ს, გ-სა და მ-ს მიერ 1992 წლის 31 აგვისტოს შექმნილი შეიარაღებული ბანდის (სახელწოდებით „სპინოზა“) საქმიანობა. ეს ჯგუფი, რომელშიც ათზე მეტი პირი შედიოდა, ავტომატური იარაღებითა და ხელყუმბარებით შეიარაღებულნი ყვარლის რაიონში თავს დაესხა ს-ს, რომლისგანაც გაიტაცეს ავტომანქანა „გაზ-24“. შემდეგ ამ ავტომანქანის გამოყენებით მივიდნენ ამავე რაიონში მცხოვრებ მ-ს საცხოვრებელ ბინაზე, საიდანაც გაიტაცეს ფული, სამკაულები და სხვა ფასეულობები. ამასთანავე დ-მ უბრძანა მ-ს, რომ მისთვის ჩაეტანა ქ. ბაქოში 10.000 დოლარი. თუ ამას არ გააკეთებდა, დაემუქრა ფიზიკური მოსპობითა და სახლ-კარის გადაწვით. ამავე ჯგუფმა, სახელმწიფო ქონების დაუფლების მიზნით, ჩაიდინა ბანდიტური თავდასხმა ქ. ყვარელში მდებარე რესტორან „ხერგილზე“, საიდანაც გაიტაცეს სახელმწიფოს კუთვნილი კურორტული და საკვები პროდუქტები. ნაინტერესოა, რომ თავდასხმების

შედგად მოპოვებული თანხების 20% ნაწილდებოდა „სპინოზას“ იმ წევრებს შორის, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდა დანაშაულის ჩადენაში. დარჩენილი 80%-დან ნაწილს იყენებდნენ იარაღის შესაძენად და ნაწილს ქ. გროზნოში იგზავნებოდა.

ბანდიტიზმი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი-დან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით.

გ) მოქმედება, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში (სსკ 781-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწილით დანაშაულადაა მიჩნეული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა ორგანიზება, რათა არ შეასრულონ ადმინისტრაციის მიერ დავალბული სამუშაოები ან არ დაიცვან დადგენილი რეჟიმი, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც სასჯელს იხდის იმავე დაწესებულებაში; მეორე ნაწილის ძალით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება შრომა-გასწორების დაწესებულებასა ან საგამოძიებო იზოლატორში მოთავსებულ პირთა ტერორიზება, ან ადმინისტრაციაზე თავდასხმების მოწყობა, აგრეთვე ამ მიზნით დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა ჩადენილი იმავე დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ. მესამე ნაწილში ხაზი გაესმის 781-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ მოქმედებას, თუ იგი ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის მიერ.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ დანაშაულებრივ ორგანიზებას უყვებენ მსჯავრდებულებასა და სხვა პირებს არ შეასრულონ დავალბული სამუშაოები, არ დაიცვან დადგენილი რეჟიმი, ახდენს ტერორიზებას, ადმინისტრაციაზე თავდასხმას, ქმნის დანაშაულებრივ დაჯგუფებას და აქტიურად მონაწილეობს მასში. ყოველივე ასეთი მოქმედებით იგი ხელყოფს სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებს შრომა-გასწორების საქმიანობის ხაზით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის ძირითადი ინტერესები შრომა-გასწორების პო-

ლიტიკის განხორციელების დარგში. ამას გარდა ხელყოფის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ადმინისტრაციის წარმომადგენელთა, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, შრომა-გასწორების დაწესებულებასა და საგამოძიებო იზოლატორში მოთავსებულ პირთა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი და ღირსება.

ობიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული გამოიხატება:

1. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულთა ორგანიზებაში, რათა არ შეასრულონ ადმინისტრაციის მიერ დავალებული სამუშაოები ან არ დაიცვან დადგენილი რეჟიმი (შინაგანაწესი); 2. შრომა-გასწორების დაწესებულებასა ან საგამოძიებო იზოლატორში მოთავსებულ პირთა ტერორიზებაში; 3. ადმინისტრაციაზე თავდასხმის მოწყობაში; 4. დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნაში; 5. ასეთ დაჯგუფებაში აქტიურ მონაწილეობაში.

„მსჯავრდებულთა ორგანიზება“ ნიშნავს მსჯავრდებულთა გაერთიანებასა და დაყოლიებას იმაზე, რომ არ შეასრულონ ადმინისტრაციის მიერ დავალებული და დადგენილი სამუშაოები და რეჟიმი. ცხადია, ამ საქმის ორგანიზატორად გვევლინება ის პირი, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

„ტერორიზება“ წარმომდგარია ლათინური სიტყვის „ტერორი-საგან“ და ნიშნავს მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორებას ძალადობით (მოკვლითაც კი). მოცემულ შემთხვევაში ტერორიზებად უნდა მივიჩნიოთ შემთხვევები ძალადობის ან ძალადობის გამოყენების მუქარისა იმ მიზნით, რომ უარი ათქმევინონ პატიმრებს შრომისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებასა და დადგენილი რეჟიმის წესების დაცვაზე. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ტერორიზებად მიიჩნევს ისეთ მოქმედებებს როგორცაა: აბუჩად აგდება, ბოროტად დაცინვა, გაქირვვა, დაშინება, ძალადობის გამოყენება და სხვ. დანაშაული დამთავრებულად ითვლება პატიმართა დაშინების (ტერორიზების) მომენტიდან, მიუხედავად იმისა მოჰყვა თუ არა ასეთ ძალადობით დაშინებას რაიმე კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში შედეგი.

„ადმინისტრაციაზე თავდასხმის მოწყობა“ ნიშნავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა წარმომადგენლებზე ფიზიკურ ან ფსიქიური ძალადობის განხორციელებას. თანაც ფსიქიური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ადმინისტრაციის წარმომადგენლებ-

ზე სხვადასხვა სახის მუქარაში (მოკვლის, ცემის, სამაგიეროს მიზნის და ა. შ.). რაც შეეხება ფიზიკურ ძალადობას იგი გამოიხატება მკვლელობაში, სხეულის დაზიანებაში, ცემასა და სხვ. ადმინისტრაციულ თევდასხმა შეიძლება მოხდეს როგორც აშკარად (ლიად), ასევე დაზარალებულიაგან ფარულად (მაგალითად, დარტყმა უკნიდან). მოცემული დანაშაულის ჩაღენისას დაზარალებულები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რომელთაც მიეკუთვნება პირები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ პატიმრებთან (ესენია პირები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ მათ შრომას, უსრუწველყოფენ მათზე კონტროლის განსორციელებას, ეწევიან აღმზრდელობით მუშაობას და ა. შ.). კონკრეტული ზიანი, რომელიც ადგება ადმინისტრაციის წარმომადგენელს თავდასხმის მომენტიში, გათვალისწინებულია 78¹-ე მუხლის ნიშნებით და დამატებით კვალიფიკაციას სს კოდექსის სხვა მუხლებით არ საჭიროებენ.

დანაშაულ დამთავრებულად ითვლება ადმინისტრაციის წარმომადგენელზე თავდასხმის მომენტიდან, მიუხედავად იმისა ასეთ თავდასხმას მოჰყვა თუ არა რაიმე ფაქტობრივი ზიანი.

„დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა“ გულისხმობს ორი ან მეტი პირისაგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც წინასწარაა ორგანიზებული ტერორიზებისა და ადმინისტრაციაზე თავდასხმისათვის. პასუხისმგებლობა დაჯგუფების ორგანიზაციისათვის (ჩამოყალიბებისათვის) ეკისრებათ ორგანიზატორებს ან მის აქტიურ მონაწილეებს. ორგანიზატორებად მიჩნეულია პირები, რომლებმაც შექმნეს დაჯგუფებები ან რომლებიც ხელმძღვანელობენ ამ დაჯგუფებებს.

„აქტიური მონაწილეები“ — ესაა პირები, რომლებიც ადგენენ სამოქმედო გეგმებს ორგანიზატორის (მეთაურის) მითითებისამებრ ან საკუთარი ინიციატივით ახდენენ თანამონაწილეთა შერჩევას დანაშაულებრივი დაჯგუფებისათვის და ა. შ. დანაშაულებრივ დაჯგუფებაში თუ ადგილი არა აქვს პირის აქტიურ მოქმედებას, მაშინ იგი პასუხს არ აგებს 78¹-ე მუხლით. პასიური დანაშაულებრივი ქცევა ასეთ შემთხვევებში კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით (განუცხადებლობა, დაფარვა და ა. შ.).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნის მომენტიდან, დამოუკიდებლად იმისა ამ დაჯგუფებამ განახორციელა თუ არა პატიმართა ტერორიზება ან ადმინისტრაციის წინააღმდეგობა.

ტრაციაზე თავდასხმის მოწყობა. სისხლისსამართლებრივი პასუხის-მგებლობის საკითხის გადაწყვეტისას საჭიროა გულდასმით გაანალიზდეს დანაშაულებრივი დაჯგუფების თითოეული მონაწილის როლი.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. თანაც სუბიექტი 78¹-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით მიზნად ისახავს მსჯავრდებულთა ორგანიზებას, რათა არ შეასრულონ ადმინისტრაციის მიერ დავალებული სამუშაოები ან დადგენილი რეჟიმი. მეორე ნაწილის ძალით კი მისი მიზანია პატიმართა ტერორიზება, ადმინისტრაციაზე თავდასხმის მოწყობა, დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობა.

მოცემული დანაშაულის სუბიექტი, როგორც ეს 78¹-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაშია ხაზგასმული, არის პირი, რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში (მსჯავრდებულთა), მეორე ნაწილის ძალით არის შრომა-გასწორების დაწესებულებასა ან საგამოძებო იზოლატორში მოთავსებული პირი, მესამე ნაწილის თანახმად განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი ან მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირი.

სსკ 78¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე; ხოლო მესამე ნაწილით დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან ისჯება სიკვდილით.

დ) მასობრივი არეულობა (სსკ მე-80 მუხლი). ამ მუხლის თანახმად დანაშაულად მიჩნეულია მასობრივი არეულობის ორგანიზაცია, რასაც თან ახლდა დარბევა, ნგრევა, ცეცხლის წაკიდება ან სხვა ამგვარი მოქმედება, აგრეთვე მისი მონაწილეების მიერ ამ დანაშაულთა უშუალოდ ჩადენა ან ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა.

ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ მას შეუძლია პარალიზება გაუკეთოს სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა საქმიანობას, მასშტაბური გახადოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, ადამიანთა მსხვერპლი; სახელმწიფოს, საზოგადოებას ან კონკრეტულ პიროვნებას მიაყენოს

დიდი ეკონომიკური ზარალი. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია (მუხლი 25-ე) ყველა მოქალაქეს უფლებას აძლევს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ქერქვეშ, ისე გარეთ. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან დანაშაულებრივი ხასიათი მიიღო.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო მმართველობის საფუძვლები, საზოგადოებრივი უშიშროება და საზოგადოებრივი წესრიგი. აგრეთვე პიროვნების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

ამ დანაშაულის ობიექტური მხარე, დისპოზიციის გააზრებიდან გამომდინარე, სამი სახის ქმედობაში ვლინდება: 1. მასობრივი არეულობის ორგანიზაციაში; 2. მისი მონაწილეების მიერ ამ დანაშაულის უშუალოდ ჩადენაში და 3. ხელისუფლებასათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაში.

„მასობრივი არეულობის ორგანიზაცია“ გამოიხატება ორგანიზატორის მოქმედებაში გააერთიანოს ან უხელმძღვანელოს ხალხს (ბრბოს), რათა განხორციელდეს დარბევა, ნგრევა, ცეცხლის წაქიდება ან სხვა ამგვარი მოქმედება. „დარბევა“ ნიშნავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოთა. დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, მაღაზიების, საწყობების, საცხოვრებელი სახლების აკლემას, გაძარცვას, მოქალაქეთა მიმართ ძალადობას და ა. შ., მოკლედ თუ ვიტყვი, დარბევა (აწიოკება) — ესაა ქონებაზე ზიანის მიყენება, ასევე პიროვნებაზე ხელყოფა. ხოლო „ნგრევა“ — რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების, ენერგეტიკულ ობიექტების, ასევე მოქალაქეთა ქონების დაზიანებასა და განადგურებას. „სხვა ამგვარ მოქმედებად“, რაც აღნიშნულია კანონში, ჩითვლება საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაობის ჩაშლა, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება და სხვ. სხვანაირად თუ ვიტყვი, „სხვა ამგვარ მოქმედებაში“ უნდა გავიგოთ პიროვნებაზე სხვა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფა (რომელიც მოიცავს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს), ასევე სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების ქონებრივი ინტერესები. მასობრივი არეულობის ორგანიზაციის განხორციელების ხერხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს და გამოიხატოს: ხალხზე (ბრბოზე) მიმართვაში; პროკლამაციების გავრცე-

ლებათა: საგანგაშო სიგნალებს მოწოდებაში: სხვადასხვა პეტიციებისა და ფურცლების გამოქვეყნებაში, რომლებიც შეიცავენ მოწოდებებს მასობრივი არეულობის განსახორციელებლად ან ულტიმატურ მოთხოვნებს სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობისადმი.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება მასობრივი არეულობის ორგანიზაციის განხორციელების მომენტრიდან. დამოუკიდებლად იმისა შემდგომში მას მოჰყვა თუ არა რაიმე ზიანი.

„მისი მონაწილეების მიერ ამ დანაშაულის უშუალოდ ჩადენა“ — ეს იმას ნიშნავს, რომ მასობრივი არეულობის მონაწილეები — დაწყებული ორგანიზატორებით და დამთავრებული რიგითი მონაწილეებით, უშუალოდ ჩადიან დარბევას, ნგრევას. ცეცხლის წაქიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას.

სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკა მასობრივი არეულობის ფაქტს მიაკუთვნებს ისეთ შემთხვევას, როცა ბრბო, ძალადობის გამოყენებით (თავისუფლების აღკვეთისა და შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან, ასევე საგამოძიებო იზოლიატორიდან) ათავისუფლებს მსჯავრდებულებსა და პატიმრებს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება დარბევის, ნგრევის, ცეცხლის წაქიდებისა და სხვა ამგვარი მოქმედების ჩადენის მომენტრიდან. თუ მასობრივი არეულობა ინსპირირებულია ბანდის მიერ, მაშინ ბრალდებულთა მოქმედება კვალიფიცირდება 78-ე (ბანდიტიზმი) და მე-80 (მასობრივი არეულობა) მუხლების ერთობლიობით.

ძალადობით მოქმედებებს, რომელსაც ადგილი აქვს მასობრივი არეულობისას, მოიცავს მე-80 მუხლის ნიშნები; გამონაკლისია მკვლელობა, გაუპატიურება და სხვ. აღნიშნულ ქმედობათა ჩადენისას ბრალდებულის პასუხისმგებლობა დგება დანაშაულთა ერთობლიობის წესით. ამავე წესით უნდა დადგეს პასუხისმგებლობა მაშინაც, როცა მასობრივი არეულობა დაკავშირებულია ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევასთან.

„ხელისუფლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა“ — ნიშნავს ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენელთა მიმართ თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას დაბრკოლებების შექმნას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ,

გულისხმობს მასობრივი არეულობის მონაწილეთა მიერ ქალაქის გამოყენებას. ამასთან „იარაღი“ სიტყვის ვიწრო გაგებითაც ნასმარი, კერძოდ, როგორც საგნები, სპეციალურად განკუთვნილი ცოცხალი სამიზნის დასაზიანებლად და რომლის ტარებასა და შენახვაზე სპეციალური ნებართვაა საჭირო. ობიექტურად ხელისუფლების წარმომადგენლებზე შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწვევა ასევე გამოიხატება იარაღის გამოყენების მუქარაში. მისგან სხვადასხვა მიმართულებით გასროლასა (რაც მიმართულია ხელისუფლების წარმომადგენელთა შესაზინებლად) და შ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწვევის მომენტიდან.

მასობრივი არეულობის სუბიექტური მხარე ხასიათდება განზრახვი ბრალით და შეიძლება გამოვლინდეს მინიმუმ ორივე ფორმით. მაგალითად, ორგანიზატორთა მოქმედება და შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწვევა პირდაპირ განზრახვაში ვლინდება, ხოლო მასობრივი არეულობის აქტიური მონაწილეების მოქმედება შეიძლება განხორციელდეს არაპირდაპირი (ევენტუალური, ირიბი) განზრახვის ფორმითაც.

მოცემული დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი (შურისძიება, ანგარება, ხულიგნური ან სხვა ქვენაგრძნობა), რაც გავლენას არ ახდენს კვალიფიკაციაზე, მაგრამ მათი გათვალისწინება სასამართლოს მიერ ხდება ბრალის ხარისხისა და სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

უკეთუ მასობრივი არეულობის ორგანიზატორებისა და მონაწილეების მიზანს შეადგენდა საქართველოს რესპუბლიკის შესუსტება, მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება სს კოდექსის 69-ე მუხლით (დივერსია). პასუხისმგებლობა სს კოდექსის მე-80 მუხლით გამორიცხულია, უკეთუ პირმა მასობრივი არეულობის დროს გაუფრთხილებლობით დააზიანა სხვისი ქონება ან მიაყენა ვინმეს სხეულის დაზიანება თუ სხვა ფიზიკური ზიანი. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დადგება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა თავის შესაბამისი მუხლით.

მოცემული დანაშაულის სუბიექტები შეიძლება იყვნენ როგორც მასობრივ არეულობათა ორგანიზატორები (ე. ი. პირები, რომელთა ინიციატივითაც წარმოიშვა მასობრივი არეულობა ან

რომელთა მითითებითა და ხელმძღვანელობით მოქმედებდნენ დანარჩენი მონაწილეები), ასევე მასობრივი არეულობის მონაწილეები. მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება 16 წლის ასაკიდან.

მასობრივი არეულობა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან თხუთმეტ წლამდე.

§ 3. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას

ა) სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (სსკ 70-ე მუხლი). ამ მუხლის დისპოზიციის შესაბამისად დანაშაულადაა მიჩნეული, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები განდობილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი ცნობილი გახდა სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით, თუ არ არის სამშობლოს ღალატის ან ჯაშუშობის ნიშნები. დამამძიმებელ გარემოებად, მეორე ნაწილის ძალით, მიჩნეულია იგივე მოქმედება, თუ მას მოჰყვა მძიმე შედეგი.

მოცმული დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვასთან. სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის წესი რეგლამენტირებულია ნორმატიული აქტებით.

დანაშაულის საგანია სახელმწიფო საიდუმლოება, ე. ი. განსაკუთრებულად დაცული ცნობები, რაც სპეციალური ნუსხითაა გავალისწინებული და რომლის გახმაურებამაც შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს. ცნობების ხასიათი, რაც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტებით (ჩამონათვალით).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურებაში. „გახმაურებულად“ უნდა გავიგოთ ცნობების ისეთი მართსაწინააღმდეგო გამოქვეყნება, რის შედეგადაც იგი გარეშე პირთა საკუთრება გახდა. „გარეშე პირად“ ჩაითვლება ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც თავისი სამსახურის ან სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე არა აქვს ხელმისაწვდომობა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებ-

თან. ობიექტურად გახმაურება შეიძლება განხორციელდეს: სიტყვიერად; წერილობით; საჯაროდ გამოსვლაში; მიმოწერით; დოკუმენტების ჩვენებით; ცხრილების, ნახაზების, სქემების, ახალი საიდუმლო ნაწარმის დემონსტრირებითა და სხვ. გახმაურება შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა უმოქმედობით ჩადენილად მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როცა ბრალდებული ისეთ მდგომარეობაში (პირობებში) ტოვებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს, როცა მისი გაცნობა ადვილად შეუძლია გარეშე პირებს. სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების თავისებურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ზოგიერთი პირის მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების (მასალების) უპასუხისმგებლო „კოლექციონირება“ და მისი გაცნობა ადამიანთა ფართო წრისადმი (მაგალითად, საბრძოლო ტექნიკის, თვითმფრინავების, წყალქვეშა გემების, რაკეტების ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებისა და სხვათა შესახებ ნიმუშების გაცნობა ფოტომასალებისა და სხვათა სახით).

დანაშაული დამთავრებულად ითვლება გარეშე პირთა მიერ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურების აღქმის მომენტიდან. თანაც საჭირო არა გახმაურებული ცნობების მთელი ერთობლიობის დეტალური აღქმა, საკმარისია გამჟღავნებულ ინფორმაციაზე ზოგადი ხასიათის ცნობის მიღება. თუ რაიმე მიზეზით, რაც დამოკიდებული არაა ბრალდებულის ნებაზე, გამჟღავნებული ცნობები არ აღიქმება გარეშე პირთა მიერ, მაშინ სახეზე გვექნება დანაშაულის მცდელობა (მაგალითად, ყრუ-მუნჯთა და უცხოელი მოქალაქეების წინაშე, რომლებმაც ქართული ენა არ იციან, სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება).

ცნობების გახმაურების სუბიექტური მხარე ხასიათდება, როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით. პირდაპირი განზრახვისას ბრალდებულს, შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებასთან და გარეშე პირთა მიერ მია აღქმასთან (გაგებასთან) და სურს ყოველივე ეს. არაპირდაპირი (ევენტუალური, ირიბი) განზრახვის შემთხვევაში ბრალდებულს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებს, რომ ცნობები, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს, შეიძლება გახდეს გარეშე პირთა საკუთ-

რება და უშვებს გარეშე პირთა მიერ ცნობების აღქმის ფაქტს. მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში დახურულ თემატიკაზე ხმამაღალი საუბარი, რაც შესაძლებლობას აძლევს სხვა მგზავრებს აღიქვან საუბრის დედაარსი; სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების ხმამაღალი კითხვა ან საქმიანი საკითხების განხილვა ისეთ შენობაში, საიდანაც ხმა იოლად გამოდის და სხვ. გაუფრთხილებლობა შეიძლება არსებობდეს მისი ორივე ფორმით. მაგალითად, უკეთუ პირი ქარაფშუტულად იმედოვნებს, რომ მან მიიღო საჭირო ზომები საიდუმლოების დასაცავად, მაგრამ სინამდვილეში ისინი საკმარისი არ აღმოჩნდა და სახელმწიფო საიდუმლოება განმაურდა (კერძო პირებმა გაიგონეს კარდანშული ოთახიდან ხმამაღალი საუბარი საიდუმლო ცნობების შესახებ), ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გაუფრთხილებელი ბრალი თვითიმედოვნების სახით. ხოლო თუ პირი არ ითვალისწინებს, რომ ახმაურებს საიდუმლო ცნობებს, მაგრამ შეეძლო და მოვალეც იყო გაეთვალისწინებინა ყოველივე ეს, მაშინ საქმე გვაქვს გაუფრთხილებელ ბრალთან დაუდევრობის სახით. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა დაუდევრობის ფაქტად მიიჩნევს ისეთ შემთხვევას, როცა მბეჭდავებს. რომლებსაც არ ევალებათ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაბეჭდვა, უყურადღებობის გამო გადასცემენ სრულიად საიდუმლო დოკუმენტებს.

სახელმწიფო საიდუმლოების განზრახ განმაურების მოტივად მეტწილად გვევლინება ბრალდებულის ბაქიაობა (ტრაბახი), რითაც სურს გარეშე პირებს უჩვენოს მისი საქმეში ჩახედულობა, ცოდნა, კომპეტენტურობა, „მნიშვნელობა“ და ა. შ., პრაქტიკული და თეორიული ხასიათის საკითხების გადაწყვეტისას.

სახელმწიფო საიდუმლოების განმაურების სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები განდობრილი ჰქონდა ან რომლისთვისაც ისინი ცნობილი გახდა სამსახურთან ან სამუშაოსთან დაკავშირებით, ე. ი. აქ საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან.

მოცემული მუხლის მეორე ნაწილი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად თვლის მძიმე შედეგის დგომას. არსებობს თუ არა მძიმე შედეგი, ეს ფაქტის საკითხია და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას გადაწყვეტს საგამოძიებო და სასამართლო ორ-

განო. ყოველ შემთხვევაში, მძიმე შედეგად უნდა მივიჩნოთ ისეთი ფაქტი, როცა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურების შედეგად მნიშვნელოვანი მონაცემები აღმოჩნდა უკხოეთის დაზვერვის ხელში, რამაც გამოიწვია ამა თუ იმ თავდაცვითი სამუშაოს გეგმის არსებითი შეცვლა და ა. შ.

სსკ 76-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე; ხოლო მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე.

ბ) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა (სსკ 77-ე მუხლი). ამ მუხლის მიხედვით დანაშაულად მიჩნეულია: სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, აგრეთვე იმ საგნების დაკარგვა, რომელთა შესახებ ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენენ, იმ პირის მიერ, ვისაც ისინი მინდობილი ჰქონდა, თუ დაკარგვა აღნიშნული დოკუმენტებისა ან საგნებისადმი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევის შედეგადაა.

დისპოზიციაში აღნიშნული დოკუმენტებისა და საგნების „დაკარგვად“ უნდა გავიგოთ მოცემული პირის მფლობელობიდან მათი ისეთი მართლსაწინააღმდეგო გამოსვლა, რაც შესაძლებლობას აძლევს გარეშე პირებს გახდეს აღნიშნული დოკუმენტებისა და საგნების მესაკუთრე.

მოცემული დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა. დანაშაულის საგნად გვევლინება სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები, აგრეთვე სხვადასხვა ნაწარმი და მასალები, რომელთა შესახებაც ცნობები სახელმწიფო საიდუმლოებას შეადგენს. დოკუმენტებს მიეკუთვნება ტექსტური და გრაფიკული მასალები, რომლებიც შესრულებულია ტიპოგრაფიული წესით, ასევე საბეჭდო მანქანაზე და ხელით (ნახაზები, გეგმები, ტიპოგრაფიული რუკები, ბრძანებები, დირექტივები, უწყისები, აქტები, ნიმუშები და ა. შ.).

დანაშაულის ობიექტურ მხარეს სამი ნიშნის ერთობლიობა ქმნის: 1) ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რაც უშუალოდ დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ დოკუმენტებსა და საგნებთან მოპყრობის დადგენილი წესის დარღვევას-

თან; 2) დოკუმენტების ან საგნების გამოსვლა იმ პირის მფლობელობიდან, ვისაც ისინი მინდობილი ჰქონდა და რამაც გარეშე პირებს მათი გაცნობის შესაძლებლობა მისცა. ე. ი. გარეშე პირები გაეცნენ ან შეეძლოთ გაცნობოდნენ აღნიშნულ დოკუმენტებსა და საგნებს; 3) მიზეზობრივი კავშირი ქმედობასა და დამდგარ შედეგა შორის (დოკუმენტის გამოსვლა მფლობელობიდან, მისი დაკარგვა).

„დოკუმენტებისა ან საგნებისადმი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევა“ გამოიხატება ამ დადგენილი წესებიდან გადახრას ან სრულ იგნორირებაში, რაც ქმნის საჭირო პირობებს დოკუმენტებისა ან საგნების დაკარგვისათვის. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა მოწმობს, რომ დარღვევები მეტწილად დაკავშირებულია დოკუმენტებთან მუშაობის დროისა და ადგილის, მათი შენახვის, გადაგზავნის, გადაცემის, განადგურების და ა. შ., წესების დაუხველობასთან. დოკუმენტებსა და საგნებთან მოპყრობის წესები რეგლამენტირებულია მთელი რიგი ნორმატიული აქტებით: კანონებით, ინსტრუქციებით, დებულებებით, მითითებებითა და სხვ., რასაც ხელმოწერით აცნობენ იმ პირს, რომელიც დაშვებულია ზემოაღნიშნული სახის საიღუმლოების შემცველ დოკუმენტებთან სამუშაოდ.

„დოკუმენტისა და საგნის გამოსვლა მფლობელობიდან“ იმას ნიშნავს, რომ ისინი არაა, როგორც მათ მუდმივ შესანახ ადგილზე, ასევე იმ კონკრეტულ პირთანაც, რომელსაც ისინი გადაეცა. დოკუმენტების დაკარგვა მეტწილად დაკავშირებულია სხვა პირების მიერ მათ გატაცებასთან.

დოკუმენტებისა და საგნებისადმი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევასა და დოკუმენტების (საგნების) დაკარგვას, ე. ი. მფლობელობიდან გამოსვლას შორის უნდა იყოს უშუალო მიზეზობრივი კავშირი. იმ შემთხვევაში თუ დოკუმენტი ან საგანი დაიკარგა, მაგრამ ეს დაკარგვა არაა დოკუმენტებისა და საგნებისადმი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევის შედეგი, ე. ი. არაა მიზეზობრივი კავშირი დაკარგვასა და მოპყრობის დადგენილ წესებს შორის, მაშინ მოცემული დანაშაულის შემადგენლობა არ გვექნება.

დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება დოკუმენტების თუ საგნის დაკარგვის მომენტიდან იმისდა მიუხედავად დაეუფლა მას სხვა პირი თუ არა. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულია სხვა თვალსაზრისი მოცემული

დანაშაულის დამთავრების მომენტზე. სახელდობრ, ხაზი გაესმია იმას, რომ დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როცა ცნობები გარეშე პირთა საკუთრება გახდა.

სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვის სუბიექტური მხარე, ხასიათდება ბრალის ორმაგი (შერეული) ფორმით¹. დოკუმენტებისა ან საგნებისადმი მოპყრობის დადგენილი წესების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით ბრალი შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვის, ასევე გაუფრთხილებლობის ფორმაში. რაც შეეხება დამდგარ შედეგთან კავშირს, ე. ი. დოკუმენტების დაკარგვას, აქ ბრალი უნდა იყოს მხოლოდ გაუფრთხილებელი, რაც შეიძლება გამოვლინდეს დანაშაულებრივი თვითიმედოვნებისა და დაუდევრობის სახით.

მოცემული დანაშაულის სუბიექტი, დისპოზიციიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ის პირი, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები ან საგნები მინდობილი ჰქონდა სამსახურის (სამუშაოს) შესრულების გამო; ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს დანაშაულის სპეციალურ სუბიექტთან².

77-ე მუხლის მეორე ნაწილის ძალით დანაშაული კვალიფიციურად ითვლება, თუ პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედობას მძიმე შედეგები მოჰყვა. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა მძიმე შედეგებად მიიჩნევს: ისეთი დოკუმენტებისა და საგნების დაკარგვას (ე. ი. გამოსვლას მფლობელობიდან), რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ და რომელიც ხელში ჩაუვარდა უცხოეთის დაზვერვას, რომელმაც, თავის მხრივ, ჩვენი რესპუბლიკის საზიანოდ გამოიყენა ისინი; მნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებების ჩაშლას; განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა პროფილის საწარმოების სხვა ადგილზე გადატანას; თავდაცვითი სამუშაოების შესახებ დამტკიცებული გეგმების შეცვლა და სხვ.

1 სისხლის სამართლის თეორიაში არის სხვა პოზიციაც, რომლის მიხედვითაც ვინაიდან მოცემული შემადგენლობა (ძირითად) არის ფორმალური, ამდენად მანში არ არის ბრალის ორმაგი (შერეული) ფორმა („Советское уголовное право“ Особенная часть, М., 1988, с. 75).

2 სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვისათვის, რომდებიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენენ, პასუხს აგებენ სს კოდექსის 273-გ მუხლის „ბ“ პუნქტით.

სსკ 77-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავსუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე; მეორე ნაწილის გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავსუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე.

გ) სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის ორგანიზაციებისათვის (სსკ 77¹-ე მუხლი). ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული: უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ან სხვა ცნობების გადაცემა, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას წარმოადგენენ, ან მათი გადასაცემად შეგროვება იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ცნობები მინდობილი ჰქონდა სამსახურის ან სამუშაოს გამო, ანდა მისთვის ცნობილი გახდა სხვა გზით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის ძალით დაშამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია იგეგვ შოქმედება, რომელმაც დიდი ქონებრივი ზარალი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ან გამოაწვია სხვა მძიმე შედეგი.

მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და კომერციულ სტრუქტურათა მფლობელობიდან გამოდის ისეთი ცნობები, რომლებიც სამსახურებრივ საიდუმლოებას შეადგენენ. მოცემული დანაშაული არსებითად წარმოადგენს სამრეწველო ან კომერციულ ჯაშუშობას.

ამ დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია სამსახურებრივი საიდუმლოების დაცვასთან. რაც შეეხება დანაშაულის საგანს ესაა სამსახურებრივი საიდუმლოება, ე. ი. ცნობები, რომლებიც, მართალია სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს, მაგრამ იგი გახმაურებას მინც არ ექვემდებარება. ასეთი ცნობების წრე განისაზღვრება სპეციალურ ნუსხით (ჩამონათვალით).

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური ან სხვა ცნობების უცხოეთის ორგანიზაციებისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის გადაცემაში, აგრეთვე აღნიშნული ხასიათის ცნობების შეგროვებაში.

ცნობების მიცემის ადრესატად გამოდიან უცხოეთის სახელმწიფო ან არასახელმწიფო ორგანიზაციები. მეტწილად ესენია:

სამრეწველო, კომერციული, საშუამავლო და სხვა ფორმები. გაერო-
თიანებები, კავშირები, მრეწველთა კომიტეტები, უცხოეთის სახელ-
მწიფოთა სპეციალური სამსახურები და სხვა ორგანიზაციები. რომ-
ლებიც დაინტერესებული არიან მიიღონ სამსახურებრივი საიდუმ-
ლოების შემცველი ცნობები. უცხოეთის ორგანიზაციათა წარმო-
მადგენლები შეიძლება იყვნენ მათი ოფიციალური წევრები ან პი-
რები, რომლებიც ასრულებენ აღნიშნულ ორგანიზაციათა დავა-
ლებებს.

თუ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე (რომელიც თანამ-
დებობის პირია), სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველ ცნო-
ბებს გადასცემს უცხოეთის წარმომადგენელს ქრთამის აღებასთან
დაკავშირებით, მაშინ მისი მოქმედება დაკვალიფიცირდება დანაშა-
ულთა ერთობლიობის წესით (77¹-ე და 189-ე მუხლებით).

დანაშაულის ხუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი გან-
ზრახვით. მოტივი და მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი: ან-
გარება, ყბედობა, მისწრაფება აჩვენოს თავის საქმეში ჩახედულო-
ბა, შურისძიება და სხვა ქვენა გრძნობები. ესენი ქმედობას კვა-
ლიფიკაციაზე გავლენას არ ახდენენ, მაგრამ მათი გათვალისწინება
ხდება განსაჯელზე სასჯელის დანიშვნისას.

განსახილველი დანაშაულის კვალიფიცირებულ ბრალის ორ-
მაგი ფორმა გააჩნია, ე. ი. პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩა-
დენილი მოქმედების ფაქტთან განზრახვით ხასიათდება. ხოლო
ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარ მძიმე შედეგთან შეიძლება
გამოიხატოს ბრალის განზრახ ან გაუფრთხილებელ ფორმაში.

დანაშაულის ხუბიექტი, როგორც ამას ხაზი გაესმის განსახილ-
ველი მუხლის დისპოზიციაში, არის ის პირი, რომელსაც სამსახუ-
რებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობები მინდობილ ქონდა
სამსახურის ან სამუშაოს გამო, ანდა რაც მისთვის ცნობილი გახდა
სხვა გზით.

მოცემული დანაშაული 76-ე (სახელმწიფო საიდუმლოების
გახმაურება) და 77-ე (სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დო-
კუმენტების დაკარგვა) მუხლებით გათვალისწინებული ქმედობისა-
გან განსხვავდება საგნის მიხედვით. დასახელებულ მუხლებში საუ-
ბარია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გახმაურ-
ებასა და აგრეთვე დოკუმენტების დაკარგვაზე. 77¹-ე მუხლით

გათვალისწინებული დანაშაულის საგნად კი გვევლინება სამსახურებრივი საიდუმლოება.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები (დიდი ქონებრივი ზარალის მიყენება, ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევა) კონკრეტულად ვლინდება: მომგებიან საერთაშორისო შეთანხმებების ჩაშლაში, ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მეორე მხარის მიერ უარის თქმასა და სხვ.

სსკ 77¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლამდე.

დ) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება (სსკ 81-ე მუხლი). ჩვენი ქვეყნის უზენაესი კანონის, კონსტიტუციის მეშვიდე თავში (სახელმწიფოს თავდაცვა) ჩაწერილია შემდეგი: საქართველოს აქვს სუვერენული უფლება შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში აწარმოოს თავდაცვითი ომი... სუვერენიტეტი და ტერიტორიის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები... საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა... სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საყოველთაო სამხედრო სამსახური საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულება გვევლინება ერთ-ერთ მთავარ საშუალებად შეიარაღებული ძალების დასაკომპლექტებლად. სამხედრო ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდება ზიანს აყენებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ინტერესებს და სისხლის სამართლის კანონმდებლობით განიხილება როგორც სახელმწიფო დანაშაული.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები შედგება არმიისაგან, სასაზღვრო ჯარისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისაგან. სამხედრო სამსახური იყოფა სავალდებულო, პროფესიულ და რეზერვის სამხედრო სამსახურებად. სამხედრო

სამსახურში მყოფნი იწოდებიან სამხედრო მოსამსახურეებად, ხოლო რეზერვში მყოფნი რეზერვისტებად. სამხედრო სამსახურში გავწეული მოქალაქე დებს სამხედრო ფიცს. წოდების მიხედვით სამხედრო მოსამსახურეები და რეზერვისტები იყოფიან რიგითებად (მატროსებად), სერჟანტებად, ზემდეგებად (მიჩმანებად) და ოფიცერთა შემადგენლობად: ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა: ა) უმცროს ოფიცერთა შემადგენლობად; უმცროსი ლეიტენანტიდან კაპიტნის ჩათვლით და მათთან გათანაბრებულნი; ბ) უფროს უფიცერთა შემადგენლობად; მაიორიდან პოლკოვნიკის ჩათვლით და მათთან გათანაბრებულნი; გ) უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობად: გენერლები და ადმირალები. რიგითები, სერჟანტები, ზემდეგები, რომელნიც კანონით დადგენილ სამხედრო ვალდებულებას იხდიან, ითვლებიან ვადიან სამხედრო სამსახურში მყოფებად, ისინი კი ვინც ვადაზე მეტს მსახურობენ — ზევადიან სამხედრო სამსახურში მყოფებად. ყოველ სამხედრო მოსამსახურეს და რეზერვისტს ენიჭება შესაბამისი სამხედრო წოდება.

შეიარაღებული ძალებისათვის ახალგაზრდობის ორგანიზებულად მომზადებისა და გაწვევისათვის საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია იყოფა რაიონულ (საქალაქო) გასაწვევ უბნებად. ყოველი წლის იანვარ-მარტში გასაწვევ უბნებში სდება ახალგაზრდობის აღრიცხვა, თუ მათ მიწერის წელს უსრულდებათ 17 წელი. გასაწვევ უბანში აღრიცხული ახალგაზრდები იწოდებიან წვევაშეღებებად. ახალგაზრდობის სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე¹.

განსახილველი მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულადაა მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება, ხოლო მეორე ნაწილის ძალით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია იგივე მოქმედება, ჩადენილი საკუთარი სხეულის დაზიანებით, ან ავადმყოფობის სიმულაციის, ყალბი დოკუ-

¹ დაწვრილებით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა მიერ სამხედრო ვალდებულების მიზნის წესის შესახებ, იხილეთ საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საყოელთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა 1992 წლის 29 დეკემბერს მიიღო.

მენტების მეშვეობით ან სხვა სახის მოტყუებით, აგრეთვე ჩადენილი სხვა დამამძიმებელ გარემოებაში.

ამ დანაშაულის უშუალო ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების დადგენილი წესი.

მოცემული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება როგორც მოქმედებასა, ასევე უმოქმედობაში. წვევამდელის მიერ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან დროებით ან მუდმივად თავის არიდება — ესაა უმოქმედობა. ხოლო მოცემული მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების ჩადენა ხდება აქტიური მოქმედებით (საკუთარი სხეულის დაზიანება, ავადმყოფობის სიმულაცია და სხვ.).

დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს, რასაც კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც მიაღწია შეიარაღებულ ძალებში გაწვევის ან ალტერნატიული შრომითი საქმიანობისათვის საჭირო ასაკს, ე. ი. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებიდან „საკუთარი სხეულის დაზიანება“ უნდა გავიგოთ, წვევამდელის მიერ, შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდების მიზნით, საკუთარ სხეულზე ისეთი კატეგორის დაზიანების მიყენება, რაც საფუძველი ხდება მისი სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების (მაგალითად, ტყვიით ხელის მტევნის გახვრეტა, რასაც თითების დამბლა მოჰყვა; ხელოვნური დაყრუება და სხვ.). წვევამდელს საკუთარი სხეულის დაზიანება შეუძლია განახორციელოს როგორც პირადად, ასევე სხვა პირის დახმარებით. პირები, რომლებიც დაეხმარა წვევამდელს სხეულის დაზიანებაში, პასუხს აგებენ თანამონაწილეობის წესით.

„ავადმყოფობის სიმულაცია“ ნიშნავს პირის ცრუ მტკიცებას, რომ იგი დაავადებულია ან აქვს რაიმე ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი, რასაც სინამდვილეში ადგილი არა აქვს. ბრალდებული შეიძლება აზვიადებდეს აგრეთვე უმნიშვნელო დაავადებას (აგრავა-

ცია). სიმულაცია შეიძლება შეეხებოდეს როგორც სომატურ (სხეულთან დაკავშირებულ) დაავადებებს, ასევე ფსიქიკურს (მაგალითად, რევმატიზმის სიმულაცია; შიზოფრენიის სიმულაცია და სხვ.).

„ყალბი დოკუმენტების მეშვეობით“ თავის არიდება მდგომარეობს იმაში, რომ ბრალდებული ადგენს სამხედრო კომისარიატში წინასწარი შეცნობით ყალბ დოკუმენტს (მნიშვნელობა არა აქვს მის მიერაა შედგენილი თუ სარგებლობს სხვა პირთა მიერ შედგენილით) და ამის საფუძველზე ცდილობს შეიარაღებულ ძალებში ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდებას. სიყალბე შეიძლება შეეხებოდეს წვევამდელის ასაკს, მისი ოჯახის შემადგენლობას და სხვ.

„სხვა სახის მოტყუებად“ უხდა გავიგოთ შესაბამისი თანამდებობის პირისათვის წინასწარი შეცნობით ცრუ ცნობების შეტყობინება ან, პირიქით, ისეთი ცნობების დამალვა, რომელთა შეტყობინებაც სავალდებულო იყო. აგრეთვე გასაწვევი პირის ნაცვლად გასაწვევ კომისიაში სხვა ისეთი პირის გამოცხადება, რომლის შეიარაღებულ ძალებში გაწვევა ფიზიკური ნაკლის გამო არ დაიშვება და სხვ.

„ჩადენილი სხვა დამამძიმებელ გარემოებებში“ — ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევა, როცა წვევამდელი ცდილობს უკანონოდ გათავისუფლდეს შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან მიიღოს გადავადება შესაბამისი თანამდებობის პირისათვის (რომელიც მონაწილეობს მოცემული საკითხის გადაწყვეტაში) ქრთამის მიცემით.

81-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება) დენადი დანაშაულია და დამთავრებულად უხდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როცა სახეზეა შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდების ფაქტი. სხვანაირად თუ ვიტყვით, იმ მომენტიდან, როცა წვევამდელი, საპატიო მიზეზის გარეშე, არ ცხადდება იმ ადგილზე, იმ დღესა და საათზე, რაც აღნიშნულია წვევამდელზე გაგზავნილ უწყებაში. აღნიშნული ქმედობა გრძელდება მანამდე, ვიდრე წვევამდელი თვითონ არ გამოცხადდება გასაწვევ პუნქტში, ან მას არ დააკავებს სათანადო ორგანო.

სსკ 81-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

ე) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში (გამწვევ კომისიაში) გამოცხადებისათვის თავის არიდება (სსკ 81-ე მუხლი). ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში (გამწვევ კომისიაში) გამოცხადებისათვის თავის არიდება, ჩადენილი ამგვარი ქმედობისათვის ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიებათა გამოყენების შემდეგ.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, ყოველი მოქალაქე მოვალეა ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებას. ისინი ვალდებულია პირველ დაძახებისთანავე გამოცხადდნენ შეიარაღებულ ძალებში გამწვევ კომისიაში და შეასრულონ მათი დავალებანი. პირი, რომელიც შეგნებულად თავს არიდებს გამწვევ კომისიაში გამოცხადებას, პასუხს აგებს სისხლისსამართლებრივი წესით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვალდებულთ სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის ადგილზე იქმნება საქალაქო და რაიონული გამწვევი კომისიები. გამწვევ კომისიაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე — რაიონის (ქალაქის) სამხედრო კომისარი. გამწვევი კომისიის წევრები — რაიონების (ქალაქების) გამგებების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, შინაგან საქმეთა და სამხედრო განყოფილებების წარმომადგენლები. გამწვევ კომისიასთან იქმნება სამედიცინო კომისიები, რომელშიც შედიან: ქირურგი, თერაპევტი, ნერვოპათოლოგი, ფსიქიატრი, ნარკოლოგი, ოტოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი და სტომატოლოგი. გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებით ავადმყოფ წევრებზე გადაწვევა გადაუვადლებათ ექვსი თვიდან სამ წლამდე. რაიონებისა და ქალაქების გამწვევი კომისიების ხელმძღვანელობისა და მათ საქმიანობაზე კონტროლისათვის იქმნება რესპუბლიკური გამწვევი კომისია, რომელშიც შედიან: კომისიის თავმჯდომარე — საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, კომისიის წევრები — ჯანდაცვის, განათლების, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენლები. რაიონებისა და ქალაქების გამწვევ სამედიცინო კომისიებს ხელმძღვანელობს და აკონტროლებს რესპუბლიკური სამედიცინო კომისია.

განსახილველი დანაშაულის უშუალო ობიექტია საქართველოში შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების ინტერესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება შეიარაღებულ ბრძოლებში (გამწვევ კომისიაში) გამოცხადებისათვის, საპატრიო მინისტრის გარეშე, თავის არიდებაში. კანონი, საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ, საპატრიო მიზეზად თვლის: 1) გასაწვევ პირის ავადმყოფობას, რაც საიქიმო მოწმობის თანახმად აბრკოლებს მის პირად გამოცხადებას; 2) სტიქიური ხასიათის დაბრკოლებას, რაც დადასტურებული უნდა იყოს ხელისუფლების ორგანოებთან ან პოლიციის მიერ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თავის არიდება შეიძლება განხორციელდეს ყველა იმ ხერხითა და საშუალებით, რომლის შესახებაც საუბარი გვექონდა 81-ე მუხლის ანალიზისას. სახელდობრ, საკუთარი სხეულის დაზიანებით, ავადმყოფობის სიმულაციით, ყალბი დოკუმენტების შეშვობით ან სხვა სახის მოტყუებით და ა. შ., ე. ი. ეს დანაშაული ზორციელდება როგორც უმოქმედობით, ასევე აქტიური მოქმედებით.

განსახილველი დანაშაული დენადია. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი განსაზღვრულ მომენტამდე განუწყვიტელია მიმდინარეობს. გრძელდება დროში, წარმოადგენს ერთ მთლიანობას. ბრალდებული დანაშაულის განუწყვეტელი ჩადენის მდგომარეობაში იმყოფება. დენადი დანაშაული ხასიათდება განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედობის შემადგენლობის განუწყვეტელი განხორციელებით. ამ დანაშაულის არსებობისათვის აუცილებელია, რათა განუწყვეტლივ ზორცილდებოდეს ქმედობის ის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც კანონი ხედავს მის დანაშაულებრივ არსს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული დანაშაული დამთავრებულად უნდა მივიჩნიოთ იმ მომენტიდან, როცა პირი, ოფიციალური შიკოვობინების შიშდგე, თავს არიდებს შეიარაღებულ ძალებში (გამწვევ კომისიაში) გამოცხადებას.

სუბიექტური მხრივ მოცემული დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ე. ი. პირს შეგნებული აქვს, რომ თავს არიდებს შეიარაღებულ ძალებში (გამწვევ კომისიაში) გამოცხადებას და სურს ასეთი ქმედობის ჩადენა. მოტივები და მიზანი შეიძლება სხვადასხვა იყოს, რაც დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ იგი მხედველობაში მიიღება სასამართლოს მიერ განსასჯელზე სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

81-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი (როგორც მამაკაცი, ასევე ქალი), რომელიც ვალდებულია, სათანადო შეტყობინების (უწყების) მიღების შემდეგ, გამოცხადდეს დანიშნულ დროს შეიარაღებულ ძალებში (გამწვევ კომისიაში). განსახილველი მუხლის ძალით, პირი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ (როგორც ეს დისპოზიციაშია ხაზგასმული) მანამდე გამოყენებული იყო ადმინისტრაციული სახდელის ღონისძიება. ასეთად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სახდელის სახეები (მაგალითად, გაფრთხილება. ჯარიმა და სხვ.).

სსკ 81-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული -- ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

ვ) მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება (სსკ 82-ე მუხლი). ამ მუხლის შესაბამისად დანაშაულადაა მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის დასაცავად მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება.

„მობილიზაციის“ ცნება, ე. ი. არმიის გადაყვანა მშვიდობიან-მდგომარეობიდან სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, მოიცავს სამხედრო სამსახურში იმ პირთა გამოძახებას, რომლებიც თადარიგში არიან სამხედროვალდებულის სახით. ხოლო ომიანობის დროს, „მობილიზაცია“, სამხედრო სამსახურში სხვა პირების დაძახებასაც გულისხმობს. მობილიზაციის გამოცხადებისას სამხედრო ნაწილებზე მიწერილი სამედროვალდებულნი მოვალენი არიან გამოცხადდნენ სათანადო ნაწილებში სამობილიზაციო ფურცელში მითითებულ ვადაზე. თუ აღმოჩნდება, რომ სამხედროვალდებული სამხედრო ნაწილზე მიწერილი არაა, მაშინ მათი გაწვევა მოხდება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე.

მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდების საზოგადოებრივი საწინააღმდეგოება იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი ქმედობა როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის დროს, დიდ ზიანს აყენებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი დანაშაული მძიმე სახელმწიფო დანაშაულია.

მობილიზაციით გამოცხადების შემთხვევაში: ა) იკრძალება მედმივი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და მიტოვება სამხედრო კომისარიატის თანხმობის გარეშე; ბ) ჩერდება განსაკუთრებულ განკარგულებამდე ყველა სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლება; გ) მობილიზაციის გამოცხადებისთანავე რეზერვისტები მოვალენი არიან დადგენილ ვადაში დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ის წვევამდელები და რეზერვისტები, რომლებიც თავს არიდებენ მობილიზაციის დროს სამხედრო კომისარიატებში გამოცხადებას, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

მოცემული დანაშაულის ობიექტია, მობილიზაციის პირობებში საქართველოს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების წესი.

დანაშაულის ობიექტურ მხარეს ქმნის სამხედროვალდებულის მობილიზაციით გამოუცხადებლობა მითითებულ პუნქტსა და დროში. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება საქართველოს რესპუბლიკის დასაცავად მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდებაში. თავის არიდება, ხშირად, უკავშირდება ისეთ მოქმედებებს, როგორცაა: საკუთარი სხეულის დაზიანება, ავადმყოფობის სიმულაცია, ყალბი დოკუმენტების შედგენა, ქრთამის მიცემა და სხვ.

სუბიექტური მხრივ მოცემული დანაშაული ხასიათდება განზრახი ბრალით, კერძოდ, პირდაპირი განზრახვით. ე. ი. სუბიექტს შეგნებული აქვს მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდების ფაქტი და სურს იმოქმედოს ამგვარად.

ამ დანაშაულის სუბიექტია თადარიგში მყოფი სამხედროვალდებულო, რომელიც ექვემდებარება მობილიზაციით გაწვევას (იგულისხმება როგორც მამაკაცი, ასევე ქალი).

მობილიზაციით გაწვევისათვის თავის არიდება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

ზ) ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება (სსკ 33-ე მუხლი). აღნიშნული მუხლი დანაშაულად მიიჩნევს ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის ან სხვა ბეგარის შესრულებისათვის, აგრეთვე გადასახადის გადახდისათვის თავის არიდებას.

მოცემული დანაშაულის ობიექტად გამოდის ომიანობის დროს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ტექნიკურა

და სამეურნეო უზრუნველყოფის წესი. იგი დგინდება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტებით, ხოლო ადგილებზე, სადაც გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა, — სამხედრო ხელისუფლების მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება: 1) ომიანობის დროს შრომითი მობილიზაციისათვის თავის არიდებაში; 2) სხვა ბეგარის შესრულებისათვის თავის არიდებასა და 3) გადასახადის გადახდისათვის თავის არიდებაში. ე. ი. ამ დანაშაულის ობიექტურ მხარეს ქმნის ქმედობათა სამი განსხვავებული სახე.

„შრომითი მობილიზაციისათვის თავის არიდება“ შეიძლება გამოიხატოს სამობილიზაციოდ გამოძახებული პირის დანიშნულ ადგილზე გამოუცხადებლობასა, ან მის მიერ სხვა მოტყუებით მოქმედებათა ჩადენაში, რაც მიმართულია შრომითი მობილიზაციისაგან გასათავისუფლებლად (მაგალითად, ავადმყოფობისა და ოჯახის შემადგენლობის შესახებ ყალბი ცნობის წარდგენა და სხვ.).

„სხვა ბეგარის შესრულებისათვის თავის არიდებას“ მიეკუთვნება: სამხედრო-საცხინოსნო, სამხედრო-ავტოსატრანსპორტო, სამხირო-ანაოსნო და სხვა სახის ბეგარა. მაგალითად, სამხედრო-სატრანსპორტო ბეგარის შესრულებისათვის თავის არიდება გამოიხატება, ავტოტრანსპორტის მფლობელთა მიერ, საქართველოს შეიარაღებული ძალებისადმი ავტომობილების, მოტოციკლებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებათა გადაუცემლობაში. ამრიგად, ბეგარა, ომიანობის დროს შემოღებული, დაკავშირებულია სამოქალაქო მოსახლეობის განსაზღვრულ ჯგუფებზე გარკვეულ მოვალეობათა დაკისრებასთან (მაგალითად, დაუთმონ ბინები სამხედრო მოსამსახურეებს; ჩააბარონ სამხედრო ხელისუფლებას სატრანსპორტო საშუალებები ან სხვა საგნები, რაც აუცილებელია თავდაცვითი სამუშაოების ჩასატარებლად და სხვ.). ბეგარის შეუსრულებლობა ქმნის დანაშაულის შემადგენლობას.

„ბეგარის“ ცნებასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იგი გულსხმობს საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის ვალდებულებას, რომელიც არ არის დაკავშირებული მოცემული პირის ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობასთან და ეკისრება არა მარტო მოცემულ კონკრეტულ პირს, არამედ აგრეთვე ყველას ან მოქალაქე-

თა გარკვეულ ჯგუფებს, რაოდენ არ უნდა განსხვავდებოდნენ ისინი ერთიმეორისაგან საწარმოო საქმიანობის ხასიათით ან სხვა ინდივიდუალური თვისებებით. ინდივიდუალური პირის მიმართ ბეგარა უნდა გავიგოთ, როგორც მოქალაქის ვალდებულება შეასრულოს პირადი შრომით ან პირადი საშუალებებით მოვალეობა, დაკისრებული სახელმწიფოს მიერ ყველაზე ან მოქალაქეთა გარკვეულ ჯგუფებზე. ასეთია მაგალითად, შრომითი, სამხედრო და სხვა სახის ბეგარა.

„გადასახადის გადახდისათვის თავის არიდება“ დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამამხდელს ფაქტობრივად აქვს მისი გადახდის შესაძლებლობა, მაგრამ ამას განზრახ არ აკეთებს.

ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ განსახილველი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც უმოქმედობით, ასევე აქტიურა მოქმედებით.

დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია მართოდენ შრომითი მობილიზაციისათვის, ბეგარის შესრულებისათვის და გადასახადის გადახდისათვის თავის არიდების ფაქტი. რაც შეეხება მძიმე შედეგის დადგომას იგი სავალდებულო არაა. უკეთეს ქმედობას რაიმე მძიმე შედეგი მაინც მოჰყვა, იგი გათვალისწინებული იქნება განსასჯელზე სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით, ე. ი. ბრალდებულს შეგნებული აქვს, რომ თავს არიდებს შრომით მობილიზაციას, ბეგარის შესრულებას, გადასახადის გადახდას და სურს იმოქმედოს სწორედ ამდაგვარად. მოტივები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, რაც დანაშაულის კვალიფიკაციაზე არ მოქმედებს, მაგრამ მას ითვალისწინებს სასამართლო სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

დანაშაულის სუბიექტად მიჩნეულია პირები, რომლებიც ვალდებულნი არიან შეასრულონ კანონში მითითებული ყველა სახის ბეგარა. ესენი შეიძლება იყვნენ როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირები, საქართველოს რესპუბლიკის ან უცხოელი მოქალაქეები, ან მოქალაქეობის არმქონე პირები. უფრო გავრცობილად თუ ვიტყვით, შრომითი მობილიზაციისათვის თავის არიდების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირები, რომლებზედაც ვრცელდება შრომითი მობილიზაცია. გადასახადის გადახდისაგან თავის

არიდების სუბიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კერძო პირები. სამხედრო-სატრანსპორტო ბეგარისაგან, აგრეთვე სახელმწიფოზე ამა თუ იმ თავდაცვითი მნიშვნელობის საგნების ჩაბარებისათვის თავის არიდების სუბიექტები შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირები (ეს ის პირებია, რომელთაც აკისრიათ იმის მოვალეობა, რომ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან სახელმწიფოს ჩააბარონ თავდაცვითი მნიშვნელობის სატრანსპორტო საშუალებები ან სხვა საგნები).

სსკ 83-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

§ 4. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობას

ა) სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა (სსკ 84-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა, ხოლო მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს იგივე მოქმედებას, ჩადენილს განმეორებით.

მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხატება, რომ პირი უკანონოდ გადადის რა სახელმწიფო საზღვარზე, ამით ხელყოფს საზღვარზე გადასვლის დადგენილ წესს. ამ წესის დარღვევა კი 84-ე მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა (რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის პრინციპიდან გამომდინარე, არავის არა აქვს უფლება, ხელისუფლების მიერ დადგენილი წესის დარღვევით, გადავიდეს სახელმწიფო საზღვარზე).

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლაში. უკანონოდ უნდა მივიჩნიოთ ისეთი გადასვლა, რომელიც ხორციელდება ხელისუფლების მიერ დადგენილი სათანადო პასპორტისა (დიპლომატიური, სამსახურებრივი, საერთო-სამოქალაქო და მეზღვაურის

პასპორტი) და ნებადართვის გარეშე. გადასვლა შეიძლება განხორციელდეს რკინიგზით, წყლის, საჰაერო თუ საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებით, ფეხით და ა. შ. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა თუ სად მოხდა უკანონო გადასვლა: სპეციალურ საკონტროლო — საშვებ პუნქტში თუ სხვა ადგილებში. უკეთეს სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა განხორციელდა საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევით, ასეთ შემთხვევაში ქმედობა უნდა დაკვალიფიციკირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით (სსკ 84-ე და 85-ე მუხლებით).

სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა, როგორც წესდებით ხორციელდება ფარულად, სხვადასხვა ხრიკისა და შენიღბვის ფორმის გამოყენებით. სახელმწიფო, ყალბი დოკუმენტებს. საჰაერო ბურთებისა და სპეციალური მოწყობილობების გამოყენებით, საჰაერო ხომალდების ხელში ჩაგდებათა და გატაცებით და სხვ. ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფო საზღვარზე გადასვლა ხდება ამკარად (ლიად), მაგრამ ამას, ისევე როგორც ფარულ გადასვლას. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო საზღვარზე პირის უკანონოდ გადასვლის მომენტიდან. თუ ბრალდებულთა ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო საზღვარზე გადასვლა ვერ განხორციელდა (მაგალითად, დამნაშავე დაკავებულ იქნას საკონტროლო-შესამოწმებელი ზოლის გადალახვისას), მაშინ სახეზე გვაქვს დანაშაულის მცდელობა. საზღვარზე უკანონო გადასვლისათვის პირობების შექმნა კი, დანაშაულისათვის მზადებად უნდა მივიჩნიოთ.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის ჩადენის მოტივები და მიზანი, როგორც წესი, პირადულ-საყოფაცხოვრებო ხასიათს ატარებს (საზღვარგარეთ მყოფ ნათესაებთან თუ მეგობრებთან შეხვედრა, ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერება, ცხოვრების უკეთესი პირობების მონახვა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება, შეიარაღებულ ძალებში გაწევრისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება და ა. შ.).

გაუფრთხილებელი ბრალი მოცემული დანაშაულის შემადგენლობას ვერ მოგვცემს. მაგალითად, უკეთეს პირი ნადირობისას გაუფრთხილებლობით დაარღვევს საზღვარს, იგი სისხლის სამართ-

ლის პასუხისგებაში 84-ე მუხლით არ მიეცემა. ასევე არ გამოიწვევს სსკ 84-ე მუხლით სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფო საზღვრის დარღვევა უკიდურესი აუცილებლობის პირობებში (მაგალითად, გემის ავარიისას და სხვ.).

მოცემული დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი.

განსახილველი მუხლის მესამე ნაწილის თანახმად: 84-ე მუხლის მოქმედება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც უცხოეთის მოქალაქე ჩამოვა საქართველოს რესპუბლიკაში დადგენილი პასპორტის ან ნებართვის გარეშე, რათა ისარგებლოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებული თავშესაფარის უფლებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 47-ე მუხლი კი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს“... „დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოჩინული პირი, რომელსაც დევნიან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედობისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება“.

სსკ 84-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

ბ) საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა (სსკ 85-ე მუხლი). ამ მუხლის თანახმად დანაშაულადაა მიჩნეული: საქართველო რესპუბლიკაში შემოფრენა ან საქართველოს რესპუბლიკიდან გაფრენა დადგენილი ნებართვის გარეშე, ნებართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების ადგილების, საჰაერო კარების, ფრენის სიმაღლის დაუცველობა ან საერთაშორისო ფრენის წესების სხვა დარღვევა.

მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება არა მარტო სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობაში, არამედ იმაშიც, რომ ასეთი მოქმედება საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, სახელმწიფო ქონებას; იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ჩვენს ტერიტორიაზე შემოაღწიოს უცხოეთის დაზვერვის

აგენტურამ, მოხდეს კონტრაბანდის ფაქტები, ჩვენი ქვეყნიდან გაიქცინს სამშობლოს მოღალატეები და სხვ. საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო კონფლიქტები და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა გამწვავება.

დანაშაულის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა, აგრეთვე საერთაშორისო ფრენის დადგენილი წესება, რაც უზრუნველყოფს საჭიერო ტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებას.

დანაშაულის ობიექტურ მხარეს ახასიათებს კანონში მითითებული ნიბისმიერი ქმედობა, სახელდობრ: 1. საქართველოს რესპუბლიკაში შემოფრენა ან საქართველოს რესპუბლიკიდან გაფრენა დადგენილი ნებართვის გარეშე; 2. ნებართვაში აღნიშნული მარშრუტების, დაშვების ადგილების, საჰაერო კარების, ფრენის სიმაღლეების დაუცველობა და 3. საერთაშორისო ფრენის სხვა წესების დარღვევა. ე. ი. ამ დანაშაულის ობიექტურ მხარეს აღნიშნულ ქმედობათა სამა ჯგუფი ქმნის.

„საერთაშორისო ფრენის წესების სხვა დარღვევად“ საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს: ფრენის პროცესში სხვადასხვა ტვირთის არასანქციონირებულ ჩამოყრას; უნებართვო ფოტოგადაღება; თვითმფრინავიდან პარაშუტისტთა სათანადო ნებართვის გარეშე ხტომებს და სხვ.

საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევის სუბიექტური მხარე ხასიათდება როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით. განზრახი ბრალის შემთხვევაში პირს შეგნებული აქვს, რომ არღვევს საერთაშორისო ფრენის ამა თუ იმ წესს და სურს მისი დარღვევა (პირდაპირი განზრახვა), ან შეგნებულად უშვებს ამ წესების დარღვევის შესაძლებლობას (არაპირდაპირი განზრახვა).

გაუფრთხილებელი ბრალის დროს პირი ითვალისწინებს საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევის შესაძლებლობას, მაგრამ ქარადმუტულად ვარაუდობს რომ აღმოფხვრის დარღვევის ფაქტს (დანაშაულებრივი თვითმედლოვნება), ან არ ითვალისწინებდა საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევის შესაძლებლობებს, მაგრამ საქმის გარემოებების მიხედვით უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ დარღვევის ფაქტის გათვალისწინება (დანაშაულებრივი დაუღიგრობა).

თუ საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა განახორციელა

უცხოელმა მოქალაქემ ჯაშუშობის მიზნით, მისი მოქმედება უნდა დაკვალფიცირდეს სსკ 66-ე მუხლით (ჯაშუშობა).

განსახილველი დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება სხვა-დასხვაგვარი იყოს (ანგარება, თავზეხელაღებულობა, სახელმწიფოს წინააღმდეგ სხვა დანაშაულის ჩასადენად ხელის შეწყობა და ა. შ.).

დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ძხოლოდ საპაერო ხო-მალდის ეკიპაჟის წევრები, რომლებზეც დამოკიდებულია ფრენის უსაფრთხოება.

საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა — ისეება თავი-სუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ათ წლამდე, საპაერო ხო-მალდის კონფისკაციით ან უამისოდ.

§ 5. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ძირითად ინტერესებს ეკონომიკის სფეროში

ა) კონტრაბანდა (სსკ 79-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწი-ლის ძალით, კონტრაბანდა — ესაა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის, ეროვნული ვალუტის დიდი ოდენობით ან სხვა ფასეულობების უკანონო გადატანა ან გადმო-ტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლით ან მის-გან მალულად, ან საბაჟო ან სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებით-თი გამოყენებით, ან დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით ან მონაცემების შეუტანლობით, ან ჩადენილი თანამდებობის პი-რის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან პირის მიერ, რომელიც გათავისუფლებულია საბაჟო კონტროლისაგან, აგრეთვე კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ. ასეთი მოქმედება ისეება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

მეორე ნაწილის ძალით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეუ-ლია: საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნებს ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური საგნების, აგრეთვე ხე-ლოვნების ნიმუშების, ძვირფასი ლითონების ან ძვირფასი ლითონე-ბისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობათა და ამ ნაკეთობა-თა ჯართის კონტრაბანდა, რაც ისეება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

მესამე ნაწილში ხაზი გაესმის: ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი, შხამიანი ან მომწამლავი ნივთ-ერებების, აგრეთვე რადიოაქტიური, ან ფეთქებადი ნივთიერებების, შეიარაღების, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი მოწყობილობის და სამხედრო საკუთრების კონტრაბანდას, რაც ისჯება თავისუფ-ლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, ქონების კონ-ფისკაციით.

დაბოლოს, მეოთხე ნაწილით, დამამძიმებელ გარემოებად მიჩ-ნეულია: კონტრაბანდა, გათვალისწინებული სსკ 79-ე მუხლის მე-სამე ნაწილით, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან გან-საკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, რაც ისჯება თავისუფ-ლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონ-ფისკაციით, გარკვეული თანამდებობის ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

სწორედ ამგვარი რედაქციით ჩამოაყალიბა 1995 წლას 19 სექ-ტემბრის კანონმა 79-ე მუხლი (კონტრაბანდა)¹.

„კონტრაბანდა“ იტალიური სიტყვაა და ნიშნავს: 1. საქონ-ლის ფარულად გადატანას სახელმწიფო საზღვარზე; 2. თვით ფა-რულად გადატანილ საქონელს². საბაჟო კოდექსი კონტრაბანდად მიიჩნევს ამგვარი საქონლის ან სხვა ფასეულობის შენახვასა და გადაადგილებას, საზღვაგარეთიდან შემოტანილი საქონლის უნე-ბართვოდ გაყიდვასა და სხვ.

კონტრაბანდის საზოგადოებრივი საშიშროება იმაში გამოიხა-ტება, რომ იგი: 1. ეკონომიკურ ზიანს აყენებს საქართველოს რეს-პუბლიკას, რადგან ბიუჯეტში არ შედის ის საბაჟო გადასახადები, რაც დადგენილია შემოსაზიდ საქონელზე; 2. ძირს უთხრის საგა-რეო ვაჭრობის მონოპოლიას, რომლის განსაკუთრებული უფლება მხოლოდ სახელმწიფოს გააჩნია და რომელსაც იგი ანხორციელებს მისდამი დაქვემდებარებული სახელმწიფოს ორგანოების მეშვეო-ბით; 3. ზიანის მიყენების საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ წეს-რიგსა და საზოგადოებრივ უშიშროებას ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი, შხამიანი ან მომწამლავი

¹ იხ. გაზეთი „საქართველოს პარლამენტი“, № 12, გვ. 10, 1995 წლის 30 სექტემბერი.

² იხ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1964, გვ. 213.

ნივთიერებების, აგრეთვე რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერებების, შეიარაღების, საბრძოლო მასალის; ასაფეთქებელი მოწყობილობის ან სამხედრო საქურველის შემოტანით; 4. საშუალებას აძლევს ცალკეულ მოქალაქეებს უკანონოდ გამდიდრდნენ და იცხოვრონ პარაზიტული ცხოვრების წესით, მიიღონ უშრომელი შემოსავალი; ე. ი. კონტრაბანდა აძლიერებს საზოგადოების ეკონომიკურ დიფერენციაციას და მასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს; 5. ეხმარება უცხოეთის სახელმწიფოს სპეცსამსახურებს განახორციელონ იმ პირთა გადაბირება, რომლებიც ისწრაფვიან უკანონო გამდიდრებისაკენ.

კონტრაბანდის ობიექტია — საგარეო ვაჭრობის მონოპოლიასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები. კონტრაბანდის საგნად მიჩნეულია მხოლოდ ის, რაც პირდაპირაა მითითებული 79-ე მუხლის დისპოზიციაში. აქედან გამომდინარე კონტრაბანდის საგნებს კლასიფიცირება შეიძლება ორ ჯგუფად: 1. ნებისმიერი საქონელი, ეროვნული ვალუტა და ფასეულობანი, რასაც გააჩნია გაცვლითი ან სამომხმარებლო ღირებულება და რომელთა უკანონო გადატანა ან გადმოტანა სახელმწიფო საზღვარზე ქმნის კონტრაბანდის შემადგენლობას; 2. საგანთა განსაკუთრებული კატეგორია, რაც ამომწურავად არის ჩამოთვლილი განსახილველი მუხლის მეორე და მესამე ნაწილებში. ესენია: საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ხალხთა კუთვნილი მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური საგნები, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშები, ძვირფასი ლითონები და ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები და ამ ნაკეთობათა ჯართი, ასევე ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი, შხამიანი ან მომწამლავი ნივთიერებები, რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერებები, შეიარაღება, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი მოწყობილობა და სამხედრო საქურველი.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა საგანთა პირველ ჯგუფს შიაკუთვნებს: ზოგიერთი სახეობის კვების პროდუქტებს, საყოფაცხოვრებო მოხმარებას სამრეწველო საქონელს, სტრატეგიულ ფერად ლითონებს და მათ შენადნობებს (სპილენძი, კალა, ბრინჯაო, თითბერი, პოზიდიტი, ლეგირებული ფოლადი, ტიტანი, ალუმინი და ა. შ.), ფერადი ლითონების მეორად ნედლეულს (საწარმოო ნარჩენები), ვალუტას, ფასიან სახელმწიფო ქაღალდებს და სხვა

ფასეულობებს, რომლებიც კანონმდებლობით მიეკუთვნება სავალუტო ფასეულობათა კატეგორიას და სხვა საგნებს.

კონტრაბანდის ობიექტური მხარე გამოიტაცება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს საზღვარზე საქონლის, ეროვნული ვალუტის დიდი ოდენობით, ან სხვა ფასეულობების უკანონო გადატანასა და გადმოტანაში, რაც ჩადენილი უნდა იყოს: 1. საბაჟო კონტროლისაგან გვერდის ავლით ან მისგან მალულად; 2. საბაჟო ან სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით; 3. დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით ან მონაცემების შეუტანლობით; 4. ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; 5. იმ პირის მიერ, რომელიც განთავისუფლებულია საბაჟო კონტროლისაგან; 6. კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ.

„უკანონო გადატანა ან გადმოტანის ცნებას“ შეიცავს საბაჟო კოდექსი, რომლის მიხედვითაც უკანონოდ მიჩნეულია საქონლის, ეროვნული ვალუტის და სხვა ფასეულობათა გადატანა ან გადმოტანა სახელმწიფო საზღვარზე საბაჟოსაგან გვერდის ავლით ან საბაჟოს მეშვეობით, მაგრამ საბაჟოს კონტროლისაგან მალულად. სახელმწიფო საზღვარზე გადასვლისას, ყველას თანდასწრებით, ხდება ხელბარგისა და ტვირთის შემოწმება. საბაჟო შემოწმებას აწარმოებენ საბაჟოს ოფიციალური თანამშრომლები სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლებთან ერთად. საბაჟო შემოწმების დაწყებამდე ყოველი 16 წელს მიღწეული პირი ვალდებულია შეავსოს საბაჟო დეკლარაცია. ოჯახზე, რომელიც კვეთს სახელმწიფო საზღვარს, ივსება ერთი დეკლარაცია და მას ხელს აწერს ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი. დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს რამდენი ნაჭრისაგან შედგება ხელბარგი და ტვირთი, რა რაოდენობის ან თანხისაა ვალუტა და სავალუტო ფასეულობები. ის ნივთები, რომლებიც დეკლარაციაში არ იქნება აღნიშნული, ანდა გადამაღული იქნება საბაჟო კონტროლისაგან, ექვემდებარება კონფისკაციას, როგორც კონტრაბანდა. მალული ვატანა შეიძლება განხორციელდეს საგნების სპეციალურ საცავებში მოთავსებით. ასეთად უნდა მივიჩნიოთ ნებისმიერი სამალავი, ფარული საკუქნაო, რაც მოწყობილია მატარებელში, გემზე, თვითმფრინავში, თუ სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებებზე. ასეთად ჩაითვლება აგრეთ-

ვე ჩემოდანი, ფეხსაცმელი, ქამარი, ან სხვა სახის ხელბარგი, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი საქონლისა და სხვა ფასეულობათა უკანონო გადატანა ან გადმოტანისათვის. „სპეციალური საცავია“ ხელოვნურად მოწყობილი ღრუ, სამალავი, ფოსო, რომელიც მანამდე არ ყოფილა, ანდა უკვე არსებულის გადაკეთება კონტრაბანდული მიზნებისათვის. „სპეციალურ საცავად“ არ ჩითვლება ბუნებრივი ღრმულები, ფოსოები (მაგალითად, დიუნისა ან სავარძლის დასაჯდომი, სხვადასხვაგვარი სიცარიელენი ჩემოდანში, ტანსაცმელში და ა. შ.). სპეციალურ საცავებში საგნების დამალვად არ უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როცა კონტრაბანდისტული საქონლის დამალვა ხდება კანონიერად გადასაზიდ საქონელთან ერთად. მაგალითად, ვალუტის გატანა, რომელიც მოთავსებულია ხიზილალასთან ერთად ბანკებში; ოქროულობა, რომელიც დამალულია ტორტში; ბეწვეული, რომელიც დამალულია კოსტუმის სახელოში ან სამგზავრო ჩემოდანში და სხვ.

„საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენება“ გულისხმობს პირის ისეთ მოქმედებას, რაც გამოიხატება საბაჟო კონტროლისათვის წინასწარი შეცნობით ყალბი ან არასწორი მონაცემებით შედგენილი დოკუმენტების წარდგენაში. საბაჟო დოკუმენტებს მიეკუთვნება საბუთები, რომელიც დადგენილი წესით დადასტურებული და გაცემულია საბაჟო დაწესებულების უფლებამოსილი თანამდებობის პირის მიერ (საბაჟო დეკლარაციები, ცნობები ვალუტის შესახებ და სხვ.). „სხვა დოკუმენტებს“ მიეკუთვნება სხვადასხვა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტები საზღვარგარეთ საქონლისა და სხვა ფასეულობათა გატანის თაობაზე (ნებართვები, საშვები, მოწმობები, სერტიფიკატები, ანგარიშები და სხვა). საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა „მოტყუებით გამოყენებად“ მიიჩნევს ასევე ისეთი დოკუმენტების გამოყენებას, რომელშიც შეცვლილია ტვირთის სახეობა, წონა, მოცულობა და სხვ. კანონმდებელი 79-ე მუხლში ხაზს უსვამს მხოლოდ „დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებას, მაგრამ არაფერს ამბობს ყალბი საბუთების დამზადებაზე, როგორც დამოუკიდებელ შემადგენლობაზე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყალბი დოკუმენტების დამზადება კონტრაბანდის ნიშნებს სცილდება. თუ პირი მოტყუებით იყენებს ყალბ დოკუმენტებს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს იდეალურ ერთობლი-

ობსთან, ხოლო თუ კონტრაბანდისტმა თვითონ დააჩუქადა ყალბი დოკუმენტი, მაშინ საქმე გვაქვს რეალურ ერთობლიობასთან.

„ეროვნული ვალუტის დიდი ოდენობით კონტრაბანდა“. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებელი არ ადგენს ზუსტ კრიტერიუმს იმისას, თუ რა უნდა ჩაითვალოს დიდ ოდენობად. ამიტომ დიდი ოდენობისაა კონტრაბანდული საქონელი თუ არა, ეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გადაწყდეს საგამომიებო და სასამართლო ორგანოების მიერ საქონლისა და სხვა ფასეულობათა ფასის, რაოდენობის, დეფიციტურობისა თუ სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით.

„კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებული პირთა ჯგუფი“, უნდა გავიგოთ ორი ან მეტი პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც მოწოდებულია აწარმოოს კონტრაბანდული საქმიანობა. ამ შემთხვევაში ჯგუფის წევრებს შორის როლები განაწილებულია: ერთნი ყიდულობენ საქონელსა და სხვა ფასეულობას, მეორენი მალავენ მას საბაჟო კონტროლისაგან და გადააქვთ სახელმწიფო საზღვარზე, ან პირიქით საზღვარგარეთიდან შემოაქვთ საქონელი, მესამენი ასაღებენ კონტრაბანდულ საქონელს და ა. შ. კონტრაბანდისტთა ორგანიზებული ჯგუფის აუცილებელი ნიშანია მისი სიმყარე და წინასწარი შეთანხმება საერთო ძალითა და საშუალებით მოახდინონ საქონლისა და სხვა ფასეულობათა სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადატანა ან გადმოტანა. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს კანონიდან, სადაც აღნიშნულია, რომ ეს ჯგუფი ყალიბდება კონტრაბანდის ჩასაღწეად. ზემოაღნიშნული თეზიდან გამომდინარე, ბუნებრივია, შემთხვევით გაერთიანებული პირები ასეთ ჯგუფს ვერ შექმნიან. „კონტრაბანდის გასაწევად ორგანიზებულ პირთა ჯგუფის“ ყველა წევრი, იმისდა მიუხედავად თუ რა მოქმედება შეასრულა დანაშაულებრივი საერთო მიზნის მისაღწევად, დანაშაულის ამსრულებლად ითვლება და პასუხს აგებს სსკ 79-ე მუხლით.

„კონტრაბანდა თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით“ უნდა გავიგოთ ისეთი შემთხვევა, როცა თანამდებობის პირის საქმიანობა მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვარზე საქონლისა და სხვა ფასეულობათა გადატან-გადმოტანასთან. კონტრაბანდისათვის პასუხს აგებს არა ყველა თანამდებობის პირი, არამედ მხოლოდ ისინი, რომელთაც მინიჭებული აქვთ საბაჟო კონტროლის განხორციელების

უფლება, ანდა თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო სახელმწიფო საზღვარზე გადასვლისას არ ექვემდებარებიან საბაჟო გასინჯვას. ასეთ თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან: საბაჟოს მუშაკები (უფროსები, ინსპექტორები და საბაჟო დაწესებულების სხვა მოსამსახურეები), სასაზღვრო ჯარების საკონტროლო-გამშვები პუნქტების, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულოების თანამდებობის პირები (საკონტროლო-გამშვები პუნქტის კონტროლიორები, დიპლომატიური შიკრიკები, კონსულები), სხვადასხვა დელეგაციის წევრები, მატარებლის, თვითმფრინავისა და საზღვაო ხომალდის თანამშრომლები, რომლებიც ასრულებენ საზღვარგარეთის რეისებს და რომლებიც გვევლინებიან თანამდებობის პირებად. აღნიშნული სახის ქმედობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რომ დადგეს, როგორც ამის შესახებ კანონშია აღნიშნული, საჭიროა ორი პირობის არსებობა: 1) პირის თანამდებობრივი მდგომარეობა და 2) სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. თანამდებობის პირს, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით კონტრაბანდის ჩადენისას, ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული სახის დანაშაული ჩაიდინოს შედარებით იოლად და თანაც დიდი ოდენობით. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებაც სწორედ ამ თეზის სისწორეს ადასტურებს. იმ შემთხვევაში, როცა თანამდებობის პირი (მაგალითად საბაჟოს უფროსი) მიემგზავრება სხვა ქვეყანაში ტურისტად და ცდილობს კონტრაბანდული გზით გადაიტანოს ან გადმოიტანოს საზღვარზე რაიმე საქონელი, ეროვნული ვალუტა დიდი ოდენობით ან სხვა ფასიულობა, მაშინ მისი მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რადგან მოცემულ შემთხვევაში იგი გამოდის როგორც კერძო პირი.

უკეთეს მოქალაქე საბაჟოს თანამშრომლებს შემოწმების პროცესში ნებაყოფლობით წარუდგენს საკონტრაბანდო საქონელსა და სხვა ფასიულობებს, იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში ვერ მიიციმა, რადგან კონტრაბანდისტული განზრახვა — გადაიტანოს საქონელი უკანონოდ და მალულად — გამოირიცხვლია. უკეთეს კონტრაბანდას თან ერთვის სხვა დანაშაულის ჩადენა (მაგალითად, ცემა, სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება და ა. შ.), მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველზე.

განსახილველი მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემო-
ებად მოიხნევს: საქართველოს ან უცხოეთის ქვეყნების ხალხთა
კუთვნილი მხატვრული, ისტორიული, არქეოლოგიური საგნების,
აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების, ძვირფასი ლითონების ან ძვირ-
ფასი ლითონებისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობათა ან
ამ ნაკეთობათა ჭართის კონტრაბანდას.

ეს დამამძიმებელი გარემოება 79-ე მუხლს დაემატა 1995 წლის
19 სექტემბრის კანონის (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სა-
მართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებ-
ში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ) საფუძველზე.

79-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმე-
ბელ გარემოებებთან დაკავშირებით უნდა შეენიშნოს, რომ „ფეთ-
ქებად ნივთიერებაში“ იგულისხმება ნებისმიერი ნივთიერება, რო-
მელსაც აქვს ძლიერი დამანგრეველი მოქმედების უნარი და რომე-
ლიც გამოყენებულია სამხედრო, სამთომადნო, სხვადასხვა ობიექ-
ტების განადგურებისა და დაზიანების საქმეში (მათ შორის ცო-
ცხალ სამიზნეთა მოსპობისათვის). ასეთ ნივთიერებებს მიეკუთვნე-
ბა: ყველა სახის დენთი, დინამიტი, მგრავინაჟი ვერცხლისწყალი,
ტროტილი, პიროკლასინი, ამონალი, ტრინტროლოლოლი და სხვ.
„ნარკოტიკულ ნივთიერებებს“ განეკუთვნება: ოპიუმი, ჰეროინი,
ყაყაჩოს ნამჯა, მორფიუმი, კოკაინი, ჰაშიში, ანაშა, კოდეინი, ამ-
ფეტოლინი (ფინამინი), პრომედროლი, იმნოპონი, ნოქსიროლი,
სამხრეთ მანჯურიის, სამხრეთ ჩუის, სამხრეთ არხონის კანაფი, კრე-
კი და სხვ. „შხამიან ნივთიერებად“ უნდა მივიჩნიოთ ისეთი ნივთი-
ერება, რომლის ადამიანის ორგანიზმში მცირე ოდენობით მოხვედ-
რა, ან ცოცხალ ორგანიზმზე მისი ზემოქმედება იწვევს სიცოცხლის-
უნარიანობის მკვეთრ დარღვევას, ე. ი. მოწამვლას ან სიკვდილს.
ასეთს მიეკუთვნება: კალიუმციანიდი, ციანიდმჟავა, დარიშხანი,
სტრიქნინი, სხვადასხვა მოდიფიკაციის ვერცხლისწყალი და მათი
შენაერთები. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა ამ კატეგორი-
ის ნივთიერებებს მიაკუთვნებს აგრეთვე გათხევადებული და გაზის
სახის საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებებს (იპრიტი, ფოსტენი,
ბინარული შენაერთები და სხვ.). „ძლიერმოქმედად“ მიჩნეულია
ისეთი ნივთიერება, რომლის მცირე (უმნიშვნელო) დოზით მიღება
იწვევს გართულებებს. შხამიან და ძლიერმოქმედ ნივთიერებების
ნუსხა მოცემულია „სახელმწიფო ფარმაცოლოგიური კრებულის“

„ა“ და „ბ“ სიაში. ძლიერმოქმედი და უხამიანი ნივთიერებები არ მიეკუთვნებიან ნარკოტიკულ ნივთიერებებს. 79-ე მუხლით გათვალისწინებული „იარაღის“ ცნება მოიცავს ისეთ საგნებს, რომლიდანაც დენტის გაზის ძალის გამოყენებით ზდება ტყვიის (ჭურჭის) გასროლა. ასეთი საგნები მეტწილად ლუღიანია. „იარაღებს“ მიეკუთვნება ტყვიამფრქვევი, ავტომატი, შაშხანა, კარბინი, „ბუზუკი“, პისტოლეტი, ნაგანი, გადაჭრილი სანადირო თოფები, სპორტული კუთხვილიანი შაშხანები და პისტოლეტები. მოცემულ შემთხვევაში „ცეცხლსასროლი იარაღი“, როგორც კონტრაბანდის შემადგენლობის ნიშანი, გაგებულა სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, რაც ნიშნავს ქარხნული ან კუსტარული წესით დამზადებულ სპეციალურ მოწყობილობას, რაც ვანკუთენილია ცოცხალი ორგანიზმების დასახიანებლად. ცეცხლსასროლ იარაღებს არ მიეკუთვნება სასტარტო, სამშენებლო და გაზის პისტოლეტები. კითხვაზე — არის თუ არა კონტრაბანდის საგანი დაუკომპლექტებელი ან სპეციალურად დაშლილი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელთაგან მომავალში შეიძლება აიწყოს იარაღის შესაბამისი სახე (ვთქვათ პისტოლეტი ავტომატი და სხვ.) დადებითად უნდა ვუპასუხოთ.

განსახილველი მუხლის მეოთხე ნაწილის ძალით დანაშაულად მიჩნეულია 79-ე მუხლის მეხამე ნაწილით გათვალისწინებულ კონტრაბანდა (იგულისხმება მხოლოდ ნარკოტიკული საშუალებები, ფსიქოტროპული, ძლიერმოქმედი, უხამიანი ან მიამწავლავი ნივთიერებები; აგრეთვე რადიოაქტიური ან ფეთქებადი ნივთიერებები, შეიარაღება, საბრძოლო მასალა, ასაფეთქებელი მოწყობილობა და სამხედრო საქურეელი), ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ.

კანონმდებელი, განსახილველ მუხლში, არ მიუთითებს თუ რა ოდენობის თანხა უნდა მივიჩნიოთ „განსაკუთრებით დიდ ოდენობად“. აქედან გამომდინარე თვით საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი კონტრაბანდული საქონელისა და სხვა ფასეულობათა ფასის, რაოდენობის, დეფიციტურობისა და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით.

რაც შეეხება „განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს“, მის შესახებ ვინაიდან ზაზგასმულია სსკ 44-ე მუხლში, ამდენად მის აქინტერპრეტაციას არ ვახდენთ. „საბრძოლო მასალა“ ის საგნები,

რომლებიც განკუთვნილია სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლისათვის. სახელდობრ, ყოველგვარი ვაზნა, ყუმბარა, ხელყუმბარა და სხვ. დაბოლოს, „სამხედრო საქურველთან“ დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ფართო გაგებით იგი მოიცავს იმ საგნების ერთობლიობას, რაც სამხედრო შეიარაღებასთანაა დაკავშირებით. მას მიეკუთვნება: სამხედრო შეიარაღებისათვის განკუთვნილი იარაღები, ტანსაცმელი, რადიო-ტექნიკური, სატრანსპორტო. საბრძოლო საშუალებები და სხვა¹.

კონტრაბანდა დანაშაულის ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს მიეკუთვნება და იგი დამთავრებულად ითვლება კანონში მითითებული მოქმედების ჩადენის მომენტიდან. შეიძლება აღვიღო კქონდეს მომზადებისა და მცდელობის სტადიებსაც.

კონტრაბანდის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით; პირს შეგნებულ აქვს, რომ სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ ახდენს საქონლის, ეროვნული ვალუტის დიდი ოდენობით, ან სხვა ფასეულობათა გადატანა ან გადმოტანას და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. მოტივი და მიზანი კონტრაბანდის დროს არაა შემადგენლობის კონსტრუქციული ელემენტი და ამდენად ისინი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ ახდენენ. ისინი შეტწილად ანგარებითი ხასიათისაა.

კონტრაბანდის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ასევე თანამდებობის პირი 16 წლის ასაკიდან. კონტრაბანდის სუბიექტზე მითითებულია თვით 79-ე მუხლის დისპოზიციაში (კონტრაბანდა ორგანიზებულ პირთა ჯგუფის მიერ, ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ან პირის მიერ, რომელიც გათავისუფლებულია საბაჟო კონტროლისაგან).

ბ) ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება (სსკ 88-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულადაა შიჩნეული ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლითონის მონეტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოეთის ვალუტის დამზადება გასაღების მიზნით, აგრეთვე გასაღება. მეორე ნაწილის ძალით, და-

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი საქურველად მიიჩნევს იმას, რითაც იჭურვებთან (საბრძოლო იარაღი, შეიარაღება, აღჭურვილობა). იხილეთ დასახელებული ლექსიკონი, მე-6 ტომი, თბ., 1960, გვ. 941.

მამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული იგივე მოქმედება, ჩადენილ ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებისა ან გასაღებისათვის მსჯავრდებული პირის მიერ ან ჩადენილი ხელობის სახით. ქაღალდის ფულის, ლითონის მონეტებისა და ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) სახელმწიფოს განსაკუთრებული უფლებაა, ე. ი. მისი პრეროგატივაა. ფულის ნიშნების გაშვება ბრუნვაში გეგმაზომიერად უნდა წარმოებდეს. მხოლოდ სახელმწიფო აწესრიგებს, თუ რა რაოდენობის ფულის ნიშნები უნდა იყოს ბრუნვაში. საქმე იმაშია, რომ ბრუნვაში გაშვებული ფულის შესატყვისი ეკვივალენტი — ოქროს, ვერცხლის, პლატინისა და სხვა ძვირფასეულობის სახით სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სახელმწიფო ბანკში. ფულის გამოშვების დარგში სახელმწიფო მონოპოლიის დარღვევა უმძიმეს დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის ფულად და საკრედიტო ურთიერთობებს.

მოცემული დანაშაულის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის ფულადი და საკრედიტო სისტემა. დანაშაულის საგნად გვევლინება სახელმწიფო სახაზინო ბილეთები, სახელმწიფო ბანკის ბილეთები, ლითონის მონეტები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები ან უცხოეთის ვალუტა.

სახელმწიფო ფასიან ქაღალდებად მიჩნეულია სახელმწიფოს მიერ გამოშვებული და დაცული დოკუმენტები, რომლის მფლობელობაც მოქალაქეს შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს მასში გამოხატული ქონებრივი უფლება. სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს მიეკუთვნება: სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, საქართველოს რესპუბლიკის საგარეოეკონომიკური ბანკის საგადასახადო დოკუმენტები, ჩეკები, ვექსილები¹, აქციები², კონოსამენტი³, შემ-

1 „ვექსილი“ — გერმანული სიტყვაა და ნიშნავს სათანადოდ გაფორმებულ საეალო ხელწერილს, რომელიც შეიცავს ვალდებულებას გადაიხადონ გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში. ვექსილი იგივე თამასუქია.

2 „აქცია“ — ესაა ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და აძლევს მას დივიდენდის (მოგების წილის) უფლებას.

3 „კონოსამენტი“ — დოკუმენტი, რასაც გადაშრიდავი აძლევს ტვირთის გამგზავნის საზღვაო გადაზიდვის დროს. კონოსამენტი ტვირთის მიღებისა და საზღვაო გადაზიდვისას ხელშეკრულების დადების დამამტყიცებელი საბუთია. იგი საქონელგანმკარგველი დოკუმენტიცაა, რომელიც მის ხელთქონეს აძლევს ტვირთის განკარგვის (გაყიდვის, გაქირავების) უფლებას.

ნახველი სალაროს სერთიფიკატები¹ და სხვა დოკუმენტები.

უცხოეთის ვალუტის სახით შეიძლება წარმოდგეს ქალაღლის ფულადი ნიშნები და ლითონის მონეტები. პასუხისმგებლობა ყალბი უცხოური ვალუტის დამზადებისა და გასაღებისათვის გათვალისწინებულია 1929 წლის 20 აპრილის საერთაშორისო კონვენციით („ყალბი ფულის დამზადებასთან სისხლის სამართლის წესით მკაცრი ბრძოლის შესახებ“). კონვენციის შესაბამისად ყველა სახელმწიფოს მიერ, რომელმაც აღნიშნული კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, დადგენილია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ ფულადი ნიშნების გაყალბებისათვის, რომელიც ამ ქვეყნებში მიმოქცევაშია.

მოცემული დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება დანაშაულებრივი საქმიანობის ორი ფორმით: 1. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადებით და 2. ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების გასაღებით.

პირველი ფორმით ჩადენილი დანაშაული (დამზადება) გამოიხატება სახელმწიფო სახაზინო ბილეთების, სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლითონის მონეტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, უცხოეთის ვალუტის მთლიანად ან ნაწილობრივ დამზადება-გაყალბებაში. დამზადება ან გაყალბება შეიძლება მოხდეს ხელით ან ტექნიკური საშუალებების გამოყენებით (ტიპოგრაფიული, ფოტოგრაფიული და სხვა ხერხებით).

ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების დამზადება თუ რა ხერხით მოხდა ამას დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მისი გათვალისწინება ხდება ბრალის ხარისხის განსაზღვრისა და განსასჯელზე სასჯელის ზომის შეფარდებისას.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ფულადი ნიშნების, ფასიანი ქაღალდების, ლითონის მონეტების ან უცხოეთის ვალუტის დამზადების ან გაყალბების მომენტიდან. მნიშვნელობა არა აქვს იმას, მოახერხა თუ არა ბრალდებულმა ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების გასაღება. შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს დანაშაულის მომზადებასა და მცდელობას.

¹ „სერტიფიკატი“ ფრანგული სიტყვაა და სპეციალური სახელმწიფო სესხის ობლიგაციის სახელწოდების აღმნიშვნელია.

დანაშაულებრივი საქმიანობის მეორე ფორმა — ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების გასაღება, გულისხმობს ყალბი სახელმწიფო სასაზიანო ბილეთების, სახელმწიფო ბანკის ბილეთების, ლითონის მონეტების, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ან უცხოეთის ვალუტის ბრუნვაში გაშვებას. ობიექტურად იგი შეიძლება გამოიხატოს ყალბი ფულის ნიშნით საქონლის შესყიდვაში, სესხად გაცემაში, გაჩუქებაში, ვალის გადახდაში, სახელმწიფო სესხის ობლიგაციის გაყიდვაში, მოგების მიღებაში, ყალბი ფულის დახურდავებასა და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის გასაღების, ე. ი. ბრუნვაში გაშვების მომენტიდან.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. პირს შეგნებული აქვს ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადების ან გასაღების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და სურს ასეთი მოქმედების ჩადენა. ამასთან ერთად დანაშაულის ჩადენის მოტივი ანგარებით, ზოლო მიზანი — მართლაწინააღმდეგი გამდიდრების ხასიათს ატარებს.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან.

88-ე მუხლის მეორე ნაწილის დისპოზიციის ძალით დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეულია ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება იმ პირის მიერ, რომელიც უკვე მსჯავდებული იყო ასეთი ქმედობის ჩადენისათვის ან თუ იგი ჩადენილია ხელობის სახით. ეს უკანასკნელი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება შეადგენს დამნაშავის ძირითად ან არსებითი ხასიათის დამატებით შემოსავლის წყაროს.

სსკ 88-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

§ 6. დანაშაული. რომელიც ხელყოფს ტრანსპორტის მუშაობის უსაფრთხოებას

ა) მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა (სსკ 86-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწილის ძალით დანაშაულად მიჩნეულია რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მუშაობის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები, მარცხი, ავარია ან სხვა მძიმე შედეგი, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის საშუალებათა უზარისხო რემონტი, რასაც მოჰყვა იგივე შედეგები. ამავე მუხლის მეორე ნაწილის ძალით დანაშაულად მიჩნეულია იგივე ქმედობა, თუ მას არ მოჰყოლია ასეთი შედეგი, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობილ ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს.

მოცემული დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლოატაციის წესების უზრუნველყოფასთან. ეს დანაშაული ყოველთვის დაკავშირებულია იმ ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობასთან, რომლითაც რეგულირებულია ზემოაღნიშნული სახის ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოება და ექსპლოატაციის წესები. ამ წესებს მიეკუთვნება: რკინიგზის ტექნიკური ექსპლოატაციის წესები, ინსტრუქცია სიგნალიზაციის შესახებ, რკინიგზებზე მატარებლების მოძრაობის ინსტრუქცია, საზღვაო და სამდინარო გემებზე სამსახურის წესდება, გემის მართვის წესები, საჰაერო კოდექსი, ფრენის წარმოების წესები და სხვ. დასახელებული სამართლებრივი აქტები დინამიურია, რაც განპირობებულია მოძრაობის შემადგენლობების განვითარებითა და სრულყოფით. ამრიგად, განსახილველი დანაშაულის ობიექტად გვევლინება მხოლოდ რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოება და ექსპლოატაციის წესები. ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის სხვა მხარეები მოცემული დანაშაულის ობიექტად არ გვევლინება. მაგალითად, მგზავრთა მომსახურების არასწორი ორგანიზაცია, ტვირთების დაუცველობა დატაცებისა ან გაფუჭებისაგან და ა. შ.,

იწვევს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას არა 86-ე, არამედ სხვა მუხლებით.

დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს: 1. რკინიგზის, წყლისა ან საპაერო ტრანსპორტის მუშაის მიერ მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციის და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტს; 2. მძიმე შედეგების დადგომას — რასაც მოპყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები, მარცხი, ავარია ან სხვა მძიმე შედეგი (86-ე მუხლის პირველი ნაწილი), ანდა ასეთი შედეგების დადგომის საფრთხის შექმნას (86-ე მუხლის მეორე ნაწილი); 3. მიზეზობრივი კავშირის არსებობას მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას, უხარისხო რემონტსა და კანონით გათვალისწინებულ მძიმე შედეგებს შორის.

86-ე მუხლის დისპოზიცია ბლანკეტურია. იმის გასარკვევად, თუ რა სახის მოძრაობის უსაფრთხოებასა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ნორმატიულ აქტებს, რომლითაც რეგულირებულია დასახელებულ ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოება და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები. დეტალურ გამოვლენასა და დადგენას ექვემდებარება ისიც, თუ მოქმედი წესების რომელი მუხლი ან მუხლის ნაწილია (პუნქტი) დარღვეული! ამასთან მნიშვნელობა არა აქვს ტრანსპორტს უწყებრივ კუთვნილებას, ე. ი. თუ რომელ უწყებას ეკუთვნის ტრანსპორტი.

მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს, როგორც აქტიურ მოქმედებაში, ასევე უმოქმედობაში. დანაშაულებრივ მოქმედებასთან გვექნება საქმე ისეთ შემთხვევაში, როგორც არის, მაგალითად, ელმავლის მემანქანის, გემის კაპიტნის ან მფრინავის (პილოტის) მიერ დაუშვებელი სიჩქარის განვითარება; გემზე, ვაგონებში ან თვითმფრინავში ტვირთის უსწორო განაწილება და ა. შ.; ხოლო უმოქმედობასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა სამუშაოს მწარმოებე-

1 ანალოგიურად უნდა მოვიკეთოთ სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტის ფაქტთან დაკავშირებით.

ლი პირი შესაბამის ადგილზე გამაფრთხილებელ ნიშნებს არ დგამს, შატარებლის უფროსი ან გემის კაპიტანი ხანძარსაწინააღმდეგო წესებს არ ატარებს და ა. შ. „წესების დარღვევა“ ნიშნავს ბრალდებულთა მიერ იმ დადგენილი ნორმების დაუცველობას, რომლითაც რეგულირებულია გზების, მოძრავი შემადგენლობების, გემების, შფრინავი აპარატების ექსპლოატაცია, აგრეთვე რკინიგზის ბაქანზე, გემის ტრიუმში, თვითმფრინავში ტვირთის განლაგების წესი და სხვ. წესების დანაშაულებრივი დარღვევა შეიძლება დაშვებულ იქნას როგორც სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, ასევე მათი ტექნიკური გამართვის პროცესში.

სატრანსპორტო საშუალებების, გზების, ჰიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტი დანაშაულის შემადგენლობას ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს საშუალებები ექსპლოატაციაშია გადაცემული. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ ასეთ სიტუაციაში (უხარისხო რემონტის შედეგად) იქმნება კონკრეტული საფრთხე მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციისათვის.

მნ-ე მუხლის პირველი ნაწილით დანაშაულის კვალიფიკაციისას მძიმე შედეგები — ესაა ამ დანაშაულის მატერიალური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი. კანონი მას მიაკუთვნებს: ადამიანთა უბედურ შემთხვევებს, მარცხს, აჯარის ან სხვა მძიმე შედეგს.

„ადამიანთა უბედური შემთხვევები“ ნიშნავს როგორც დაზარალებულის სიკვდილს, ასევე მისი სხეულის მძიმე დაზიანებას. დაზარალებულთა რაოდენობა დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს, თუმცა სასამართლო ამ საზნის ფაქტს ინვალისწინებს სასჯელის ზომის განსაზღვრისას. ვინაიდან მნ-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია მოიცავს სიკვდილს ან სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებას, ამდენად დამატებითი კვალიფიკაცია პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან საჭირო არაა. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა გამოიყენება როგორც საშუალება ადამიანის მოსაკლავად ან სხეულის მძიმე დაზიანების მისაყენებლად, ამ დროს კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობას წესით (სსკ მნ-ე და პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით).

„მატარებლის მარცხი“ უნდა გავიგოთ სამგზავრო მატარებლის დაჯახება სხვა მატარებლებთან ან მოძრავ შემადგენლობასთან (მუხუხედავად შედეგისა); სატვირთო მატარებლების რელსებიდან ამოვარდნა და მათი დაჯახება მოძრავ შემადგენლობასთან გადასარბენებზე და სადგურებში; მოძრავი შემადგენლობების ურთიერთშეჯახება და რელსებიდან ამოვარდნა მანევრირებისა და ეპკირების დროს, რასაც შედეგად მოჰყვება ადამიანთა უბედური შემთხვევები — დაღუპვა, დაზიანება; ვაგონების, ელმავლების, ორთქლმავლების დამტვრევა-დაზიანება; სავალ მონაკვეთზე მიმოსვლის შეჩერება ექვს საათზე მეტი ხნით და სხვ.

„გემის მარცხად“ ითვლება ისეთი ავარიული შემთხვევა. რასაც შედეგად მოჰყვება გემის დაღუპვა ან მისი სრული კონსტრუქციული დაშლა.

„ავარიას“, როგორც მძიმე შედეგის სახეს, აქვს თავისი განმარტება რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტთან მიმართებაში.

„კატასტროფა“ — ესაა საავიაციო შემთხვევა, რომლის დროსაც: ა) რომელიმე პირი, რომელიც იმყოფება თვითმფრინავში იღუპება ან ღებულობს სასიკვდილო ხასიათის სხეულის დაზიანებებს; ბ) საჰაერო ხომალდი, რომელშიც მგზავრებია, უკვალოდ იკარგება და მასზე ოფიციალური ძებნა არ წარმოებს.

„სხვა მძიმე შედეგებად“ — რაც მოჰყვება მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას, ასევე სატრანსპორტო საშუალებების, გზების, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უხარისხო რემონტს — საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა მიიჩნევს: მნიშვნელოვანი ხასიათის ტვირთების დაღუპვასა და დაკარგვას; მატარებლის, გემებისა და თვითმფრინავების მოძრაობის ხანგრძლივ შეწყვეტას, მათი მოძრაობის განრიგის სერიოზულ დარღვევას და ა. შ. საკითხი „სხვა მძიმე შედეგების“ რაოდენობრივ და თვისობრივ შეფასებაზე წყდება სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

განსახილველი დანაშულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია თუნდაც ერთ-ერთი იმ შედეგის დადგომა, რაც მითითებულია მ-6-ე მუხლის პირველ ნაწილში. მ-6-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას საფრთხის შემქმნელა

დელიქტისათვის, ე. ი. მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევას მართალია არ მოჰყვება 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მძიმე შედეგები, მაგრამ იგი წინასწარი შეცნობით ქმნის ასეთი შედეგების დადგომის საფრთხეს. ასეთი შემთხვევების არსებობისას უნდა დადგინდეს, რამდენად რეალური იყო საფრთხე და როგორი შედეგებო შეიძლება მოჰყოლოდა მას.

სუბიექტური მხრივ განსახილველი დანაშაული ხასიათდება როგორც განზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით. განზრახი ბრალის დროს პირს შეგნებული აქვს მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევის ფაქტი, ითვალისწინებს შედეგებს და სურს ყოველივე ეს (პირდაპირი განზრახვა). ანდა არ სურდა ეს შედეგები, მაგრამ შეგნებულად უშვებდა მათ დადგომას (არაპირდაპირი განზრახვა). პრაქტიკაში მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა მეტწილად ხდება გაუფრთხილებლობით — როგორც თვითიმედოვნების, ასევე დაუდევრობის სახით.

მძიმე შედეგების მიმართ ბრალი შეიძლება გამოიხატოს როგორც განზრახვაში, ასევე გაუფრთხილებლობაში. პრაქტიკაში, დამდგარი შედეგის მიმართ, ბრალის გაუფრთხილებელ ფოომას წამყვანი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება 86-ე მუხლის პირველ ნაწილით გათვალისწინებულ შედეგებთან განზრახი ბრალის დამოკიდებულებას, იგი იშვიათად გვხვდება.

86-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედობა კვალიფიცირდება იმ შემთხვევაში, როცა ტრანსპორტის მუშაკის მიერ დარღვეულია მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესები, რაც რეალურ საფრთხეს ქმნის იმ შედეგების დადგომისათვის, რაც აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილშია გათვალისწინებული, მაგრამ ამა თუ იმ გარემოებათა მიხედვით, მაგალითად, სხვა პირის მხრივ სიფხიზლისა და გამჭრიახობის გამოჩენით, მათ დადგომა თავიდან იქნა აცილებული. ე. ი. თვით ფაქტი მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევის, თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა მძიმე შედეგება (ადამიანთა უბედური შემთხვევების, მარცხის, ავარიის) დადგომის საფრთხეს — დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

სუბიექტი განსახილველი დანაშაულის, როგორც ამის შესახებ ზახგასმულია 86-ე მუხლში, შეიძლება იყოს მხოლოდ რკინიგზის, წყლის ან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკი, ე. ი. აქ საქმე გვაქვს სპეციალურ სუბიექტთან.

რკინიგზის მუშაკებად გვევლინებიან: მემანქანეები, მატარებლების შემდგენლები, სადგურის მორიგეები, დისპეტჩერები, მეიარეები, გამცილებლები და სხვ.

წყლის ტრანსპორტის მუშაკებს მიეკუთვნება: ზღვისა და სამდინარო გემების კაპიტნები, კაპიტნის თანაშემწეები, შტურმანები, მექანიკოსები, ელექტრომექანიკოსები, მექანიკოსების თანაშემწეები, რადიოოპერატორები, რადისტები და სხვ.

საჰაერო ტრანსპორტის მუშაკებია: საჰაერო ხომალდების კომანდირები, შტურმანები, პილოტები, დისპეტჩერები და სხვა პირები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია თვითმფრინავების ფრენასთან, მათ რემონტსა და ექსპლოატაციასთან.

სსკ 86-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თხუთმეტ წლამდე; მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

ბ) საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა (სსკ 86-ე მუხლი). ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად დანაშაულად მიჩნეულია: საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საჰაერო ხომალდის მართვისას იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან საჰაერო ტრანსპორტის მუშაკები, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებისას ან სხვა საქმიანობის განხორციელებისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საჰაერო სივრცეში აზიდვასთან, გადაადგილებასთან ან გაშვებასთან, რამაც გამოიწვია ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგი. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამამძიმებელ გარემოებად ითვლება: იგივე ქმედობა, თუ მას არ მოჰყოლია განსახილველი მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგები, მაგრამ თუ იმ წინასწარი შეცხობით კმობიდა ასეთი სახის შედეგების დადგომის საფრთხეს.

ამ დანაშაულის ობიექტია საქართველოს რესპუბლიკის საპაე-
რო სივრცის გამოყენების დადგენილი წესები.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება საქართველოს
რესპუბლიკის საპაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა-
ში. სახელდობრ, საპაერო ხომალდის მართვისას, რაკეტების გაშვე-
ბისას, ყველანაირი სროლისას, ასაფეთქებელი სამუშაოების წარ-
მოებისას ან სხვა საქმიანობის განხორციელებისას. გასათვალისწი-
ნებელია ისიც, რომ ყოველივე აღნიშნული დაკავშირებული უნდა
იყოს მატერიალური ობიექტების საპაერო სივრცეში აზიდვასთან,
გადაადგლებასთან ან გაშვებასთან და რამაც უნდა გამოიწვიოს
ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები, ან რა-
საც არ მოჰყვება ასეთი შედეგები, მაგრამ თუ ის წინასწარი შეც-
ნობით ქმნის აღნიშნული შედეგების დადგომის საფრთხეს (86'-ე
მუხლის მეორე ნაწილი). მოცემული მუხლის დისპოზიცია ბლანკე-
ტურია; იმის გასარკვევად საპაერო სივრცის გამოყენების თუ რა
წესების დარღვევას ჰქონდა ადგილი, უნდა მივმართოთ სხვადასხვა
სახის ნორმატიულ აქტებს, რომლითაც რეგულირებულია საპაერო
სივრცის გამოყენება.

საქართველოს რესპუბლიკის საპაერო სივრცის გამოყენების
წესების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში,
ასევე უმოქმედობაში.

განსახილველი მუხლი, დანაშაულის მატერიალურ შემადგენ-
ლობათა რიცხვს მიიკუთვნება, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ქმე-
დობის განხორციელებას, შედეგის დადგომას და მიზეზობრივ
კავშირის არსებობას ქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის (იგუ-
ლისხმება 86'-ე მუხლის პირველი ნაწილი).

„ადამიანთა უბედური შემთხვევები“ გულისხმობს როგორც
დაზარალებულის სიკვდილს, ასევე მისი სხეულის მძიმე დაზიანე-
ბას. დაზარალებულთა რაოდენობა დანაშაულის კვალიფიკაციაზე
გაეყენას არ ახდენს, თუმცა სასამართლო ყოველივე ამას ითვა-
ლისწინებს სასჯელის ზომის განსაზღვრისას.

„სხვა მძიმე შედეგად“ უნდა მივიჩნიოთ ისტორიული ხასიათის
ძიგლობის დაზიანება და განადგურება, აშენებული და მშენებარე
ობიექტების დანგრევა, დიდი რაოდენობით პირუტყვისა და სოფ-
ლის მიწურნეობის პროდუქტების მოსპობა-დაზიანება და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება თუნდაც ერთ-ერთი იმ

შედგის დადგომისას, რაც მითითებულია 861-ე მუხლის პირველ ნაწილში. მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა დამთავრებულია ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მას არ მოჰყოლია პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგები, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ასეთი შედეგების დადგომის საფრთხეს. ასეთი შემთხვევების, ე. ი. საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობისას უნდა დადგინდეს, რამდენად რეალური იყო საფრთხე და როგორი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მას.

სუბიექტური. მხრივ დანაშაული ხასიათდება, როგორც გამზრახი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალით. განზრახი ბრალის დროს პირს შეგნებული აქვს საპაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა, ითვალისწინებს იმ შედეგებს, რაც მოჰყვება ასეთ მოქმედებას და სურს იგი (პირდაპირი განზრახვა) ან არ სურს ასეთი შედეგები, მაგრამ მაინც შეგნებულად უშვებს მათ დადგომას (არაპირდაპირი, ანუ იგივე ირიბი, ევენტუალური განზრახვა). საპაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა მეტწილად გაუფრთხილებლობით ხდება (მხედველობაში გვაქვს მისი ორივე ფორმა: თვითიმედოვნება და დაუღვერობა). მძიმე შედეგთან დამოკიდებულებაში ბრალი შეიძლება გამოიხატოს მის ორივე ფორმაში, მაგრამ აქედან წამყვანი ადგილი მაინც გაუფრთხილებელ ბრალს ეკუთვნის, განზრახი ბრალი კი იშვიათად დომინირებს.

განსახილველი დანაშაულის, საპაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევის სუბიექტია, როგორც ამის შესახებ ხაზგასმულია 861-ე მუხლის დისპოზიციაში, ის პირები, რომლებიც არ არიან საპაერო ტრანსპორტის მუშაკები და რომლებიც ახორციელებენ რაკეტების გაშვებას, ყველანაირ სროლას, ასაფეთქებელი სამუშაოების წარმოებას ან სხვა საქმიანობას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საპაერო სივრცეში აზიდვასთან. გადაადგილებასთან ან გაშვებასთან.

სსკ 861-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე, ხოლო მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

გ) რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების და ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება (სსკ 87-ე მუხლი).

ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულად მიჩნეულია: რკინიგზების, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობების ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების განზრახ დანგრევა ან დაზიანება, რამაც საფრთხე შეუქმნა რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტების მუშაობის უსაფრთხოებას. მეორე ნაწილის ძალით, დამამძიმებელი გარემოება: იგივე ქმედობა, რომელსაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საჰაერო ხომალდის, საბაგირო გზის ან ენერგეტიკული ობიექტის ავარია, რასაც ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია. მესამე ნაწილი ითვალისწინებს 87-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ ქმედობას, რასაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საჰაერო ხომალდის, საბაგირო გზის ან ენერგეტიკული ობიექტის ავარია ადამიანის მსხვერპლით.

რკინიგზის, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობების ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების განზრახ დანგრევა ან დაზიანება რეალურ საფრთხეს ქმნის იმისას, რომ მოხდეს ავარია, მარცხი, ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მიადგეს არსებითი ზიანი და სხვ.

მოცემული დანაშაულის ობიექტს ქმნის საზოგადოებრივ ურთიერთობები რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტების მუშაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის ობიექტია ზემოდანახელებული სატრანსპორტო საშუალებებისა და ენერგეტიკული ობიექტების სწორი, ნორმალური საქმიანობა (მუშაობა). ხელყოფის საგანია თვით სატრანსპორტო საშუალებები (ორთქმავალი, ელმავალი, თბომავალი, ვაგონები, საჰაერო ხომალდები, სამდინარო და საზღვაო გემები და ა. შ.), გზები (რელსები, საბაგირო გზები, ისრის გადამყვანები, ხიდები, გვირაბები, რაბები¹), გზაზე მოწყობილობა — დანადგარები (ესტაკა-

1 რაბი — ესაა: 1. ნაგებობა, რომლის საშუალებითაც, გემები გადაჰყავთ მდინარის ან არხის ერთი უბნიდან მეორეში, სადაც წყლის დონე განსხვავებულია; 2. მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ჩაქეტავენ ან მიუგდებენ წყალს არხში.

დები¹: რადიოლოკატორები² და სხვა), კავშირისა და სიგნალიზაციის საშუალებები (ავტოგამომრთველების სისტემები, სატელეფონო და სატელეგრაფო გაყვანილობები, შუქნიშნები და ა. შ.) და სხვ. ტრანსპორტზე სხვა ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (ადმინისტრაციული შენობის, სადგურის, ნავმისადგომის, საწყობის და სხვ.), რასაც არ შეეძლო დაერღვია ტრანსპორტის ნორმალური მუშაობა, უნდა დაკვალიფიცირდეს არა 87-ე, არამედ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის თავიდან შესაბამისი მუხლით.

დანაშაულის ობიექტურ მხარეს ქმნის განსახილველი მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობები. სახელდობრ, რკინიგზის, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობების ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების განზრახ განადგურება ან დაზიანება (რამაც აუცილებლად საფრთხე უნდა შეუქმნას რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტების მუშაობის უსაფრთხოებას), ასევე ავარია, რასაც ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, სხვა შემთხვევაში რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა.

იმ შემთხვევაში თუ რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების ან ენერგეტიკული ობიექტების განზრახ განადგურება ან დაზიანება, საფრთხეს არ უქმნის 87-ე მუხლში აღნიშნული ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტების მუშაობის უსაფრთხოებას (მაგალითად, ნავიგაციის შეწყვეტი³ შემდეგ სიგნალიზაციის საშუალებათა განადგურება, ასევე რკინიგზის უმოქმედო მონაკვეთზე გზის დაზიანება და ა. შ.), ასეთ შემთხვევაში ქმედობა კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით, ან იგი განიხილება როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

¹ ესტაკადა — ესაა ხიდისებური ნაგებობა, რომელზედაც გაყვანილია გზა (ზშირად რკინიგზა); იუენებენ მშენებლობებზე, სამრეწველო საწარმოებში, ქალაქებში, ნავსადგურებში და სხვ.

² რადიოლოკატორი — რადიოლოკაციისათვის საჭირო მოწყობილობაა. რადიოლოკაციით (რადიოტალღების მეშვეობით) ხორციელდება სხვადასხვა ობიექტების აღმოჩენა და მათი იდგილმდებარეობის დადგენა.

რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საწვალუბების და ენერგეტიკული ობიექტების განზრახ დანგრევა იმეო გამოხატება, რომ სათანადო მოწყობილობები და მექანიზმები სავსებით უვარგისი ხდება ექსპლოატაციისათვის; რაც შეეხება მათ რემონტს — იგი შეუძლებელია, ან ეკონომიკურად მიზანშეწონილი არაა. 87-ე მუხლში დასახელებული საგნების დაზიანებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შემთხვევები, როცა მათი გამოყენება დანიშნულებისამებრ შეუძლებელია წინასწარი რემონტის გარეშე.

87-ე მუხლით გათვალისწინებული საგნების დანგრევა ან დაზიანება, როგორც ამას გვიჩვენებს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, ხდება სხვადასხვა ხერხების გამოყენებით. კერძოდ, რელსების შემაერთებლების მოხსნით; რკინიგზის ხიდების, გადასასვლელების, ასევე საფრენი მოედნების მწყობრიდან გამოყვანით; იმ მოწობილობა-დანადგარების განადგურებითა და დაზიანებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მოძრაობის უსაფრთხოება აეროდრომებზე, რკინიგზაზე, საბაგირო გზაზე, ენერგეტიკულ ობიექტზე და ა. შ.

სსკ 87-ე მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი შემთხვევები, როგორცაა რკინიგზაზე ან საფრენ ზოლზე სხვადასხვა მყარი საგნების დადება, რაც არსებითად ხელს უშლის მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას და რამაც შეიძლება გამოიწვიოს კანონში აღნიშნული დანაშაულებრივი შედეგები. ამ სახის დანაშაულო ასევე შეიძლება ჩადენილ იქნას სარკინიგზო ისრების არასწორ მდგომარეობაში გადაყვანით; ცალკეული სანავიგაციო ხელსაწყოებისა და მექანიზმების გამორთვით ან არამუშა რეჟიმზე მათი გადაყვანით, ცრუ სიგნალების მიცემით, რითაც რეგულირდება მდინარეში მყოფი გემების უსაფრთხო გადაადგილება და სხვ.

დანაშაული დამთავრებულად ითვლება რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების ან ენერგეტიკული ობიექტების განზრახ დანგრევის ან დაზიანების მომენტოდან, თანაც აეთმა ქმედობამ აუცილებლად უნდა შეუქმნას საფრთხე რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტების მუშაობის უსაფრთხოებას. მეორე ნაწილის ძალით დანაშაული დამთავრებულად ითვლება 87-ვ მუხლში აღნიშნული საგნების დანგრევა-დაზიანების მომენტიდან, რასაც ავარია უნდა მოჰყვეს, მაგრამ აღამიანთა მსხვერპლის გარეშე. მე-

სამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაული დამთავრებულად ითვლება თუ 87-ე მუხლში დასახელებული საგნების დანგრევასა ან დაზიანებას ავარია მოჰყვა დამიანის მსხვერპლით.

სუბიექტური მხარე განსახილველი დანაშაული ხასიათდება განზრახვი ბრალით, რაზედაც პირდაპირაა მითითებული 87-ე მუხლის პირველ ნაწილში. ბრალდებულს შეგნებული და გათვალისწინებული აქვს, რომ ანგრევს და აზიანებს იმ საგნებსა და საშუალებებს, რაც საფრთხეს შეუქმნის რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტების ნორმალურ მუშაობას და სურს ასეთი შედეგის დადგომა (პირდაპირი განზრახვა) ან არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს მის დადგომას (არაპირდაპირი განზრახვა).

არ შეიძლება დავეთანხმოთ სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულ თვალსაზრისს იმაზე, რომ 87-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს თვით მოქმედების მიმართ (დანგრევა ან დაზიანება) განზრახვაში, ხოლო შედეგის მიმართ (გემის, მატარებლის, ენერგეტიკული ობიექტის ავარია და სხვ.), როგორც განზრახვაში, ასევე გაუფრთხილებლობაში. ასეთი მტკიცების ავტორებს მექანიკურად გადმოაქვთ ბრალის შერეული ფორმა, რაც დამახასიათებელია 86-ე მუხლისათვის (მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა), 87-ე მუხლით გათვალისწინებულ შემადგენლობაზე: ისინი არ ითვალისწინებენ იმასაც, რომ 86-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის მიმართ კანონმდებელი არ მიუთითებს ბრალის კონკრეტულ ფორმას, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ამ დანაშაულის დროს შესაძლებლად მივიჩნიოთ როგორც განზრახვი, ასევე გაუფრთხილებელი ბრალის არსებობა. სხვაგვარადაა საქმე 87-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობასთან დაკავშირებით, სახელდობრ, კანონმდებელი ამ მუხლში ხაზს უსვამს განზრახვი ბრალის არსებობას, რაც თანაბრად შეეხება როგორც თვით ქმედობას ასევე შედეგებს. აქედან გამომდინარე მტკიცება იმის შესახებ, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედობის დროს თითქოსდა შესაძლებელი იყოს შედეგის მიმართ გაუფრთხილებელი ბრალის არსებობა — აშკარა წინააღმდეგობაშია კანონთან.

განსახილველი დანაშაულის ჩადენის მოტივები შეიძლება იყოს შურისძიება, ანგარება, ხულიგნური ქვენაგრძნობა და სხვ.

თუ რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების ან ენერგეტიკული ობიექტების განზრახ დანგრევა ან დაზიანება მიზნად ისახავს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ძირის გამოთხრას ან შესუსტებას, ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგება დივერსიისათვის (მუხლი 69-ე).

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოეთის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი 16 წლის ასაკიდან (ასევე ტრანსპორტის მუშაიცი, თუ იგი ამ დანაშაულს ჩადის თავის სამსახურებრივ მოვალეობასთან კავშირის გარეშე). სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირის განზრახ მოქმედებას შეეძლო გამოეწვია მატარებლის მარცხი (იხ. სსკ მე-12 მუხლი).

სსკ 87-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე. მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული კი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით. რაც შეეხება მესამე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს იგი — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

§ 7. დანაშაული, რომელიც ხელუფას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ნორმალურ საქმიანობას სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილვებასთან დაკავშირებით

ა) სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა (სსკ 90-ე მუხლი), ამ მუხლით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა განუცხადებლობისათვის იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია 65-ე (სამშობლოს ღალატი), 66-ე (ჯაშუშობა), 67-ე (ტერორისტული აქტი), 68-ე (ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ), 69-ე (დივერსია), 70-ე (მავნებლობა), 73 (ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა), 78-ე (ბანდიტიზმი) და 88-ე (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადე-

ბა ან გასაღება) მუხლებით გათვალისწინებული სახელმწიფო დანაშაული. სხვა სახის სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ იწვევს, თუმცა, ცხადია, იმსახურებს მორალურ (ზნეობრივ) გაკიცხვას.

განსახილველი დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ნორმალურ საქმიანობასთან სახელმწიფო დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის ობიექტია საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების სწორი საქმიანობა, მიმართული სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა დროულად მხილებსა და პასუხისგებაში მიცემისათვის.

განუცხადებლობის ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, ე. ი. სახელმწიფო ორგანოებსა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ასევე თანამდებობის პირებისათვის იმ უტყუარი ცნობების მიუწოდებლობაში, რომ მზადდება ან ჩადენილია 90-ე მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფო დანაშაული. ცნობების მიწოდების ადრესატი მარტო სამართალდამცავი ორგანოებით (სასამართლო, პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და ა. შ.) არ ამოიწურება, ასეთი როლი შეიძლება შეასრულოს სხვა სახელმწიფო ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, მათმა თანამდებობის პირებმა და ა. შ. თუ პირმა, რომელმაც იცის რომ ნამდვილად მზადდება ან ჩადენილია სახელმწიფო დანაშაული, აცნობა არა ხელისუფლების წარმომადგენელს, არამედ სხვა თანამდებობის პირს, რომელიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის ძალით მოვალე იყო ეცნობებინა ხელისუფლების ორგანოსათვის, ასეთ შემთხვევაში განუცხადებლობისათვის პასუხისმგებლობა — იმ პირის მიმართ, რომელმაც აცნობა დანაშაულის მზადებისა ან ჩადენილი დანაშაულის შესახებ — გამორიცხულია.

პირის ცოდნა იმაზე, რომ მზადდება ან ჩადენილია სახელმწიფო დანაშაული უნდა იყოს უტყუარი (მაგალითად, ბრალდებული ჩადენილი დანაშაულის თვითმხილველი იყო; გაიგო დამნაშავეებისაგან საიდუმლო თათბირის ჩატარების შესახებ, სადაც მიზნად დანისახეს ხელისუფლების დამხობა; პირადად ნახა მათი ეპიკირება, ე. ი. ანჩისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ყველა საკირო ნივთით მომარაგება და ა. შ.).

შეტყობინება იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია სახელმწიფო დანაშაული, უნდა მოხდეს უმოკლეს ვადაში. განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია დანაშაულის მომზადებაზე. ობიექტურად დროის ეს პერიოდი გრძელდება დამნაშავის გამოძვლავების მომენტამდე. სუბიექტურად დროს მოცემული პერიოდი გრძელდება იმ მომენტამდე, სანამ ის პირი, ვინც არ განაცხადა, არ შეიტყობს, რომ დანაშაულის ჩადენის ფაქტი ცნობილია ხელისუფლების ორგანოებისათვის და რომ დაწყებულია გამოძიება.

განუცხადებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია თუ შეუტყობინებლობა, სახელმწიფო დანაშაულის შესახებ, საპატიო მიზეზის შედეგი იყო (მაგალითად, მძიმე ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება, უკიდურესი აუცილებლობა და სხვ.).

90-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო დანაშაულის მზადების ან ჩადენილი სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობის მომენტიდან; ე. ი. მოცემული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და მისი ჩადენა ხდება უმოქმედობით.

მოცემული დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს შეგნებული აქვს თავისი უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რაც დაკავშირებულია სათანადო ორგანოებში დანაშაულის განუცხადებლობასთან, და სურს ასეთი უმოქმედობა.

მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს: შიში (ბოროტმოქმედის მხრიდან შურისძიებისა), ანგარება, ნათესაური გრძნობა, დამნაშავესთან იდეური „სოლიდარობა“, „მეგობრული“ გრძნობის; ცრუ გაგება და ა. შ.

განუცხადებლობისას ბრალდებული მიზნად ისახავს ფულისა და სხვა ქონებრივი სარგებლობის მიღებას; თავისი სიცოცხლისა ჯანმრთელობის უზრუნველყოფას; ახლო ადამიანის ან ნათესავის დაცვას ცუდი შედეგებისაგან, სახელდობრ, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემასთან და სხვ.

სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოეთის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც მიაღწია 16 წლის ასაკს. დანაშაულის სუბიექტად შეიძლება ცნობილ იქნას ასევე დანაშაულის ჩადენით დაზარალებული პირი (მაგალითად, დაზარალებულმა იცის თუ ვინ განახორციელა მასზე ტერორისტული აქტი და არ აცხადებს ამის შესახებ სათანადო ორგანოში).

სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.

ბ) სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა (სსკ 101-ე მუხლი). მოცემული მუხლი ადგენს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას წინასწარ შეპირების გარეშე იმ სახელმწიფო დანაშაულის დაფარვისათვის, რაც გათვალისწინებულია 65-ე (სამშობლოს დაცვა), 66-ე (ჯაშუშობა), 67-ე (ტერორისტული აქტი), 68-ე (ტერორისტული აქტი უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ), 69-ე (დივერსია), 70-ე (მაგნებლობა), 73-ე (ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა), 78-ე (ბანდიტიზმი), 79-ე (კონტრაბანდა) და 88-ე (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება) მუხლებით.

განსახილველი დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლის საქმეში სამართალდამცავი ორგანოების ნორმალური საქმიანობა. სხვანაირად თუ ვიცუვიო, ამ დანაშაულის ობიექტია სამართალდამცავი ორგანოების სწორი მუშაობა, მიმართული სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოსამუდვენებლად და პასუხისგებაში მისაცემად; ან კიდევ — საზოგადოებრივი ურთიერთობები, დაკავშირებული სამართალდამცავი ორგანოების ნორმალურ საქმიანობასთან სახელმწიფო დანაშაულთან ბრძოლის სფეროში.

ობიექტური მხრივ დანაშაული გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში და მოიცავს: ა) დამნაშავის (ამსრულებლის, ორგანიზატორის, წამქეზებლის, დამხმარის), ბ) დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების და გ) დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნის საგნების დაფარვას.

კანონმდებელი სახელმწიფო დანაშაულის დაფარვას, საზოგადოებრივი საშიშროების მხრივ, უფრო მძიმე დანაშაულად მიიჩნ

ნებს, ვიდრე განუცხადებლობას, რაზედაც მიუთითებს კმედობის ზემოდანსახელებული ობიექტური მხარის ნიშნები და მუხლის სანქცია.

90¹-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ისეთი დაფარვისათვის, რაც წინასწარ შეპირებული არ ყოფილა, ე. ი. დაფარვა განხორციელდა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს წინასწარ შეპირებულ, ე. ი. დანაშაულის ჩადენამდე, დაფარვას, ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ თანამონაწილეობაზე და არა 90¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დანაშაულზე (სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა).

დამნაშავეის დაფარვა შეიძლება გამოიხატოს მისთვის თავშესაფარის მიცემაში ან სხვა პირობების შექმნაში, რაც ართულებს მის დაძებნასა და ამოცნობას (მაგალითად, ყალბი დოკუმენტებით მომარაგება, სხვა ტანსაცმელში გამოწყობა, სატრანსპორტო საშუალებების მიცემა მდევრებისაგან თავის დაღწევის მიზნით. გრიზისა და პლასტიკური ოპერაციის გაკეთება და სხვ.).

დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების დაფარვა შეიძლება გამოიხატოს სპეციალურ საცავებში მათი ფიზიკური დამალვით, სხვა პირებზე გადაცემით, აგრეთვე განადგურებით, დაშლით, შენიღბვით და სხვ.

დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნა ავნების დაფარვა ხორციელდება სხვა პირებზე გადაცემით, ბახარსე ან საკომისიო მალაზიებში რეალიზაციით, ჩუქებით, გაცვლით, სპეციალური სამალავების მოწყობითა და მასში დამალვის გზით და ა. შ.

სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა დამთავრებულად ითვლება მისი დაფარვის მომენტიდან. პირის შემდგომი აქტიური მოქმედება, მიმართული მიყენებული ზარალის თავიდან ასაცილებლად, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა და იგი მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველი შეიძლება გახდეს.

წინასწარ შეუპირებელი დაფარვა, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულთა ერთობლიობის წესით:

დაფარვა (სსკ 90¹-ე) და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186-ე მუხლი).

განსხვავება სახელმწიფო დანაშაულის დაფარვასა და სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობას შორის ძირითადად ობიექტურ მხარეშია. განუცხადებლობა გულისხმობს პასიურობას, უმოქმედობას იმ პირის მხრივ, რომელმაც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია სახელმწიფო დანაშაული. რაც შეეხება დაფარვას, იგი გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში (მაგალითად, დამნაშავეის, დანაშაულის კვალის, დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნების დაფარვა).

სუბიექტური მხრივ დანაშაული ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. ბრალდებულს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის დაფარვასთან, და სურს მისი ჩადენა.

მოტივი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს: ანგარებითი ქვენაგრძნობა, ნათესაური გრძნობა, შურისძიების შიში, დანაშაულებრივი სოლიდარობა (თანამოაზრეობა) და სხვ.

სახელმწიფო დანაშაულის დაფარვას, ობიექტური ნიშნების მიხედვით, გარკვეული მსგავსება გააჩნია სამშობლოს ღალატთან; სახელდობრ მაშინ, როცა სამშობლოს ღალატის ჩადენა ხდება უცხოეთის სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევის ფორმით საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში. ეს მსგავსება თვალშისაცემია, როცა სახეზე გვაქვს უცხოეთის დაზვერვის აგენტურის, დივერსანტების, ტერორისტების, სპეცსამსახურის, რეზიდენტების, ემისიების, მეკავშირეებისა და სხვათა დაფარვის ფაქტი. ამ ქმედობათა გასამიჯნავად საჭიროა დადგინდეს ხელყოფის ობიექტი. სამშობლოს ღალატისას სუბიექტი ხელყოფს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ან სახელმწიფო უშიშროებასა და თავდაცვისუნარიანობას, ხოლო სახელმწიფო დანაშაულის დაფარვისას — სამართალდამცავი ორგანოების სწორ მუშაობას,

მიმართულს სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოსაველენად. ასევე, თუ უცხოეთის სახელმწიფოსათვის დახმარების გაწევის ფორმით ჩადენილი სამშობლოს ღალატი, უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან დანაშაულებრივი ურთიერთობის ფართო სპექტრს მოიცავს (იგულისხმება როგორც წინასწარ შეპირებული, ასევე წინასწარ შეუპირებელი დაფარვა), 90¹-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედება, მხოლოდ დამნაშავის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულის კვალის ან დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი საგნების დაფარვას მოიცავს, რაც წინასწარ არ ყოფილა შეპირებული. 90¹-ე მუხლით გათვალისწინებული მოქმედება, ვინაიდან მიზეზობრივ კავშირში არაა სახელმწიფო დანაშაულის ჩადენასთან, ამდენად იგი დანაშაულის შემხებლობის ფარგლებში რჩება.

სახელმწიფო დანაშაულის დაფარვის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, უცხოეთის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი 16 წლის ასაკიდან. დაფარვისათვის არ შეიძლება პასუხი აგონ დანაშაულის თანამონაწილეებმა.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა დამფარავის ნათესაურ და ახლო კავშირის დამნაშავესთან არ მიიჩნევს იმის საფუძვლად, რომ იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს.

სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე.

ლიტერატურა

Дьяков С. В., Игнатьев А. А., Карпушин М. П. Ответственность за государственные преступления, М., 1988; Белая Е. Е., Воронцов В. М. Уголовная ответственность за призывы, обязывающие преступления против государства, М., 1991; «Советское уголовное право. Особенная часть», М., 1988. «Уголовное право. Особенная часть». М., 1995.

**დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი
საკუთრების წინააღმდეგ**

**§ 1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ
დანაშაულის ზოგადი ცნება და სისტემა**

დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ ზოგადი ცნების სახით რომ განესაზღვროთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გავარკვეოთ მისი ობიექტი, ობიექტური მხარე, სუბიექტი და სუბიექტური მხარე.

ფილოსოფიური გაგებით დანაშაულის ობიექტად მიჩნეულია ის, რაც გარემოში სუბიექტს უპირისპირდება და რაზეც ადამიანის ცნობიერება და საქმიანობაა მიმართული.

სისხლის სამართლის მიხედვით კი დანაშაულის ობიექტია საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის ნორმებით დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

ისმება კითხვა: როგორია საზოგადოებრივი ურთიერთობის შინაარსი, რომელიც სისხლის სამართლითაა დაცული?

„საზოგადოებრივი ურთიერთობა, — აღნიშნავს პროფ. გ. ტყეშელიაძე, — მეტად რთული მოვლენაა. იგი სხვადასხვა ნაწილის ერთიანობას წარმოადგენს. მისი ერთ-ერთი ნაწილია ურთიერთობის მონაწილენი, ხოლო მეორე ნაწილი — თვით ამ ურთიერთობის მონაწილეთა საქმიანობა. საზოგადოებრივი ურთიერთობა ადამიანთა საერთო ცხოვრებისა და შეთანხმებული მოქმედების აუცილებელი ფორმაა. ამ ფორმაში მიმდინარეობს ადამიანის საქმიანობა, იქნება ეს წარმოება, სახელმწიფო, ოჯახი, სკოლა, სპორტი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფერო. საზოგადოებრივ ურთიერთობათა საშუალებით მისი მონაწილენი თავიანთ ინტერესს ახორციელებენ“¹.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა წრე, რაც დაცულია სისხლის სამართლით, — წერს ნ. კორქანსკი, — არ არის უცვლელი. იგი

¹ თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე. მოძღვრება დანაშაულზე. თბ., 1969, გვ. 138.

იცვლება კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან დამოკიდებულებაში. საზოგადოებრივი ურთიერთობები თავისი სტრუქტურით ერთობ რთულია. ისინი წარმოუდგენელია მათი სუბიექტების გარეშე, რომლებდაც შეიძლება იყოს სახელმწიფო, მისი უფლებამოსილი ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და შრომითი კოლექტივები, პიროვნება. საზოგადოებრივი ურთიერთობები მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივი ურთიერთობის მონაწილეთა ურთიერთკავშირს, მათს საქმიანობას და პოზიციებს ერთმანეთთან ურთიერთობაში, გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს. მათი კომპონენტია განსაზღვრული სოციალური სიკეთის ან ღირებულების ინტერესების სფეროც¹.

დანაშაულის ობიექტად ვთვლით რა საზოგადოებრივ ურთიერთობას, სისხლის სამართლის კანონს, მხედველობაში აქვს საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვა არა მისი ვიწრო გაგებით, არამედ აგრეთვე დაცვა ცალკეული რეალური ადამიანებისა, რომელთა მოქმედებითაგან იქმნება ეს ურთიერთობა.

ამრიგად, ნებისმიერი დანაშაულის ობიექტია როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა, ასევე ამ ურთიერთობის სუბიექტთა (მონაწილეთა) მოქმედებები, ურთიერთკავშირები, მათი უფლებები, მოვალეობები და სხვ. ამ დებულებებიდან გამომდინარე, დაუშვებელია იმის ვარაუდი, რომ დანაშაული თითქოს ზიანს აყენებდეს მხოლოდ საზოგადოებრივ ურთიერთობას, საზოგადოების ინტერესებს და უვნებელი რჩებოდნენ ცალკეული ადამიანები.

საზოგადოებრივი ურთიერთობის დაცვა სწვადანსვა საშუალებით, კერძოდ, მორალის ან სამართლის სხვა დარგების (სამოქალაქო, მიწის, ადმინისტრაციული, შრომის, სამეურნეო და ა. შ.) ნორმებით ხორციელდება. რაც შეეხება სისხლის სამართალს, იგი ამ ურთიერთობის მხოლოდ ნაწილს იცავს, სახელდობრ, ისეთს, რომლის სოციალური ღირებულება და მნიშვნელობა დიდია და რომლისთვისაც ზიანის მიყენება საზოგადოებისათვის მძიმე შედეგს გამოიწვევს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა დანაშაულის ობიექტია ისეთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც დაცულია სისხლის სამართლის კანონით.

¹ Н. И. Коржанский. Объект и предмет уголовно-правовой охраны. М., 1980. стр. 43.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამომწურავად ჩამოთვლის იმ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელთა დაცვა სისხლის სამართლის ამოცანაა; მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ლი მუხლის თანახმად, კოდექსის ამოცანაა დაიცვას საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, მოქალაქეთა პროვინება, უფლებანი და თავისუფლებანი და მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. აღნიშნული კოდექსის მე-8 მუხლის პირველ ნაწილში დანაშაულის ობიექტად მიჩნეულია საზოგადოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, პიროვნება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, ქონებრივი და სხვა უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე მართლწესრიგი.

დანაშაულის ობიექტი არ უნდა აეურიოთ სისხლის სამართლის რეგულირების უშუალო საგანთან. ანუ საგნად გვევლინება საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც აღმოცენდებიან სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის დანაშაულის ჩადენის საბაბით, — სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები.

დანაშაულის ობიექტად არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლებრივი ნორმა, რაც დანაშაულის ჩადენის შედეგად ირღვევა. როცა ვამბობთ, რომ დანაშაული არღვევს კანონს, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის, რომ დანაშაული ეწინააღმდეგება კანონს. მაგრამ თვით სამართლებრივი ნორმა არ ზარალდება იმ მოქმედებისაგან, რომელიც მას არღვევს.

დანაშაულის ობიექტს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლის ამა თუ იმ სისტემის კლასობრივი არსის ახსნისათვის. სისხლის სამართლის კლასობრივი არსი ნათლადაა გამოხატული სისხლის სამართლის დასაცავ ობიექტებში, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში და მერვე მუხლის პირველ ნაწილში.

ობიექტის ხასიათი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დანაშაულის სოციალურ-პოლიტიკურ შინაარსს და მის წინააღმდეგ მიმართული მოქმედების საზოგადოებრივი საშარობის ხარისხს. რაც უფრო მნიშვნელოვანია ობიექტი, მით უფრო საშიშია დანაშაულებრივი ხელყოფა, მით უფრო დიდია სისხლისსამართლებრივი დაცვის მოცულობა და ინტენსიურობა.

დანაშაულის ობიექტს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციისა და სასჯელის დანიშვნისათვის. ობიექტი გავლენას ახდენს ასევე დანაშაულის შეზღუდვების სტრუქტურაზე.

ზემოაღნიშნული ზოგადი ხასიათის დებულებები დანაშაულის ობიექტის შესახებ სავსებით შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ.

სისხლის სამართლის თეორიამ სისხლის სამართლის კანონმდებლობის ნორმების ანალიზის საფუძველზე და მასთან სრული შესაბამისობით შეიმუშავა დანაშაულის ობიექტების კლასიფიკაცია და დაადგინა მათი თანაფარდობა.

განასხვავებენ დანაშაულის ზოგად (საერთო), გვარეობით და უშუალო ობიექტს).

დანაშაულის ზოგადი (საერთო) ობიექტია სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რასაც საბოლოო ჯამში ხელყოფს ყოველგვარი დანაშაული. ზოგადი ობიექტი აერთიანებს ცალკეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, რაც დაცულია სისხლის სამართლის კანონით.

ყოველი დანაშაული, ხელყოფს რა ამა თუ იმ კონკრეტულ სიკეთეს ან ინტერესებს, რაც მიეკუთვნება საზოგადოებრივი ურთიერთობის გარკვეულ სფეროს (დარგს), საბოლოოდ პირდაპირ ან ორიბად მთლიანად ხელყოფს სისხლის სამართლის კანონით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას.

ამრიგად, დანაშაულის ზოგადი ობიექტი ყველა დანაშაულისათვის (მათ შორის ჩვენ მიერ განსახილველი დანაშაულისთვისაც) საერთოა, ანუ ერთია.

რაც შეეხება გვარეობით ობიექტს — დანაშაულის გვარეობითი ობიექტის ცნებაში სისხლის სამართლის თეორია გულისხმობს სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობების განსაზღვრულ დარგს, ანუ ნაწილს, რაც გამოირჩევა მისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებით, ერთგვაროვნებითა და ურთიერთდაკავშირებით და რომელსაც ხელყოფს დანაშაულის მთელი ჯგუფი.

იურიდიულ ლიტერატურაში საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარეობით (ჯგუფურ) ობიექტზე ავტორთა სხვადასხვა აზრია

გამოთქმული: მათი შეხედულებით, ამ დანაშაულის გვარობითი ობიექტებია: „თვით საკუთრება — საზოგადოების ეკონომიკური საფუძველი“, „საკუთრების ურთიერთობანი და მატერიალური დოვლათის განაწილების არსებული სისტემა“, „საკუთრების ეკონომიკური ურთიერთობა“, თვით „საკუთრების უფლების არსი“, „საკუთრების უფლება მისი სუბიექტური გაგებით“, „საკუთრების საზოგადოებრივი ურთიერთობანი, გამოხატული წარმოების საშუალებებზე და პროდუქტებზე სახელმწიფოს საკუთრების უფლებაში“, „ეკონომიკური წარმოებითი ურთიერთობა“, „საკუთრების უფლება, როგორც სუბიექტური უფლება“ და სხვ.

თუ რამ განაპირობა აზრთა სიმრავლე, მასზე ვიტყვიტ მას შემდეგ, როცა განვიხილავთ საკითხს საკუთრების ცნებასთან დაკავშირებით.

საკუთრება, არის არა ნივთი (მატერიალური დოვლათი) ან ადამიანის ურთიერთობა ნივთებთან, არამედ თვით ადამიანთა ურთიერთობა, რაც მათ შორის მყარდება მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მითვისების, პირველ რიგში წარმოების საშუალებათა მითვისების. საფუძველზე. საკუთრება ყოველგვარი წარმოების საერთო პირობაა. არავითარ წარმოებაზე, მაშასადამე, საზოგადოებაზე, არ შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც საკუთრების არავითარი ფორმა არ არსებობს. ამრიგად საკუთრება, საკუთრებითი ურთიერთობანი არსებობს ყველა წყობილების დროს, ისტორიას მანძილზე იცვლება მხოლოდ საკუთრების ფორმები. საკუთრებითი ურთიერთობანი, როგორც საზოგადოებრივ-წარმოებითი ურთიერთობანი, იქმნება ცალკეულ პირთა ნებისა და შეგნების დამოუკიდებლად. ეს არის ბაზისური საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

„საკუთრების ცნება, — აღნიშნავს პროფ. ს. ჯორბენაძე, — ურთიერთობათა მთელ კომპლექსს გამოსახავს. იგი გულისხმობს საკუთრების ნივთობრივ შინაარსს, აგრეთვე ადამიანთა შორის წარმოშობილ ურთიერთობას წარმოების საშუალებათა და წარმოების რეზულტატების მითვისების თაობაზე, რაც საკუთრების ეკონომიკურ შინაარსს ქმნის, დასასრულ — საკუთრების იურიდიულ შინაარსს, რომელშიც წამყვანია ნებითი ურთიერთობანი“¹.

¹ სამართლის საფუძველები. ავტორთა კოლექტივი ს. ჯორბენაძის, ნ. წერეთლისა და სხვათა შემადგენლობით. თბ., 1977, გვ. 135—136.

საჭიროა ერთმანეთისაგან განკლესვათ საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, და, საკუთრება, როგორც იურიდიული კატეგორია, როგორც საკუთრების უფლება.

საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ესაა მატერიალური დოვლათის მითვისების ისტორიულად განპირობებული ფორმა, რომელშიც გამოსატულია საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ურთიერთობა, მატერიალური დოვლათის გაცვლა და განაწილება. სხვანაირად, საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, არის ადამიანთა შორის განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობანი, მატერიალური დოვლათის, უპირველეს ყოვლისა, წარმოების საშუალებათა მითვისების თაობაზე განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმაციაში.

საკუთრება, მოიცავს საკუთრების ურთიერთობათა ერთობლიობას არა მის იურიდიულ გამოხატულებაში, როგორც ნებითი ურთიერთობანი, არამედ მათ რეალურ ფორმაში, ე. ი. წარმოებით ურთიერთობაში.

„წარმოებითი ურთიერთობის“ ცნება მოიცავს შემდეგ ელემენტებს: წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე საკუთრების განსაზღვრულ ფორმას; მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ურთიერთობებს: პროდუქტების განაწილების ფორმებს; მატერიალური დოვლათის გაცვლასა და მოხმარების სფეროში ურთიერთობებს.

მაშასადამე, საკუთრება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, უმთავრესად მოიცავს წარმოებითი ხასიათის ურთიერთობებს, აგრეთვე ამ ურთიერთობათა არსებობის მატერიალურ ფორმებს — წარმოების საშუალებებს, ქონებას, ნივთებს.

წარმოებითი ურთიერთობის გარეგან გამოხატულებად, ანუ მის სამართლებრივ „გარსად“ გვევლინება საკუთრების უფლება. საკუთრების უფლება ყოველთვის გულისხმობს იმას, რომ მესაკუთრეს აქვს ქონება, რაც საკუთრებითი ურთიერთობის ნივთიერ შინაარსს შეადგენს.

საკუთრების უფლება არის წარმოების საშუალებებსა და პროდუქტებზე წარმოშობილი მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება.

საკუთრების უფლება ყველაზე ფართო ქონებრივი უფლებათა მას მატერიალური ნივთობრივი შინაარსიც აქვს. ვინაიდან გულის-

ქმობს არა ნევთთან სუბიექტის ურთიერთობას, არამედ ნევთების (მატერიალური დოვლათის) თაობაზე წარმოშობილ ურთიერთობას.

საკუთრების უფლება, ისე როგორც ყოველი სხვა უფლება, არ შეიძლება არსებობდეს სამართლის გარეშე. სამართალი განსაზღვრავს მესაკუთრის უფლებამოსილების ფარგლებს. საკუთრების კონკრეტული უფლების სახის დახასიათებისათვის მთავარია კანონით ზუსტად დადგენილი მისი ფარგლების ცოდნა. საკუთრების უფლება არის იურიდიულად განმტკიცებული წარმოებითი ურთიერთობის განსაზღვრული ფორმა.

საკუთრების უფლების ცნებაში, სიტყვის ობიექტური მნიშვნელობით, უნდა ვიგულისხმოთ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა. რომლებიც ქმნიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების სამართლებრივ ინსტიტუტს, ხოლო სიტყვის სუბიექტური მნიშვნელობით — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის კანონით უზრუნველყოფილი შესაძლებლობა, ფლობდენ, სარგებლობდენ და განკარგავდენ ქონებას თავიანთი ძალაუფლებითა და ყველაზე უფრო ყოვლისმომცველი წესით. ეს უკანასკნელი იმასაც ნიშნავს, რომ სხვა პირებს უფლება არა აქვთ დაარღვიონ მესაკუთრის მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა.

ზემოაღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ საკუთრება და საკუთრების უფლება საზოგადოებრივი ცხოვრების სავსებით სხვადასხვა მოვლენაა. საკუთრების ურთიერთობანი არის განმსაზღვრელი, ხოლო საკუთრების უფლება — მისგან ნაწარმოები.

საკუთრების უფლება თავისთავად, საკუთრების მატერიალური ურთიერთობისაგან მოწყვეტით, არ ამოწურავს განსახილველი დანაშაულის გვარობითი ობიექტის ცნებას. სამართლებრივი ურთიერთობანი ეკონომიკურ ურთიერთობებს ეფუძნება და ამ უკანასკნელით განისაზღვრება. მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ საკუთრების მატერიალური ურთიერთობა სრულიადაც არაა განკერძოებული საკუთრების უფლებისაგან სიტყვის როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური აზრით. მატერიალური ურთიერთობანი თავის განმტკიცებას სამართლებრივ ნორმებში, საკუთრების იურიდიულ ურთიერთობებში, ე. ი. საკუთრების სამართალში ლეგულობს. აქვი უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ, საკუთრების უფლებიდან გამომდინარე, იურიდიული ურთიერთობანი ყოველთვის არის ადა-

მიანთა შორის ნებელობითი ურთიერთობანი. ეს არის სამართლებ-
ვი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რაც ზედნაშენს მიეკუთვნება.

ამრიგად, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარობითი
ობიექტი (საკუთრება) მოიცავს როგორც საკუთრების ეკონომი-
კურ, ასევე სამართლებრივ ურთიეთობებს. ამ ურთიეთობებიდან
ავტოთა ერთი ნაწილი პრიმატს ეკონომიკურ ურთიერთობებს ანი-
ჭებს, ხოლო მეორენი — სამართლებრივს. სწორედ ამან გამოიწვია
ავტორთა მხრივ აზრთა სიმრავლე საკუთრების წინააღმდეგ დანაშა-
ულის გვარობითი ობიექტის განსაზღვასთან დაკავშირებით.

თავისი გვარობითი ობიექტით საკუთრების წინააღმდეგ მი-
მართული დანაშაული განსხვავდება სახელმწიფო, თანამდებობრივი
და სხვა დანაშაულისაგან, რომლებიც ასევე ზოგჯერ არსებით ზი-
ანს აყენებენ საკუთრებით ურთიერთობებს; მაგალითად, დივერსია
(სსკ 69-ე მუხლი), მავნებლობა (70-ე მუხლი), მიმოსვლის გზებისა
და სატრანსპორტო საშუალებათა დაზიანება (87-ე მუხლი), მართა-
ლია, მატერიალურ ზიანს აყენებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ
ორგანიზაციებს, ანადგურებს ხალხის მიერ შექმნილ მატერიალურ
ფასეულობებს, დაბკოლებებს უქმნის სახელმწიფო და საზოგადო-
ებრივ ორგანიზაციებს, ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავ-
დეს ქონებას მთელი საზოგადოების ინტერესებრისათვის, მაგრამ,
მიუხედავად ამისა, ამ შემადგენლობებში არის დანაშაულის ძირი-
თადი, უფრო მნიშვნელოვანი გვარობითი ობიექტი, სახელდობრ,
საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილება (განსაკუთრებთ
საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის) ან საზოგადოებრივ ურ-
თიერთობათა ერთობლიობა, რომელიც საქართველოს რესპუბლი-
კის ძირითად ინტერესებს გამოხატავს სახელმწიფო მმართველობას;
თავდაცვისუნარიანობის, სახალხო მეურნეობისა და მართლმსაჯუ-
ლების დარღვი და რაც სხვა სახელმწიფო დანაშაულისთვისაა და-
მახასიათებელი. ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა: ხელისუფლების
ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (126-ე
მუხლი) და დაუდევრობა (188-ე მუხლი), ასევე შეუძლია ზიანი
მიაყენოს საკუთრების ურთიერთობებს, მაგრამ მათ ძირითად, მთა-
ვარ ობიექტად მაინც გვევლინება სახელმწიფო ან საზოგადოებრი-
ვი აპარატის (დაწესებულება-ორგანიზაციების, საწარმოების) სწო-
რი მუშაობა, რის გამოც ზემოაღნიშნული შემადგენლობები კანონ-
მდებელმა თანამდებობრივ დანაშაულთა თავში შეიტანა.

ზოგიერთი დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ ხელყოფს საზოგადოებრივი ურთიერთობის არა ერთ, არამედ ორ ჯგუფს; მაგალითად. ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავე ერთდროულად ხელყოფს ორ ობიექტს — საკუთრებას და პიროვნებას, მაგრამ რამდენადაც ყაჩაღი ბის დროს საკუთრების ურთიერთობანი არის მთავარი (ძირითადი) ობიექტი, რომლის წინააღმდეგ, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია ხელყოფა. ამდენად ყაჩაღობა ქონების დაუფლების მიზნით, განიხილება საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა ჯგუფს მიაკუთვნა.

საბოლოოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის გვარეობით ობიექტად უნდა მივიჩნიოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრება. ამ უკანასკნელში გამოხატულია საკუთრებითი ურთიერთობის ყველაზე არსებითი, განსაზღვრული მხარეები. ფაქტია, იგულისხმება როგორც ეკონომიკური, ასევე საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ურთიერთობები, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია დანაშაულებრივი ხელყოფა. განსახილველი დანაშაულის გვარეობითი ობიექტი რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრებაა, ამ დებულების სისწორეს ასაბუთებს იგივე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავის დასათაურებაც: „დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ“.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების საზოგადოებრივი ურთიერთობები ყოველთვის გარესამყაროს გარკვეულ საგნებთან, ნივთებთანაა დაკავშირებული. წარმოების იარაღები და საშუალებები, ზუსტების საგნები, ადამიანთა შრომის პროდუქტები საკუთრების ნივთიერ შინაარსს შეადგენენ. საკუთრება, თავის მხრივ, ადამიანთა შრომის ურთიერთობაა ნივთების თაობაზე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება კი არის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მატერიალური წინაპირობა, რომელსაც წარადლი ადგება საკუთრებაზე ხელყოფისას.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი არის ქონება, აგრეთვე ფული და ფასიანი ქაღალდები. ქონება, ობიექტურად, განსაზღვრული მატერიალური ღირებულების შემცველი უნდა იყოს. თუ ქონება, რომელიც ხელყოფილია, ამკარად მკარე ღირებულებისაა, ასეთ შემთხვევაში ქმედობა დანაშაულად არ შეიძ-

ლება ჩართვალს საზოგადოებრივი საშიშროების არაჩსებობის გამო.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, როგორც წესი, შეიძლება იყოს ისეთი ქონება ან ნივთი, რომლებშიც ადამიანის შრომაა ჩაქსოვილი. აქედან გამომდინარე, ტყის უკანონო გაჩეხვა, რაც დაკავშირებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციისათვის ზარალის მიყენებასთან, ქმნის არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას, არამედ დანაშაულის იმ შემადგენლობას, რასაც ითვისწინებს საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლი (ტყის უკანონო გაჩეხვა), ეს უკანასკნელი კი სამეურნეო დანაშაულთა თავშია მოთავსებული.

კანონმდებელი გამონაკლისის სახით უშვებს ისეთ შემთხვევებს, როცა საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი თავისთავად ისეთია, რომ მასში ადამიანის შრომა არაა ჩაქსოვილი, მაგრამ მასზე ხელყოფიას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მაინც დება; მაგალითად, საქ. სს კოდექსის მე-100 (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება) და 101 (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით) მუხლები ითვისწინებს ერთ შემთხვევაში ტყის მასივების განზრახ განადგურებას ან მნიშვნელოვან დაზიანებას ცეცხლის წაქიდებით, ხოლო მეორე შემთხვევაში — ტყის მასივის განადგურებას ან საგრძნობ დაზიანებას ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი შეიძლება იყოს მოქალაქის პირადი ქონება (ტვირთი, ბარგი, საფოსტო ამანათები, სახმარი ან სხვა ნივთები), რაც გადაცემულია შესანახად ან გასაგზავნად სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და როცა ეს ორგანიზაციები მატერიალურად პასუხისმგებელი არიან მათთვის მიბარებული ქონებისათვის.

სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის მიიჩნევდა, რომ მსგავს შემთხვევებში ქმედობა დაკვალიფიცირებულიყო როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საკუთრებაზე ხელყოფა, რადგან ასეთ შემთხვევებში შესაბამისი ორ-

განიზაციები ვალდებული არიან აუნაზღაურონ ქონების ღირებულება მოქალაქეებს, რითაც საბოლოო ჯამში ზიანი ადგება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საკუთრებას.

თუ მოქალაქის პირადი ქონება იმყოფება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ტერიტორიაზე, და ამ ორგანიზაციას შენახვისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, ასეთ შემთხვევაში ორგანიზაციის მხრივ პასუხისმგებლობა გამოირიცხვება.

უყურადღებო დამოკიდებულებამ იმ საკითხის გარკვევაში, თუ ვის ეკუთვნის ქონება, შეიძლება მიგვიყვანოს დანაშაულის მცდარ კვალიფიკაციაში. ქონების მესაკუთრის ზუსტი გარკვევა შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს დაზარალებული და გადაწყდეს საკითხი, თუ რომელ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას აუნაზღაურდეს დანაშაულებრივი ხელყოფის შედეგად მიყენებული ზარალი.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ხელყოფის საგნად ასევე გვევლინება უძრავი ქონება¹ — სამეურნეო ნაგებობები, საწარმოო და საცხოვრებელი შენობები, ტყის მასივები და სხვ., რომელთაც მატერიალური ღირებულება აქვთ (საქართველოს სს კოდექსის მე-100 და 101-ე მუხლები სწორედ აღნიშნული სახის საგანზე ხელყოფას ითვალისწინებს). რაც შეეხება საკუთრებაზე ხელყოფას დატაცების ფორმებით, ასეთ შემთხვევაში ხელყოფის საგანი არის მხოლოდ მოძრავი ქონება, ფული ან სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. როგორც ჩანს, დატაცების საგნისაგან განსხვავებით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საგანი შეიძლება იყოს ისეთი ფასეულობაც, რომლის დატაცებაც შეუძლებელია.

¹ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ქონების ცნებაში იგულისხმება ვისიმე საკუთრებად არსებული ნივთებისა და სხვადასხვა ფასეულობის ერთობლიობა (ავლადიძე, დოქტორი). ლექსიკონი განასხვავებს უძრავსა და მოძრავ ქონებას. უძრავი ქონებაა ვისიმე საკუთრებად არსებული მიწა, სახლ-კარი, რომლის ადგილიდან დაძვრა თვისების დაუქარავად არ შეიძლება. მოძრავი ქონებაა ვისიმე საკუთრებად არსებული სარჩო-საბადებელი, ნივთეულობა, ფული, რომლის ადგილიდან დაძვრა თვისების დაუქარავად შეიძლება (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, სვეტ. 345, თბ. 1962).

ამრიგად, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგანი არის ამ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მატერიალური ნივთი, რომელზეც მიმართულია დანაშაულის მოქმედება. განსახილველი დანაშაულის საგანი და ობიექტი იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ამ დანაშაულის საგანი თავისთავად არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის საგნისათვის ისიცაა დამახასიათებელი, რომ იგი ამ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია; მაგალითად, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შემადგენლობაში დანაშაულის საგანზე პირდაპირაა მითითებული.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულში დანაშაულის საგანი მატერიალურ საგნებზე ზემოქმედებაში გამოიხატება. იგი საკუთრების ურთიერთობაში შესაფერის საზოგადოებრივ ურთიერთობათა მატერიალურ (მაგალითად, ქონება) გამოხატულებას წარმოადგენს¹.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ობიექტური მხარე, როგორც წესი, აქტიური მოქმედებით ხასიათდება (მაგალითად, ქურდობა, გაძარცვა, თაღლითობა, ყაჩაღობა და სხვ.).

საკუთრებაზე ხელყოფის ფორმები ერთობ სხვადასხვაგვარია და მოქმედებათა განსაზღვრული ხერხებით ხასიათდება. ეს ხერხები აუცილებელი ნიშანია როგორც დანაშაულის ცალკეული ჯგუფის, ასევე თითოეული დანაშაულისათვის საკუთრების წინააღმდეგ; მაგალითად, ქურდობა, გაძარცვა, მითვისება-გაფლანგვა და სხვა დანაშაულები, რომელთაც დატაცებას გვარეობითი ცნება მოიცავს, ერთმანეთისაგან მოქმედებათა ხერხებით განსხვავდებიან. მოქმედებათა ხერხებით განსხვავდება ასევე ერთმანეთისაგან საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ცალკეული ჯგუფები, სახელდობრ დატაცებები (საქ. სსკ 91-ე—96-ე მუხლები) სხვა ანგარებითი დანაშაულისაგან დატაცების ნიშნის გარეშე (97-ე მუხლი) და არაანგარებითი დანაშაულებისაგან (მე-100, 100¹-ე, 101-ე მუხლები).

¹ დაწერილებით დანაშაულის საგანზე იხ. თ. წერეთელი, გ. ტყეშელიძე. მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, 157—164; Н. И. Коржанский, «Объект и предмет уголовно-правовой охраны». М., 1980, стр. 50—60.

რამდენადაც დანაშაულის ჩადენის ხერხი თავისთავად დანაშაულებრივი მოქმედების (უმოქმედობის) ფორმას წარმოადგენს (რომელიც ამ უკანასკნელთან მჭიდრო კავშირშია), იმდენად არ არის არც ერთი დანაშაული მისთვის დამახასიათებელი დანაშაულის ჩადენის ხერხის გარეშე.

იურიდიულ ლიტერატურაში არ არის აზრთა ერთიანობა იმის შესახებ, თუ რა უნდა მივიჩნიოთ დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნებად და რა კატეგორიის დანაშაულის მიმართ უნდა იქნეს იგი გამოყენებული.

გ. ზუიკოვის აზრით, დანაშაულის ჩადენის ხერხი გამოსაყენებელია მხოლოდ განზრახ დანაშაულზე და წარმოადგენს მოქმედებათა კომპლექსს, ჩადენილს დამნაშავეთა მიერ განსაზღვრული წესით და მიმართულია დანაშაულებრივი მიზნის მიღწევისაკენ¹.

ლ. კრუგლიკოვს დანაშაულის ჩადენის ხერხად მიაჩნია დანაშაულის ობიექტზე ხელყოფის ფორმა. მისი აზრით, ხერხი, ესაა დანაშაულის ჩადენის დროს პირის ქცევის, მოქმედების განსაზღვრული წესი, საშუალება, მეთოდი, დამოუკიდებლად იმისა, დანაშაული ჩადენილია განზრახ თუ გაუფრთხილებლობით².

აღნიშნულ განმარტებათა საერთო ნაკლია ის, რომ თითოეული ავტორი, თავისებურად წყვეტს რა დაყენებულ საკითხს, თავის განმარტებაში არ მიუთითებს, აქვს თუ არა კავშირი დანაშაულის ჩადენის ხერხს დანაშაულის შედეგთან, დამნაშავის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხთან, აქვს თუ არა რაიმე მნიშვნელობა დანაშაულის ჩადენის ხერხის ცოდნას დანაშაულის გახსნისა და იმ სისხლისსამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც აღმოცენდება სისხლის სამართლის მატერიალური ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით და სხვ.

დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნების შედარებით უფრო სწორ განმარტებებს იძლევიან ე. კურანოვა და გ. გუსტოვი. ე. კურანოვას აზრით, დანაშაულის ჩადენის ხერხი უნდა გავიგოთ, როგორც დანაშაულის მომზადების, ჩადენისა და დაფარვისათვის გამიზნულ

¹ იხ. Г. Г. Зуи́ков. Криминалистическое учение о способе совершения преступлений. Автореферат докторской диссертации. М., 1970, стр. 8.

² იხ. Л. Л. Кругликов. Способ совершения преступления. Автор. канц. диссертации. Свердловск, 1971, стр. 7.

მოქმედებათა კომპლექსი, არჩეული დამნაშვის მიერ იმ მიზეზებისა და პირობების შესაბამისად, რომლებშიც განხორციელდება დანაშაულებრივი განზრახვა¹, გ. გუსტოვის განმარტებით კი დანაშაულის ჩადენის ხერხი არის იმ მოქმედებათა კომპლექსი (განპირობებული ობიექტის თვისებებით, დანაშაულის ჩადენის პირობებით და აგრეთვე დანაშაულის ჩადენის დროს სუბიექტის მოქმედების განზრახვითა და ინდივიდუალური თავისებურებებით), რაც დამახასიათებელ კვალს ტოვებს და საშუალებას იძლევა დანაშაულის გასახსნელად².

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. რამდენადაც ერთნაირია დანაშაულის ჩადენის ხერხების არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები, იმდენად მეორდება დანაშაულის ჩადენის ხერხები;

2. იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის ჩადენა ხდება ერთნაირ პირობებში და დამნაშავე ასრულებს ანალოგიური ხასიათის მოქმედებებს, ამდენად დამნაშავეთა მიერ დატოვებული კვალი თითქმის ერთნაირია;

3. კვალთა ერთობლიობა, რაც ასახავს დანაშაულის ვითარებას, გვევლინება დამნაშავის მიერ გამოყენებული განსაზღვრულ ხერხის ობიექტურ ნიშნად და გვეხმარება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ ხერხის გამოცნობაში;

4. ერთგვაროვანი დანაშაულის ჩადენისას (დანაშაულის ჩადენის ხერხის დადგენისა და სუბიექტის მიერ დატოვებული კვალის გამოვლენის, ფიქსაციისა და ამოღების მიზნით) შეიძლება გამოძიებლის მუშაობის ერთი და იმავე ხერხებისა და მეთოდების გამოყენება;

5. დანაშაულის ჩადენის ხერხის არჩევის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და თვით დანაშაულის ჩადენის ხერხის ცოდნის არსი

¹ იხ. Э. Д. Куранова. Об основных положениях методики расследования отдельных видов преступлений. «Вопросы криминалистики». М., 1962, вып. 6—7, стр. 165.

² იხ. Г. А. Густов. Расследование и предупреждение хищений хлебобулочных изделий при заготовке и переработке, автореферат кандидатской диссертации. М., 1965, стр. 9.

მდგომარეობს არა მარტო დანაშაულის გახსნაში, არამედ დანაშაულის თავიდან აცილებაში.

დასასრულს, დანაშაულის ჩადენის ხერხის ცნება შეიძლება ასე განიმარტოს:

დანაშაულის ჩადენის ხერხი, როგორც დანაშაულის ობიექტუ რი მხარის ნიშანი, არის დამნაშავეის მოქმედებათა კომპლექსი, რომლის შინაარსიც განისაზღვრება მთელი რიგი ფაქტორებით, მათ შორის თვით ობიექტის თვისებებით (ე. ი. იმით, თუ რა სახის დანაშაულია ჩადენილი), დანაშაულის ჩადენის ვითარებით (მოიცავს იმ მოვლენებისა და კონკრეტული პირობების ფართო წრეს, რომლებშიც დანაშაული იქნა ჩადენილი და რომელთაც დამნაშავემ შეუხამა თავისი მოქმედება, რაც შეიძლება სწორად შეესაბამებოდეს ამ სახესებით არ შეესაბამებოდეს დანაშაულის ჩადენის ვითარებას) სუბიექტის განზრახვითა და ინდივიდუალური თავისებურებებით (რაც სათანადო კვალს ტოვებს და კარგი საშუალებაა მოცემული სახის დანაშაულის გახსნისა და მისი თავიდან აცილებისათვის).

ამ ფაქტორთა ერთობლიობა განსაზღვრავს რა დამნაშავეთ: მოქმედებას, ამავე დროს შესაძლებლობას იძლევა შევისწავლოთ დანაშაულის ჩადენის ხერხები მათთვის დამახასიათებელი კვებითა და ნიშნებით, რომელთაც ახასიათებთ სიმტკიცე, განმეორებადობა და შედარებით უცვლელობა. ყოველივე აღნიშნულის ცოდნით კი შეიძლება არა მარტო დანაშაულის გახსნა, არამედ ამ ხერხებით დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის აღმოფხვრაც მომავალში.

განსახილველი დანაშაულის ობიექტური მხარის ყველაზე უფრო არსებით ნიშნად, რაც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ყველა დანაშაულისთვისაა დამახასიათებელი, გვევლინება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის მატერიალური ანუ ქონებრივი ზარალის მიყენება.

დატაცებათა ფორმების დროს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე ქონებრივი ზარალის მიყენება შესაბამისი ფონდებიდან ქონების ამოღებითაა განპირობებული. რაც შეეხება ანგარებით დანაშაულს დატაცების ნიშნების გარეშე და არაანგარიშებით დანაშაულებს, ესენი ორგანიზაციებს ქონებრივ ზარალს აყენებენ ერთ შემთხვევაში გამოძალვით (საქ. სსკ 97-ე მუხლი).

სოლო მეორე შემთხვევაში — ქონების განადგურებით ან დაზიანებით (მე-100, მე-100¹-ე, 101-ე მუხლები).

დანაშაულის ჩადენის ხერხსა და მიყენებულ მატერიალურ ზარალს შორის უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ მატერიალური ზარალი უნდა იყოს შედეგი იმ კონკრეტულ მოქმედებებისა, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავის — „დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ“ — მუხლების დისპოზიციასა და ასახელებული თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე მატერიალური ზარალი მიყენებულია სხვა ქმედობის შედეგად, მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება საქ. სისხლის სამართლის კოდექსის 188-ე მუხლით, როგორც დაუდევრობა. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის შემადგენლობის დამთავრებულად ცნობისათვის, როგორც წესი, აუცილებელია დანაშაულებრივი შედეგის დადგომა, ე. ი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე მატერიალური ზარალის მიყენება. გამონაკლისს ამ წესიდან შეაღვეს ისეთი დანაშაულები, როგორცაა: ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების მიზნით (საქ. სს კოდექსის 96-ე მუხლი) და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა (97-ე მუხლი); პირველი დამთავრებულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან ქონების დაუფლების მიზნით, ხოლო მეორე — დაზარალებულზე ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის მომენტიდან, რასაც თან ახლავს ძალადობის გამოყენების მუქარა.

როგორც ჩანს, საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა შემადგენლობის უმრავლესობა (ორის გამოკლებით) მატერიალურია, სხვანაირად რომ ვთქვათ, დანაშაულთა ისეთი შემადგენლობანია, რომლებშიც დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარის არსებობისათვის კანონი მოითხოვს მოქმედებით ან უმოქმედობით გამოწვეული იყოს გარკვეული დანაშაულებრივი შიდიგი¹.

¹ დანაშაულის მატერიალურ და ფორმალურ შემადგენლობათა დახასიათებაზე იხ. მ. უგრეხელიძე, „ზარალი საფრთხის დელიქტებში“. თბ., 1982, გვ. 4—6.

საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ობიექტური მხარის ნაშენებიდან დროს, ადგილს, ვითარებას მნიშვნელობა არა აქვს განსახილველ დანაშაულთა ცალკეული შემადგენლობების დახასიათებასათვის; მათ შეიძლება ყურადღება მიექცეს სასჯელის დანიშვნისას, დამნაშაის პიროვნებისა და ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასებისას.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი, აგრეთვე უცხოელები, თუ ისინი არ სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტის უფლებით.

საერთოდ, პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა რომ დაეკისროს, საჭიროა მას ჰქონდეს გარკვეული თვისებები. თუკი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირი აღჭურვილი არაა იმ თვისებებით, რომლებიც დადგენილია სისხლის სამართლის კანონით იგი არ შეიძლება მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებაში.

სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, დანაშაულის სუბიექტია ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი, რომელსაც შესრულებული აქვს კანონით გათვალისწინებული ასაკი. ამრიგად, შერაცხადობა და გარკვეული ასაკის მიღწევა დანაშაულის სუბიექტის იურიდიული ნიშნებია, რომლებიც წარმოადგენენ აუცილებელ ელემენტებს ყოველი სახის დანაშაულის შემადგენლობისათვის.

ის პირი, რომელსაც გარდა ზემოაღნიშნული იურიდიული ნიშნებისა, აქვს კიდევ ისეთი განსაკუთრებული ნიშანი, რომლის არსებობის დროსაც შესაძლებელია ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა, ითვლება დანაშაულის სპეციალურ სუბიექტად.

პირის სპეციალურ სუბიექტად ცნობა განპირობებულია არა მისი უფლებრივი მდგომარეობით, არამედ ისეთ დანაშაულთა თავისებურებებით, როგორცაა სამხედრო, თანამდებობრივი და ზოგიერთი სხვ.

სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებს მთელ რიგ დანაშაულებს, რომლებიც შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ სპეციალურმა სუბიექტმა (მაგალითად, საქართველოს სსკ 94-ე, 161-ე, 197-ე, 198-ე და სხვა მუხლები). დანაშაულის სპეციალური სუბიექტის ცნების მართებულ გაგებას დიდ მნიშვნელობა აქვს დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისათვის. იგი

მიუთითებს იმაზე, რომ ყველა შერაცხადი ფიზიკური პირი არ შეიძლება იყოს ამა თუ იმ დანაშაულის სუბიექტი, ამასთან. განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომელთაც შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედობისათვის.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ ნიშნებს, რომლებიც იძლევიან დამნაშავეს მორალური და სოციალურ-პოლიტიკური მხარის დახასიათებას. ამ ნიშნებს მიეკუთვნება დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე ჩადენილი აქვს რაიმე სახის დანაშაული; დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები (სსკ 38-ე და 39-ე მუხლები) და სხვ., რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნას მხედველობაში სისხლის სამართლის საქმის გარჩევის დროს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ისეთი დანაშაულებებისათვის, როგორცაა: ქურდობა (91-ე მუხლი), გაძარცვა (92-ე მუხლი), ყაჩაღობა (96-ე მუხლი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები), სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დება 14 წლის ასაკიდან, ხოლო სხვა დანარჩენი დანაშაულებისათვის — 16 წლის ასაკიდან.

საყოფადღებოა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის (96-ე მუხლი) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი¹. წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამ დანაშაულისათვის, თუ იგი ჩადენილია ქურდობის, გაძარცვისა და ყაჩაღობის ფორმით, პასუხისმგებლობა დება 14 წლის ასაკიდან.

სუბიექტური მხრივ დანაშაულთა ნაწილი (სახ. ან საზ. საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულთა თავი) ხასიათდება განზრახვით, ხოლო ნაწილი — გაუფრთხილებელი ბრალით; მაგალითად, ისეთი დანაშაულები. როგორცაა: დატაცებები (საქ. სს კოდექსის 91-ე — 96-ე მუხლები), პირდაპირი განზრახვითა და ან-

¹ ამ საკითხზე ჩვენი შეხედულება დაწვრილებითაა გადმოცემული 96-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხილვისას.

გარებითი მოტივით ხასიათდება. მე-100 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება) შემადგენლობის სუბიექტურა მხარე კი გულისხმობს განზრახ ბრალს და შეიძლება გამოვლინდეს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ განზახვანში. რაც შეეხება დანაშაულს, რასაც ითვალისწინებს 101-ე მუხლი (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით), მისი ჩადენა ხდება მხოლოდ გაუფრთხილებელი ბრალით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე ზოგადი ცნების სახით დანაშაული სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ისეთი საზოგადოებრივი საშიშკმედობა, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საკუთრებას და მატერიალურ (ქონებრივ) ზარალს (ზიანს) აყენებს მის მესაკუთრეს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის სისტემის საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე თავში გათვალისწინებული მუხლები პირობითად უნდა დავყოთ ანგარებით და არაანგარებით დანაშაულებად.

ანგარებით დანაშაულებებში, თავის მხრივ, უნდა გამოვყოთ: 1) ანგარებითი დანაშაულები დატაცების ნიშნებით და 2) ანგარებითი დანაშაული დატაცების ნიშნის გარეშე. სწორედ ამ რაკურსით განვიხილავთ აღნიშნულ საკითხებს.

§ 2. ანგარებითი დანაშაულები დატაცების ნიშნებით

ა. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ცნება

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი ჩადენილი, ყოველთვის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია. მის საზოგადოებრივ საშიშროებას განსაზღვრავს როგორც თვით დატაცების შინაარსი, ასევე მისი შეფარდებითი გავრცელებულობა.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების გვარე-

ობითი ობიექტია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება, რაც შეეხება უშუალო ობიექტს, შევნიშნავთ, რომ ხელყოფის უშუალო ობიექტიც შეიძლება იყოს სწორედ სახელმწიფო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკუთრება.

ხელყოფის საგნად დატაცებისას გვევლინება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფო დაწესებულებას, საწარმოს ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

დატაცების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ მატერიალური სამყაროს ისეთი საგნები, რომელთა მოპოვებასა და წარმოებაში ადამიანს შრომაა ჩაქსოვილი.

საერთოდ, ქონების ცნება ფართოა და მოიცავს როგორც ცალკეულ ნივთებს, ასევე ნივთების ერთობლიობას. ცალკეული ნივთები და საგნები, ისე როგორც ნივთებისა და საგნების ერთობლიობა, არის ხელყოფის საგანიც, რომელშიც სახ. ან საზ. ქონება პოულობს კონკრეტულ და უშუალო გამოხატულებას. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დანაშაულის კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა (მხედველობაში გვაქვს სახ. ან საზ. ქონება), ცალკეულ ნივთზე გვექნება ხელყოფა თუ ნივთების ერთობლიობაზე, რადგან საბოლოო ანგარიშით ეს მაინც სახ. ან საზ. ქონების ხელყოფაა.

საერთო, გვარეობით და უშუალო ობიექტებად დაყოფას ის მნიშვნელობა აქვს, რომ დაზუსტდეს საკითხი იმის შესახებ, თუ, სახელდობრ, რომელ საზოგადოებრივ ურთიერთობაზეა უშუალოდ და უპირველეს ყოვლისა მიმართული მოცემული დანაშაულებრივი ხელყოფა და რომელ საზოგადოებრივ ურთიერთობას აყენებს ან შეუძლია მიაყენოს ზიანი. დატაცებისას დანაშაულებრივი ხელყოფის საგანს წარმოადგენს ქონება; ეს ქონება შეიძლება იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება. რამდენადაც ხელყოფის უშუალო ობიექტად დატაცების დროს გვევლინება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრება, შესაძლოა შემთხვევები, როცა დამნაშავე ეუფლება მოქალაქის პირად ქონებას, მაგრამ ქონება აღმოჩნდება მიმართული სახ. ან საზ. საკუთრების წინააღმდეგ. ამას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხელყოფის საგნად გვევლინება მოქალაქის პირადი ქონება, რომელიც გადაცემულია შესაძლებლად ან გასაგზავნად სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

ერთი სიტყვით, ხელყოფის უშუალო ობიექტის დადგენისათვის აუცილებელია გამოვარკვიოთ, სინამდვილეში ვის ეკუთვნის მოცემულ ქონებაზე საკუთრების უფლება. იმისათვის, რომ ქმედობა ჩაითვალოს სახ. ან საზ. საკუთრებაზე ხელყოფად და იგი კვალიფიციირებულ იქნას როგორც დატაცება, აუცილებელია, დატაცებული ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრებაში. ამის გამო არ გვქვნება დატაცება მაშინ, როცა ქონება თუმცა უნდა გადაეცეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას კანონით, ხელშეკრულებით ან სხვა საფუძვლით, მაგრამ ფაქტობრივად ჯერ კიდევ არაა მათთვის გადაცემული.

როგორც ჩანს, დატაცებისას ხელყოფის საგნად შეიძლება იყოს მხოლოდ სახ. ან საზ. ქონება (საკუთრების მატერიალური გამოსახვა), რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდში იმყოფება. სახ. ან საზ. ქონება, როგორც წესი, იმყოფება ამა თუ იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მფლობელობაში, მაგრამ არ არის გამორიცხული, ეს ქონება გარკვეული მიზნით მინდობილი ჰქონდეს ასევე კერძო პირებსაც (მაგალითად, გადასაზიდად, გადასამუშავებლად და სხვ.). ასეთი ქონების დატაცების ყველა შემთხვევა, თუ ბრალდებულმა იცოდა მისი ფაქტობრივი მესაკუთრე, წარმოადგენს დატაცებას.

რაც შეეხება სახ. ან საზ. ქონებას დატაცების საგნის მნიშვნელობით, ესაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებაში მყოფი მატერიალური ფასეულობის მქონე ნივთები და საგნები, აგრეთვე ფული, სავალუტო ფასეულობა და ფასიანი ქაღალდები, რომელთაც შესწევთ უნარი დააკმაყოფილონ ადამიანის განსაზღვრული მატერიალური ან კულტურული მოთხოვნილება. მასვე მიეკუთვნება წარმოების იარაღები და საშუალებები, წარმოების პროდუქტები (როგორც მზა სახის, ისე დამზადების პროცესში მყოფი), სურსათი, ტანსაცმელი, სხვადასხვა სახის საქონელი და საგნები, რომელთაც აქვთ ეკონომიკური, სამეურნეო, კულტურული და სხვა ღირებულება.

ვალდირებთ რა დატაცების საგნად მხოლოდ ისეთ ნივთებს, რომელთაც სასაქონლო ღირებულება აქვთ, ამით ხაზს ვუსვამთ იმ ეკარგებობას, რომ ეს ისეთი ნივთებია, რომელთა დამზადებაზე, მოქ-

ყვანასა თუ მოპოვებაზე ადამიანს შრომაა გაწეული. ამიტომ დატაცების საგნად თავისთავად არ შეიძლება იყოს მიწა, მისი წიაღი, ტყე და ა. შ. მაგრამ, თუ დატაცების საგნად არის ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებით მოპოვებული (მოჭრილი ხე, დაჭერილი თევზი) ან სხვა გზით მიღებული ფასეულობა, რომელშიც ადამიანის შრომაა ჩაქსოვილი (საშენებელში გაზრდილი მხეცები), ასეთი ფასეულობის დატაცება იძლევა დანაშაულის შემადგენლობას.

ყოფილ საბჭოთა კანონმდებლობაში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების განზოგადებული ცნება პირველად მოცემულ იქნა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონში — „სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცების შესახებ“.

კანონი აწესებდა პასუხისმგებლობას სახ. ან საზ. საკუთრების შედარებით უფრო საშიში ხელყოფისათვის და წარმოადგენდა დამოუკიდებელ, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სისხლისსამართლებრივ ნორმას. მასთან ერთად მოქმედებდა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის მრავალი მუხლი, რომლებშიც გათვალისწინებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების სხვადასხვა ფორმისათვის. 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით განსაზღვრული დატაცების ცნება მოიცავდა არა ყოველგვარ, არამედ მხოლოდ ისეთ დატაცებას, რაც ჩადენილი იყო სისტემატურად, ჩგუფურად ან დიდი ოდენობით. ამ კანონის თანახმად, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის ტვირთები, კოლმეურნეობებისა და კოოპერატივების ქონების (მოსავალი მინდვრად, საზოგადოებრივი მარაგი, პირუტყვი, კოოპერატივის საწყობები და სხვ.) მსგავსად, გაუთანაბრდა სახელმწიფო ქონებას და ყოველმხრივ გაძლიერდა მისი დაცვა დატაცებისაგან. სასჯელის ზომად გათვალისწინებულ იქნა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა მთელი ქონების კონფისკაციით, რაც შემამსუბუქებელი გარემოების დროს შეიძლება შეცვლილიყო არანაკლებ 10 წლით თავისუფლების აღკვეთით ქონების კონფისკაციით.

სწორად შენიშნავს პროფ. ბ. ნიკიფოროვი, რომ 1932 წლის 7 აგვისტოს კანონმა საფუძველი ჩაუყარა იმ ნორმების განსაკუთრებული ჩგუფის გამოყოფის პროცესს, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონე-

ბის ხელყოფისათვის¹. ამ პროცესმა შემდგომი განვითარება პოვა ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებაში — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ბრძანებულება ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერაციული ან სხვა საზოგადოებრივი ქონების ქურდობას, მითვისების, გაფლანგვისა ან მისი დატაცებისათვის სხვა სახით.

ამ ბრძანებულებასთან დაკავშირებით მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ მუხლებმა, რომლებიც ითვალისწინებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, დაკარგა მნიშვნელობა.

1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით დაწესდა ერთნაირი პასუხისმგებლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივა ქონების დატაცების სხვადასხვა სახისათვის. არსებითად, ქონების დატაცების ყველა ხერხი, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ბრძანებულებით გათვალისწინებული, გვევლინებოდა დატაცებას ჩადენის საშუალებად, დატაცებისა, რომლის ცნებაც ერთობ განვრცობით განისაზღვრა.

ამრიგად, ბრძანებულების გამოცემით დადგინდა სახ. ან საზ. ქონებას დატაცების ერთიანი ცნება, რომელიც გულისხმობდა ქურდობას, გაძარცვას, თაღლითობას, აგრეთვე სახ. ან საზ. ქონების დაუფლებას სხვა ხერხებითა და საშუალებებით.

რამდენადაც ბრძანებულება ითვალისწინებდა სახ. ან საზ. ქონების ერთიან შემადგენლობას, ამდენად სისხლის სამართლის თეორიასა და სასამართლო პრაქტიკაში ცდილობდნენ მოენახათ ისეთი ტერმინი, რომელიც გააერთიანებდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ქონების ამოღების ყველა შესაძლო საშუალებას. მაგრამ ასეთი ყოვლისმომცველი ტერმინის შერჩევა ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებამდე ვერ მოხერხდა. საქმე ია არის, რომ დატაცების ცნებას ან თვითნებურად აფართოებდნენ, ან, პირიქით, დაუსაბუთებლად ავიწროებდნენ.

ლღვისათვის „დატაცება“, როგორც სახ. ან საზ. საკუთრების

¹ იხ. В. С. Никифоров. Объект преступления. М., 1960, стр. 47.

ხელყოფის ამსახველი ტერმინი, გვხვდება საქ. სისხლის სამართლის კოდექსის როგორც ზოგად, ისე განსაკუთრებული ნაწილის მე-81, 44-ე, 54¹-ე, 91-ე, 92-ე, 93-ე, 94-ე, 96¹-ე და სხვა მუხლებში. კანონმდებელი, თუმცა ფართოდ იყენებს ამ ტერმინს მაგრამ მისი განსაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსს ჭეղჩეობით არ მოუცია. ეს, ბუნებრივია, აუცილებელს ხდის განიმარტოს დატაცების ცნება, რაც ხელს შეუწყობს დატაცების ცალკეული ფორმების სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას, სხვა დანაშაულთაგან დატაცების გამიჯვნას და სხვ.

დღეისათვის მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა, როგორც აღვნიშნეთ, არ იძლევა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრებას, მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე თავი (დანაშაულის სახ. და საზ. საკუთრების წინააღმდეგ), ამომწურავად ჩამოთვლის რა დატაცების ცალკეულ ფორმებს და ზუსტად ახასიათებს თითოეულ მათგანს (რომლებიც კოდექსში დამოუკიდებელი დანაშაულის სახითაა მოცემული), შესაძლებლობას იძლევა აღნიშნული მუხლებს სწორი იურიდიული ანალიზისა და მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე ღრმად ჩაეწედეთ დატაცების ცნების ბუნებას და განვმარტოთ იგი.

დატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრების საფუძველად უნდა მივიჩნიოთ: დატაცების შესახებ არსებული ნორმების სოციალურ-პოლიტიკური არსის სწორად შეცნობა; საკანონმდებლო ნიშნების განზოგადება, რომლითაც ხასიათდება დატაცების ცალკეული ფორმები; დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის ადრე მოქმედი კანონმდებლობის შესწავლა; მოქმედი ნორმების პრაქტიკული გამოყენების ეფექტურობის ხარისხი; საკანონმდებლო დებულების სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გარკვევა სისხლის სამართლის ზოგად პრინციპებთან კავშირში; დატაცების ცნებაზე არსებული განსაზღვრებებისადმი კრიტიკული მიდგომა და სხვ.

ახალი სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიღებამ (1960 წ.) გამოიწვია დატაცების ცნების შემდგომი დაზუსტება. საქმე ის არის, რომ ახალმა კანონმდებლობამ შეავიწროვა იმ დანაშაულთა წრე, რომელსაც მოიცავდა დატაცების ცნება.

ცხადია, დღეისათვის მრკმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ასეთი სახის ცვლილებები გარკვეულ გავლენას ახდენს დატაცების ცნებაზე, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი განსაზღვრისას.

მიუხედავად იმისა, რომ ახალმა კანონმდებლობამ სათანადო სიახლე შეიტანა დატაცების ცნებაში, ზოგიერთი ავტორი ვერ ამჩნევს ამ სიახლეს და დატაცებას განსაზღვრავს, როგორც ვინმემიერ სახელმწიფო ან სხვა საზოგადოებრივი ქონების განზრახ უკანონო გადაქცევას თავის საკუთრებად¹. ასეთი განსაზღვრების უზუსტობა ის არის, რომ დამტაცებელი არ ხდება და არც შეიძლება გახდეს დატაცებული ქონების მესაკუთრე; ასევე მასში ხაზგასმული არ არის ანგარების მიზანი, როგორც დატაცების ცნების აუცილებელი ნიშანი, და, ბოლოს, აღნიშნული სახის განსაზღვრება არ ასახავს იმ გარემოებას, რომ დატაცებული ქონება უნდა იმყოფებოდეს სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდში.

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის № 4 დადგენილებით („სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“), დატაცების ზოგადი ცნება გაგებულა, როგორც „დამნაშავის მიერ ქონების კანონსაწინააღმდეგო, უსასყიდლო გადაქცევა თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად“². „ქონების თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად გადაქცევა“ აქაც არასწორად უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, უფრო მართებულია ის განსაზღვრებები, რომლებსაც დატაცების ზოგად ცნებაზე იძლევიან გ. კრიგერი და სისხლის სამართლის კომენტარების ავტორები. გ. კრიგერის აზრით, „დატაცება ანგარებას მიზნით ჩადენილი დანაშაულებრივი დაუფლება ან სხვისთვის გადაცემა ქონებისა, რომელიც იმყოფება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდებში“. ამ განსაზღვრებას ნაკლი ისაა, რომ მასში გამოკვეთილი არაა დატაცების ობიექტური ნიშნები, კერძოდ, ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება.

¹ იხ. «Курс Советского уголовного права, часть Особенная», том. IV, М., 1970, стр. 307.

² „საართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, თბ., 1972, № 4, გვ. 3.

სისხლის სამართლის კომენტარებში დატაცება განსაზღვრულია, როგორც ანგარების მიზნით, მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სახ. ან საზ. ფონდებიდან და მისი უკანონო გადაქცევა ცალკეულ პირთა პირად სარგებლობაში¹.

ამ განსაზღვრებაში ხაზგასმა — „მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ“ — ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება², რაც იწვევს ამა თუ იმ ორგანიზაციის ფონდებში არსებული ქონების შემცირებას, ყოველთვის ეწინააღმდეგება მესაკუთრის ნებას და, როგორც წესი, ხორციელდება ფარულად, მოტყუებით, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობით. ამგვარი მოქმედება ყოველთვის მატერიალურ ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს. ყოველივე ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ კომენტარების ავტორები.

სახ. ან საზ. ქონების დატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები დატაცების ყველა ფორმისათვის დამახასიათებელი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის ნიშნები.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის დამახასიათებელი ობიექტური ხასიათის აუცილებელი ნიშნებია: 1. დანაშაულის ჩადენის მომენტში ქონება იმყოფებოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მფლობელობაში; 2. უნდა ხდებოდა ამ ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან; 3. ქონება ამოღებული უნდა იქნეს კანონში მითითებული ფორმებით და იგი მატერიალურ ზიანს არ უნდა აყენებდეს ქონების მესაკუთრეს (სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას).

¹ იხ. Г. А. Конгез. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974, стр. 88; Комментарий к уголовному кодексу РСФСР. М., 1971 стр. 193.

² „უსასყიდლო ამოღება“ ნიშნავს, სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან ამოღებული ქონების ღირებულების გადაუხდელობას, ნათურით მის დაუბრუნებლობას და ა. შ. სასამართლო პრაქტიკაში ეს ცნება გაგებულია, როგორც ქონების გაშვება და მიღება უფასოდ ან შემცირებულ ფასებში.

აქედან გამომდინარე, ცხადია, დატაცება არ იქნება, თუ პირი უკანონოდ ამოიღებს ქონებას სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან და გადაიხდის ამ ქონების ღირებულებას. ასეთ შემთხვევაში ქონების მესაკუთრეს მატერიალური ზიანი არ აღდება და ამდენად პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საქართველოს სსკ 186-ე მუხლით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება).

დატაცება არ გვექნება იმ შემთხვევაშიც, როცა სახ. ან საზ. ქონების გამოყენება, მართალია, უკანონოდ ხდება, მაგრამ იგი დაკავშირებული არ არის სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან ქონების უსასყიდლოდ გამოსვლასთან (მაგალითად, საქონლის ნისიად გაცემის შემთხვევაში).

სახ. ან საზ. ქონების დატაცების სუბიექტური ნიშნები ხასიათდება განზრახვი ბრალით, კონკრეტული მიზნებითა და გარკვეული მოტივებით.

განზრახვის შინაარსი სახ. ან საზ. ქონების დატაცებისას განისაზღვრება ქმედობის ობიექტური ნიშნების მთელი ერთობლიობით.

განზრახვა უნდა მოიცავდეს მომხდარი შემთხვევის ყველა იმ ფაქტობრივ ნიშნებს, — აღნიშნავს ა. ტრაინინი, — რომლებიც ქმნიან სათანადო დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს¹. ამ სწორი დებულებიდან შეგვიძლია დავასკვნათ: დამნაშავის ფსიქიკაში ინტელექტუალური მომენტი, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმის შეგნებაში, რომ იგი თავისი მოქმედებით დანაშაულებრივად და უნაცვალგებოდ იღებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ქონებას სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან იმ მიზნით, რათა გადააქციოს თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესების საწინააღმდეგოდ. აქედან გამომდინარე, ქმედობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას დატაცებად; თუ ბრალდებული თავისი მოქმედებით ამცირებს არსებულ მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც შეადგენენ სახ. ან საზ. ფონდებს, მაგრამ ეს არ არის დაკავშირებული ცალკეული პირების გამდიდრებასთან; მაგალითად, გაფუჭება, დაკარგვა, განადგურება ან დაზიანება (საქართველოს სსკ მე-100 და 101-ე მუხლები).

¹ იხ. А. Н. Трайнин. Общее учение о составе преступления. М., 1957, стр. 212.

ამრიგად, სახ. ან საზ. ქონების დატაცებისას დამტაცებლის განზრახვის შინაარსი ისაა, რომ მან არა მარტო იცის, რომ დატაცებული ქონება არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკუთრება, არამედ ისიც აქვს შეგნებული, რომ მას არა აქვს უფლება ამ ქონებაზე, მაგრამ ხელმძღვანელობს რა ანგარების მოტივით და მისწრაფებით პარაზიტული გამდიდრებისაკენ, აქტიურად მიმართავს თავის სურვილს, რათა დანაშაულებრივი გზით დაეუფლოს სახ. ან საზ. ქონებას.

განზრახვის შინაარსი გამოიხატება იმაშიც, რომ ბრალდებულს სურვილი აქვს განკარგოს აღნიშნული ქონება თავისი შეხედულებინამდებრ. მისი მიზანია მატერიალური გამორჩენის მიღება, პირადი გამდიდრება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ხარჯზე. ეს მიზანი ანგარებითა და მისი დაუდგენლობა, როგორც წესი, გამოორიცხავს დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ანგარების მიზანი, ესაა ცალკეულ პირთა უკანონო, პარაზიტული გამდიდრება სახ. ან საზ. ორგანიზაციის ქონების ხარჯზე.

ანგარების მიზნით ჩადიან აგრეთვე ისეთ დანაშაულს, როგორცაა: მიქრთამეობა და სხვ. მაგრამ, მისგან განსხვავებით, დატაცებისას ანგარებით მიზანს ყოველთვის ერწყმის ორი სხვა ნიშანი, კერძოდ, სახ. ან საზ. ქონების ამოღება და მისი გადაქცევა ცალკეულ პირთა პირად საზღვებლობაში.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისას (თანაბრად სხვისი პირადი ქონების დატაცებისა) „ანგარების მიზნის“ ცნებაში იგულისხმება სხვისი ქონების თავის საკუთრებად გადაქცევის მიზანი¹, დატაცების შინაარსზე სრულ წარმოდგენას იძლევა ის ფაქტი, რომ ბრალდებულს შეგნებული აქვს, თუ ვის ეკუთვნის დატაცებული ქონება. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ობიექტში შეცდომას. ობიექტში შეცდომებს უმეტესად ადგილი აქვს მაშინ, როცა დამნაშავეს არავითარი ურთიერთობა არა აქვს იმ ქონებასთან, რომელსაც იტაცებს; ასეთ შემთხვევებში იგი ცდება იმის გარკვევაში, თუ ვისია დატაცებული ქონება. ყოველივე ეს ჩვეულებრივ ხდება ქურდობისას, ყაჩაღობისას, გაძარცვისას. დამ-

¹ იხ. Б. В. Харазшвили. Вопросы мотива поведения преступника в Советском уголовном праве. Тбилиси, 1963, стр. 101.

ნაშაქის ქმედობა ასეთ შემთხვევებში კვალიფიცირდება მისი განზრახვის შესაბამისად.

იმის დასადგენად, იცოდა თუ არა ბრალდებულმა ვის ეკუთვნოდა დატაცებული ქონება, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქონების ხაზით, მის თვისებას, ფასს, ხარისხს, და ა. შ.; მაგალითად, თუ დამნაშავე ფიქრობს, რომ იტაცებს სახ. ან საზ. ქონებას, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება რომ იგი მოქალაქის პირადი საკუთრებაა, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც სახ. ან საზ. ქონების დატაცების მცდელობა დატაცების შესაბამისი ფორმით.

უკეთუ დამნაშავე თავის სასარგებლოდ აქცევს სახ. ან საზ. ქონებას და შეცდომით ფიქრობს, რომ ეს ქონება მოქალაქის კუთვნილებაა, იგი პასუხს აგებს მოქალაქის პირადი ქონების დატაცებისათვის.

განსაკუთრებით საყურადღებოა დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხი მაშინ, როცა აღმოჩნდება, რომ პირმა დაიტაცა ქონება, მაგრამ არ იცის ფაქტობრივად ვის ეკუთვნის იგი. ასეთი დანაშაულის კვალიფიცირებისას უნდა გამოვიდეთ ქონების ფაქტობრივი კუთვნილებიდან, ე. ი. ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს სახ. ან საზ. საკუთრების ხელყოფად, თუ აღმოჩნდება, რომ ქონება ეკუთვნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, მართებულია, რადგანაც ასეთ დროს ბრალდებულის მხრივ ადგილი აქვს ალტერნატიულ განზრახვას — მისი მიზანია მხოლოდ უკანონო გამდიდრება სხვისი ქონების ხარჯზე, ამდენად მისთვის სულერთია, თუ ვის ეკუთვნის დატაცებული ქონება. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში ობიექტური აღცილობლობა მოითხოვს, პირმა პასუხი აგოს იმ ქონებას ხელყოფისათვის, რომელსაც მისმა დანაშაულებრივმა ქმედობამ მიაყენა ფაქტობრივი ზიანი.

ამრიგად, ბრალდებული სახ. ან საზ. ქონების დატაცებისას ყოველთვის მოქმედებს პირდაპირი განზრახვით; სახელდობრ, მისი მოქმედება მიმართულია მატერიალური ფასეულობის ამოღებისაკენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდებიდან. ამავე დროს ბრალდებულმა იცის, რომ იგი სათანადო უფლების გარეშე უსასყიდლოდ აქცევს სახ. ან საზ. ქონებას თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ. ხელმძღვანელობს რა ამ შემთხვევაში ანგარებით.

სახ. ან საზ. ქონების დატაცების საზოგადოებრივი პრაქტიკა-
ბა ისაა, რომ დამნაშავე ქონებრივ ზიანს აყენებს სახელმწიფო ან
საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ასევე ავლენს სწრაფვას პარაზი-
ტული გამდიდრებისაკენ სხვისი შრომის ხარჯზე. სწორედ სწრა-
ფვა გვევლინება დამნაშავეს ქცევის მამოძრავებელ მოტივად. გან-
საზღვრავს დამნაშავეს ქცევას, ანაბათებლად საბოლოოდ მთელ მის
მოქმედებას. დატაცების მოტივიც და მიზანიც ანგარიშგამორიცხად. ასეთ
ვითარებაში დამნაშაულებრივი ქცევის მოტივს (სწრაფვას პარაზი-
ტული გამდიდრებისაკენ) შეესაბამება მსგავსი მიზანი (პარაზიტუ-
ლად გამდიდრდეს დატაცებული ქონების ხარჯზე), რაც განაკეთ-
რებით ნათლად ვლინდება დამნაშავეს მიერ თავის სასარგებლოდ
სახ. ან საზ. ქონების დამნაშაულებრივი დაუფლებიდან. პირის მიზა-
ნია მოიხმაროს, გამოიყენოს ან განკარგოს სახ. ან საზ. ქონება, რო-
გორც თავისი საკუთარი, იმ განზრახვის სრული გამოხატულებით,
რომ იგი როდისმე დაუბრუნებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ
ორგანიზაციას, ან აანაზღაურებს დატაცებული ქონების ღირებუ-
ლებას.

ანგარების მიზნით სახ. ან საზ. ქონების სხვა პირისათვის გა-
დაცემისას დამნაშავეს განზრახული აქვს თავისი წილი მატერიალ-
ური სარგებლობის მიღება შემდგომისათვის, რაც მას ერგება იმ
საერთო ქონებიდან, რომელიც გადასცა სხვა პირს; ან მისი ანგარე-
ბითი სწრაფვა დაკმაყოფილდება იმ პირთა უკანონო გამდიდრე-
ბით, რომელთა ბედითაც დამნაშავე პირადადაა დაინტერესებული
(მაგ., ნათესაეები, მის კმაყოფიანზე მყოფი პირები, მეგობრები და
ა. შ.).

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის
1972 წლის 11 ივლისის დადგენილება — „სახელმწიფო და საზო-
გადოებრივი ქონების დატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტი-
კის შესახებ“, მიუთითებს ანგარების მიზნის აუცილებლობაზე რო-
გორც სახ. ან საზ. ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევისას,
ასევე მისი სხვა პირისთვის გადაცემისას¹.

დატაცება სახ. ან საზ. ქონების განადგურების ან დაზიანები-
სას გვექნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს დასა-

¹ იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი, თბ., 1972,
№ 4, გვ. 4.

წყისშივე აქვს განზრახვა თავის სასარგებლოდ გადააქციოს დაზიანებული ნივთების ცალკეული ნაწილები (მაგ., დაიუფლოს ავტომანქანის დეტალებს). ბუნებრივია, დატაცება გვექნება მაშინაც, როცა დამნაშავე ეუფლება სახ. ან საზ. ქონებას თავის სასარგებლოდ გადაქცევის მიზნით, მაგრამ ადგილზე დაკავების მომენტში ანადგურებს ამ ქონებას პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მიზნით.

დატაცება არ არის მაშინ, როცა ბრალდებული იღებს სახ. ან საზ. ქონებას არა ანგარების, არამედ სხვა მიზნით, მაგალითად, ქონების განადგურება ან დაზიანება იმ პირის მიმართ შურისძიების მიზნით, რომლის გამგებლობაში ან შესანახავად იმყოფება აღნიშნული ქონება და სხვ.

არ არის დატაცება იმ შემთხვევაშიც, როცა სახ. ან საზ. ქონების ამოღება ხდება უკანონოდ სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან და უფრო მეტიც, უკანონოდ გადადის ცალკეულ პირთა სარგებლობაში, მაგრამ არა პარაზიტული გამდიდრების, არა უკანონო მოგების მიზნით, არამედ საწარმოო სამუშაოს შესასრულებლად, წახალისებისათვის და ა. შ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებას დატაცების ობიექტური და სუბიექტური ნიშნების დახასიათების შემდეგ), დატაცება არის ანგარების მოტივითა და მიზნით ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან კანონში მითითებული ფორმებით და მიზი გადასვლა ამა თუ იმ პირის ისეთ სარგებლობაში, რაც მატერიალურ ზიანს აყენებს ქონებას მესაკუთრეს.

ბ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, ჩადენილი ქურდობით

დღეისათვის მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის თანახმად, ქურდობა არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ფარული დატაცება. იგი ხასიათდება საქმიანობის ფარული ხერხით, რაც მისი ძირითადი პირობა და აუცილებელი ნიშანია.

ფარულ დატაცებას აქვს ორი მხარე: ობიექტური და სუბიექტური. ობიექტური მხარე ისაა, რომ დაზარალებულს, რომლის გამ-

გებლობასა და დაცვაში იმყოფება ქონება, ასევე სხვა პირებს, რომელთა თანდასწრებითაც ხდება დატაცება, შეგნებული არა აქვთ, რომ ქონების დატაცება ხდება დამნაშავეს მიერ. სუბიექტური მხარე იმით ხასიათდება, რომ დამნაშავე დარწმუნებულია თავისი მოქმედების ფარულ ხასიათში, ე. ი. იცის, რომ იგი ქონებას იტაცებს სხვებისაგან შეუმჩნეველად.

ფარული დატაცების ამ ორი მხარიდან გამომწყვეტია სუბიექტურა, დამნაშავე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ქონების დატაცება ხორციელდება მის მიერ სხვებისაგან შეუმჩნეველად და რომ მას ვერ იგებენ ირგვლივ მყოფნი, თუნდაც სინამდვილეში სხვა პირები მას აკვირდებოდნენ.

ამრიგად, ქურდობა-საჯვის დამახასიათებელია დამნაშავეს მისწრაფება — დაიტაცოს ქონება ფარულად, ე. ი. შეუმჩნეველად; სწორედ ასეთი ვარაუდით მოქმედებს იგი. ფარულ დატაცებად კვალიფიცირდება, მაგალითად, ქურდობა ხალხმრავალ ადგილებში მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ დამნაშავეს მოქმედებას ფაქტობრივად მრავალი ადამიანი უყურებს. თუ დამნაშავე შეგნებულად მოქმედებს აშკარად, არაფრად აგდება იმას, რომ არიან თვითმხილველები, მისი მოქმედება უნდა განვიხილოთ არა როგორც ფარული, არამედ აშკარა დატაცებად, ე. ი. გაძარცვად.

დატაცება, ჩადენილი იმ პირის თვალწინ, რომელიც დამნაშავეს წინასწარი შეცნობით უუნაროა გაიგოს მომხდარი ფაქტის მნიშვნელობა (მაგალითად, მცირაწლოვანობის ან გონებრივი არასრულფასოვნობის გამო), საჭიროა კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ქურდობა.

ფარულ დატაცებად, ანუ ქურდობად უნდა ჩაითვალოს ასევე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავე მიმართავს მძინარე პირისაგან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, ან ქურდავს იმ პირს, რომელიც ძლიერ მთვრალ მდგომარეობაშია და შესაძლებლობა არა აქვს შეიგნოს დამნაშავეს მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი.

ქურდობის ობიექტური მხარის ნაშნად გვევლინება ქონების დატაცება, გაკებული, როგორც ფარული ამოღება ქონებისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდიბიდან ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, ფარული დატაცება ხდება იმ ქონებისა, რომელიც იმყოფება გარკვეული იურიდიული თუ ფიზიკური პირის

განკარგულებაში, მფლობელობასა ან დაცვაში. სახ. ან საზ. ქონების ქურდობა დამთავრებულად ითვლება სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან ქონების ამოღებისა და დამნაშავეის მფლობელობაში მისი გადასვლის მომენტიდან.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როცა დამნაშავეები ახერხებენ დატაცებული ქონების გამოტანას საწარმოს ტერიტორიიდან, მაგრამ მათ მოქმედებას აკვალიფიცირებენ არა დამთავრებულ დანაშაულად, არამედ დანაშაულის ჩადენის მცდელობად.

ამრიგად, თუ დატაცებული ქონება გამოტანილია საწარმოს ტერიტორიიდან, დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ქონება მესაკუთრის მფლობელობიდან გამოვიდა.

ქონების დატაცების სხვა ფორმებისაგან, კერძოდ, მითვისება-გაფლანგვისაგან, ქურდობის გასამიჯნავად საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ პირველ შემთხვევაში ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფება დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში, რომელიც მას მინდობილი აქვს სამეურნეო განკარგვისათვის. თუ ქონების დატაცება ჩადენილია იმ პირის მერ, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული უფლებამოსილება იმ ქონების მიმართ, რომელსაც ის იტაცებს, არამედ შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ამ ქონებით დავალებულ სამუშაოსთან ან სამსახურებრივი მოვალეობას შესრულებასთან დაკავშირებით (მაგალითად, მუშის მიერ ნედლეულის ან მზა პროდუქციის დატაცება წარმოებიდან და ა. შ.), აგრეთვე იმ პირის მიერ, რომლისთვისაც მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ზღმინაწილობა უშუალოდ სხვისთვის მინდობილი ქონება (მაგალითად, დატაცება, ჩადენილი კომენდანტის, სახანძრო საგუშაგოს დაცვის უფროსისა და სხვათა მიერ), კვალიფიცირდება არა როგორც მითვისება ან გაფლანგვა, არამედ როგორც ქურდობა.

ამრიგად, ქურდობისას სახ. ან საზ. ქონების ამოღების მეთოდები, დანაშაულის ჩადენის ვითარება (ადგილი, დრო და ა. შ.) და ის ზეარბი, რომელთა გამოყენებითაც დამნაშავე ცდილობს თავისი მიზნის მიღწევას, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. დამნაშავეის მოქმედების ხერხები და მეთოდები მეტწილად განპირობებულია დანაშაულის ჩადენის კონკრეტული ვითარებითა და დატაცებული ქონების ხასიათით; მაგალითად, დამნაშავეს შეუძლია მთლიანად

დაუფლოს ნივთს, ნაყოფს, საქონელს და ა. შ. ან გამოაცალკეოს მთელიდან გარკვეული ნაწილი, რომელსაც განსაზღვრული სამეურნეო მნიშვნელობა აქვს (მანქანიდან ნაწილებისა და სხვადასხვა დეტალის მოხსნა, ძროხების მოწველა, ცხვრების გაკრეკა, ხეხილის მოკრეფა და სხვა).

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ჩადენილია ქურდობა რამდენიმე პირის თანამონაწილეობით, შესაძლოა ზოგიერთ თანამონაწილეს არც ამოქმედებდეს ანგარებითი მიზანი, მაგრამ თუ მათ შეგნებული აქვთ, რომ ხელს უწყობდნენ დანარჩენ თანამონაწილეთა ანგარებითი მიზნის განხორციელებას, უკლებლივ ყველამ პასუხი უნდა აგოს ქურდობისათვის.

ქურდობად არ ჩაითვლება ქონების დაუფლება დროებითი გამოყენების მიზნით, მაგალითად, ავტომანქანის დაუფლება გასეირნებისათვის და ა. შ. ასეთი მოქმედება კვალიფიციერება შეიძლება საქართველოს სისხლის კოდექსის 243-ე მუხლით, როგორც სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება.

ქურდობიას დამნაშავეს შეუძლია ამოიღოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება უშუალოდ თავისი ძალებით ან გამოიყენოს ამისათვის რაიმე განსაკუთრებული მოწყობილობა (ტექნიკური საშუალება, სხვადასხვაგვარი იარაღი და ა. შ.); ასევე შეუძლია გამოიყენოს შეურაცხადი პირი, თვით ცხოველებიც კი (მაგალითად, ნივთების დატაცება სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლების დახმარებით).

ყველა იმ გარემოებათა შორის, რომლებიც შეიძლება ახლდეს ქურდობას, მის ძირითად დამახასიათებელ თავისებურებად მაინც ის უნდა ჩაითვალოს, რომ ქონება, რომელსაც იტაცებს დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფება ვინმეს (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, თანამდებობის ცალკეულ პირთა ან კერძო პირების) მფლობელობაში, ხოლო ქურდს, რომელიც იპარავს ამ ქონებას, მის მიმართ არა აქვს არავითარი უფლებამოსილება, მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიმართავს მის ამოღებას მესაკუთრის ნების საწინააღდეგოდ და ითვისებს საგნებს, ნივთებს და ა. შ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლო-

ბას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობისათვის, ოთხი ნაწილისაგან შედგება.

91-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის ძირთად სახეს, ე. ი. ქურდობას დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის კვალიფიციურ სახეებზე ხაზგასმულია საქართველოს სს კოდექსის 91-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილებში.

მეორე ნაწილის ძალით მაკვალიფიცირებულ, ანუ დამამძიმებელ გარემოებებად მიჩნეულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობა, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან იმ პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

დატაცება განმეორებითად უნდა ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში, როცა პირს ადრე ჩადენილი აქვს ერთ-ერთი იმ დანაშაულთაგანი, რომლებიც მითითებულა საქართველოს სს კოდექსის 91-ე მუხლის შენიშვნაში, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა იგი მსჯავრდადებული ამ დანაშაულისათვის. ასევე დატაცება განმეორებითად უნდა იქნეს მიჩნეული მიუხედავად იმისა, ქონება ერთა წყაროდან იყო ამოღებული, თუ სხვადასხვა წყაროდან, იმ შემთხვევების გარდა, როცა ჩადენილი ქმედობა შეიძლება განხილულ იქნას როგორც განგრძობადი დანაშაული.

საქართველოს სს კოდექსის 91-ე მუხლის შენიშვნაში ხაზგასმულია შემდეგი: ამ კოდექსის 91-ე (ქურდობა), 92-ე (გაძარცვა), 93-ე (თაღლითობა) და 94-ე (მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული განმეორებითად ჩაითვლება, თუ იგი ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელმაც ადრე ჩაიდინა ამ მუხლებით ან 78-ე (ბანდიტიზმი), 96-ე (ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების მიზნით), 96¹-ე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება), 150-ე (ქურდობა), 153-ე (თაღლითობა), 240-ე (ცეცხლსაბრლო იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა დატაცება) და 252¹-ე (ნარკოტიკულ საშუალებათა და სხვა ძლიერმოქმედ და შხამიან ნივთიერებათა დატაცება) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული.

ქურდობა არ შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც განმეორებითი, თუ დამნაშავეს მოხსნილი აქვს ნასამართლობა ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის ამნისტიის ან შეწყალების წესით, ანდა გაქარწყლებული ან მოხსნილი აქვს იგი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 57-ე მუხლის შესაბამისად, აგრეთვე თუ დატაცების ჩადენის მომენტში გასულია ადრე ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადები.

განმეორებითი ქურდობა უნდა განეხილავთ განგრძობადი ქორდობისაგან. განგრძობადად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების არაერთგზისი კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო ამოღება, შემდგარი რამდენიმე ერთი და იგივე დანაშაულებრივი მოქმედებისაგან, რომელთა საერთო მიზანია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონო დაუფლება, რასაც დამნაშავეს ერთიანი განზრახვა მოიცავს და რომლებიც ერთობლიობაში ერთ დანაშაულს შეადგენენ. განგრძობადი დანაშაული, როგორც წესი, კვალიფიცირდება 91-ე მუხლის პირველი ნაწილით იმ შემთხვევაში თუ მას არ ახლავს სხვა დამამძიმებელი გარემოებანი.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, როცა ქურდობა, ჩადენილი განმეორებით, კვალიფიცირდება განგრძობად დანაშაულად.

91-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულა ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორაცაა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი ქურდობა. ამ სახით ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება ისაა, რომ დამნაშავეები ასეთ შემთხვევაში წინასწარ აერთიანებენ თავიანთ შესაძლებლობებს, განუმტკიცებენ ერთმანეთს დანაშაულის ჩადენის რწმენას (განზრახვას), მოქმედებენ ურთიერთშეთანხმებულად, იყენებენ დანაშაულის ჩადენის შენიღბულ ხარხებსა და საშუალებებს, იადვილებენ როგორც დანაშაულის ჩადენას, ასევე დატაცებული ქონების გასაღებასა და დანაშაულის კვალის დაფარვას, ასევე დანაშაულის ჩასაღენად იყოლიებენ მერყევი ხასიათის ადამიანებს და სხვ.

ქურდობის ფორმით ჩადენილი ქონების დატაცებისა თანამონაწილეობის ფორმებიდან გვხვდება: 1. თანაამარულებლობა (როდესაც დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ჯგუფის თითოეული წევრი

12. ზ. წულაია

ამსრულებლის როლში გამოდის) და 2. თანამონაწილეობა რაღებ-
ბის განაწილებით (ასეთ შემთხვევაში ჯგუფის წევრებს შორის რო-
ლები იმგვარად ნაწილდება, რომ ერთი მათგანი ქმნის ქურდობისა-
თვის ხელსაყრელ პირობებს, მეორე უშუალოდ სჩადის ქურდობას,
მესამე მალავს ნაქურდალს ან ასალებს მას და სხვ.). ასეთი ჯგუფის
ყველა მონაწილე პასუხს აგებს მთლიანად იმ ქმედობისათვის, რაც
ფაქტობრივად შესრულდა ჯგუფის მიერ წინასწარ დასახული გეგ-
მის განსახორციელებლად, ე. ი. როგორც ამსრულებელი, 91-ე
მუხლის მეორე ნაწილით, მე-19 მუხლის გამოყენების გარეშე. სს
კოდექსის მე-19 მუხლის გამოყენება მხოლოდ მაშინ შეიძლება,
როდესაც საკითხი დგას პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმე-
ბით ჩადენილი დანაშაულის ისეთი წამქეზებლის ან დამხმარის პა-
სუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ამ ჯგუფის მონაწილე არ ყო-
ფილა. რაც შეეხება ორგანიზატორს, ე. ი. ჯგუფის შემქმნელს, და-
ნაშაულის მომწყობს, იგი, ცხადია, ყოველთვის ჯგუფის ერთ-ერთ
მონაწილედ ჩაითვლება.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ ქურდობას
არასწორად აკვალიფიციკრებენ პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შე-
თანხმებით ჩადენილად, მაშინ როცა სინამდვილეში ერთი პირი
უშუალოდ ჩადის ქურდობას, ხოლო მეორე პირი ამ დანაშაულის
მხოლოდ წამქეზებელია. მოგვყავს მაგალითი:

ახალქალაქის რაიონის სახალხო სასამართლომ გ-სა და ბ-ს
არასწორად დასდო მსჯავრი საქართველოს სისხლის სამართლის
კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილით (პირთა ჯგუფის მიერ წინას-
წარი შეთანხმებით ჩადენილ ქურდობაში). საქმის ფაბულა კი შემ-
დეგში მდგომარეობდა: გ-მ ლეინის მალაზიაში შემთხვევით შემო-
სულ ტრაქტორისტს ბ-ს სთხოვა კოლმეურნეობის კუთვნილი კარ-
ტოფილი მიეტანა სახლში, რისთვისაც სათანადო თანხას გადაუხდი-
და. ამ უკანასკნელმა ტრაქტორის ურიკა დატვირთა 2 ტონა კარ-
ტოფილით და საღამოს მიუტანა ბინაზე. გ-მ შეპირებული თანხა
გადაუხადა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის
სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განაჩენი და საკანა-
ციო განჩინება შეცვალა და გ-ს მოქმედება სწორად დააკვალიფი-
ცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის
პირველი ნაწილით. კოლეგიამ აღნიშნა, რომ „გ-მ მართალია წააქე-

ზა ბ., დატაცების ჩადენაზე, მაგრამ თვითონ მას ქურდობაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღია; ობიექტური მხარის ყველა მოქმედება ბ-მ ჩაიდინა; რომ არ არის საფუძველი ქმედობის 91-ე მუხლის მეორე ნაწილით დაკვალიფიცირებისა“.

ამრიგად, თუ ქურდობა უშუალოდ ჩადენილია ერთი პირის მიერ, ხოლო მეორე პირი არის ამ დანაშაულის მხოლოდ წამქეზებელი, იგი არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს როგორც ქურდობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით.

მაშასადამე, პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენისას საჭიროა არსებობდეს ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობა, მათი ურთიერთშეთანხმება, განზრახვის ერთიანობა და ძალების გაერთიანება. თუ ორი ან მეტი პირის ერთობლივი მონაწილეობა და მათი ურთიერთშეთანხმება არა გვაქვს და ისინი დანაშაულის ჩადენისას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებენ, ასეთ შემთხვევაში გვექნება არა თანამონაწილეობა, არამედ ორი პირის დანაშაულებრივი საქმიანობის უბრალო დამთხვევა.

ერთობლივი მონაწილეობისათვის დამახასიათებელია ყველა თანამონაწილის მისწრაფება — თავისი საქმიანობა ერთი საერთო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად წარმართოს: ამასთან, თითოეული მათგანის მოქმედება ისეთ ობიექტურ კავშირშია ერთიმეორესთან, რაც აუცილებელი პირობაა სხვა თანამონაწილეთა მოქმედების განსახორციელებლად; ასევე მიზეზობრივ კავშირშია თანამონაწილეთა მიერ მიღწეული დანაშაულებრივი შედეგი თითოეული მათგანის მოქმედებასთან. როგორც ჩანს, თანამონაწილეები მოქმედებენ არა ერთიმეორისაგან გათიშულად, არამედ ერთობლივად. ყოველივე ამის გამო მათი მოქმედება ურთიერთგანპირობებულია. ან, სხვანაირად, ყოველი თანამონაწილის მოქმედება, რაშიც უნდა გამოიხატოს ის, დანაშაულის ჩადენის აუცილებელი პირობაა და საბოლოოდ ხელს უწყობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენაში ერთობლივი მონაწილეობა გულისხმობს მიზეზობრივი კავშირის არსებობას თითოეული თანამონაწილის მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებაში განზრახვის ერთიანობა და აგრეთვე მათ შორის შეთანხმება, — საერთო ძალებით

ჩაიდინონ დანაშაული, — შეიძლება ადრევე იყოს მიღწეული ან უშუალოდ დანაშაულის ჩადენის წინ, ან მისი ჩადენის დროს.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ წინასწარ შეუპირებელი დაფარვა შეცდომით კვალიფიცირდება, როგორც დატაცებაში თანამონაწილეობა. მოგვეყავს მაგალითი:

სენაკის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენით კ-ს არასწორად დაედო მსჯავრი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლითა და 91-ე მუხლის მე-4 ნაწილით. საქმის ფაბულა კი შემდეგში მდგომარეობდა: კ-მ თავისი ავტომანქანით საწარმოს ტერიტორიიდან გამოტანილი დატაცებული ნართი დიდი ოდენობით (300 კილოგრამი) გადაუზიდა უცნობ პირებს, რომლებთანაც წინასწარ შეთანხმებული არ იყო. საკასაციო სასამართლომ მისი მოქმედება სწორად გადააკვალიფიცირა 205-ე მუხლის (დანაშაულის დაფარვა) პირველ ნაწილზე.

ქურდობისას, საერთო წესის მიხედვით, თითოეული თანამონაწილე პასუხს აგებს ერთობლივი ჩადენილი დანაშაულისათვის მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც ურთიერთშეთანხმებული იყო. საგამოძიებო პრაქტიკაში არის შემთხვევა, როცა ამსრულებლის მიერ ჩადენილი მოქმედება სხვა თანამონაწილეებთან არაა შეთანხმებული და ამით დგება ამსრულებლის ექსცესი. ასეთ შემთხვევაში სრულდება ისეთი მოქმედება, რაც თავისი ხასიათით, მოცულობით თუ ჩადენის ხერხითა და საშუალებით არ შეესაბამება შეთანხმებას და ქმნის ან ამ დანაშაულის კვალიფიციურ სახეს, ან შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს, რომელთა განზრახვაც არ ჰქონიათ დანარჩენ მონაწილებს: მაგალითად, თუ წამქეზებელმა დაიყოლია სხვა პირი დანაშაულის, კერძოდ, ქურდობის ჩასადენად, ხოლო ამ უკანასკნელმა ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა, ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამსრულებლის ექსცესზე; ექსცესისათვის პასუხისმგებობა ეკისრება მხოლოდ ამსრულებელს, დანარჩენი თანამონაწილეების პასუხისმგებლობა კი განისაზღვრება მხოლოდ იმ მოქმედებით, რაც ამსრულებელმა შეასრულა მათთან შეთანხმების ფარგლებში.

ამრიგად, ამსრულებლის ექსცესი ვერ შეერაცხება სხვა თანამონაწილეებს იმის გამო, რომ ექსცესით დამდგარ დანაშაულებრივ შედეგსა და დანარჩენ თანამონაწილეთა მოქმედებას შორის არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი, რამდენადაც ამ შედეგის დადგომი-

სათვის მათ ხელი არ შეუწყვიათ და თანამონაწილეები არ ითვა-
ლისწინებდნენ ურთიერთ შეთანხმებული ფარგლების გადაცუ-
ლით ამსრულებლის მიერ სხვა მოქმედების განხორციელებას.

იმ შემთხვევებში, როცა დანაშაულებრივი გზით მოპოვებუ-
ლად შეცნობილი ქონების შექმნა დაკავშირებული იყო დატაცებ-
ის წაქეზებასთან, დანაშაულის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს
როგორც თანამონაწილეობა ამ დანაშაულში. ასევე უნდა დაკვალი-
ფიცირდეს როგორც თანამონაწილეობა დატაცებულად შეცნობილი
ქონების წინასწარ შეპირებული შექმნა და ასეთი ქონების წინას-
წარ შეპირებული რეალიზაცია, აგრეთვე დატაცებული ქონების
სისტემატური შექმნა ერთი და იმავე დამტაცებლისაგან იმ პირის
მიერ, რომელსაც შეგნებული აქვს რომ ეს შესაძლებლობა აქ-
ლევს დამტაცებელს, მისი დახმარების იმედი ჰქონდეს ამ ქონების
გასაღებაში.

თანამდებობის პირის მოქმედება, დაკავშირებული სახელმწი-
ფო და საზოგადოებრივი ფულადი სახსრების უკანონო დაუფლე-
ბასთან, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საქონლის შექმნისა
და მისი შემდგომი რეალიზაციისათვის, უნდა დაკვალიფიცირდეს
მუხლებით, რომლებიც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობას დატა-
ცებისათვის.

შემდეგი დამამძიმებელი გარემოება, რასაც ითვალისწინებს
91-ე მუხლის მეორე ნაწილი, ესაა ქურდობა, ჩადენილი იმ პირის
მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო
შრომას.

ასეთ პირთა მიერ ჩადენილი ქურდობის მომეტებულ საზოგა-
დოებრივ საშიშროებას სწორედ ის განსაზღვრავს, რომ ისინი გა-
ურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ეწევიან პარაზი-
ტულ ცხოვრებას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს სხვადასხვა სა-
ხის დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას. მათი გულისყური მი-
მართულია იქითკენ, რომ მხოლოდ დანაშაულია ჩადენით მიღებუ-
ლი შემოსავლით იცხოვრონ, ჩაითრიონ თავიანთ დანაშაულებრივ
საქმიანობაში სხვადასხვა პირი და ა. შ.

სისხლის სამართლის კოდექსის 91-ე მუხლის მეორე ნაწილით
გათვალისწინებული ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება არსე-
ბობისას სასჯელის ზომად კანონმდებელი ითვალისწინებს თავი-
სუფლების აღკვეთას ორი წლიდან ექვს წლამდე, ქონების კონფის-

კაციით ან უამისოდ, ან განასწორებელ სამუშაოებს, ვადით ერთი-დან ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

განსახილველი მუხლის შესამე ნაწილის ძალით, ქურდობა სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

საქართველოს სსრ სსკ 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული „ქურდობა სადგომში ან საცავში შეღწევით“ ნიშნავს არა მხოლოდ ფარულ შესვლას სადგომში ან სხვა საცავში ქურდობის მიზნით, არამედ იქიდან დასატაცებელი საგნების ამოღებას სხვადასხვა მოწყობილობის გამოყენებით, შესაბამის სადგომში ან საცავში შესვლის გარეშე.

„შელწევა“ — ესაა ფარული ან აშკარა შექრა სადგომში, სხვა საცავში ან საცხოვრებელში ქურდობის, გაძარცვის ან ყაჩაღობის ჩადენის მიზნით. იგი შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც დაბრკოლებათა ან ხალხის წინააღმდეგობათა გადალახვის, ისე ასეთის გარეშე. „შელწევა“ შეიძლება განხორციელდეს ასევე მოწყობილობების (სამარჯვების) გამოყენებით, როცა ბრალდებულს დასატაცებელი საგნები ამოაქვს შესაბამის სადგომში შესვლის გარეშე.

როცა პირი ქურდობას ჩადის განმეორებით და სადგომში შეღწევით, მისი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს საქ. სს კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილით; რაც შეეხება ამ ქმედობის კვალიფიცირებას ამავე მუხლის მე-2 ნაწილით, იგი ზედმეტად უნდა მივიჩნიოთ,

91-ე მუხლის მეოთხე ნაწილში მოცემულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ქურდობის განსაკუთრებით საშიში სახეები; კერძოდ, ქურდობა ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან დიდი ოდენობით¹.

გარკვევა იმისა, ქურდობა ჩადენილია დიდი ოდენობით თუ არა, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გამომკვლევ ორგანოებზე, რომლებიც ამ საკითხის გადაწყვეტისას მხედველობაში ღებულობენ დატაცებული ქონების როგორც ფულად ღირებულებას, ასევე მოცულობას, წონას, რაოდენობას და ა. შ.

¹ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით დიდ ოდენობად მიჩნეულია ქონება, რომლის ღირებულება არის 1500-დან 6000-მდე დოლარის შესაბამისი ლარი.

თუ ქურდობა ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ, ასეთ შემთხვევაში კვალიფიციისათვის მნიშვნელობა მიეცემა არა თითოეული მათგანის წილს დატაცებული ქონებიდან, არამედ საერთოდ დატაცებული ქონების მთლიან ღრებულებას.

თუ ქურდობის ჩადენისას დამნაშავეს განზრახვა მიმართულა იყო დიდი ოდენობით ქონების დაუფლებისაკენ და იგი არ განზორციელდა დამნაშავესაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც დიდი ოდენობით ქონების დატაცების მცდელობა, მიუხედავად ფაქტობრივად დატაცებული ქონების ოდენობისა.

მოქმედება პირისა, რომელმაც ჩაიდინა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების რამდენიმე ქურდობა, რითაც საერთოდ მიყენებულია დიდი ოდენობის ზიანი, კვალიფიცირდება 91-ე მუხლის მეოთხე ნაწილით.

რამდენიმე ქურდობა, რამაც საერთო ჯანში დიდი ზიანი გამოიწვია, თუ ერთიან განგრძობად დანაშაულად წარმოგვიდგება, კვალიფიცირდება როგორც დიდი ოდენობით ჩადენილი ქურდობა.

დატაცებული ქონების ღირებულება, როგორც წესი, უნდა განისაზღვროს საცალო ფასების მიხედვით. თუ დატაცებული ქონების ღირებულება განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტების საფუძველზე, საჭიროა ამ აქტებით ხელმძღვანელობა. თუ დატაცებულ ქონებას საცალო ფასი დადებული არა აქვს, არც სპეციალური ნორმატიული აქტებია მისი ფასის გამოანგარიშების შესახებ, მაშინ მისი ღირებულება ანალოგიური საქონლის საცალო ფასის მიხედვით უნდა დადგინდეს. დატაცებული ქონების ღირებულება ასეთ შემთხვევაში უნდა გაანგარიშდეს ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე.

ისეთ ფასეულობათა დატაცებისას, რომელთა გამოც არსებობს სპეციალური ნორმატიული აქტები და დადგენილია მომეტებული მატერიალური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, დამნაშავეს მოქმედება კვალიფიცირდება დატაცებული ქონების საცალო ფასიდან გამომდინარე; ამასთან, დასახელებულ სახეობათა ქონების დატაცებით მიყენებული ზიანის თანხა დამნაშავეებს უნდა გადახდეთ იმ მატერიალური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რაც სპეციალური ნორმატიული აქტებითაა დადგენილი.

დაბოლოს, 91-ე მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული ქურდობის განსაკუთრებით საშიში სახეა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ჩადენილი ქურდობა.

ქურდობის ჩადენა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ იმის დამადასტურებელია, რომ ეს პირი საზოგადოებრივად მეტად საშიშია. მიუხედავად წინასწარი მსჯავრდადებისა ორი ან მეტი დანაშაულისათვის, მასში მტკიცედ არის ფესვგადგმული ქურდული ჩვევები: იგი ჭიუტად ეწინააღმდეგება მართლწესრიგს, მასზე ზეგავლენას ვერ ახდენს ვერც მსჯავრი და ვერც განაჩენის აღსრულება.

თუ ვინ ჩაითვლება განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად, განმარტებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის 44-ე მუხლში. განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ჩაითვლება მხოლოდ ის პირი, ვინც განსახილველი საქმის გამო დანაშაულის ჩადენამდე კანონით დადგენილი წესით უკვე არაუცნობილი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად.

91-ე მუხლის მეოთხე ნაწილით განსაზღვრული ერთ-ერთი სახის დამამძიმებელი გარემოების არსებობისას კანონმდებელი სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

დასასრულს, გვინდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს სს კოდექსის 91-ე მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდა ქურდობას, ჩადენილს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, რაც, ვფიქრობთ, არასწორი იყო. ჯერ ერთი, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება, როგორც დამამძიმებელი გარემოება, სს კოდექსის 39-ე მუხლში (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები) მოხსენიებული არ იყო, რამაც ერთგვარი შეუსაბამობა შექმნა სისხლის სამართლის ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებს შორის; მეორეც, დამამძიმებელ გარემოებად ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების აღიარებამ საგამომძიებო და სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობა შექმნა¹. იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ ავტომანქანა და სხვა სატრანსპორტო საშუალება, რაც გამოყენებული იყო სახელმწიფო ან საზ. ქონების და-

¹ მხედველობაში გვაქვს კვალიფიკაციის საკითხები, რაც ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ცნების არაერთნაირი გაგებიდან გამომდინარეობდა.

ტაცებისას, მიჩნეულიყო „ტექნიკურ საშუალებად“ და თანაც გარემოებად, რომელიც კვალიფიციურს განდიდა ქურდობას.

ამჟამად, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება საქეებით სწორად მიჩნეულია არა ქურდობის დამამძიმებელ გარემოებად, არამედ 91-ე მუხლის პირველი ნაწილის შემადგენელ ელემენტად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქურდობა, ჩადენილი ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, კვალიფიცირდება 91-ე მუხლის პირველი ნაწილით. ისმება კითხვა: როგორ გავიგოთ ქურდობის ჩადენა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით? აქ იგულისხმება ქურდობის ჩადენა სპეციალურად წინასწარ დამზადებული ან მომარკვიებული საგნებითა და საშუალებებით, რომელთა შემწეობითაც დამნაშავეები იადვილებენ ქურდობის ჩადენას, გადალახავენ დაბრკოლებას და ა. შ. ასეთ საგნებსა და იარაღებს მიეკუთვნება: მორგებული გასაღები, ე. წ. „ფომკა“, ძალაყინი, გელა, თოკის ან მავთულის კიბე, „ბატის თათები“, „ბალერინები“ და სხვა სახის იარაღები კარების შრსამტვრევად, კედლის გასანგრევად და მატერიალურ ფასეულობასთან შესაღწევად, მის ამოსაღებად და დასაუფლებლად. თანამიღროვე პირობებში ქურდობის ჩასაღებად ყველაზე ხშირად „ტექნიკურ საშუალებად“ დამნაშავეები იყენებენ ავტოგენურ აპარატს, ნაჯახს, ხერხს, სხვადასხვა სახის ამწეებს და ა. შ.

საქართველოს რესპუბლიკის სს კოდექსის 91-ე მუხლთან დაკავშირებით გვინდა გამოვთქვა ჩემი შეხედულებები, რაც ვფიქრობ მიმართული იქნება ამ მუხლის საკანონმდებლო სრულყოფისაკენ:

1. 91-ე მუხლის შენიშვნაში უნდა აისახოს თუ რა იგულისხმება მეორე თავის მუხლებში აღნიშნული დატაცებების ცნების ქვეშ. სახელდობრ, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ დატაცება ესაა ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღება მესაკუთრის ფონდებიდან და მისი გადასვლა ამა თუ იმ პირის ისეთ სარგებლობაში, რაც ზიანს აყენებს ქონების მესაკუთრეს.

2. კარგი იქნება თუ 91-ე მუხლის პირველ ნაწილში ხაზი გაესმება მოძრავი ქონების ფარულ დატაცებას.

3. 91-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მოძრავი ქონების ფარული დატაცება, თუ მისი ღირებულება არის 50-დან 1500-მდე დოლარის შესაბამისი ლარი (ე. წ. დატაცება „მნიშვნელოვანი ოდენ-

ნობით“, რაც 91-ე მუხლის სამივე ნაწილში უნდა ფიგურირებდეს).

4. 91-ე მუხლის მე-4 ნაწილშიც მითითებული უნდა იყოს თუ რა თანხაა „დიდი ოდენობა“; კერძოდ, 1500-დან 6000-მდე დოლარის შესაბამისი ლარი.

5. 91-ე მუხლს უნდა დაემატოს მე-5 ნაწილი, სადაც ხაზი გაესმება ქონების დატაცებას „განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ (6000 დოლარის შესაბამისი ლარი ან მეტი). ამით დაისმება საკითხი 961-ე მუხლის საჭიროებისა თუ არსაჭიროების შესახებ.

გ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება გაძარცვით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლის ძალით, გაძარცვა ესაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების აშკარა დატაცება. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში იგულისხმება დატაცება, ჩადენილი ძალადობის გარეშე. გაძარცვის დროს, ისე როგორც ქურდობისას, ადგილი აქვს ქონების ამოღებას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფონდებიდან ან ამ პირთა მფლობელობიდან, რომელთაც ეს ქონება ჰქონდათ მინდობილი, მაგრამ ქურდობისაგან განსხვავებით, რაც ქონების ფარულ დატაცებას გულისხმობს, გაძარცვის დროს ქონება დამნაშავის მიერ ამოიღება აშკარად.

აშკარა დატაცება იქნება მაშინ, როცა დამნაშავე ეუფლება ქონებას და თანაც წინასწარ იცის, რომ მისი მოქმედება შეცნობილი აქვთ როგორც იმ პირებს, რომელთა მფლობელობაში, გამგებლობასა თუ დაცვაში იმყოფება ქონება, ასევე მესამე პირსაც.

იურიდიულ ლიტერატურაში გვხვდება მტკიცება, რომ მესამე პირის მიერ ქონების დატაცების ფაქტის შეგნება, რომელიც უშუალოდ პასუხს არ აგებს მისი დაცვისათვის, არ შეიძლება იყოს საფუძველი, რომ დატაცება მიჩნეულ იქნას აშკარა დატაცებად; მაგალითად, ა. ი. სანთალოვი ფიქრობს, რომ — „იღებს რა ქონებას და ეუფლება მას, დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მისი მოქმედება შესამჩნევია იმ პირებისათვის, რომლებიც იცავენ და განაგებ-

ბენ ამ ქონებას ან იმ პირებისათვის, რომელთა მეთვალყურეობაში იმყოფება ქონება“¹. ცხადია, ასეთი აზრი სწორი არ არის.

სისხლის სამართალში დატაცების აშკარა ხერხი ფარულთან შედარებით უფრო საშიშად ითვლება. ამის საფუძველი ის არის, რომ აშკარა დატაცება, როგორც უფრო თავხედური და ცინიკურა. მოწმობს დამნაშავეის მომეტებულ საშიშროებას. დამნაშავე ასეთ შემთხვევაში შეგნებულად მიდის დაქერის რისკზე, ხშირად ფსიქოლოგიურად მზადაა გამოიყენოს ძალა თავისი მიზნის მისაღწევად. ეს თავისებური „დემონსტრაცია“ ქონების დატაცებისა, თანაბრად ვლინდება როგორც იმ ადამიანების თვალწინ, რომლებსაც მინდობილი აქვთ ქონების დაცვა-გამგებლობა, ასევე იმ ადამიანების წინაშეც, რომლებიც უშუალოდ პასუხს არ აგებენ ქონების დაცვისათვის.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებაში კ-ს საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ამავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ, სწორადაა აღნიშნული, რომ გ-ს მოქმედება (ამ უკანასკნელმა ისარგებლა იმით, რომ მალაზიის გამყიდველმა დროებით მიატოვა სალარო და მყიდველთა თვალწინ მალაზიის სალაროდან დაიტაცა ფული) საჭიროა კვალიფიცირებულ იქნას არა როგორც ქურდობა, არამედ გაძარცვა, რადგან გ., მართალია, ფულს იტაცებდა მალაზიის გამყიდველისაგან ფარულად, მაგრამ ამავე დროს იცოდა, რომ ყოველივე ამას სჩადიოდა სხვა მოქალაქეების თვალწინ, რომელთაც შეეძლოთ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა და დაკავება.

დატაცების აშკარა ხასიათი იმდენად ზრდის დამნაშავეის საზოგადოებრივ საშიშროებას, რომ კანონმდებელი წვრილმანი დატაცების დროსაც არ თვლის შესაძლებლად, გაძარცვა შეიტანოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების ნაკლებად საშიშ სახეში. დამოუკიდებლად იმისა თუ რა ოდენობის თანხაა დატაცებული, დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებულა უნდა იქნეს არა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარ-

¹ იხ. Советского уголовного право, часть Особенная. М., 1962, стр. 92.

ღვევათა კოდექსის 50-ე მუხლით, არამედ სსკ 92-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით¹.

ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აშკარა დატაცების ნიშნების განსაზღვრისათვის. სახელდობრ, საჭიროა დადგინდეს, რომ პირს, რომელიც აკვირდება დამნაშავეს მოქმედებას, შეგნებული აქვს ამ უკანასკნელის დანაშაულებრივი ხასიათი. პრაქტიკაში ასეთი მოთხოვნის მნიშვნელობა ზოგჯერ სათანადოდ ვერ ფასდება: მაგალითად, ქ. თბილისის ერთ-ერთი სახალხო სასამართლოს მიერ გაძარცვის მუხლის პირველი ნაწილით გასამართლებულ იქნა კ., რომელიც მაღაზიის გამყიდველს დაეხმარა ამ უკანასკნელის თხოვნით პროდუქტების გადმოტვირთვასა და მაღაზიაში შეტანაში. როდესაც გადმოტვირთვას მორჩნენ, მან სხვა მოქალაქეების თვალწინ, მაღაზიის გამყიდველისაგან შეუშინველად, აიღო ორი ცალი ძეხვი ყუთიდან და გავიდა სასაქონლო დარბაზში. თბილისის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა ასეთ კვალიფიკაციას და მიუთითა, რომ მოქალაქეებს შეგნებული არ ჰქონდათ კ-ს მიერ ძეხვის დატაცების ფაქტი. მოწმეებმა თავიანთ ჩვენებებში მიუთითეს, რომ მათ კ. ჩათვალეს მაღაზიის მუშად. ყოველივე ამის გამო აღინიშნა, რომ კ-ს მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა როგორც გაძარცვა, არამედ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი ქურდობა, რასაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 50-ე მუხლი.

იმისათვის, რომ ქმედობა კვალიფიცირებულ იქნას სს კოდექსის 92-ე მუხლით, როგორც გაძარცვა, საჭიროა დადგინდეს, რომ დამნაშავეს შეგნებული ჰქონდა ქონების დატაცების აშკარა ხასიათი. თუ დამნაშავე დარწმუნებულია, რომ მოქმედებს ფარულად, მაგრამ ფაქტობრივად აღმოჩნდება, რომ დატაცებას უყურებდნენ სხვები, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქურდობასთან და არა გაძარცვასთან.

აშკარა დატაცებად, — გვევლინება ისეთი დატაცება, რომელიც ხდება როგორც დაზარალებულის, ისე იმ პირთა თანდასწრებით, რომელთა გამგებლობაში ან დაცვაში იმყოფება ქონება, ან გარეშე პირთა თანდასწრებით და დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ

¹ დაწერილებით ამ საკითხზე იხ. ვალერი ლორიას ნაშრომი — „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი“, თბ., 1995, გვ. 291—293.

ამ პირებზე იციან მისი მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათი, მაგრამ უგულვებელყოფს მოცემულ ვითარებას.

თუ ქონების დატაცება ქურდობით დაიწყო, მაგრამ ქურდობა შემჩნეულ იქნა დაზარალებულის ან სხვა პირის მიერ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია დამნაშავეს ქონების დატაცებაში, ხოლო დამნაშავემ წინააღმდეგობის დასაძლევად ძალადობა გამოიყენა, რაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში არ იყო, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც გაძარცვა და არა ქურდობა.

გაძარცვა არის აშკარა დატაცება. იგი დამთავრებულად ითვლება ქონების დაუფლების მომენტიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა დამნაშავეს შესაძლებლობა ეძლევა გადააქციოს ქონება თავის სასარგებლოდ.

საქართველოს სსრ კოდექსის 92-ე მუხლში გამოყოფილია გაძარცვის ოთხი სახე:

1. გაძარცვა, ე. ი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების აშკარა დატაცება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე (92-ე მუხლის პირველი ნაწილი).

2. გაძარცვა ძალადობის გამოყენებით, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ან ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით, ანდა პირის მიერ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას.

დამამძიმებელ გარემოებათა ეს სახეები მოცემულია 92-ე მუხლის მეორე ნაწილში და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

3. გაძარცვა სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით, რაც ისჯება თავისუფლებას აღკვეთით ვადით ოთხიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ (სსკ 92-ე მუხლის მესამე ნაწილი).

4. გაძარცვა, ჩადენილი იყო დიდი ოდენობით ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, რაც ისჯება თავისუფლებას აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით (სსკ 92-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).

92-ე მუხლის მეორე ნაწილით ქმედობის კვალიფიცირებისათ-

ვის საკმარისია მეორე ნაწილში გათვალისწინებული თუნდაც ერთი საკვალიფიკაციო ნიშნის არსებობა.

გაძარცვისათვის სპეციფიკურ საკვალიფიკაციო ნიშნად, როგორც აღვნიშნეთ, გვევლინება ისეთი ძალადობა, რაც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ხელყოფა ამ შემთხვევაში მიმართულია არა მარტო საკუთრების, არამედ იმ პირთა სხეულის ხელშეუხებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ, რომელთა გამგებლობასა და დაცვაში იმყოფება ქონება; ასევე ხელყოფა შეიძლება მიმართული იყოს მესამე პირის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ქონების დატაცებას. ეს გარემოება გარკვეული თვალსაზრისით ამაღლებს როგორც დანაშაულის, ისე დამნაშავის საზოგადოებრივ საშიშროებას.

თავისი ხასიათით, როგორც აღვნიშნეთ, ფიზიკური ძალადობა გაძარცვისას არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ე. ი. მან არ უნდა შექმნას საშიშროება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მისი გამოყენების მომენტში, მით უფრო, არ უნდა მიაყენოს დაზარალებულის ჯანმრთელობას რეალური ზიანი. კონკრეტულად ეს ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის მსუბუქი დაზიანებით, რასაც ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყვება (სსკ 112-ე მუხლის მეორე ნაწილი). ასეთი დაზიანება არსებობს მაშინაც, როდესაც, მართალია, სხეულის ანატომიური მთლიანობა დარღვეულია, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელო ხარისხისაა, რომ არ იწვევს არც ავადმყოფობას და არც რომელიმე ორგანოს ფუნქციის მოშლას, ე. ი. ასეთ შემთხვევაში სხეულის დაზიანება ატარებს უმნიშვნელო ხასიათს და შეიძლება გამოიხატოს სხეულის ზედაპირული დაზიანებით (სისხლნაყენებები, პატარა იარები, დაბეჭდილობა და ა. შ.).

საგამოძიებო პრაქტიკაში ხშირად არის შემთხვევები, როდესაც მძარცველები მალაზიიდან ქონების დატაცების მიზნით მიმართავენ გუშაგის შებოჭვას და პირში ჩერის ჩაჩრას. ასეთი მოქმედება, როგორც წესი, სწორად კვალიფიციირდება 92-ე მუხლის მეორე ნაწილით.

გაძარცვის ჩადენის მომენტში სხეულის დაზიანება, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის თუნდაც ხანმოკლე მოშლა ან რეალური საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, არ შეიძლება განვიხილოთ ისეთ ძალადობად, რაც დამანასიათებელია

გაძარცვისათვის. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეის მოქმედება კვალი-ფიცირებული უნდა იქნეს, როგორც ყაჩაღობა.

ამრიგად, გაძარცვის დროს ძალადობად უნდა მივიჩნიოთ ფი-ზიკური ზემოქმედება დაზარალებულზე ან სხვა პირებზე. სხვანაირად თუ ვიტყვით, ძალადობად, რომელიც საშიში არ არის დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, საჭიროა გავი-გოთ ცემა, სხეულის მსუბუქი დაზიანება, რაც არ იწვევს ჯანმრთე-ლობის ხანმოკლე მოშლილობას ან შრომის უნარის აშკარად უმ-ნიშვნელო ან არამყარ დაკარგვას, ასევე სხვა ძალადობითი მოქმე-დება, დაკავშირებული დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივი-ლის მიყენებასთან ან მისი თავისუფლების შეზღუდვასთან.

ძალადობის უფრო საშიში სახეები, რაც გამოყენებულია სა-ხელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ამოღების საშუალებად, ყაჩაღობის ნიშნად გვევლინება.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობა გაძარცვის დროს (სსკ 92-ე მუხლის მეორე ნაწილი) გვევლინება ქონების დაუფლების საშუა-ლებად. ამ საშუალებას დამნაშავეები განზრახ იყენებენ, რათა და-ზარალებულებს მოუსპონ წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. ძალადობით გაძარცვასთან არ გვექნება საქმე, თუ ადგილი აქვს დაზარალებულის ხელიდან ქონების უეცარ „გამოტაცებას“, „გამო-გლეჯას“, „წართმევას“. საქმე ის არის, რომ ამ შემთხვევაში დამ-ნაშავეს არ სურს გამოიყენოს ძალადობა. მისი მიზანია მხოლოდ დაზარალებულს მოულოდნელად გამოსტაცოს ქონება და მიიმა-ლოს. ამ სიტუაციაში დაზარალებულისათვის თუნდაც გაუფრთხი-ლებლობით მიყენებული უმნიშვნელო დაზიანებები (მაგალითად, დაკაწვრა და ა. შ.) არ უნდა მივიჩნიოთ გაძარცვად ძალადობის გა-მოყენებით, რადგან დამნაშავეს არ ჰქონია ძალადობის გამოყენების განზრახვა და ძალადობა არ იყო ქონების დაუფლების საშუალება.

როგორც წესი, გაძარცვის დროს ძალადობა წინ უსწრებს ქო-ნების ამოღებას, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას დატა-ცების პროცესშივე უკვე ამოღებული ქონების შენარჩუნების მიზ-ნით.

ძალადობით გაძარცვად არ შეიძლება განვიხილოთ ისეთი შემ-თხვევა, როცა დამნაშავე წინააღმდეგობის წაწყდომის ან უბრალოდ გამოაშკარავების შემთხვევაში უშალვე ყრის დატაცებულ ქონებას

და ცდილობს მიმალვას, თანაც ამ დროს მიმართავს ძალადობას ერთადერთი მიზნით, სახელდობრ, თავი დააღწიოს დაქვრას.

გაძარცვა ძალადობის გამოყენებით დამთავრებულ დანაშაულად ითვლება არა ძალადობის გამოყენების მომენტში, არამედ მხოლოდ დამნაშავეის მიერ ქონების დაუფლების მომენტში.

გაძარცვა ძალადობის გამოყენების მუქარით გულისხმობს დაზარალებულის ან სხვა პირთა მიმართ ისეთი ძალადობის გამოყენების მუქარას, რაც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; ასეთია მაგალითად, ცემის, შებოქვის, სარდაფში ჩაქცევის მუქარა და სხვ.

ძალადობის გამოყენების მუქარა, როგორც წესი, დაუყოვნებლივ ვლინდება მაშინ, როცა დაზარალებული წინააღმდეგობას უწევს დამნაშავეს ქონების აშკარა დატაცებასთან დაკავშირებით.

ზოგჯერ მძარცველი დაზარალებულის მიმართ მუქარისას არ აკონტროლებს, თუ რა ხასიათის ძალადობა იქნება მის მიერ გამოყენებული, ე. ი. მიმართავს ე. წ. განუსაზღვრელი მუქარის გამოყენებას. ამ დროს ადგილი აქვს დამუქრებას ზოგადი ფორმით, რომ დაზარალებულისათვის „ცუდი იქნება“, „უარესი იქნება“ და ა. შ. როცა ქონებას დაუფლება დაკავშირებულია ძალადობის გამოყენების მუქარასთან, რომელიც ატარებს განუსაზღვრელ ხასიათს, საკითხი — დამნაშავეის მოქმედებაში გაძარცვას აქვს ადგილი თუ ყაჩაღობას, — აღცილებელია გადაწყდეს საქმის ყველა გარემოებას გათვალისწინებით (დანაშაულის ჩადენის ადგილი და დრო; დამნაშავეთა რიცხვი; საგნების ხასიათი, რომლებითაც ემუქრებოდნენ დაზარალებულს; მუქარას ხასიათი; დაზარალებულის სუბიექტური აღქმა და ა. შ.).

გაძარცვას სხვა დამამძიმებელ გარემოებებს აქ არ განვიხილავთ, რადგან მათზე მთლიანად ვრცელდება ყოველივე ის, რაც ზემოთ იყო ნათქვამი ქურდობის გამო.

დაასარულეს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 92-ე მუხლის სრულყოფასთან დაკავშირებით მიინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრებანი:

1. 92-ე მუხლის პირველ ნაწილში ხაზი უნდა გაესვას მოძრავი ქონების აშკარა დატაცებას, რის შედეგადაც პირველი ნაწილი ასეთნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: „გაძარცვა, ე. ი. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მოძრავი ქონების აშკარა“ დატაცება.

2. 92-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს მოძრავი ქონების აშკარა დატაცება, თუ მისი ღირებულება არის 50-დან 1500-მდე დოლარის შესაბამისი ლარი (ე. წ. დატაცება „მნიშვნელოვანი ოდენობით“, რის შესახებაც 92-ე მუხლის სამივე ნაწილში უნდა იყოს ხაზგასმა.

3. 92-ე მუხლის მეოთხე ნაწილში უნდა იყოს აღნიშნული თუ რა თანხაა „დიდი ოდენობა“. სახელდობრ, 1500-დან 6000-მდე დოლარის შესაბამისი ლარი.

4. 92-ე მუხლს უნდა დაემატოს მე-5 ნაწილი, სადაც ხაზი გაესმება ქონების აშკარა დატაცებას „განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ (6.000 დოლარის შესაბამისი ლარი ან მეტ-), ამით შეიძლება დაისვას საკითხი 96-ე მუხლის დეკრამინალიზაციის შესახებ.

დ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება თაღლითობით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას თაღლითობით. თაღლითობა, რაც ქონების დატაცების ერთ-ერთი ფორმაა, გულისხმობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლებას მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. თაღლითობისა ქონების დაუფლების ხერხი იმით ხასიათდება, რომ დამნაშავე მიმართავს იმ პირის მიტყუებას, რომლის მფლობელობასა ან გაჩვენებლობაში იმყოფება ქონება. მოტყუებული პირი თვითონ, ნებაყოფლობით გადასცემს ქონებას დამნაშავეს, ვინაიდან ჰგონია, რომ ამ უკანასკნელს აქვს მისი მიღების უფლება. ნდობის ბოროტად გამოყენების დროს ქონება შეიძლება იყოს თვით დამნაშავეს გამგებლობაში, რომელსაც იგი გადაცემულა აქვს ნდობის საფუძველზე გარკვეული მიზნით (მაგალითად, ქირაობა, სესხი და ა. შ.), დამნაშავე კი, სარგებლობს რა ამით, ქონებას თავის სარგებლობაში აქცევს და არ აპირებს დაუბრუნოს იგი სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ან აანაზღაუროს მისი ღირებულება.

1928 წლის რედაქციით გამოცემულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში თაღლითობის ცნება მოცემულია 183-ე 13. ზ. წულაია

მუხლის დისპოზიციაში და იგი ასეთნაირადაა გაგებული: „თაღლი-
თობა, ე. ი. ანგარებით ქონების ან ქონებაზე უფლების მოპოვება
ნღობის ბოროტად გამოყენებით ან მოტყუებით“. აღნიშნული გან-
მარტებიდან აშკარაა, რომ თაღლითობით დატაცებისას მოტყუება
ან ნღობის ბოროტად გამოყენება უნდა იყოს სწორედ ქონების
დაუფლების საშუალება.

თაღლითური მოტყუება არის სინამდვილის განზრახ დამახინ-
ჯება ან დაფარვა იმ პირის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ვის
მფლობელობაში ან გამგებლობაშიც იმყოფებოდა ქონება; ამგვარი
გზით დამნაშავე ცდილობს მიაღწიოს ქონების ნებაყოფლობით
თავისთვის გადაცემას და დაუფლებას. აქედან გამომდინარე, ცხა-
დია, დაზარალებულს შეგნებული არა აქვს, რომ მას ატყუებენ.
იგი დამნაშავეს მოქმედებას კეთილსინდისიერად მიიჩნევს. წინააღ-
მდეგ შემთხვევაში გვექნებოდა დატაცება გაფლანგვის გზით ან
სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. მოტყუე-
ბის დამაჩერებლობისა და მოხერხებულობის ხარისხს, ისე როგორც
იმ პირის წინდახედულობის ხარისხს, რომლის გამგებლობაში ან
მფლობელობაშიც იმყოფება ქონება, განსახილველი დანაშაულის
შემადგენლობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მოტყუე-
ბისკენ მიმართულ მოქმედებათა პრიმიტიულობა ზოგჯერ შეიძლე-
ბა გახდეს თანამდებობის პირის (ვინც განაგებს ქონებას) დაუდევ-
რობისათვის პასუხისგებაში მიცემის საფუძველი.

თაღლითობისას დამნაშავე იძლევა ცნობებს ისეთი ფაქტების
ან გარემოების შესახებ, რომელთაც თითქოსდა სინამდვილეში
ქონდა ადგილი, ფაქტობრივად კი ისინი არ არსებობდნენ ან შე-
ტყობნებულ ფაქტებს თუმცა ქონდა ადგილი, მაგრამ გადმოცე-
მულია დამახინჯებით; მაგალითად, პირი ამტკიცებს, რომ აქვს პენ-
სიის მისაღებად აუცილებელი სტაჟი, სინამდვილეში კი ასეთი არ
გააჩნია. ან წარადგინს ორგანიზაციაში, ვითომ შესრულებული სა-
მუშაოსათვის ასანაზღაურებელ ფაქტიურ დოკუმენტს, როცა სი-
ნამდვილეში არავითარი სამუშაო არ შესრულებულა და ა. შ.

ისმება კითხვა: იმისათვის, რომ ქმედობა კვალიფიციურებულ
იქნას როგორც თაღლითობა, აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, თუ
რომელ დროს (წარსულს, აწმყოს) განეკუთვნება ის ფაქტები, მოვ-
ლენები და გარემოებები, რომლებსაც იმოწმებს დამნაშავე? ვფიქ-
რობთ, ამას თაღლითობის კვალიფიკაციისათვის არავითარი მნიშვნე-

ნელობა არა აქვს. მთავარია, იმოწმებს რა მათ, დამნაშავემ შეძლოს შეცდომაში შეიყვანოს პირი, რომლის მფლობელობასა ან გამგებლობაში იმყოფება ქონება, და ამგვარად მიიღოს იგი. მეტიც, იმოწმებს რა წარსულისა და აწმყოს ფაქტებს, თაღლითისათვის, ჩვეულებრივ, უფრო ადვილი ხდება შეცდომაში შეიყვანოს შესაბამისი პირები და მიიღოს ქონება. არის შემთხვევებიც, როცა დამნაშავეს შეცდომაში შეჰყავს პირები იმ ფაქტებსა და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მომავალს განეკუთვნება; მაგალითად, პირი რომელსაც მიზნად აქვს დასახული, მოტყუების გზით დაეუფლოს ქონებას და მიითვისოს იგი, თანამდებობის მუშაკს სთავაზობს თავის სამსახურს ამა თუ იმ მასალის შესაქმნად, გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად და ა. შ. შესაბამისი თანხების მიღების შემდგომ აქცევს მას თავის სასარგებლოდ და იმალება. რადგანაც აქ მოტყუება არის არა ქონების შენარჩუნების ან დანაშაულის კვალის დაფარვის საშუალება, არამედ განაპირობებს თვით ქონების დამნაშავეზე გადაცემის ფაქტს, საქმე გვაქვს თაღლითობით ჩადენილ დატაცებასთან.

ფაქტები და გარემოებანი, რომელთა არსებობას ან დადგომას ცრულ ამტკიცებს დამნაშავე, ისახავს რა მიზნად ასეთი გზით უკანონოდ მიიღოს და აქციოს თავის სასარგებლოდ ქონება, შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი და შეეხებოდეს როგორც დამნაშავეს პიროვნებას, ისე სხვადასხვა საგანსა და გარემო სამყაროს მოვლენებს. დამნაშავეს შეუძლია თავი გაასაღოს პირად, რომელსაც აქვს ქონების მიღების რწმუნება (მოლარე, ინკასატორი და სხვ.), შეუძლებელია განაცხადოს, თითქოს აქვს უფლება პენსიის მიღებაზე ან შეღავათები მუდმივ ან დროებით გადასახდელზე, შეუძლია ამტკიცოს სხვა რაიმე უფლებების არსებობა ქონების მისაღებად, როდესაც ასეთი მას ფაქტობრივად არ გააჩნია და ა. შ.

თაღლითობით ჩადენილი დატაცებისას განსაზღვრული ფაქტებისა და გარემოებების შესახებ ცრუ ცნობები, რომლებიც იძლევიან ქონების მიღების უფლებას, არა მარტო გამოითქმება, არამედ დასტურდება მოტყუებითი ხასიათის მოქმედებით, რომლებიც გამიზნულია შეცდომაში შეიყვანოს პირი, ვის მფლობელობაში ან გამგებლობაშიც იმყოფება ქონება და. ამრიგად, დაარწმუნოს იგი დამნაშავისათვის ამ ქონების გადაცემის აუცილებლობაში. ასეთი სახის მოტყუებითი მოქმედებანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იმ-

ყოფებოდეს დამნაშავეის მიერ ქონების მიღების ფაქტებთან, ე. ი. ისინი უნდა უსწრებდნენ ამ ქონების გადაცემას და განაპირობებდნენ მას. თაღლითობით ჩადენილი დატაცება ამით განსხვავდება დატაცების ზოგიერთი შემთხვევისაგან, რომლებაც ჩადენილია სხვა ფორმებში, მაგრამ მოტყუების თანხლებით; მაგალითად, ქურდობის დროს მოტყუება შეიძლება გამოყენებულ იქნას დამნაშავეის მიერ ფასეულობათა საცავში შესაღწევად, მითვისებისა და გაფლანგვის შემთხვევებში — დანაკლისის დასაფარავად და ა. შ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში ტყუილი არ განაპირობებს თვით დაზარალებულის მიერ დამნაშავეისათვის ქონების ნებაყოფლობით გადაცემას, რასაც ადგილი აქვს თაღლითობის დროს.

მოტყუებითი მოქმედებანი შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად (ზეპირი) და წერილობითი ფორმებით.

ჩვენი საზოგადოების პირობებში ქონების აღრიცხვა, კონტროლი, შენახვისა და გადაცემის წესები მკაცრად რეგლამენტირებული. ცალკეულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქონება ან პირად საკუთრებაში, ან სხვადასხვა სპეციალური მიზნისათვის მხოლოდ გარკვეულ საფუძვლებზე და გარკვეული წესით; ამასთან, მათ საერთო წესით, შესაბამისი დოკუმენტებით უნდა დაამტკიცონ თავიანთი უფლება ქონების მიღებაზე. ამიტომაც ქონების თაღლითობით დატაცებისას შედარებით გავრცელებულია არა ზეპირი მოტყუება, არამედ მოტყუება ყალბი დოკუმენტების წარდგენის საშუალებით (დოკუმენტებად იგულისხმება წერილობითი აქტები, რომელთა დანიშნულებაა დაამოწმოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები). ფიქტიური დოკუმენტების წარდგენით თაღლითი ამტკიცებს იმ არარსებული ფაქტებისა და გარემოებების არსებობას, რომლებიც თითქოსდა აძლევენ მას ქონების მიღების უფლებას და ამგვარად შეცდომაში შეჰყავს პირი, რომლის განმგებლობაშიც იმყოფება ქონება. ყალბი დოკუმენტების წარდგენა განუყოფელი ნიშანთვისებაა თაღლითური დატაცებისა, ამასთან, იდეალურ ერთობლიობას ქმნის, ამიტომ დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს მხოლოდ საქართველოს სსკ 93-ე მუხლით და დამატებითი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე, 214-ე, 215-ე მუხლებით საჭირო არ არის. რეალური ერთობლიობისას, ანუ როცა ქონების მისაღებად ფიქტიური დოკუმენტების გამოყენების გარდა კიდევ არსებობს ყალბი დოკუმენტების დამზადებისა

და გამოყენების ფაქტები, ჩადენილი სხვა მიზნით, დამნაშავეის მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა მარტო 93-ე მუხლით, არამედ საქართველოს სსკ სხვა შესაბამისი (213-ე, 214-ე, 215-ე) მუხლებითაც.

მოტყუებითი მოქმედებანი შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე კონკლუდენტურ ან ადამიანის სხვაგვარ მოქმედებაში, რასაც დაზარალებული შეცდომაში შეჰყავს და საბოლოოდ განაპირობებს ქონების დამნაშავეისათვის გადაცემას. კონკლუდენტურია ადამიანის ისეთი მოქმედება, რომლის საფუძველზეც, უდავოდ, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა ამა თუ იმ ფაქტის მტკიცების ან უარყოფის შესახებ. ისინი ან ცვლიან სიტყვებს, ან აძლიერებენ მათ. კონკლუდენტურ მოქმედებათა საშუალებით ჩადენილი თაღლითური მოტყუების მაგალითი შეიძლება იყოს ამა თუ იმ ფორმის ტანსაცმლის, წარჩინების ნიშნების, ორდენების და ა. შ. ტარება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების მიღება; ქონების მიღება დატაცებული ან ნაპოვნი ქვითრებით, ან ნომრით; გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის გადაცემა მის თვალწინ აწონის ან გაზომვის შემდეგ, მაგრამ ფაქტობრივად ნაკლები რაოდენობით, ვიდრე მას ეკუთვნის და ა. შ.

მოქმედებითი მოტყუება შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე სხვადასხვა საგნის გარეგნული შესახედაობის, ფორმის, თვისების შეცვლით და სხვა სახის საგნებად გადაცემით (მაგალითად, მუზეუმისათვის თითქოსდა ძვირფასი სურათის მიყიდვა).

მოტყუება, როგორც დატაცების ჩადენის საშუალება, შეიძლება მდგომარეობდეს არა მარტო ცრუ ცნობების შეტყობინებაში, არამედ იმ ვითარების შეგნებულად დაფარვაში, რომლის შეტყობინებაც აუცილებელი იყო; მაგალითად, თაღლითური დატაცება გვექნება, თუ მოქალაქე, რომელიც იღებს დახმარებას ბავშვისათვის, ფარავს ამ ბავშვის სიკვდილის ფაქტს და აგრძელებს სახელმწიფო სახსრების უკანონოდ მიღებას.

საქართველოს სს კოდექსის 93-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოქმედება არ ატარებს შემთხვევით ხასიათს და დამნაშავე განზრახ სარგებლობს ქონების გადამცემი პირის შეცდომით; მაგალითად, კ-მ და ბ-მ ისარგებლეს იმით, რომ ზ., არიგებდა რა გაზქურებს კოოპერატივის წევრებზე, ორჯერ მიიღეს გაზქურები (ნაცვ-

ლად ერთჯერ მიღებისა რომლის უფლებაც მათ ჰქონდათ). შემდეგ ზედმეტი გახჭურები გაყიდეს სხვა პირებზე. სახალხო სასამართლოს მიერ მათი მოქმედება კვალიფიცირებულ იქნა, როგორც თაღლითობა, რაც საეხსებო სწორია.

თაღლითურ დატაცებად უნდა იქნეს განხილული ზოგიერთი თანამდებობის პირის შეცდომის შედეგად სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრების სისტემატურად მიღების შემთხვევებიც (მაგალითად, სპენსიო გადანარცხების არაერთხელ მიღება, რაც სოცუზრუნველყოფის განყოფილების მიერ შეცდომით იგზავნება ამა თუ იმ პირის სახელზე და ა. შ.).

გარდა მოტყუებისა, საქართველოს სს კოდექსის 93-ე მუხლში ხაზგასმულია ნდობის ბოროტად გამოყენებაზე, რაც ასევე შეიძლება იყოს ქონების დანაშაულებრივი დაუფლების საშუალება.

ნდობის ბოროტად გამოყენება თავისი შინაარსით მოტყუების ერთ-ერთი სახეა იმ თავისებურებით, რომ ამ დროს დამნაშავე არ ასრულებს ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლია შეცდომაში შეყვანონ ქონების გამგებელი პირი და აიძულოს იგი, გადასცეს ეს ქონება. ნდობის ბოროტად გამოყენება — ეს ნდობის მოტყუებაა. ამ შემთხვევაში დამნაშავე განსაზღვრული სამსახურებრივი ან მხარეთა ურთიერთნდობაზე დაფუძნებული ხელშეკრულების გამოყენებით იღებს ქონებას და აქცევს მას თავის სასარგებლოდ (მაგალითად, საყოფაცხოვრებო ქირავნობის ხელშეკრულება) ან სარგებლობს იმით, რომ ქონება მას გადაეცემა იმ პირებისაგან, რომელთა მფლობელობაშიც ის იყო, სათანადო გაფორმებისა და გაფრთხილების გარეშე. დამნაშავე სარგებლობს ყოველივე ამით და ითვისებს გადაცემულ ქონებას. ნდობის ბოროტად გამოყენებით ჩადენილი თაღლითური დატაცების მაგალითები შეიძლება იყოს რესტორანში სადილის შეკვეთის მიცემა იმ განზრახვით, რომ არ გადაიხადოს მისი ღირებულება; მაღაზიის გაყიდველისაგან უკანონოდ, შესაბამისი გაფორმების გარეშე, საქონლის განვადებით მიღება და შემდგომ მისი ღირებულების გადახდაზე უარის თქმა; თანამდებობის პირის მიერ ნაცნობისათვის, მეგობრის ან ნათესავისთვის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანხებისა და სახსრების გადაცემა დროებით შესანახად და მათ მიერ აღნიშნული თანხებისა და სახსრების მითვისება და ა. შ.

ამგვარად, ნდობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც გან-

საკუთრებული იურიდიული ურთიერთობანი (სამსახურებრივი, ხელშეკრულებითი და ა. შ.) პირებს შორის, ისე წმინდა ფაქტობრივი ურთიერთობანი (მეგობრობა, ნათესაობა და ა. შ.).

თაღლითობის ფორმით ჩადენილი დატაცებების განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დანაშაულის სუბიექტური მხარის ანალიზს და იმ შედეგების გამოკვლევას, რაც გამოიწვია დამნაშავეს მოტყუებითა მოქმედებებმა. ქონების თაღლითობით დატაცებისას დამნაშავეს განზრახვა მიმართული უნდა იყოს უშუალოდ მოტყუებითა და ნდობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივი დაუფლებისა და თავის სასარგებლოდ გადაქცევისაკენ, მისი დანაშაულებრივი ქმედების შედეგი კი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გარკვეული ქონებრივი ზიანის მიყენებაა.

ეს ორი მომენტი, რომლებიც ყოველგვარი დატაცების განუყოფელი ნიშან-თვისებაა, თანაბრად ახასიათებს თაღლითობის ფორმით ჩადენილ დატაცებასაც. კერძო პირის მიერ განზრახ უკანონო მიღება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების, პენსიის, დახმარების ან სხვა გადასახადის სახით მოტყუების ან ნდობის ბოროტად გამოყენების შედეგად კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება თაღლითობით; ამასთან თანამდებობის პირმა, რომელმაც კერძო პირს ყალბი დოკუმენტი მისცა შეგნებულად ამ მიზნისათვის, პასუხი უნდა აგოს დანაშაულთა ერთობლიობით დამხმარებლობისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის. დაუბრუნებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც მიღებულია საყოფაცხოვრებო ქირავნობის ხელშეკრულებით, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევებში, როცა დამნაშავეს განზრახვა ჰქონდა მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით უსასყიდლოდ გადაექცია ეს ქონება თავის საკუთრებად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ მოტყუებითი მოქმედებები მიმართული არ არის ქონების უნაცვალებო, უსასყიდლო და უკანონო დაუფლებისაკენ და ამასთან არ აყენებს შესაბამის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მატერიალურ ზარალს, არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თაღლითური დატაცება.

თაღლითური დატაცების შემადგენლობა არ იქნება იმ შემთხ-

ვევაშიც, როცა პირმა, რომელსაც ფაქტობრივი უფლება აქვს სახელმწიფოსაგან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან მიიღოს ქონება, არ იცის ამის შესახებ ან უგულბელყოფს თავის უფლებათა კანონიერი გზით განხორციელებას და ქონებას მოტყუების საშუალებით ღებულობს: მაგალითად, ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა არ ცნო დატაცების შემადგენლობა ვ-ს მოქმედებაში, რომელმაც შესყიდვის აქტებში გაზარდა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის მის მიერ შესყიდული ზორცის ფასი, რათა დაებრუნებინა თავისი კუთვნილი ფული, რომელიც მან ადრე დახარჯა ამავე ორგანიზაციისათვის ზორცის შესაძენად. სასამართლო პრაქტიკა ასევე სწორად წყვეტს იმ ქმედობათა კვალიფიკაციის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ყალბი დოკუმენტების საშუალებით მალაქობისაგან სამსახურში პირის მოწყობასთან. „შესრულებული სამუშაოსათვის ხელფასის მიღება, იმ თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე, რომელზეც პირი მოიწყო ყალბი დიპლომის საშუალებით, — მითითებულია ყოფილი რსფსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში ზ-ს საქმეზე, — არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დატაცება“. ამგვარ შემთხვევებში დატაცების შემადგენლობის არარსებობა განპირობებულია იმით, რომ დამნაშავეებს არა აქვთ პირდაპირი განზრახვა უკანონოდ მიიღონ სახელმწიფო სახსრები. მათ იმის სურვილი კი არ ამოქმედებთ, მუქთად, უნაცვალაგზოდ მიიღონ ქონება და ამით მატერიალური ზარალი მიაყონ სახელმწიფოს, არამედ მხოლოდ იმის სურვილი აქვთ, რომ მოიწყონ სამსახურში, სადაც, როგორც წესი, გარკვეული დოკუმენტების წარდგენაა საჭირო მუშაობის დაწყებისათვის.

სულ სხვაგვარად წყდება საკითხი იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელსაც გარკვეული თანამდებობა უჭირავს, მიმართავს თაღლითურ მოქმედებებს სხვადასხვა სახის წანამატისა და პრემიების მიღების მიზნით, რაც მას არ ეკუთვნის. ასეთი მოქმედებები, თუ დამნაშავემ აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოიყენა, კვალიფიკაციის მიხედვით უნდა იქნეს როგორც დატაცება თაღლითობით. ასე იქნა გადაწყვეტილი საკითხი ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებაში მ-ს საქმეზე, რომელმაც ინსტიტუტში მუშაობისას და-

იტაცა დოცენტის დიპლომი, გადააკეთა იგი თავის სახელზე და ამრიგად მიაღწია ხელფასზე წანამატის მიღებას.

დასასრულს, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუბიექტური მხრივ თაღლითობა განზრახი ბრალით ხასიათდება. ამ დანაშაულის მოტივი და მიზანი ანგარებითია (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლება და მისი განკარგვა, როგორც საკუთარისა). თაღლითობისას დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ მოტყუებით და ნდობის ბოროტად გამოყენებით ეუფლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას, რომლის მიღების უფლებაც მას არა აქვს, ამასთან, ისახაჯს უკანონოდ, პარაზიტულად გამდიდრების მიზანს.

თაღლითობის სუბიექტი შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან. თანამდებობის პირები, ასევე ის პირები, რომლებსაც ქონება ჰქონდათ მინდობილი, ამ ქონების დატაცების შემთხვევაში (მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით) პასუხს აგებენ საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებით დატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით).

თაღლითობა, სს კოდექსის 93-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებას ფაქტობრივად დაუფლების მომენტიდან, ხოლო მოტყუებითი მოქმედებანი, გამიზნული ქონების დასაუფლებლად, რასაც შეიდეგი არ მოჰყოლია (ე. ი. დამნაშავე მას ჯერ კიდევ არ დაუფლდება), განიხილება როგორც ამ დანაშაულის (თაღლითობის) მცდილობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 93-ე მუხლში (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებას დატაცება თაღლითობით) მოკემულია თაღლითური დატაცების სამი სახე.

პირველი ნაწილი ითვალისწინებს თაღლითობის ნაკლებად საშიშ ან, სხვანაირად, მის ძირითად სახეს (ამ ნაწილს არ ახლავს მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები), რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით. სსკ 93-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს თაღლითური დატაცების შედარებით საშიშ, ანუ კვალიფიციურ სახეს; ასეთად მიჩნეულია თაღლითობა, ჩადენილი განმეორებით ან პირ-

თა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვს წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ; და, ბოლოს მესამე ნაწილი. აწესებს პასუხისმგებლობას თაღლითობის განსაკუთრებით საშიში სახისათვის; სახელდობრ, ასეთია თაღლითობა, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენება ან რაც ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ე. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება
მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის
ბოროტად გამოყენებით

ჩვენი რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

კანონმდებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ამ ფორმებს საზოგადოებრივი საშიშროების მხრივ ერთმანეთთან ათანაბრებს და ერთნაირ პასუხისმგებლობასაც აწესებს. დატაცებას თითოეულ ამ ფორმას აქვს თავისი სპეციფიკა, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება დამნაშავეის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ქონების ამოღების ხერხებში.

კანონმდებელი არ განსაზღვრავს მითვისების, გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გზით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ცნებას. ჩვენი მიზანია დატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე განვსაზღვროთ და იურიდიულად გავანალიზოთ დატაცების ეს ფორმები.

ა. მითვისება. სიტყვა „მითვისება“, „მისაკუთრება“ ნიშნავს ამა თუ იმ პირის მიერ არაკეთილსინდისიერი გზით სხვისი საკუთრების თავისად გახდომას¹.

¹ იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. თბ., 1958, ტ. 5, სვ. 347.

იურიდიულ ლიტერატურაში მითვისება სხვადასხვაგვარადა განმარტებული; მაგალითად, ზოგი მითვისებას განმარტავს, როგორც დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევას; ზოგი ქონების დაკავებას პირად საკუთრებად გადაქცევის მიზნით იმ პირის მიერ, რომელსაც ეს ქონება ჰქონდა მინდობილი; ზოგსაც მითვისებად მიაჩნია დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების განზრახ უკანონო გადაქცევა თავის სასარგებლოდ მისი დაკავებით ან დაუბრუნებლობით. არის სხვა შეხედულებებიც, რომელთა თანახმადაც მითვისება არის იმ ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევა, რომელიც დამტაცებლის მართლზომიერ მფლობელობაში იმყოფება და მიზნად ისახავს განკარგოს ეს ქონება, როგორც თავისი საკუთრება, რომ მითვისება ნიშნავს დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებას თავის სასარგებლოდ განზრახ კანონსაწინააღმდეგო გადაქცევას, ან დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ქონების დაკავებას და ა. შ.¹

სისხლის სამართლის კომენტარების მიხედვით, მითვისება არის დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების უკანონო ამოღება ანგარების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან და მისი გადაქცევა ცალკეულ პირთა პირადი სარგებლობისათვის².

ვეიქრობთ, არც ერთი განსაზღვრა არ არის სრულყოფილი. მითვისებას ცნების განსაზღვრისას საჭიროა ვხელმძღვანელობდეთ დატაცების ზოგადი ცნებით. ეს გარემოება ავტორთა უმრავლესობას, რატომღაც, მხედველობიდან რჩება მითვისების ცნების განსაზღვრისას.

აღნიშნული განმარტებებისა და იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული დატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისების ცნება შემდეგნაირად გვესახება: მითვისება არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონ-

¹ იხ. Г. А. Кригер. Квалификация хищений социалистического имущества, М., 1974, стр. 170.

² იხ. Комментарий к уголовному кодексу РФ, М., 1994, стр. 225.

ნების დატაცების ერთ-ერთი ფორმა, რაც გულისხმობს დამნაშავეის მიერ მის მართლზომიერ მფლობელობაში ან განმგებლობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღებას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ანგარების მიზნით და იმის სურვილით, რომ იგი თავის სარგებლობაში მოაქციოს.

მითვისების განსაკუთრებული ხასიათი ისაა, რომ ქონება, რომლის დატაცებაც ზდება, იმყოფება დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში. ამრიგად, აღნიშნული ფორმით ქონების დატაცებისას საქმე გვაქვს დამნაშავეის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გადასვლასთან მის არამართლზომიერ მფლობელობაში (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულების მოლარე თავისთვის იტოვება ბანკიდან მიღებულ ფულს, რომელიც განკუთვნილია ხელფასის სახით დაწესებულების მუშებზე გასაცემად).

მითვისება განსხვავდება გაფლანგვისაგან, მიუხედავად მათ შორის დიდი მსგავსებისა.

მითვისებასა და გაფლანგვას შორის განსხვავებაა ობიექტურ მხარეში. მითვისების დროს დამნაშავე იტოვებს მინდობილ ქონებას თავის პირად განკარგულებაში იმ მიზნით, რომ ისარგებლოს შემდგომში, როგორც თავისი საკუთარი ქონებით (მაგალითად, გამყიდველმა მღაზიიდან წაიღო და თავის ბინაში გადამალა ტელევიზორი, მოლარემ სალაროდან ამოიღო გარკვეული თანხა და შეიტანა შემნახველ სალაროში თავის პირად ანგარიშზე და ა. შ.), გაფლანგვის დროს კი დამნაშავე უკვე განკარგავს მინდობილ ქონებას, როგორც თავის საკუთარს: გაყიდის, მოიხმარს, დახარჯავს, გააჩუქებს და ა. შ.

ზოგიერთი ავტორი მითვისებას ბრალეული პირის უმოქმედობად მიიჩნევს. მათი აზრით, თუ დატაცებისას ბრალდებულმა უნდა გადალახოს გარკვეული წინააღმდეგობანი, გამოიჩინოს გაქნილობა და ეშმაკობა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მითვისებისას ეს საჭირო არ არის, ქონების დაკავება არის უმოქმედობა და გარკვეულ დროში მესაკუთრისათვის ქონების დაუბრუნებლობით გამოიხატება; მითვისებისას მიმთვისებელი არ იღებს ქონებას სხვა პირის მფლობელობიდან, მისი მოქმედება მდგომარეობს არა ქონების

უკანონო, მართლსაწინააღმდეგო ამოღებაში, არამედ შის დაკავებაში და ა. შ.

იმ ავტორებს, რომლებიც მითვისებას ბრალეული პირის უზოქმედობად მიიჩნევენ, უმძიმთ პრაქტიკული მაგალითებით დაადასტურონ თავიანთი თეორიული დებულება და ამის გამო ხშირად წინააღმდეგობასა და უხერხულობაში ვარდებიან; მაგალითად, ა. ფროლოვს მითვისების საილუსტრაციოდ მოჰყავს მძღოლის ქმედობა, რომელმაც ზედნადებით მიიღო ღვინო საწყობიდან საამქროში გადასატანად, გზაში ერთ-ერთი კასრიდან გადმოსახა 41 ლიტრი ღვინო და გადამალა. ეს მაგალითი არა თუ ადასტურებს ავტორის მოსაზრებას, არამედ უარყოფს კიდევ მას. მოცემულ შემთხვევაში მძღოლის ქმედობა უმოქმედობაში კი არ მდგომარეობს, არამედ აქტიურ მოქმედებაში, რაც, კერძოდ, მესაკუთრის ფონდიდან ქონების ამოღებაში ვლინდება.

ამრიგად, მითვისება უმოქმედობით არასწორად უნდა მივიჩნიოთ. სისხლის სამართლის კანონმდებლობა გამორიცხავს ქონების დატაცებას შესაძლებლობას უმოქმედობით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობისა და ფულად საშუალებათა მითვისება თანამდებობის პირთა მიერ აუცილებლად დაკავშირებულია რაიმე აქტიური მოქმედების განხორციელებასთან, რის შედეგადაც მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონება გადადის უკანონო მფლობელობაში. ამ თვალსაზრისით, მითვისებისას დამტაცებლის აქტიური ქმედობის უარყოფა მისი ძირითადი შინაარსის უგულებელყოფასაც ნიშნავს.

მითვისება და გაფლანგვა, თავის მხრივ, ქურდობისაგან იმით განსხვავდება, რომ მითვისებისა და გაფლანგვისას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონება დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფება დამნაშავეს მართლზომიერ მფლობელობაში, რაც მინდობილია მისთვის სამეურნეო განკარგვისათვის.

ქონების დატაცება იმ პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული უფლებამოსილება იმ ქონების მიმართ, რომელსაც ის იტაცებს, არამედ შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ამ ქონებით დავალბული სამუშაოს შესრულებისას (მაგალითად, მუშის მიერ

1 იხ. А. Фролов. Научный комментарий УК РСФСР, Свердловск, 1964, стр. 219.

ნედლეულის ან შზა პროდუქციის დატაცება წარმოებიდან, ასევე მეურნეობის მუშის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დატაცება და ა. შ.), აგრეთვე იმ პირის მიერ, რომლისთვისაც მისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ხელმისაწვდომია უშუალოდ სხვისთვის მინდობილი ქონება (მაგალითად, დატაცება, ჩადენილი კომენდანტის, სახანძრო საგუშაგო დაცვის უფროსისა და სხვათა მიერ), კვალიფიცირებული უნდა იქნეს არა როგორც მითვისება ან გაფლანგვა, არამედ როგორც ქურდობა.

მითვისებისა და გაფლანგვისას დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი. აქ იგულისხმება როგორც თანამდებობის, ისე არათანამდებობის პირები. მეტწილ შემთხვევაში ისინი, რომლებზეც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებაა გადაცემული და რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან გამოიყენონ იგი განსაზღვრული მიზნით, თანამდებობის პირებია. სასამართლო პრაქტიკაში მითვისების სუბიექტებად ხშირად არათანამდებობის პირებიც გვევლინებიან. ასეთ შემთხვევაში მათზე ქონება გადაცემულია ხელშეკრულებით ან სხვა სპეციალური დავალებით (მაგალითად, გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრება პირისათვის, რათა შეინახოს, გადაიტანოს ან გადაამუშაოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონება).

სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები ვალდებულნი არიან გულდასმითა გაარკვიონ საკითხი იმის შესახებ, თუ რა უფლებით სარგებლობდა პირი დატაცებული ქონების მიმართ. ასეთი მოთხოვნა გამომდინარეობს საქართველოს სსკ 94-ე მუხლის სწორი გაგებიდან.

იმასათვის, რომ ქმედობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლით იქნეს კვალიფიცირებული, საჭიროა დადგინდეს, რომ ქონება იმყოფება დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში, ამასთან, დამნაშავეს აქვს მისი განკარგვის, მართვის, შენახვის და ა. შ. გარკვეული უფლებამოსილება.

რაც შეეხება მძღოლებისა და მზიდავეებს მოქმედებას, რომლებმაც თავიანთი უშუალო მოვალეობის, ტრანსპორტის მართვის, განხორციელებასთან ერთად შეასრულოს ექსპედიტორთა ფუნქციებიც და მითვისეს მათ გამგებლობაში მყოფი, გადასაზიდად მინ-

დობილი ქონება, კვალიფიცირებული უნდა იქნეს საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლით.

დარაჯისა და მკველის მიერ ქონების დატაცება, რომელიც მათ გადაცემული აქვთ შესანახად რაოდენობითა და წონით და ამავე დროს აკისრიათ ამ ქონების მიმართ ანგარიშის ჩაბარების მოვალეობა, კვალიფიცირებული უნდა იქნეს საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლით.

ვფიქრობთ, სამტრედიის სახალხო სასამართლოს მიერ სწორადაა კვალიფიცირებული კ. ნ.-ს მოქმედება, როგორც მითვისება, და, აი, რატომ: კ. ნ. მუშაობდა ბაშის მესაქონლეობის მეურნეობაში დარაჯად, ამასთან, საქონლის ჯოგის მწყემსვაც ევალებოდა. მან 1976 წლის 11 ივნისს აღნიშნული ჯოგიდან გამოარჩია მეწველი ძროხა და მითვისების მიზნით იგი თავის სოფელში წაიყვანა. აღნიშნული ფაქტი გამოქვეყნდა ორი თვის შემდეგ.

საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლის გამოყენებას კ. ნ.-ს მიმართ სასამართლომ ის გარემოება დაუდო საფუძვლად, რომ მას თავისი სამუშაოს ხასიათის ძალით კონტროლი უნდა გაეწია საქონლის მდგომარეობაზე¹.

მითვისების დროს ქონების დაკავება, ერთი მხრივ, გულისხმობს იმას, რომ იგი არ უბრუნდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დადგენილ დროში; ასევე აღნიშნული ქონება არ წარედგინება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას მისი შემოწმების მომენტში, კერძოდ, საწარმოში რეეზიის, ინვენტარიზაციის ჩატარებისას და ა. შ. მეორე მხრივ, ქონების დაკავებისას დამნაშავე თავის არამართლზომიერ მფლობელობაში აქცევს მას და სურს ისარგებლოს ამ ქონებით, როგორც თავისი საკუთარით. ამავე დროს დამნაშავეს სურვილს არ შეადგენს აუნაზღაუროს მესაკუთრეს დაკავებული ქონების ღირებულება.

სწორედ ამ მეორე ნიშნის არსებობაა აუცილებელი ქონების დაკავებისას, რათა სახეზე გვექნეს მითვისების შემადგენლობა. თავისთავად ის ფაქტი, რომ პირმა გარკვეულ დროში ვერ წარმოადგინა მასზე გადაცემული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ქო-

¹ იხ. სამტრედიის სახალხო სასამართლოს არქივი. საქმე № 1—127/1.

ნება დაიკარგა, გაფუჭდა, განადგურდა ან სხვა პირის მიერ იქნა დატაცებული და ა. შ.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება არ შეიძლება ცნობილ იქნას სარწმუნოდ, თუ იგი დაფუძნებულია მხოლოდ გამოვლენილი დანაკლისის ფაქტზე — მისი წარმომშობი მიზეზის გამოვლენის გარეშე.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ: მითვისებისას გამოვლენილი დანაკლისი უნდა გამოვინარეობდეს დამნაშავეს მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების თავის სასარგებლოდ გადაქცევის ფაქტიდან.

მითვისებას არ განეკუთვნება ისეთი შემთხვევა, როცა პირი მართალია, სარგებლობს მის მართლწომიერ გაჩეხვებლობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებით, მაგრამ განზრახულა არა აქვს აღნიშნული ქონების მუდმივად და უსასყიდლოდ გამოყენება (ე. წ. დროებით სესხი), ე. ი. დამნაშავეს დასაწყისშივე განზრახული აქვს ქონება ან დაუბრუნოს მესაკუთრეს, ან აანაზღაუროს მისი ღირებულება. თანამდებობის პირთა ამგვარი მოქმედება შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას, როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (საქართველოს სსკ 186-ე მუხ.), ხოლო კერძო პირის მიერ აღნიშნული ხასიათის მოქმედების ჩადენა — როგორც თვითნებობა (საქართველოს სსკ 220-ე მუხ.).

აღნიშნული საქმეების განხილვისას ძნელი დასადგენია პირის ნამდვილი განზრახვა, ე. ი. სურდა თუ არა მას დაუბრუნებინა ქონება და ა. შ. მაგრამ, მიუხედავად ასეთი სირთულისა, განზრახვის არსებობაზე შეიძლება შეტყვევებდეს დატაცებული ფაქტულობის რაოდენობა, თვით დამნაშავეს პიროვნება და მისი ცხოვრების წესი, არსებობდა თუ არა ცდა, დაემალა ჩადენილი დანაშაული და სხვ.

თუ დამნაშავეს მიერ მითვისებულია მის მართლწომიერ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, რომლის ღირებულება არ აღემატება მის თვიურ ხელფასს და, ამასთან, იგი დაბეჭირებით აღნიშნავს მითვისებული ქონების დროებით ხასიათს, ასეთ შემთხვევაში საეჭვოა ვილაპარაკოთ მითვისებაზე.

დამნაშავეს მხრივ ქონების მითვისების განზრახვაზე შეიძლება შეტყვევებდეს ისეთი ფაქტი, როცა დამნაშავე მის მართლწომიერ

მფლობელობაში მყოფ დიდი ოდენობით ქონებას მოაქცევს თავის სარგებლობაში, მაგრამ შემდგომში მას არა აქვს რეალური შესაძლებლობა უკან დააბრუნოს აღნიშნული ქონება.

მითვისების ან გაფლანგვის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ისეთი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, რომელიც მინდობილია დამნაშავეზე სამეურნეო განკარგვისათვის და სხვ., არამედ ის ქონებაც, რაც მას გადაეცა მფლობელობაში პირადო სარგებლობისათვის.

მითვისების ცნების იურიდიული ანალიზი არ იქნება სრულყოფილი, თუ არ განვიხილავთ საკითხს მითვისებით დატაცების დამთავრების მომენტზე. ამ საკითხის სწორ გადაწყვეტას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. იურისტთა უმრავლესობის აზრით, ქონების დატაცების დამთავრების მომენტი განხილული უნდა იქნეს დატაცების ფორმაზე დამოკიდებულებით; კერძოდ, დატაცების დამთავრების საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ როგორი ფორმითაა იგი ჩადენილი, მაგალითად, ქურდობის ფორმით დატაცების ჩადენისას დანაშაული დამთავრებულად ითვლება დამნაშავის მფლობელობაში ქონების გადასვლის მომენტიდან.

კრიმინალისტების უმრავლესობა მითვისებით ქონების დატაცების დამთავრების მომენტს უკავშირებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების თავის დროზე დაუბრუნებლობას; პირის მიერ მასზე მინდობილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ დაკავებას; ქონების თავის ან სხვა პირთა სასარგებლოდ გადაქცევას; სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ქონების ამოღებას; დამნაშავის მიერ ქონებაზე თავისი არამართლზომიერი მფლობელობის დადგენას; ქონებაზე დაუფლებას და ა. შ.

მითვისებით ქონების დატაცების დამთავრების მომენტის ასეთი განსხვავებული გაგება კანონზომიერად გამომდინარეობს თვით დატაცების ზოგადი ცნებისა და მითვისების ცნების სხვადასხვაგვარი განსაზღვრებიდან. ბუნებრივია, ყველა ავტორი, რომელიც მითვისების დამთავრების მომენტს განსაზღვრავს, ცდილობს გამოდიოდეს იმ საყოველთაოდ ცნობილი დებულებიდან, რომ დანაშაული დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედობა მოიცავს ყველა იმ ნიშანს, რაც მოცემული სა-

ხის დანაშაულისათვისაა დამახასიათებელი. არსებითი ნიშნების არაწარმოი დადგენა იწვევს იმას, რომ ავტორთა ერთი ნაწილი მითვისების დამთავრების მომენტად მიიჩნევს ქონების გარკვეულ დროში დაუბრუნებლობას ან მითვისების დამთავრების მომენტს განსაზღვრავს, როგორც ქონების დაუფლებას, ან მის გადაქცევას თავის სასარგებლოდ და ა. შ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მითვისების დამთავრებულად ცნობისათვის ქონების ამოღების მომენტს. ზოგიერთი ავტორის აზრით, მითვისება დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც ბრალდებულის ქმედობაში გამოვლინდება მისი განზრახვა, დაიკავოს მიზარებული ქონება და დაადგინოს მასზე თავისი უკანონო მფლობელობა ანგარებითი მიზნით ქონების გამოყენებისათვის, პრაქტიკულად ასეთ მომენტად ისინი მიიჩნევენ ქონების დაუბრუნებლობას განსაზღვრულ დროში, მის გამოუყენებლობას დანიშნულებისამებრ, ქონების წარმოუდგენლობას რევიზიის ან შემოწმების დროს და ა. შ.

ასეთი შეხედულება არ არის სწორი, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სსკ მე-17 მუხლს, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხასიათის ქმედობანი განიხილება, როგორც დანაშაულისათვის მზადება. ზემოაღნიშნულ ავტორებს მხედველობიდან რჩებათ ის გარემოება, რომ დაკავებული ან გადამალული ქონება, მართალია, დროებით გამოდის მესაკუთრის პრაქტიკული გამოყენების სფეროდან, მაგრამ ყოველივე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ იგი ამოღებულია ამა თუ იმ ორგანიზაციის ფონდიდან. აღვილი შესაძლებელია, დაკავებული და გადამალული ქონება, მისი პირველსავე მოთხოვნის ან აღმოჩენისას, ან პირის მიერ დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ხელის აღებისას და სხვ., დაუბრუნდეს სათანადო ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევაში ან სრულიად არ გვაქვს დანაშაულის შემადგენლობა, ანდა ბრალდებულის ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც დანაშაულის ჩადენის მცდელობა. ასეთა დასკვნა სრულიად კანონზომიერად მიგვაჩნია, რადგან ქონების ამოღების მომენტის არარსებობა ვერ უზრუნველყოფს დატაცებისათვის ისეთი დამახასიათებელი შედეგების დადგომას, როგორცაა: ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო გადაქცევა თავისი ან სხვა პირის საკუთრებად, ბრალეულის ან სხვა — მესამე პირის უკანონო გამდირება, მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენე-

ბა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებრივი ფონდის შემცირება და ა. შ.

ამრიგად, ვინაიდან დატაცების შედეგად ქონება უკანონოდ ამოიღება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან და ზიანი ადგება შესაბამის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ამდენად მითვისების დამთავრების მომენტის განსაზღვრისას სწორედ ამ გარემოებებს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ შეხედულებიდან გამომდინარე, მითვისების დამთავრების მომენტად უნდა მივიჩნიოთ ქონების უკანონო ამოღება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან და მისი განკარგვის რეალური შესაძლებლობა.

ბ. გაფლანგვა. სიტყვა „გაფლანგვა“ ნიშნავს სხვის მიერ მიბარებული ფულის ან ქონების უთავბოლოდ, უსარგებლოდ დახარჯვას, განაევებას¹.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაფლანგვის ცნებაზე აზრთა ერთიანობა არ არსებობს.

ავტორთა ერთი ჯგუფი ლაპარაკობს მითვისებისა და გაფლანგვის მსგავსებასა და სიახლოვეზე, სხვები კი სავსებით აიგივებენ აღნიშნულ ცნებებს, რადგან გაფლანგვას თვლიან მითვისების ერთ-ერთ საშუალებად ან სახედ.

ყოფილი რსფსრ 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა მითვისებასა და გაფლანგვას შორის განსხვავების ყოველგვარი ზღვარი წაშალა, ეს ცნებები ერთმანეთთან გააიგივა და ერთ მუხლში გააერთიანა (116-ე მუხ.). იურისტი მეცნიერები ამის გამო იმ პერიოდში მითვისებასა და გაფლანგვას შორის არსებით მიჯნას არ ავლებდნენ და ყურადღებას უთმობდნენ მხოლოდ იმას, თუ რით განსხვავდებოდნენ ისინი სხვა მომიჯნავე დანაშაულებიდან. ეს საკითხი წინა პლანზე წამოიწია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულებით, ეს ქმედობანი მიჩნეულ იქნა დატაცების ორ დამოუკიდებელ ფორმად. სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული სისხლის სამართლის ლიტერატურა შეივსო

¹ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1951, ტ. II, სვ. 1267.

მთელი რიგი შრომებითა და გამოკვლევებით, რომლებიც მიეძღვნა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების იურიდიულ კვალიფიკაციის საკითხების შესწავლასა და თეორიულ დამუშავებას. სათანადო ყურადღება დაეთმო, სახელდობრ, დატაცების ზოგადი ცნების განსაზღვრებას, მითვისებისა და გაფლანგვის ცნებების ურთიერთგამიჯვნა და სხვ. აღნიშნულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა ამჟამადაც არსებობს. ყოველივე ეს კი ხელს უშლის კანონის სწორ და ერთგვაროვან გაგებას.

ს. ტარარუხნის აზრით, გაფლანგვა გულისხმობს ქონების მითვისებას და გვევლინება დამტაცებლის უფრო აქტიურ მოქმედებად. სხვანაირად რომ ვთქვათ, მითვისება ყოველთვის წინ უძღვის გაფლანგვას¹.

გ. კრიგერის გაგებით, გაფლანგვა ნიშნავს დამნაშავისათვის მინდობილი ან მის გამგებლობაში მყოფი ქონების გაყიდვას, მოხმარებას, ჩუქებას ან სხვაგვარ გასხვისებას, ანდა ანგარების მიზნით მესამე პირებზე გადაცემას².

ა. სანთილოვს მიაჩნია, რომ გაფლანგვა არის დამნაშავის მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მოხმარება ან გასხვისება (გაყიდვა, ჩუქება და ა. შ.)³.

ზოგიერთის აზრით, გაფლანგვა არის მითვისების ლოგიკური გაგრძელება ან მითვისების ნაირსახეობა.

გაფლანგვა და მითვისება, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ფორმები, ახლოს დგას ერთმანეთთან, მათთვის საერთო ისაა, რომ, როგორც გაფლანგვის, ისე მითვისების დროს დამნაშავე ქონებას, რომელიც მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში იმყოფება, კანონსაწინააღმდეგოდ, უსასყიდლოდ იღებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან ანგარების მიზნით.

გაფლანგვა განსაკუთრებით ახლოს დგას მითვისებასთან, მა-

1 იხ. С. А. Тарарухин. Социалистическая собственность неприкосновенна. Киев, 1963, стр. 68.

2 იხ. Г. А. Крюгер. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974, стр. 174.

3 იხ. А. И. Санталов. «Советское уголовное право», часть Особенная, Л. — М., 1959, стр. 116.

შინ როცა ქონების გაახვისება ხდება ანგარების მიზნით. ქონების გასხვისებას ასეთ შემთხვევაში აუცილებლად წინ უსწრებს ქონების დაკავება და დამნაშავეის მხრიდან აღნიშნულ ქონებაზე არამართლზომიერი მფლობელობის დადგენა.

გაფლანგვისა და მითვისების ცნებების სიახლოვემ არ უნდა გააიგივოს ისინი.

ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1972 წლის 11 ივლისის დადგენილებაში — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების საქმეზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ — გაფლანგვისა და მითვისების შესახებ აღნიშნულია: „მინდობილი ან გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისებად თუ გაფლანგვად კვალიფიცირებული უნდა იქნეს მართლზომიერ მფლობელობაში მყოფი ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო გადაქცევა თავის საკუთრებად ან სხვა პირის საკუთრებად დამნაშავეის მიერ, რომელიც თანამდებობრივი მოვალეობის, ხელშეკრულებითი ურთიერთობის ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის სპეციალური დავალების ძალით ამ ქონების მიმართ ახორციელებდა განკარგვის, მართვის, მიწოდების ან შენახვის უფლებამოსილებას (შეკუქნავე, ექსპედიტორი, მომარაგების აგენტი, გამყიდველი, მოლარე და სხვა პირები)“¹.

როგორც ჩანს, ზემოაღნიშნულ დადგენილებაში გაფლანგვისა და მითვისების ცნება ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა, რაც არასწორად უნდა მივიჩნიათ. სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია გაფლანგვის გამიჯვნა მითვისებისაგან.

სისხლის სამართლის საქმეების შესწავლითა და განზოგადებით ვლინდება, რომ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები ერთმანეთში ურევენ საქართველოს სსკ 94-ე მუხლით გათვალისწინებულ დატაცების ფორმებს; სახელდობრ, ყველა შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ ამა თუ იმ პირის მოქმედებაში ადგილი აქვს მითვისება-გაფლანგვას და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის საქმეებიდან აშკა-

¹ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბ., 1972, № 4, გვ. 3.

რად ჩანს, რომ პირს ჩადენილი აქვს მხოლოდ გაფლანგვა ან მხოლოდ მითვისება და ა. შ. გაფლანგვისას საჭიროა აღინიშნოს, რომ პირის მოქმედება მოიცავს გაფლანგვას; თუ სახეზე ორივე ფორმაა, მაშინ უნდა აღინიშნოს მითვისება-გაფლანგვა, თანაც გარკვევით უნდა იქნეს მითითებული, თუ რა ოდენობის ქონება აღმოჩნდა მითვისებული და რამდენი გაფლანგული. სამწუხაროდ, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები თავს არიდებენ საკითხის ასეთნაირად გადწყვეტას.

გაფლანგვა მითვისებისაგან განსხვავდება დამნაშავე პირის უფრო აქტიური მოქმედებით, თუ ქონების დაკავება და დაუბრუნებლობა დროში თან ემთხვევა ქონების მოხმარებას და გასხვისებას, სახეზეა გაფლანგვა. გაფლანგვისას დამნაშავე არა მარტო თავისთვის იკავებს ქონებას, რომელიც დატაცებას მოქმენტში მის მართლწილიერ მფლობელობაში იმყოფება, არამედ, ეუფლება რა მას, არამართლწომიერად ხარჯავს, ყიდის, აჩუქებს და ა. შ.

გაფლანგვა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხითაც განსხვავდება მითვისებისაგან. საქმე ისაა, რომ გაფლანგვისას ქონება მატერიალური სახით სახეზე არა გვაქვს, იგი განაივებულია; ყოველივე ეს გამორიცხებულია მითვისების დროს. გაფლანგვის შემთხვევაში გამფლანგველს არა აქვს იმის შესაძლებლობა, უკანვე დაბრუნოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან უკანონოდ ამოღებული ქონება; მითვისებისას კი მიმთვისებელს ამის შესაძლებლობა ყოველთვის აქვს. როგორც წესი, გამფლანგველის მიზანია არაწესიერი გზით მიღებული ქონების (სამდიდრის) უთავბოლოდ ხარჯვა, მაშინ როცა მიმთვისებელს ასეთი მიზანი არ გააჩნია; პირიქით, იგი ცდილობს ქონების დაგროვებას. ეს უკანასკნელი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოსდა მიმთვისებელი საერთოდ არ ფლანგავს ქონებას ან მის ნაწილს. ასეთი ფაქტები მრავლად გვხვდება საგამოძიებო პრაქტიკაში.

აღნიშნულადან გამომდინარე ვასკენით, რომ გაფლანგვა მეტსაზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია, ვიდრე მითვისება.

ამრიგად, თუ მითვისებისას გვაქვს ქონების მხოლოდ დაკავება და დაუბრუნებლობა მისი გასხვისებისა და მოხმარების გარეშე, გაფლანგვისას ქონების დაკავებასა და დაუბრუნებლობასთან ერთად გვაქვს მისი გასხვისებაც (დახარჯვა, მისი მოხმარება, გაყიდვა, ჩუქება და სხვ.).

გაფლანგვის ფორმით ჩადენილ დატაცების საილესტრაციოდ სასამართლო პრაქტიკიდან მოგვყავს მაგალითი: მოქალაქე შ. შ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ სამტრედიის „ცეკვიშირის“ სისტემაში შემავალ № 1 პავილიონის გამგე-გამყიდველად მუშაობისას მასზე დაკისრებულ სამსახურებრივ მდგომარეობას იგი ბოროტად იყენებდა. ერთი თვის განმავლობაში სისტემატურად სარჩავდა მატერიალურ ფასეულობათა რეალიზაციის შედეგად მიღებულ ნავაჭრ თანხას ნაცნობ-მეგობრებში, რის შედეგადაც აღმოჩნდა დანაკლისი. სამტრედიის სახალხო სასამართლომ სწორად ცნო შ. შ-ს ბრალად წაყენებული ბრალდება საქართველოს სსკ 94-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც გაფლანგვა¹.

გაფლანგვის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც თანამდებობის, ისე არათანამდებობის პირი.

არათანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი გაფლანგვის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კუსტარ შინამრეწველთა მიერ სახელმწიფო ორგანიზაციისაგან ხელშეკრულებით მიღებული ქონების გაყიდვა და ნავაჭრი თანხის გასხვისება.

აღსანიშნავია, რომ პირები, რომლებსაც ქონება არ ჰქონდათ მინდობილი ან გადაცემული გამგებლობაში და რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ საქართველოს სსკ 94-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით), პასუხს აგებენ ამ მუხლით. ამასთან, თუ აღნიშნულმა პირებმა დატაცება ჩაიდინეს სსკ 94-ე მუხლში მითითებულ პირებთან წინასწარი შეთანხმებით, მათი მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს მე-2 ნაწილით, ხოლო დატაცებულის დიდი ოდენობისას — ამ მუხლის მე-3 ნაწილით.

გაფლანგვა შეიძლება იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა ქონება დამნაშავეზე უშუალოდ მინდობილი არაა, მაგრამ მის განცებლობაში იმყოფება და განკარგავს მას სხვა პირის მფუველობით, სახელდობრ, იმ პირის მეშვეობით, რომელზედაც იგი სამსახურებრივად და დაქვემდებარებული.

დატაცება გაფლანგვის ფორმით იქნება ჩადენილი, თუ თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებას იყენებს ქონების განკარ-

¹ იხ. სამტრედიის სახალხო სასამართლოს არქივი. საქმე № 1—140/3.

გვაზე და ანგარების მიზნით იძლევა ისეთ მითითებებს, რის შედეგადაც ქონება უკანონოდ და უსასყიდლოდ გადაეცემა მესამე პირს (მაგალითად, მითითების მიცემა ქონების გადაცემაზე ერთ შემთხვევაში პირადი დავალიანების დაფარვის მიზნით კრედიტორის სასარგებლოდ, ხოლო მეორე შემთხვევაში ნათესაეების, ახლობლებისა და სხვათა მიმართ). ამ შემთხვევაში თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მისდამი დაქვემდებარებული (მატერიალურად პასუხისმგებელი) პირის მეშვეობით, რომელიც ახორციელებს თანამდებობის პირის მითითებას.

სისხლის სამართლის ლიტერატურაში გაფლანგვის ფორმით ქონების დატაცების დამთავრების მომენტი ავტორთა უმრავლესობის მიერ პრინციპში ერთნაირადაა გაგებული. კერძოდ, ისინი გაფლანგვას დამთავრებულად თვლიან იმ მომენტიდან, როცა ქონება დამნაშავეს მიერ დაიხარჯა როგორც თავისი, ისე მესამე პირის ინტერესებისათვის, ან ქონების გასხვისების მომენტიდან (მოხმარება, გაყიდვა, ჩუქება ან სხვაგვარი გადაცემა მესამე პირზე ანგარების მიზნით).

გ. სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. სისხლის სამართლის ლიტერატურაში სახ. ან საზ. ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სხვადასხვაგვარადაა განმარტებული: მაგალითად, ა. ვასილიევის აზრით, ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ხასიათდება იმით, რომ მოცემულ შემთხვევაში დანაშაულებრივი გზით მიითვისება ის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება, რომელიც არ იმყოფება მოცემული თანამდებობის პირის უშუალო განმგებლობაში¹.

მ. იაკუბოვიჩის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით განმარტებულია, როგორც ქონების დაუფლება ანგარების მიზნით, ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ².

¹ იხ. А. Н. Васильев. «Советское уголовное право», часть Особенная», М., 1957, стр. 140.

² იხ. М. И. Якубович. «Советское уголовное право», часть Особенная», М., 1965, стр. 124.

სხვაგვარად განმარტავდა ამავე ცნებას ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი 1972 წლის 11 ივლისის დადგენილებაში. ამ დადგენილების თანახმად, ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არის ანგარების მიზნით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების კანონსაწინააღმდეგო უსასყიდლო გადაქცევა თავის ან სხვა პირთა საკუთრებად¹.

სისხლის სამართლის კომენტარებში ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით განმარტებულია, როგორც ისეთი ქმედობა, როცა თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ანგარების მიზნით, უკანონოდ, უსასყიდლოდ იღებს ქონებას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიაციის ფონდებიდან მისი როგორც პირადი, ისე სხვა პირთა სასარგებლოდ გადაქცევის მიზნით².

როგორც ჩანს, არც ერთი განმარტება ამომწურავი არ არის. საქმე ისაა, რომ განსახილველი ფორმით ჩადენილი დატაცება არაა განსაზღვრული დატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე: უფრო მეტიც, მათში არ არის მითითება ისეთ არსებით ნიშანზე, რაც ახასიათებს ქონების დატაცებას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას, კერძოდ ის, რომ ქონება, რომლის დატაცება ხდება თანამდებობის პირის მიერ, არ იმოფება მის უშუალო მფლობელობაში, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია იმისათვის, რათა ქონების დატაცების აღნიშნული ფორმა განვასხვაოთ საქართველოს სსკ 94-ე მუხლში მოცემული დატაცების სხვა ფორმებისაგან, კერძოდ, მითვისებისა და გაფლანგვისაგან.

იურიდიულ ლიტერატურაში მიღებული დატაცების ზოგადი ცნების საფუძველზე ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით შეიძლება ასე განისაზღვროს: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არის ქონების დატაცების ერთ-ერთი ფორმა, რაც გამოიხატება თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან

¹ იხ. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი. თბ., 1972, № 4, 33-4.

² Комментарий к уголовному кодексу РСФСР, М., 1980, стр. 227.

ანგარების მიზნით მის უშუალო მფლობელობაში არმყოფი ქონების უკანონო, უსასყიდლო ამოღებაში იმ სურვილით, რომ გადაქციოს ეს ქონება თავისი ან სხვის საკუთრებად უნაცვალგებოდ.

ამრიგად, სახ. ან საზ. ქონების ასეთი ფორმით დატაცებისას თანამდებობის პირი აღქურვილია უფლებით, განკარგოს მატერიალური ფასეულობა სხვა პირების მეშვეობით; სწორედ ამ უფლებას იყენებს თანამდებობის პირი ბოროტად, რის შედეგადაც ქონება უკანონოდ გადადის უშუალოდ დამნაშავეს ან მესამე პირის ხელში.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ელემენტები გვაქვს აგრეთვე ქონების მითვისებისა და გაფლანგვის დროსაც, მაგრამ პირველ შემთხვევაში დამნაშევე, რომელსაც მინდობილი აქვს ქონება და მიმართავს ამ ქონების დატაცებას, აუცილებლად თანამდებობის პირი უნდა იყოს. სწორედ მინდობილი ქონების განკარგვა არადანიშნულებისამებრ და მისი გადაქცევა თავის საკუთრებად არის სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი სახე; მაგალითად, როდესაც დაწესებულების მოღვაწე ხარჯავს მინდობულ ქონებას პირადი საჭიროებისათვის, იგი იტაცებს ქონებას გაფლანგვის ფორმით, ხოლო თუ ამავდროულად დაწესებულების ბუღალტერი იძლევა უკანონო ბრძანებას რაიმე სახსრის თავისთვის ან მესამე პირზე გაცემის მიზნით, რისი მიღების უფლებაც მათ არა აქვთ, საქმე ეხება ქონების დატაცებას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების დატაცებისას თანამდებობის პირი დანაშაულის ჩადენის ზერხად იყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ან მათი წარმომადგენლების მოტყუებას, ან ბოროტად იყენებს მათს ნდობას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქონების დაუფლება ამ შემთხვევაში ღდება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. სწორედ პირის თანამდებობრივი მდგომარეობა და მის მიერ დატაცების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით განასხვავებს მოცემულ ქმედობას თაღლითობისაგან. აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობა გვაქვს მაშინაც, როცა თანამდებობის პირმა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი თანხები წინასწარ შეცნობით უკანონოდ დაუნიშნა ან გასცა ანგარების მიზნით იმ პირებზე, რომლებსაც არა აქვთ მისი მიღების უფლება.

საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1993 წლის 10 ივლისის განჩინებაში ბ-ს და ხ-ს საქმეზე სწორად მიუთითა, რომ სამშენებლო სამუშაოების მოცულობის წამაქება და თანების უკანონოდ გაცემა საქართა შეფასდეს, როგორც დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

ამრიგად, თუ წინასწარ შეცნობით დადებულაა ფიქტიური შრომითი შეთანხმება ან სხვა ხასიათის ხელშეკრულება, რათა თანამდებობის პირმა თავის საკუთრებად აქციოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრები ვითომდა შესრულებული სამუშაოსათვის, თანამდებობის პირის და იმ პირების ქმედობა, რომლებმაც ე' ხელშეკრულება დადეს, კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც ქონების დატაცება, რისთვისაც პასუხს აგებენ როგორც თანამდებობის, ისე ის კერძო პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ წინასწარ შეთანხმებაში და მიიღეს ეს სახსრები. დამნაშავე პირთა ეს ქმედობა კვალიფიცირდება საქართველოს სსკ 94-ე მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო თუ დატაცებული თანხა დიდი ოდენობისაა, -- ამ მუხლის მესამე ნაწილით.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, რაც მიზნად არ ისახავდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების უსასყიდლოდ მიღებას თუ გადახდას, მაგრამ რომელსაც შემდგომში შედეგად მოჰყვა პრემიების, ხელფასის დანაშაურობა ან სხვა გადასახდელებს უკანონო მიღება ან გადახდა (მაგალითად, სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატების, გეგმის შესრულების შესახებ ყალბი საანგარიშო მონაცემების წარდგენა და სხვა გზით), საქმის კონკრეტულ გარემოებათა მიხედვით, კვალიფიცირებული უნდა იქნეს იმ კანონით, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას თანამდებობრივი ან სამეურნეო დანაშაულისათვის.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ისმება საკითხი, რათა გაიმიჯნოს ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (საქართველოს სსკ 186-ე მუხლი) სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებისაგან (სსკ 94-ე მუხლი). ორივე შემთხვევაში ქმედობის ჩადენა ანგარების მოტივით ხდება და იგი მატერიალურ ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მაგრამ მათ

შორის არის განსხვავება: ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, მართალია, ქონებრივ ზიანს აყენებს სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოს, მაგრამ არაა დაკავშირებული თანამდებობის პირის მხრივ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლებასთან, მაშინ როდესაც სსკ 94-ე მუხლით აუცილებლად იგულისხმება თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ დაუფლება. სხვანაირად თუ ვიტყვით, ამ დანაშაულის შემადგენლობისაგან (მხედველობაშია საქართველოს სსკ 94-ე მუხლი) სასამართლოებმა უნდა განასხვავონ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186-ე მუხლი), რომელიც თუმცა ანგარებებს მოტივით იყო ჩადენილი და მან მატერიალური ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგრამ არაა დაკავშირებული ქონების უსასყიდლო გადაქცევასთან თავის ან სხვა პირთა საკუთრებად. მაგალითად, ანგარიშის არევით იმ დანაკლისის დაფარვა, რომელიც დაუდევრობის შედეგად წარმოიშვა; დროებითი სარგებლობა ქონებით პირად საკუთრებად ან სხვა პირთა საკუთრებად მისი გადაქცევის განზრახვის გარეშე და სხვ.

საქართველოს სსკ 186-ე მუხლის შემადგენლობა გვექნება, მაგალითად, მაშინ, როცა სამკერვალო სახელოსნოს გამგე სახელოსნოში მომუშავეთა ძალებით უფასოდ ასრულებს კოსტიუმებისა და პალტოების მრავალრიცხოვან შეკვეთას ნათესაეების ან ნაცნობებისათვის, ხოლო საქართველოს სსკ 94-ე მუხლის შემადგენლობა — როცა იგივე პირი ღებულობს შეკვეთებს კოსტიუმებისა და პალტოების შესაკერავად, ამავე დროს შემკვეთებისაგან იღებს შეკერვისათვის დაწესებულ ფულად თანხას და ითვისებს მას.

ამრიგად, სსკ 94-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება არის მხოლოდ დატაცების ჩადენის საშუალება, რაც პირდაპირაა მითითებული ამ მუხლში. ამიტომ კოდექსის 186-ე მუხლით მისი დამატებითი კვალიფიცირება არ არის საჭირო.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების დატაცებისას დამნაშავენი აყალბებენ დოკუმენტებს. ამით მათ სურთ ადვილად დაეუფლონ ქონებას ან დაფარონ უკვე დატაცებული ქონება. ასეთ შემთხვევაში ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობით, კერძოდ, 94-ე და 191-ე

მუხლებით. სამტრედიის სახალხო სასამართლომ სწორად ცნო მ. დ-ს მიმართ წაყენებული ბრალდება საქართველოს სსკ 94-ე მუხლის III ნაწილით და 191-ე მუხლით. მ. დ-მ რკინიგზის მუშათა მომარაგების სამტრედიის განყოფილების № 3 მალაზიის სამრეწველო სექციის გამგე-გამყიდველად მუშაობიას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ბოროტად, მან მორიგ კუთვნილ შევებულებაში გავლასთან დაკავშირებით საქონლის გადაბარების დროს ისარგებლა აღმწერი ბუღალტრის გ-ს და მიძღების — ბ-ს დაუდევრობით, აღწერის მასალებში რიცხვების გადაკეთებით და საქონლის რაოდენობისა და საპრეისკურანტო ფასების გაღიდებით მოახერხა დანაკლისის მიჩქმალვა¹.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების დატაცების მეთოდები და ხერხები სხვადასხვაგვარია. დატაცებლები, ხშირად, სარგებლობენ ზოგიერთ საწარმო-დაწესებულებაში გამეფებული აღრიცხვა-კონტროლის დაბალი დონით, სხვადასხვა მაქინაიით ქონებას იღებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფონდებიდან და თავიანთ საკუთრებად აქცევენ. შემდეგში, რათა თავი დააღწიონ სისხლსა სანმართლის პასუხისმგებლობას მატერიალური ფასეულობის დანაკლისისათვის, მიმართავენ მოძველებული ან არასრულყოფილი ნორმებით ანგარიშს, ბუნებრივი დანაკარგების გაზრდას, წუნდებული საქონლის უკანონოდ ჩამოწერას, გადაფასებას და ა. შ.

მატერიალური ფასეულობის დაგროვების ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხი, შემდგომში მისი ამოღების მიზნით, ეს არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის კუთვნილი მასალითა და საშუალებებით აღურიცხავი პროდუქციის დამზადება. ასე შექმნილი მატერიალური ფასეულობის გადაქცევა თავის საკუთრებად განხილული უნდა იქნეს, როგორც დატაცება და კვალიფიციურებულ იქნას სსკ 94-ე მუხლით. ასევე უნდა იქნეს კვალიფიციურებული „ზედმეტი“ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თავის სასარგებლოდ გადაქცევა, რაც წარმოიშობა თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მოტყუებით.

დატაცების შემადგენლობა გვეჩნება იმ შემთხვევაშიც, როცა თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბო-

¹ იხ. სამტრედიის სახალხო სასამართლოს არქივი, საქმე № 1—77/3.

როტად გამოყენებით გამოიწერს თითქოს წარმოების საქიროები-სათვის ამა თუ იმ მასალას ან ნედლეულს და შემდეგ მას აქცევს თავის საკუთრებად. ამ დროს თანამდებობის პირმა შეიძლება გადაიხადოს კიდევაც საქონლის ან ნედლეულის ღირებულება დაბალ საწარმოო ან საბითუმო ფასებში.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების დატაცებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა თანამდებობის პირი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილია მიიღოს რაიმე ქონება ცალკეული მოქალაქეებისაგან, იგი ამ ქონებას არ ვადასცემს დანიშნულებისამებრ და ითვისებს მას. ასევე კვალიფიცირდება შემთხვევა, როცა ორი სხვადასხვა დაწესებულების თანამდებობის პირები შეთანხმდებიან, ერთად განახორციელონ დანაშაულებრივი ოპერაცია; მაგალითად, მიმწოდებელი ორგანიზაციის მუშაკი შეუთანხმდება მიმღები ორგანიზაციის მუშაკს დოკუმენტებში არასწორად აჩვენონ საქონლის რაოდენობა ან დაამახინჯონ ფასი და ზედმეტი საქონლის ღირებულება ერთმანეთში გაინაწილონ. ზოგჯერ თანამდებობის პირი აღწევს ქონების მისაკუთრებას ისეთი მდგომარეობის შექმნით, რომელიც აიძულებს სხვა ორგანიზაციის მუშაკს, წინასწარი შეცნობით დათანხმდეს მასთან აშკარად უკანონო გარიგებაზე; მაგალითად, თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა მის გამგებლობაში მყოფი დეფიციტური სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაცემა, განაწილება ან გაყიდვა, განზრახ აქიანურებს საქონლის გაცემას და მას ვასცემს მაშინ, როდესაც გადაუხდიონ ღირებულებაზე მეტს. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დატაცებისა და ქრთამის აღების ერთობლიობასთან.

დატაცებაში დახმარებისა და სამსახურებრივი სიყალბისათვის პასუხი უნდა აგონ იმ თანამდებობის პირებმა, რომლებმაც წინასწარი შეცნობით კერძო პირებს მისცეს ყალბი საბუთები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახსრების (კერძოდ, პენსიის, პრემიის, დახმარების ან სხვათა) მიღების მიზნით. თანამდებობის პირის მიერ წინასწარი შეცნობით პირისათვის პენსიის უკანონო დანიშვნა მისი მისაკუთრების მიზნით კვალიფიცირდება, როგორც დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით.

დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების

ყველაზე შენიღბული ფორმა. ამ დროს დანაშაულის ჩამოყენებ-
გვევლინება თანამდებობის პირი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს
გულდასმით შენიღბოს თავისი დანაშაულებრივი საქმიანობა.

ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა ბოროტმოქმედი სხვადასხვა-
გვარი კომბინაციით იტაცებს ქონებას და ამავე დროს ფართოდ
იყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახსრე-
ბით თანამდებობის პირთა მოსყიდვას.

ქრთამის მიცემისა და აღებისათვის გაზრდილი პასუხისმგებ-
ლობა ვერ გამოირიცხავს პასუხისმგებლობას მექრთამეობასთან და-
კავშირებულ სხვა უფრო საშიშ დანაშაულზე, კერძოდ, საბაღბო
დოვლათის მტაცებლობაზე. წინასწარი შეთანხმებით თანამდებობის
პირის მიერ ქრთამის სახით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახ-
სრების მიღება კვალიფიცირებული უნდა იქნეს დანაშაულთა ერთ-
ობლიობის პრინციპით, როგორც ქრთამის მიღება და სახელმწი-
ფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება დამამძიმებელ გარე-
მოებაში. ქრთამის მიცემთა და შეამავალთა მოქმედება, რომლე-
ბიც ქრთამის გადაცემისას თავის საკუთრებად აქცევენ სახელმწი-
ფო ან საზოგადოებრივი სახსრების ნაწილს, აგრეთვე იმ თანამდე-
ბობის პირთა მოქმედება, რომლებიც ახდენენ ამ სახსრების ამო-
ღებას და მათი ქრთამის სახით გადაცემას პირადი ინტერესების
დაკმაყოფილების მიზნით, კვალიფიცირებული უნდა იქნეს, რო-
გორც მექრთამეობისა და დატაცების ერთობლიობა.

„პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით“ ასე უნდა
გავიგოთ: „ქრთამის საშუალებით თანამდებობის პირი მიისწრაფვის
დაიცვას არა მარტო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის
ყალბად გაგებული ინტერესები, არამედ, მას სურს პირადი გამორ-
ჩენის მიღებაც: მაგალითად, თანამდებობის პირი აძლევს მეორე
თანამდებობის პირს ქრთამს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სახ-
სრებიდან რაიმე მნიშვნელოვანი მასალის ან საქონლის ტრანსპორ-
ტირების დაჩქარებისათვის, თანაც მიზნად ისახავს სამეურნეო
ოპერაციის დროულად შესრულებისათვის მიიღოს პრემია ან ხელ-
ფასის წანამატი“¹.

¹ ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე, პასუხისმგებლობა მექრთამეო-
ბისათვის, თბ., 1964, გვ. 190.

როდესაც თანამდებობის პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ითვისებს ქონების და საამისოდ იყენებს კერძო პირს, რომელმაც იცის, რომ თანამდებობის პირი მისი დახმარებით ეუფლება ქონებას, თანამდებობის პირმა პასუხი უნდა აგოს სსკ 94-ე მუხლით, ხოლო კერძო პირმა — ქონების დატაცებაში თანამონაწილეობისათვის.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფულადი სახსრების დატაცება სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით არ გვექნება, თუ თანამდებობის პირი ბრძანებით სამუშაოზე გააფორმებს ისეთ პირს, რომელიც ფაქტობრივად არ მუშაობს, ხოლო თვითონ შეასრულებს მის მოვალეობას და მიიღებს იმ გასამრჩელოს, რაც უნდა მიეღო ბრძანებით გაფორმებულ პირს. ასეთი ქმედობა უნდა განვიხილოთ, როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (სსკ 186-ე მუხ.) და არა როგორც დატაცება. ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში ს-ს დანაშაულებრივი ქმედობა ის იყო, რომ კულტურის სახლის დირექტორად მუშაობის დროს ბრძანებით სიმღერის გუნდის ხელმძღვანელად დაინიშნა ზ., ხოლო მოცეკვავეთა წრის ხელმძღვანელად — კ. აღნიშნული პირები ფაქტობრივად არ მუშაობდნენ კულტურის სახლში, ხოლო მათზე გამოწერილ თანხას ითვისებდა დირექტორი, რომელიც ფაქტობრივად თვითონ ასრულებდა წრეების ხელმძღვანელთა მოვალეობას. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მისი მოქმედება მაიჩნია, როგორც სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით ქონების დატაცებისას დანაშაულის დამთავრების მომენტად უნდა მივიჩნიოთ არა უკანონო განკარგულების მიცემა ქონების გაცემის შესახებ ან ფიქტიური დოკუმენტის შედგენა და ა. შ., არამედ სახ. ან საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან უკანონოდ ამოღებული ქონების დაუფლება ან ასეთი ქონების მესამე პირისათვის გადაცემა ანგარების მიზნით.

საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) არ შეიძლება დამთავრებულად მივიჩნიოთ, თუ პირები დააკავეს საწარმოს ტერიტორიიდან სახელმწი-

ფო ქონების გატანისას. ასეთი სახის ქმედობა უნდა ჩაითვალოს დატაცების მცდელობად.

საქართველოს სიხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლი ითვალისწინებს მითვისება-გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სამ სახეს.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია განაახილველი დანაშაულის ძირითადი ანუ მარტივი სახე; სახელდობრ, დატაცება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე. მარტივ სახედ მიჩნეულია მითვისება ან გაფლანგვა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებისა, რომელიც მინდობილი ჰქონდა დამნაშავეს ან იმყოფებოდა მის გამგებლობაში, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება თანამდებობის პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით. ასეთი ქმედობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე, ან ჯარიმით, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ან უამისოდ.

94-ე მუხლის მეორე ნაწილი კვალიფიციურ სახედ ითვალისწინებს იმავე ქმედობის ჩადენას განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ, გარკვეული თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ორიდან შვიდ წლამდე¹.

ამავე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია დატაცების განსაკუთრებით საშაში სახე, სახელდობრ: დატაცება, გათვალისწინებუ-

¹ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით („ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიციურობის მნიშვნელობის მქონე თანხის ახლებურად გაანგარიშების შესახებ“) გადაწყდა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ დანაშაულად ჩაითვლება ქონების დატაცება, თუ მისი ღირებულება არის 50-დან 1500-მდე ლოლარის შესაბამისი ლარი. ხოლო ამავე დადგენილებით, 94-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული „დიდი ოდენობა“ გულისხმობს ქონებას, რომლის ღირებულება არის 1500-დან 6000-მდე ლოლარის შესაბამისი ლარი.

ლი ამ მუხლის პირველ ან მეორე ნაწილში, ჩადენილი დიდი ოდენობით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით ორიდან ხუთ წლამდე.

თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებაში, რომელიც ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, მონაწილეობს პირი, რომელსაც ეს ქონება მინდობილი ჰქონდა, მაშინ დატაცების ყველა მონაწილე პასუხს აგებს საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლით.

ბოლოს, გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ 94-ე მუხლით გათვალისწინებულ დატაცებათა ფორმების შესახებ (მოთვისება, გაფლანგვა, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება). კანონმდებლის მიერ საზოგადოებრივი საშისპროების მზრივ ამ სამი ფორმის ერთმანეთთან გათანაბრება და ერთნაირი პასუხისმგებლობის დაწესება არასწორად მიგვაჩნია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მათ აქვთ თავიანთი სპეციფიკა, საზოგადოებრივი საშისპროების ხარისხით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და სხვ. დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ქვეშაირიტების დადგენის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლით სისხლის სამართლის კოდექსში მითვისების, გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ცალ-ცალკე მუხლებად. ე. ი. სხვადასხვა დანაშაულის სახით, გამოყოფას, რომლის განმსაზღვრელიც იქნება შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობა: მაგალითად, გაფლანგვის დამოუკიდებელი შემადგენლობა გვექნება მაშინ, როცა განხორციელდება მისი დამოუკიდებელი შემადგენლობა. ასევე უნდა ითქვას მითვისებასა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზეც.

ვ. ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების მიზნით

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს შორის ყველაზე საშიშია ყაჩაღობა.

საქართველოს სს კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი ყაჩაღობას განმარტავს, როგორც თავდასხმას სახელმწიფო ან სა-

ზოგადობრივი ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა.

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ისეთი ძალადობაა, რომლის დროს დაზარალებულს ადგება სხეულის მძიმე დაზიანება, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ასევე სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით, ან შრომის უნარის აშკარად უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვით. მასვე მიეკუთვნება ისეთი ძალადობა, რამაც გამოიწვია სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად, მაგრამ ძალადობის გამოყენების მომენტში იგი საშიში იყო სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავდასხმას ქონების დაუფლების მიზნით, რასაც თან ერთვის ძალადობა, რამაც დაზარალებულს მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად ან საერთოდ არ მიუყენებია არავითარი ზიანი მისი ჯანმრთელობისათვის, მაგრამ რამაც შექმნა მისი გამოყენების მომენტში რეალური საშიშროება დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, უნდა მიეცეს ყაჩაღობის კვალიფიკაცია.

ყაჩაღობა არის რთული, შენადგენი დანაშაული, რაც ერთდროულად ზიანს აყენებს ორ ობიექტს — საკუთრებასა და პიროვნებას. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო სხვადასხვა აზრი იმაზე, თუ რომელი ობიექტია აქედან მთავარი, ძირითადი; მაგალითად, ავტორთა ერთი ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან და არა ქონების დაუფლების მომენტიდან, ყაჩაღობას მიიჩნევს პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად¹.

ამ თვალსაზრისს არ შეიძლება დაეთანხმოთ. ყაჩაღობა არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ქმედობა. ყაჩაღური თავდასხმის მიზანია ქონების დაუფლება, ხოლო ძალადობა, რაც საშიშია პირის სიცოცხლისა და ჯანმრ-

¹ იხ. М. В. Гүгүчия. Ответственность за разбой по советскому уголовному праву. Сухуми, 1958, стр. 20—21, 25; Б. С. Маньковский. Уголовный и Уголовно-процессуальные кодексы... М., 1957, стр. 15.

თელობიათვის, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა წარმოადგენს ამ ქონების დაუფლების ხერხს, საშუალებას. კანონმდებლობის ასეთი აგება ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობისა, — როგორც შენიშნავს გ. კრიგერი, — ყველაზე სწორად გვევლინება. იგი ასახავს ყაჩაღობის არსს, როგორც ქმედობას, ძირითადად მიმართულს სახ. ან საზ. საკუთრების წინააღმდეგ, და გამოხატავს დამნაშავეის მისწრაფებას — პარაზიტულად იცხოვროს სახელმწიფო ქონების ხარჯზე!

დასასრულს, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყაჩაღობა სახ. ან საზ. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. იგი ერთდროულად ხელყოფს ორ მნიშვნელოვან ობიექტს — სახ. ან საზ. საკუთრებას და პირიქედის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. რაც შეეხება ყაჩაღობის დროს განხორციელებულ თავდასხმას, იგი ქონების დაუფლების საშუალებად უნდა მივიჩნიოთ. ყაჩაღურ თავდასხმას, როგორც წესი, თან უნდა ახლდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა, რაც, თავის მხრივ, ყაჩაღური თავდასხმის შემადგენელ კომპონენტად უნდა მივიჩნიოთ. ყაჩაღური თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს როგორც იმ პირების მიმართ, ვის გამგებლობაში, მფლობელობაში ან დაცვაში იმოფება ქონება, ასევე გარეშე პირების მიმართაც, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ დამნაშავეებს ქონების დაუფლებაში.

დაუებრუნდეთ ყაჩაღური თავდასხმის საკითხს, თავდასხმად უნდა გავიგოთ დაზარალებულისათვის ისეთი უეცარი, მოულოდნელი ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, რომელსაც თავისი ობიექტური ხასიათით შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი ან სხეულის დაზიანება.

რამდენადაც თავდასხმა არის სახ. ან საზ. ქონებაზე დაუფლების ხერხი (საშუალება), იგი, საერთოდ, წინ უნდა უსწრებდეს ქონების დაუფლებას; მაგრამ როცა დამნაშავე დატაცებას იწყებს ფარულად და შემდეგ დატაცების პროცესში გამოიყენებს ძალადობას, რაც საშიშია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც ყაჩაღობა;

1. 2 ნი. Г. А. Кригер. Квалификация хищений социалистического имущества. М., 1974. стр. 127—128.

მაგალითად, ცხაკაიას სახალხო სასამართლომ სწორად ცნო ს-ს და დ-ს მოქმედება, როგორც ყაჩაღობა. საქმის არსი ასეთია: ს. და დ. საათების მოპარვის მიზნით შევიდნენ ცხაკაიას საიუფილერიო მალაზიაში. ს-მ თავისთან მოიხმო გამყიდველი ბ. და დაუწყო საუბარი იმაზე, თუ სად შეიძლებოდა ეშოვა ბრილიანტის ბეჭდები და საყურეები. ამ საუბრის დროს დ. შეუდგა ვიტრინიდან 300 ლარად ღირებული ოქროს საათის ამოღებას. ამოღებას მომენტში მას საათი ხელიდან გაუვარდა და იქვე სკამზე დაეარდა. დ. დაიხარა საათის ასაღებად, ყოველივე ეს გამყიდველმა შეამჩნია, მივარდა დ-ს და დაუწყო საათის წართმევა, წართმევის მომენტში ს-მ ყელში წაუჭირა ხელი, ხოლო დ-მ სახეში ჩაარტყა კასტეტი ბ-ს, რომელიც იქვე დაეცა. ს. და დ. შეეცადნენ გაქცევას, მაგრამ ისინი დააკავეს. კასტეტის დარტყმამ გამყიდველ ბ-ს მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. გამოძიებისა და სასამართლოს მიერ სწორად იქნა კვალიფიციკრებული ს-ს და დ-ს მოქმედება, როგორც ყაჩაღობა, რაც დაიწყო ქურდობით და შემდეგ გადაიზარდა ყაჩაღობაში.

როცა ყაჩაღობისათვის დამახასიათებელი ძალადობა გამოიყენება ქონების ამოღების შემდეგ იმ მიზნით, რომ თავი დააღწიოს დაკავებას, დამნაშავეს მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ყაჩაღური თავდასხმა, რადგან ძალადობის გამოყენება ასეთ გარემოებაში არ გვევლინება ქონების დაუფლების ან მისი შენარჩუნების საშუალებად (ხერხად). ნათქვამის საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკიდან: მოქალაქე შ. შევიდა ქ. ზუგდიდის ცენტრალურ უნივერსიტეტში და გამყიდველს სთხოვა ეჩვენებინა მისთვის პიჯაკი. მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. შ-მ ისარგებლა იმით, რომ გამყიდველი სხვა მყიდველით იყო დაკავებული, ჩაიცვა პიჯაკი და შეუმჩნეველად გავიდა მალაზიიდან, გამყიდველმა რამდენიმე წუთის შემდეგ მოიკითხა პიჯაკი... იგი მიხვდა საქმის ვითარებას, თავის სამუშაო ადგილზე სხვა გამყიდველი დატოვა და თვითონ გაევიდა მოქალაქე შ-ს. ქუჩაში მიმავალმა შ-მ შეამჩნია, რომ მას დასაკავებლად მისდევდა გამყიდველი კ., გაიძრო პიჯაკი, დაავლო ასფალტზე და სირბილით შეეცადა შიშაღვას, მაგრამ მას დაეწია გამყიდველი. შ-მ იგრძნო მისთვის მოახლოებული საფრთხე, ხელი დაავლო იქვე ასფალტზე შემთხვევით დაგდებულ ქვას და სამჯერ დაარტყა თავის არეში გამყიდველ კ-ს. აღნიშნული მოქმედების შედეგად კ-მ მიიღო სხე-

ულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. წინასწარი გამოძიების დროს შ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირებულ იქნა, როგორც ყაჩაღური თავდასხმა. სასამართლომ, დაემყარა რა იმას, რომ დატაცება ჩადენილი იყო ფარულად, ხოლო ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა დამნაშავემ გამოიყენა დაკავებისაგან თავდასაღწევად და არა ქონების დაუფლებისათვის, მიიჩნია, რომ შ-ს მოქმედებაში არის ორი დანაშაულის ერთობლიობა, სახელდობრ, ქურდობა და სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება. შ-ს დანაშაულუბრივი მოქმედების ასეთი კვალიფიკაცია სწორად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დატაცება ჩადენილ იქნა ფარულად, ხოლო ქურდობის შემდეგ ჩადენილი ძალადობა მიზნად ისახავდა დაკავებისაგან თავის დაღწევას.

ყაჩაღობისას ძალადობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური. ეს უკანასკნელი ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივი გამოყენების მუქარის ფორმით ვლინდება, რაც საფრთხეს უქმნის დაზარალებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. სხვანაირად თუ ვიტყვით, ყაჩაღობის დროს ფსიქიკური ძალადობა გამოიხატება დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ფიზიკური ძალადობის დაუყოვნებლივ გამოყენების მუქარაში (მოკვლის, სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების — ჯანმრთელობის მოშლით — მიყენების მუქარა). მუქარის გამოხატვის ფორმა შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი — სიტყვები, უესტები, იარაღებისა და სხვა საგნების ჩვენება, რომელთა გამოყენებაც შეიძლება საშიში იყოს დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

როდესაც მუქარა ატარებს განუსაზღვრელ ხასიათს („მომეცი ფული, თორემ უფრო ცუდი იქნება“, ან „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ადგილიდან არ გაინძრეთ“ და ა. შ.), იმ საკითხის გასარკვევად, დამნაშავის მოქმედება მიეკუთვნება გაძარცვას თუ ყაჩაღობას, უნდა გადაწყდეს დანაშაულის ჩადენის ადგილისა და დროის, თავდასხმაში მონაწილეთა რაოდენობის, იარაღისა და საგნების ხასიათის (რომლებითაც თავდამსხმელები დაზარალებულს ემუქრებოდნენ), დაზარალებულის მიერ მუქარის ხასიათის სუბიექტური აღქმის (ე. ი. საქმის ყველა გარემოების) გათვალისწინებით.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად დამნაშავეთა ქმედობა არასწორადაა კვალიფიცირებული იმ შემთხვევაში,

როცა ხელიგნობის, გაუპატიურების ან სხვა დანაშაულის ჩადენისას დანაშავე მიმართავს ქონების ამოღებას. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა დანაშავე ხელიგნობის, გაუპატიურების ან სხვა დანაშაულის ჩადენისას ითვალისწინებდა ანგარებით მიზანს და მიმართავდა ქონების ამოღებას, მისი მოქმედება ამ ქონების ამოღების ხერხის მიხედვით საჭიროა კვალიფიცირებულ იქნას, როგორც შესაბამისი დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ და ხელიგნობა, გაუპატიურება ან სხვა დანაშაული.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ გვხვდება შემთხვევები ყაჩაღური თავდასხმების სიმულაციისა, რაც იმით გამოიხატება, რომ პირი, რომლის მართლზომიერ მფლობელობაში ან დაცვაში იმყოფება ქონება, შეუთანხმდება სხვა პირებს ფიქციური თავდასხმის ჩადენაზე. ასეთ შემთხვევებში დანაშავეთა მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც ქურდობა, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ, რადგან თავდასხმა მოგონილ, ფიქციურ ხასიათს ატარებს. მოგვეყავს მაგალითი საგამოძიებო პრაქტიკიდან. ვანის რაიონის სოფ. ყუმურის კოლმეურნეობის მწყემსი ფ. წინასწარ შეუთანხმდა მოქალაქეებს ა-ს და ტ-ს, რათა დაეტაცებინათ კოლმეურნეობის კუთვნილი 5 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. შეთანხმების პირობისამებრ, შეუადლისას, როცა ფ. საქონელს ამოვებდა, მასთან მივიდნენ ა. და ტ., მათ ბაწრით ხელ-ფეხი შეუჯრეს ფ-ს, გვერდით დაუდეს თავისივე თოფი და 5 სული ძროხა ტყეში გარეკეს. სამძებრო-ოპერატიული მოქმედების შედეგად ეს დანაშაული დროულად იქნა გახსნილი. იმის გათვალისწინებით, რომ ძალადობა მოცემულ შემთხვევაში ფიქციურ ხასიათს ატარებდა, ე. ი. გამოყენებული იყო მხოლოდ მოსაჩვენებლად, საგამოძიებო ორგანოების მიერ აღნიშნულ პირთა ქმედობა კვალიფიცირებულ იქნა, როგორც ქურდობა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, რაც სავსებით სწორია.

საქართველოს სს კოდექსის 96-ე მუხლის დისპოზიციის შესაბამისად, ყაჩაღობა დამთავრებულ დანაშაულად ითვლება თავდასხმის მომენტიდან მიუხედავად იმისა, თავდამსხმელმა შეძლო თუ არა ქონების დაუფლება. საგამოძიებო პრაქტიკაში მაინც ვხვდებით შეცდომებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით; მაგალითად, მოქალაქე ს-ს დანაშაულებრივი ქმედობა წინასწარი გამოძიებისას

კვალიფიცირებულ იქნა საქართველოს სს კოდექსის მე-17 და 96-ე მუხლებით იმის გამო, რომ იგი შევიდა აბაშის რკინიგზის სასაუზმეში და დანის მუქარით მებუფეტე გ-ს უბრძანა გადაეცა დღიური ნავაჭრი თანხა, მაგრამ თანხის დაუფლებაში მას ხელი შეუშალეს გ-ს მეზობლებმა კ-მ და მ-მ, რომლებიც იქვე არაყს სვამდნენ. გამოძიებამ ს-ს მოქედებას, როგორც ყაჩაღობის მცდელობას, საფუძვლად ის დაუდო, რომ დამნაშავემ ვერ განახორციელა ქონების დაუფლება. სახალხო სასამართლომ აღნიშნული კვალიფიკაცია (ყაჩაღობის მცდელობა), სავსებით მართებულად, არასწორად მიიჩნია და განჩინებაში აღნიშნა, რომ 96-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ყაჩაღობის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელი არ არის სასურველი შედეგის დადგომა, რომ ყაჩაღობა, მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა სასურველი შედეგი, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება.

სუბიექტური მხრივ ყაჩაღობა ხასიათება პირდაპირი განზრახვითა და ანგარების მოტივით, დამნაშავეს მიზანია, როგორც ეს კანონშია აღნიშნული, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაუფლება, რასაც თან ერთვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. ყაჩაღობისას დამნაშავეს (ისწრაფვის რა დაეუფლოს ქონებას) შეგნებული აქვს, რომ იყენებს ისეთ ძალადობას ან ავლენს ისეთ მუქარას, რომლის ძალითაც დაზარალებულმა მას უნდა გადასცეს მატერიალური ფასიულობა ან ხილი არ შეუშალოს მის დაუფლებაში. ამრიგად, ყაჩაღური თავდასხმის დროს დამნაშავეს განზრახვა ქონების დაუფლებასთან დაკავშირებით პირდაპირია; ძალადობისას კი, რაც საშიშია დაზარალებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, დამნაშავეს განზრახვა ძალადობის შედეგთან დამოკიდებულებაში ალტერნატიულ ხასიათს ატარებს. ბ. ნიკიფოროვი სწორად მიუთითებს იმაზე, რომ ყაჩაღური თავდასხმის დროს „დამნაშავე, ესწრაფვის რა სხვისი ქონების დაუფლებას, ჩვეულებრივ, დაინტერესებული არაა მის მიერ გამოყენებული ძალადობის ხასიათით და სიმძიმით. ის იყენებს ძალადობითი ზემოქმედების იმ ღონისძიებებს, რომლებსაც საჭმის გარემოებათა მიხედვით აუცილებლად თვლის... დამნაშავეს მოქმედება, რომელიც დაზარალებულს იარაღს ესვრის ან დანით თუ ნაჯახით აყენებს დარტყმებს, თავისი ობიექტური თვისებით ისეთია, რომ დაზარალებულს შეუძლია მიაყენოს

სხეულის მსუბუქი (ჯანმრთელობის მოშლით), ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება, ან გამოიწვიოს დაზარალებულის სიკვდილი¹.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის დგება 14 წლის ასაკიდან (საქ. სსკ მე-12 მუხლი).

საქართველოს სს კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყაჩაღობა (დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ. ამავე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს ყაჩაღობის დამამძიმებელ გარემოებებს, სახელდობრ, თუ იგი ჩადენილია: 1. პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით; 2. სხეულის მძიმე დაზიანების მიყენებით; 3. განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ; 4. იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ან მოქალაქეთა პირადი ქონების დაუფლების მიზნით, ან ბანდიტიზში, 5. თუ ეს მოქმედება მიმართული იყო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დაუფლებისაკენ; 6. სადგომში ან სხვა საცავში ზედწვეით.

ყაჩაღობის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებებს აქ არ განვიხილავთ, რადგან დატაცების სხვა ფორმების განხილვის დროს (ქურდობა, გაძარცვა, თაღლითობა) შევეხეთ მათ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყაჩაღობა, რაც გათვალისწინებულია 96-ე მუხლის მეორე ნაწილით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ქონების კონფისკაციით.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ისმება საკითხი, ერთი მხრივ, ქონების მითვისების მიზნით ყაჩაღური თავდასხმით მკვლელობისა და, მეორე მხრივ, ანგარებით ჩადენილ მკვლელობის გამიჯვნისა და ამ ორი სახის დანაშაულის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

ყაჩაღობა, პირველ ყოვლისა, აშკარა თავდასხმაში გამოიხატება, მაშინ როცა ანგარებით მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც აშკარად, ასევე ფარულად (მაგალითად, მკვლელობა შხა-

¹ Б. С. Никифоров. Объект преступления. М., 1960, стр. 103—104.

² იხ. საქართველოს სსკ 110-ე მუხლი.

მის მიცემით), მაგრამ რადგანაც ანგარებით მკვლევლობა, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება აშკარადაც მოხდეს, ხოლო თავდასხმა ყაჩაღობის დროსაც არ გამოირიცხავს ფარულ სახეს (მაგალითად, არაფნიზელ მდგომარეობაში მყოფი კაცის მოკვლა მისი ქონების უმაღლე დაუფლების მიზნით), ამიტომ საჭიროა ამ ორი დანაშაულის განსასხვავებლად სხვა ნიშნების ძიება¹. ერთი ასეთი ნიშანთაგანია, სახელდობრ, ის, თუ როდის გადადის ქონება დანაშაულის სუბიექტის მფლობელობაში. ყაჩაღობის დროს ქონება (ქონებაზე უფლება), როგორც წესი, სუბიექტის ხელში გადადის თავდასხმისა და დაზარალებულის მკვლევლობის მომენტშივე, ანგარებითი მკვლელობისას კი არა დანაშაულის ჩადენისთანავე, არამედ განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ. ამრიგად, ყაჩაღობის დროს ბრალეული პირი მიზნად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური ფასეულობის მიღებას უშუალოდ მკვლევლობის ჩადენისთანავე (მაგალითად, დაზარალებულისაგან ფულის ან სხვა ფასეულობის ამოღება მკვლელობისთანავე), ანგარებითი მკვლევლობის დროს კი ბრალეულს განზრახული აქვს ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა მიიღოს მკვლევობიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (მაგალითად, დაზარალებულის ქონების მომავალში მიღება, მოკლულის საცხოვრებელი ფართობის მომავალში დაუფლება და ა. შ.). მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული ანგარებითი მკვლევლობის შემთხვევაშიც ადგილი ჰქონდეს მატერიალურ ფასეულობათა უშუალოდ (ერთდროულად) დატაცებას.

ამრიგად, ამ ორ დანაშაულს შორის ბევრი სხვაობა და განსხვავების დადგენა რთულია, მაგრამ ვადაწყვეტი მაინც ის არის, რომ, რა სახითაც არ უნდა იყოს ჩადენილი ანგარებითი მკვლევობა, დაზარალებულის სიკვდილი მუდამ წინ უნდა უსწრებდეს ქონების დაუფლებას, ქონებრივი უფლების მოპოვებას, რაც ყაჩაღობის დროს აუცილებელი არ არის.

ამ საკითხის შესახებ საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული

¹ მართებულია მ. გუგუჩიას მოსაზრება: „...მცირე გამონაკლისის გარდა, ყაჩაღობა შეიძლება ჩადენილ იქნას ყველა იმ საშუალებით, რომლითაც ჩაიდინება ანგარებითი მკვლევობა და, მაშასადამე, ამ შემადგენლობათა განსხვავება მათი ჩადენის საშუალების მიხედვით უსაფუძვლოა“ (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 110).

პროფ. ნ. ტაგანცევი: „ერთადერთ ნიშნად, რომელიც ყაჩაღობას ახასიათებს გაძარცვის მიზნით მკვლელობისაგან, ითვლება განზრახვის ხასიათი. პირველ შემთხვევაში ბრალდებული მოქმედებს გაძარცვის განზრახვის, მაგრამ ამ გეგმის შესრულებისათვის ჩადის მკვლელობას არაპირდაპირი განზრახვით, მეორე შემთხვევაში ბრალეულს მხედველობაში აქვს პიროვნების სიცოცხლის მოსპობა, რასაც ჩადის ანგარების მიზნით“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყაჩაღობით მკვლელობასა და ანგარებით მკვლელობას შორის განსხვავება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ა. ყაჩაღობის დროს დაზარალებულის ქონება ბრალეულ პირთან ყოველთვის გადადის მკვლელობის ჩადენისთანავე, ხოლო ანგარებით მკვლელობისას ბრალეული პირი მინიმალურად ისახავს ამა თუ იმ მატერიალური გამორჩენის მიღებას მხოლოდ მკვლელობის მომენტიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ; ბ. ყაჩაღობის დროს დაზარალებულის სიკვდილი აუცილებელი არ არის ბრალეული პირის მიერ მისი ქონების დაუფლებისთვის, მაშინ როდესაც ანგარებით მკვლელობისას დაზარალებულის სიკვდილი, როგორც ქმედობის აუცილებელი შედეგი, მუდამ უსწრებს წინ მის დაუფლებას; გ. თუ ანგარებით მკვლელობისას დამნაშავეს სურს სწორედ ამ გზით მიიღოს დაზარალებულისაგან ესა თუ ის მატერიალური გამორჩენა, ყაჩაღობის დროს ამ მიზნის მისაღწევად დამნაშავეს ყოველთვის როდის სურს დაზარალებულის სიკვდილი, მკვლელობას იგი მაშინ მიმართავს, როცა სხვა საშუალებით მიზნის მიღწევა (სხვისი ქონების დაუფლება) ურთულდება.

თ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება

ეს დანაშაული სახ. ან საზ. საკუთრებაზე ხელყოფის უმძიმესი სახეა. ასეთი დანაშაულის ჩადენით ძალიან დიდი ზიანი აღგება სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცება ძირითადად ხდება დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომლებსაც არევი-დარევი შეაქვთ სა-

1 Н. Таганцев. О преступлениях против жизни по русскому праву. М., 1971, т. I, стр. 101.

წარმოს, დაწესებულებისა თუ ორგანიზაციის საქმიანობაში; სახელდობრ, აყალიბებენ ბუხპალტრულ დოკუმენტებს, ქმნიან „მარცხენა“ პროდუქციას, დანაშაულებრივ საქმიანობაში ითრევენ მერყევი ხასიათის ადამიანებს და ა. შ. პირი, რომელიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში, არის განსაკუთრებით საშიში დამნაშავე, რომლის მიზანია პარაზიტულად იცხოვროს და გამდიდრდეს სახელმწიფო ქონების ხარჯზე. ასეთი ადამიანების მიმართ დაუნდობელი ბრძოლა კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

განსახილველ მუხლში (961-ე) ხაზი გაესმის შემდეგ: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, მიუხედავად დატაცების ხერხისა (91—94-ე და 96-ე მუხლები), ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ობიექტური მხრივ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება შეიძლება ჩადენილ იქნას (როგორც ეს აღნიშნულია ამ მუხლის დისპოზიციაში) ქურდობით, გაძარცვით, თაღლითობით, მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებითა და ყაჩაღობით.

961-ე მუხლით დატაცების კვალიფიცირებისათვის მნიშვნელობა ენიჭება არა მატერიალურ ფასეულობათა ამოღების ხერხს, საშუალებას (ე. ი. ქურდობით, გაძარცვით და სხვა ფორმით იქნება ის ჩადენილი თუ არა), არამედ დატაცებული ქონების განსაკუთრებით დიდ ოდენობას. კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა თანხა უნდა მივიჩნიოთ განსაკუთრებით დიდ ოდენობად. ამ საკითხზე დადებით პასუხს იძლევა საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა: სახელდობრ, სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით დიდი ოდენობის კრიტერიუმად მიჩნეულია დატაცებულის ღირებულება ფულად გამოხატულებაში, როცა იგი ტოლია ან სჭარბობს 6000 დოლარის შესაბამის ლარს¹. ამრიგად, დატაცება განსაკუთრებით დი-

¹ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1994 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით, 961-ე მუხლით გათვალისწინებული „განსაკუთრებით დიდი ოდენობა“ გულისხმობს ქონებას, რომლის ღირებულება არის 6.000 დოლარის შესაბამისი ლარი ან მეტი.

დი ოდენობით ჩადენილად რომ მივიჩნით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თვით დატაცებულის ღირებულების ოდენობას და არა მოგებას, გამორჩენას, რასაც დამნაშავე ქონების გაყიდვის ან მისი სხვადასხვა ფორმით რეალიზაციის შედეგად ღებულობს.

დატაცებული ქონების ღირებულების განსაზღვრისას, რომელზეც არსებობს საცალო ფასი, საჭიროა ამ ფასის გათვალისწინება როგორც იმ შემთხვევაში, როცა დატაცება ჩადენილია იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც ეწევიან საცალო ვაჭრობას, ასევე სხვა ორგანიზაციებიდანაც.

თუ დატაცებულ ქონებაზე საცალო ფასი არ არსებობს, მისი ღირებულება უნდა განისაზღვროს იმ სპეციალური დადგენილებით, რასაც ჰქვია „დატაცებით, დანაკლისით, მატერიალური ფასეულობის განზრახ განადგურებით და გაფუჭებით მიყენებული ზიანის განსაზღვრისათვის ფასების გამოანგარიშების წესის შესახებ მათზე საცალო ფასების არარსებობის შემთხვევაში“.

თუ დატაცებაში დამნაშავე პირის ქონებრივი პასუხისმგებლობა რეგულირებულია სპეციალური ნორმატიული აქტებით, მაშინ ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა უნდა განისაზღვროს მითითებული აქტებით გათვალისწინებული ფასების (ნიხრის, საზღვარგარეთის ვალუტის საკურსო ღირებულების) და შემასწორებელი კოეფიციენტის მხედველობაში მიღებით. დანაშაულის კვალიფიცირებისას ასეთ შემთხვევებში გასათვალისწინებელია დატაცებულ ქონების ღირებულება იმავე ფასებით, მაგრამ შემასწორებელი კოეფიციენტების გაუთვალისწინებლად.

სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ სასამართლოები არასწორად წყვეტენ საკითხს იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

დატაცებით მიყენებული ზარალი, კანონის შესაბამისად, ექვემდებარება იმ პირისაგან ზარალის ანაზღაურებას, რომელიც მონაწილეობდა ამ დანაშაულის ჩადენაში.

961-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგინლობა შეიძლება შესრულდეს ერთი მოქმედებით, როცა დამნაშავე ერთდროულად ამა თუ იმ ხერხით (ქურდობის, მითვისების, თაღლითობის გზით და ა. შ.) იღებს 6000 დოლარის შესაბამისი ლარის ან უფრო მეტი ღირებულების მატერიალურ ფასეულობას. განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება ასევე შეიძლება იყოს შე-

დეგი რამდენიმე აქტის განხორციელებისა, ჩადენილი ერთი დანიშნულ წყაროდან, რასაც დამნაშავეს ერთიანი განზრახვა მოიცავს და რაც განგრძობადი დანაშაულის არსებობას მოწმობს.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში დამნაშავეს მოქმედება კვალიფიცირდება 96¹-ე მუხლით იმ შემთხვევაშიც, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება არის რამდენიმე დატაცების ჩადენის შედეგი (იგულისხმება განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება სხვადასხვა ფორმის გამოყენებით). სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებას ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (მაგალითად, ნაწილი დატაცებულია ქურდობით, ნაწილი — გაძარცვით, ნაწილი — თაღლითობით და ა. შ.), მაშინ დამნაშავეს პასუხისმგებლობა დადგება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებისათვის სს კოდექსის 96¹-ე მუხლის მიხედვით. ამ შემთხვევაში დატაცებათა ცალკეული დანაშაულებრივი აქტები, თუმცა თავისთავად ერთიანდებიან ქურდობის, გაძარცვის, თაღლითობისა და დატაცებათა სხვა ფორმების ნიშნებით, მაგრამ არ საჭიროებენ დამოუკიდებელ კვალიფიკაციას. რადგან ისინი მთლიანად შთაინთქმებიან განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების შემადგენლობაში. ამრიგად, ამა თუ იმ ხერხით ჩადენა რამდენიმე დატაცებისა, რომლებიც, საერთო ჯამში ქმნიან განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას, კვალიფიცირებული უნდა იქნეს 96¹-ე მუხლით.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება (სსკ 96¹-ე მუხლი) ხასიათდება განზრახვი ბრალით, ე. ი. დამტაცებელს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ითვალისწინებს მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს და სურს ეს შედეგები ან შეგნებულად უშვებს მათ დადგომას.

განსახილველი კატეგორიის საქმეებზე საჭიროა დასაბუთდეს პირის ბრალეულობა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებაში. სახელდობრ, რომ მისი ბრალი განზრახვია, რომ იგი მიმართულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებისაკენ და ა. შ.

თუ დატაცების ჩადენისას დამნაშავეს განზრახვა მიმართული იყო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დაუფლებისაკენ

და იგი არ განხორციელდა დამნაშავესაგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო. ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების მცდელობა, მიუხედავად ფაქტობრივად დატაცებული ოდენობისა.

როცა პირი ცდილობს დაიტაცოს ქონება განსაკუთრებით დიდი ოდენობით, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო თავის განზრახვას ბოლომდე ვერ მიიყვანს და ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე, მოქმედება კვალიფიცირებული უნდა იქნეს როგორც დანაშაულის ჩადენის მცდელობა და არა ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე.

დატაცებულის საერთო ოდენობის განსაზღვრისას მასში რთვენ ზარალის მხოლოდ იმ თანხას, რაც ადრე ჩადენილი დატაცების შედეგია, რომლისთვისაც დამნაშავე ჯერ კიდევ არაა ნასამართლევო ან რომლის მიმართაც არ გასულა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობა (მუხლი 49-ე) და გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობა (მუხლი 50-ე).

განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, როგორც წესი, ხდება პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, მათი დანაშაულებრივი საქმიანობა კი მოიცავს მთელ რიგ ეპიზოდებს; ამდენად, დგება თანამონაწილეობით ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების კვალიფიკაციის საკითხი. თითოეული თანამონაწილის მოქმედება სს კოდექსის 96¹-ე მუხლით რომ იქნეს კვალიფიცირებული. საკმარისი არაა დამტაცებელთა ჯგუფზე (რომელთა მიერაც, საბოლოოდ, სახელმწიფოსთვის, მიყენებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალი) მათი მიკუთვნების ფაქტის დადგენა, არამედ აუცილებელია დამტკიცდეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებაში მათი პერსონალური ბრალი. გაუსვა რა ხაზი ამ გარემოებას, საქართველოს უმადლესმა სასამართლომ ერთერთ კონკრეტულ საქმეზე განჩინებაში მიუთითა: „ცნო რა პირი დამნაშავედ სხვა პირებთან ერთად 13.248 ლარის სახელმწიფო სახარების დატაცებაში, სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს, კონკრეტულად დატაცების რა ეპიზოდებში გამოიხატა ეს მონაწილეობა“.

ამრიგად, ჯგუფური დატაცების მონაწილეთა მიმართ სს კოდექსის 96¹-ე მუხლის გამოყენებისას დანაშაულის ცალკეული თანამონაწილე, სუბიექტური შერაცხვის პრინციპის შესაბამისად, გან-

საკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უშუალოდ მონაწილეობდა ან არსებითად უწყობდა ხელს ჯგუფის სხვა მონაწილეებს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებაში. დატაცებულა თანხებიდან (ქონებიდან) თითოეულის მიერ მიღებული წილის ოდენობა გავლენას არ ახდენს მათი მოქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებაზე.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება არ შეიძლება შეეცადოს იმ თანამონაწილეებს, რომლებიც, მართალია, მონაწილეობდნენ ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის ცალკეულ ეპიზოდებში, მაგრამ ფაქტობრივად სხვა მონაწილეებისათვის ხელი არაფრით არ შეუწყვიათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებაში. ასეთი თანამონაწილეები პასუხს აგებენ იმ თანხის ფარგლებში, რაც მათი ხელის შეწყობითაა დატაცებული. სახელდობრ, ჯგუფის ერთმა ნაწილმა შეიძლება პასუხი აგოს სს კოდექსის 94-ე მუხლის III ნაწილით, მეორემ — სს კოდექსის 94-ე მუხლის მეორე ნაწილითაც კი და სხვ.

პირი, რომელიც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი არაა, მაგრამ განზრახ ხელს უწყობს ამ ჯგუფს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქონების დატაცებაში, პასუხს აგებს სს კოდექსის მე-19 (თანამონაწილეობა) და 95-ე მუხლებით, დამოუკიდებლად იმისა, დატაცებული ფულადი თანხიდან პირადად მან რა ფულადი თანხა მიიღო.

საქართველოს სს კოდექსის 96-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება) დამთავრებულად ითვლება ქონების (არანაკლები 6000 დოლარის შესაბამისი ლარის) დაუფლების მომენტიდან. დატაცებათა შემდგომი აქტებს ჩადენა, როგორც წესი, დამთავრებული დანაშაულის სტადიის შედგენად ითვლება, რა დროსაც დატაცებულის საერთო ოდენობა იზრდება. ფაქტია, ეს გარემოება არ მოქმედებს ქმედობის კვალიფიკაციაზე (კვალიფიკირდება სსკ 96-ე მუხლით), მაგრამ სასამართლომ იგი უნდა გაითვალისწინოს სასჯელის ღონისძიებათა დანიშვნისა და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს.

თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებას ქურდობის ფორმით ჩადის პირი,

რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, მისი მოქმედება კვალიფიცირდება, როგორც განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება (სსკ 96¹-ე მუხლი). თუმცა ამის შესახებ სსკ მე-12 მუხლში მითითება არაა.

მე-12 მუხლში ხაზგასმულია იმაზე, რომ იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლადე ასაკში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ... ყაჩაღური თავდასხმისათვის (96-ე, 152-ე მუხლები), გაძარცვისათვის (92-ე, 151-ე მუხლები), ქურდობისათვის (91-ე, 150-ე მუხლები) და სხვ. საჭიროა მომავალში კანონმდებელმა ეს ხაზგეზი შეაესოს, სახელდობრ, მე-12 მუხლში სიტყვის „ქურდობისათვის“ შემდეგ უნდა ჩაწეროს: „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის, თუ იგი ჩადენილია ქურდობით, გაძარცვით ან ყაჩაღობით“. დატაცებათა ამ სამ ფორმაზე მითითება იმიტომაც საჭირო, რომ გავმიჯნოთ ისინი (პასუხისმგებლობისათვის ასაკის მხედველობაში მიღების თვალსაზრისით) 96¹-ე მუხლით გათვალისწინებული დატაცების იმ ფორმებისაგან, რასაც თაღლითობა, მითვისება, გაფლანგვა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ჰქვია და რომლისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა 16 წლის ასაკიდან დგება.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ კანონმდებლის მიერ 96¹-ე მუხლის ცალკე გამოყოფა არასწორად მიმაჩნია. უმჯობესი იყო კანონმდებელს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება გაეთვალისწინებინა დატაცებათა ცალკეულ ფორმებში (ქურდობა — მუხლი 91-ე, გაძარცვა — მუხლი 92-ე, თაღლითობა — მუხლი 93-ე, მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება — მუხლი 94-ე, ყაჩაღობა — მუხლი 96-ე) განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოების სახით.

§ 2. ანგარებითი დანაშაული დატაცების ნიშნის გარეშე

ა. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 97-ე მუხლი გამოძალვას განმარტავს, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი

ქონების, ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნას ძალადობის გამოყენების მუქარით იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ ეს ქონება იმყოფება, ან მის ახლობელთა ჯიშართ ძალადობის გამოყენების, მასზე ან მის ახლობელთა შესახებ გამაწილებელი ცნობების გახმაურების, აგრეთვე მათი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების მუქარით.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებაზე ხელყოფის განსახილველი სახე, მართალია, ზიანს აყენებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მაგრამ მისი თავისებურება ისაა, რომ დამნაშავე ქონების ამოღებას ააბ. ან. საზ. ორგანიზაციის ფონდებიდან ახდენს არა უშუალოდ, არამედ იმ პირის მეშვეობით, რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ ეს ქონებაც იმყოფება.

გამოძალავე წარმოადგენს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონებიდან მატერიალური გამორჩენის მიღების ხერხს და არა დატაცებას.

გამოძალვის ობიექტია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება, ასევე დაზარალებულის (რომლის გამგებლობაში ან დაცვის ქვეშ ქონება იმყოფება) და მისი ახლობლების ინტერესები, სახელდობრ, მათი სხეულის ხელშეუხებლობა, პატივი, ღირსება, პირადი საკუთრება და სხვ. გამოძალვისას ხელყოფის უშუალო ობიექტი, განსხვავებით დატაცებათა ფორმების დიდი ნაწილისაგან, შეიძლება იყოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება არა მარტო მატერიალური სამყაროს საგნების განსაზღვრული ფორმით, არამედ ქონებაზე უფლებაც, ქონებრივი სარგებლობის მიღებაც. როგორც ჩანს, გამოძალვისას ხელყოფის საგანი უფრო ფართოა, ვიდრე დატაცების დროს.

ობიექტური მხარის მხედვით, გამოძალავე განსხვავდება ზემო-განხილული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ფორმებისაგან. დანაშაულის ეს შემადგენლობა დამთავრებულად ითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების, ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიღების შესახებ, — ძალადობის გამოყენების მუქარით, გამაწილებელი ცნობების გახმაურების ან ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით განადგურების მუქარით, — მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან.

თუ რა შედეგი მოყვება ამ მოძრაობის წარდგენას (მოიღო თუ არა ქონება, ქონებაზე უფლება ან ქონებრივი სარგებლობა), დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს. კანონი აქ დანაშაულის „შევეცილი“ შემადგენლობის კონსტრუქციას მრ. მართავს.

ა. უიცილენკო გამოძალვის დამთავრების მომენტად მიიჩნევა საგნის ან ქონებაზე უფლების გადაცემის მომენტს დაზარალებულიდან დამნაშავეზე¹.

გამოძალვისას მუქარა რეალური უნდა იყოს, ე. ი. დაზარალებულს, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, მუქარის განხორციელების შიშის ყველა საფუძველი უნდა ჰქონდეს¹ დამნაშავეზე ქონებას, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. მუქარის რეალურად ცნობისათვის აუცილებელია: ა. მუქარა. დამოუკიდებლად მისი ფორმისა (სიტყვიერი, წერილობითი ან ქვისტის სახით), შეიცავდეს დაქადნებას, რომ დაზარალებულს ან მის ახლობელს მიაყენებს გარკვეულ ზიანს — მოკლავს, სხეულს დაუზიანებს, ქონებას საყოველთაო საშიში საშუალებით გაუნადგურებს, მათ შესახებ გამაწილებელ ცნობებს გაახმაურებს; ბ. ასევე შეიცავდეს დაქადნებას, რომ უახლოეს მომავალში მიაყენებს გარკვეულ ზიანს, თუ დაზარალებული დამნაშავეს არ გადასცემს ქონებას, ქონებაზე უფლებას და ა. შ. მუქარის განხორციელები¹ საშუალებით გამოძალვა განსხვავდება გაძარცვისა და ყაჩაღობისაგან. გამოძალვისას, ისევე როგორც გაძარცვისა, და ყაჩაღობისას, მუქარა მოქმედების საშუალებაა, მაგრამ ყაჩაღობისა და გაძარცვისას ძალადობის გამოყენების მუქარა დაუყოვნებლივ ხორციელდება, თვით ძალადობა კი მიმართულია ქონების დანაშაულებრივი დაუფლების გაადვილების ან უზრუნველყოფისაკენ. ყაჩაღობისა და გაძარცვის დროს ძალადობის გამოყენების მუქარა მიმართულია მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც თავს ესხმინა და მიზნად ისახავს დაზარალებულის ნებისყოფის დათრგუნვას, მის იძულებას, დაუყოვნებლივ გადასცეს ქონება დამნაშავეს. გამოძალვისას მუქარის თავისებურება ისაა, რომ დამნაშავე ძალადობის გა-

¹ იხ. А. А. Жижиленко. Преступления против имущества и исключительных прав. Ленинград, 1928, стр. 160.

მოყენებით ენუქრება როგორც დაზარალებულს, ასევე მის ახლობლებს, თანაც არა ქონების, ქონებაზე უფლების ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნის მომენტში, არამედ მომავალში, თუ დამნაშავის მოთხოვნა არ იქნება შესრულებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოძალვის დროს ძალადობის მუქარა მიმართულია მომავლისაკენ და გამოყენებული იქნება შეზღვევაში უკეთუ დამნაშავის მოთხოვნა არ შესრულდება.

მაშასადამე, მუქარა, რაც გამოძალვის დროს მაქმედების საშუალებაა, ყოველთვის რეალური და დაზარალებულის ნამდვილად მიიძღვრებალი პირობა უნდა იყოს¹.

უკეთუ მუქარა სისრულეში იქნა მოყვანილი, ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნეს დანაშაულთა ერთობლიობით, ე. ი. გამოძალვით და აგრეთვე იმ სახის დანაშაულით, რაც განხორციელებულია დამნაშავის მიერ (მკვლელობა, სხეულის დაზიანება, ცილისწამება, ქონების განადგურება და სხვ.).

როგორც ჩანს, ძალადობის გამოყენების მუქარა თავიანთ ბუნებით უფრო საშიშია გაძარცვისა და ყაჩაღობის დროს, ვიდრე გამოძალვისას. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა. რომ გამოძალვის მიზნით ძალადობის გამოყენების მუქარისას დაზარალებულს შეუძლია თავისი ქონების ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ინტერესებისათვის რაიმე ზიანის მიუყენებლად მიიღოს შესაბამისი ზომები დამნაშავის წინააღმდეგ, კერძოდ, დროულად აცნობოს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს მომხდარი ფაქტის შესახებ, რასაც დაზარალებული მოკლობულია, მაგალითად, ყაჩაღობის დროს. ყაჩაღობა და გამოძალვა ერთმანეთისაგან იმიტაც განსხვავდება, რომ თუ ყაჩაღობის დროს ხელყოფის საგანი მხოლოდ ქონებაა (წივებისა და მატერიალურ ფასეულობათა მნიშვნელობით), გამოძალვისას ხელყოფის საგანი უიძლება იყოს როგორც ქონება, ისე ქონებაზე უფლება და ქონებრივი სარგებლობა.

გამოძალვისას მოქმედება მიმართულია იქითკენ, რომ დაზარალებული იძულებული გახდეს, გადასცეს გამომძალველს სახელ-

¹ პოპარის ცნების დაწვრილებითი დახასიათება მოცემულია ვ. მაყაშვილის მიერ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში (იხ. ვ. მაყაშვილი, მ. შაქავერიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე. „დანაშაული პიროვნებას წინააღმდეგ“. თბ., 1980, გვ. 163—167.

მწიფი ან სასოგადოებრივი ქონება ან უფლება ამ ქონებაზე; მაგალითად, უკანონოდ მიეცეს ჯილდო, დაენიშნოს პენსია და სხვ. მოთხოვნა ქონების ან ქონებაზე უფლების გადაცემის, ან ქონებრივი სარგებლობის მიღებისა შეიძლება მიმართული იყოს როგორც იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობაში ეს ქონება იმყოფება (მაგალითად, მალაზიის გამყიდველი, საწყობის გამგე), ასევე იმ პირის მიმართ, რომელიც ამ ქონებას იცავს (მაგალითად, ბანკის, უნივერსიტეტის, ბანკის, მალაზიის დარაჯი). აღნიშნული სახის, მოთხოვნა გამოძალვისას ყოველთვის დაკავშირებულია ძალადობის გამოყენების მუქარასთან იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება ან მის ახლობელთა მიმართ. ახლობლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ახლო ნათესაეები. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, „ახლობელი ნათესაეები“ ნიშნავს შობილებს, შვილად ამყვანთ, შვილებს, შვილად აყვანილებს, ძმებსა და დებს, პაპას, ბებიას, შვილიშვილებს, აგრეთვე ქმარსა და ცოლს. გარდა ახლო ნათესაეებისა ამ მუხლში ახლობლად იგულისხმებიან აგრეთვე საცოლე და საქმრო, მეგობრები, ბიძაშვილები და დეიდაშვილები, სიძე, რძალი და სხვ. საერთოდ იმის დადგენა, არის თუ არა პირი დამნაშავეის ახლობელი, ფაქტის საკითხია და იგი სამართლომ უნდა გადაჭრას ადამიანთა კონკრეტული ურთიერთობის გულდასმით შესწავლის საფუძველზე. ზემოაღნიშნულ პირთა მიმართ ძალადობის მუქარამ შეიძლება აიძულოს პირი, რომლის გამგებლობასა ან დაცვაშია ქონება, გადასცეს დამნაშავეს ქონება; ქონებაზე უფლება ან ქონებრივი სარგებლობა.

გამოძალვას გამაწილებელი ცნობების გახმაურების მუქარით, ჩვეულებრივ, ეწოდება შანტაჟი, მაგრამ სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ ტერმინით არ სარგებლობს. შანტაჟი განსაკუთრებული სახის დევნადი დანაშაული გახდა საფრანგეთში 1863 წლის კანონის საფუძველზე. შემდგომში განსაზღვრებები მის შესახებ ჩნდება სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც.

გამაწილებელი ცნობების გახმაურების დაქაღწება იმ პირის მიმართ, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ეს ქონება იმყოფება, არის მუქარა, რომ სხვას შეატყობინებენ გამაწილებელ ცნობებს. არაა სავალდებულო მუქარა ითვალისწინებდეს აღნიშნული ხასიათის ცნობების შეტყობინებას პირთა განუსაზღვრელი რაოდენობის

საოვის. დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობისათვის საკმარისია დამტკიცება თუნდაც ერთი რომელიმე პირის მისამართით, რომ მისთვის ცნობილი გახდება გამაწილებელი ცნობები, რაც, ფაქტია, დაზარალებულის ინტერესს ეწინააღმდეგება (მაგალითად, მუქარა, რომ იმ პირის ცოლს, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, შეატყობინებენ ამ უკანასკნელის სქესობრივ კავშირზე თავის თანამშრომელთან).

ცნობები, რომლებითაც გამომძაღველი ემუქრება იმ პირს, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, უნდა იყოს გამაწილებელი როგორც ამ უკანასკნელის, ისე მისი ახლობელთათვის. რამდენადაც ასეთი ცნობების გახმაურების მუქარამ უნდა აძლოს პირი, უკანონოდ გადასცეს ქონება გამომძაღველს, ამდენად საკითხი იმაზე, როგორი ცნობები ითვლება გამაწილებლად, უნდა გადაწყდეს იმ პირის შეხედულებით, რომელიც განაგებს და იცავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას. თუ პირი, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, ამა თუ იმ ფაქტის გახმაურებას აძლევს გამაწილებელ მნიშვნელობას მისთვის ან მისი ახლობელთათვის, მაშინ ეს ფაქტი შეიძლება გამოადგეს თვით გამომძაღველს თავისი დანაშაულებრივი ზრახვების განსახორციელებლად. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა გამომძაღველი სწორედ იმ პირისაგან, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, იგებს გამაწილებელი ხასიათის ცნობებს და შემდეგ მისი გახმაურების მუქარით აღნიშნული პირისაგან გამოძაღვს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ქონებას.

გამომძაღვის შემადგენლობისათვის სულ ერთია, გასახმაურებელი მონაცემები ნამდვილია თუ ყალბი. ის შეიძლება შეეხებოდეს როგორც იმ პირს, მოქმედებას, რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, ასევე მის ახლობელთა მოქმედებას (მაგალითად, მუქარა ცნობების გახმაურებაზე, რომ ეს პირები ნარკოტიკულ ნივთიერებებს ხმარობენ, აზარტულ თამაშში მონაწილეობენ, ღლოთობენ, შეპყრობილი არიან ვენერიული სენით და სხვ.). გამომძაღველი ასევე შეიძლება დაემუქროს ქონების გამგებელს ან დამცველს ჩადენილი დანაშაულის მონაცემების გახმაურებაზე.

გამომძაღვა საყოველთაო საშიში საშუალებით ქონების განადგურების მუქარით იმ პირს მიმართ, რომლის გამგებლობასა ან

დაცვაში ის იმყოფება, ან მის ახლობელთა მიმართ, შეიძლება გა-
შოიხატოს ცეცხლის წაქიდების, აფეთქების, წყლის მიწვებით მისი
განადგურების და ა. შ. მუქარაში. „დანაშაულის ჩადენა საყოველ-
თაოდ საშიში საშუალებით ნიშნავს იმას, — აღნიშნავს პროფ.
გ. ტყეშელიძე, — რომ დამნაშავის მოქმედება მიმართულია არა
მარტო შესაბამისი დანაშაულის ობიექტის წინააღმდეგ, არამედ
ამასთან ერთად საშიშროებას უქმნის სხვა ობიექტებსაც. დამამძი-
მებელ გარემოებად ითვლება თავისთავად საყოველთაოდ საშიში
საშუალებით დანაშაულის ჩადენა. ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს,
მიაყენა თუ არა მოქმედების ასეთმა საშუალებამ ფაქტობრივი ზი-
ანი მრავალ ობიექტს (რასაკვირველია, ზიანის ფაქტი უფრო დაამ-
ძიმებს პასუხისმგებლობას). თუ დანაშაულის ჩადენის შედეგად
ზიანი განიცადა რამდენიმე ობიექტმა. მაშინ, გარდა იმისა, რომ
დამძიმდება დამნაშავის პასუხისმგებლობა, მან პასუხი უნდა აგოს
დანაშაულთა ერთობლიობისათვის“¹.

ქონების განადგურების ცნებაში იგულისხმება მისი როგორც
მთლიანად მოსპობა, ასევე არსებითი დაზიანება. რაც შეუძლებელს
ხდის სამეურნეო დანიშნულებისამებრ ქონების გამოყენებას.

ქონების განადგურების საშუალება, რომლითაც გამომძალველი
იმუქრება, შეიძლება იყოს საყოველთაოდ საშიში (მაგალითად, სახ-
ლის აფეთქება ან დაწვა), ასევე, საშიში მხოლოდ დაზარალებულის
ქონებისათვის (მაგალითად, მუქარა, რომ გამომძალველი დაზარა-
ლებულს დაუმტკრევს საკუთარ მსუბუქ ავტომანქანას).

როცა გამომძალველი გამოძალვასთან ერთად იმუქრება დაზარა-
ლებულის პირადი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით გა-
ნადგურებას, მაშინ სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა,
კერძოდ, საქართველოს სს კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწი-
ლი და 157-ე მუხლის მეორე ნაწილი. საგამომძიებო პრაქტიკაში
გვხვდება შემთხვევა, როცა გამომძალველი პირს, რომლის გამგებ-
ლობასა ან დაცვაში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება იმ-
ყოფება, ემუქრება ამ ქონების და არა მისი პირადი ქონების გა-
განადგურებით. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს სს კოდექსის
97-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას ეძ-

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. თბ., 1976,
გვ. 232—233.

ლევა რა განვრცობითი ახსნა-განმარტება, ქმედობა კვალიფიციირდება ამავე მუხლით! (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა), ხოლო გამოძალველის დანაშაულებრივი მუქარის განხორციელებისას სისხლის საპართლის პასუხისმგებლობა დგება დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, საქართველოს სს კოდექსის 97-ე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა) და მე-100 (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება) მუხლებით.

გამოძალვისას მუქარა, დამოუკიდებლად მისი შინაარსისა, არის რა ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემისა და ქონებრივი სარგებლობის მრეების საშუალება, ამდენად მუქარასა და გამოძალველზე ქონების გადაცემას შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

ქონება გამოძალველზე რომ გადავიდეს, დაზარალებული იძულებული უნდა იყოს განსაზღვრული აქტიური მოქმედების (მაგალითად, გადასცეს ფული, საქონელი ან სხვა ფასეულობა) ან უმოქმედობისათვის (არ მოითხოვოს ქონება უკანონო მფლობელობიდან, წინააღმდეგობა არ გაუწიოს პირს მიწის ან საცხოვრებელი ბინის უკანონო სარგებლობისას და ა. შ.).

სუბიექტური მხრივ გამოძალვა განზრახ ბრალში, სახელდობრ, პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება. ამ შემთხვევაში დაშინაშევეს შეგნებული აქვს, რომ ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღების მოთხოვნას უკენებს იმ პირს. რომლის გამგებლობასა ან დაცვაში ქონება იმყოფება, ემუქრება და ამით აიძულებს, გადასცეს მას სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება. ასეთ მოქმედებებს მიეკუთვნება: ბინაზე უკანონო ორდერის მიღება, ხელფასზე, პენსიაზე დანაშაულის მიცემის უფლება, ამა თუ იმ ქონებით სარგებლობის უფლება და ა. შ. გამოძალვისას დამნაშავეს აქვს სპეციალური მიზანი — სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღება.

თუ პირი მუქარით ახორციელებს თავის კანონიერ მოთხოვნება

¹ ვფიქრობთ, სწორი იქნება, თუ საქართველოს სს კოდექსის 97-ე მუხლში აისახება იმ ქონების მიმართაც განადგურების მუქარა, რომელიც დაზარალებულის გამგებლობასა ან დაცვაში იმყოფება.

ქონების, ქონებაზე უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მიღებაზე, ასეთ შემთხვევაში გამოძალვის შემადგენლობა გამოირიცხება. აქ შეიძლება მსჯელობა პირის თვითნებობაზე (საქართველოს სს კოდექსის 220-ე მუხლი) ან მუქარაზე (საქართველოს სს კოდექსის 136-ე მუხლი), რამდენხდაც იგი თავის უფლებას უკანონო გზით ახორციელებს.

თუ პირმა, რომლის გამგებლობა ან დაცვაში ქონება იმყოფება, გამომძალველს დამუქრების საფუძველზე გადასცა ეს ქონება, მაშინ მათი მოქმედება განიხილება როგორც ქონების დატაცება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით: ამასთან, დატაცება კვალიფიცირებული უნდა იქნეს ან საქართველოს სს კოდექსის 94-ე მუხლით (მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება), თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება მოცემულ პირზე იყო მინდობილი, ან 91-ე (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, ჩადენილი ქურდობით) მუხლით, თუ ქონებას ის იცავდა. გამომძალველი ყველა შემთხვევაში გამოდის წამქეზებლის როლში. ხოლო პირი, რომელიც გამგებლობდა ან იცავდა ქონებას, — ამსრულებლის როლში. ფსიქიკური იძულების არსებობა სასამართლომ შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში გაითვალისწინოს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. თუ დატაცების შედეგად ზარალი მნიშვნელოვანი არაა, ხოლო გამომძალველის მუქარა ერთობ სერიოზულია, ასეთ შემთხვევაში შეიძლება დასჯას საკიბო პირობითი მსჯავრდების (მუხ. 46-ე) გამოყენების შესახებ იმ პირის მიმართ, რომელმაც გამომძალველს ქონება გადასცა ან ამ პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლების სხვა სახე (საქართველოს სს კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლები).

გამომძალვის სუბიექტი შეიძლება იყოს 16 წლის ასაკს მიღწეული ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი.

საქართველოს სს კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გამომძალვა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან ჯარიმით.

ვანსახილველი მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გამომძალვის კვალიფიცირებულ სახეებს. ასეთად მიჩნეულია იგივე ქმედობა,

ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ან განმეორებით.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენის ახსნა-განმარტებაზე არ შევიწერდებით, რადგან ამ საკითხის შესახებ საუბარი ვეჭონდა დატაცებათა ფორმების ანალიზისას. რაც შეეხება გამოძალვას განმეორებით, ეს ნიშნავს ადრე გამოძალვის (და არა სხვა ქონებრივი დანაშაულის, სახელდობრ, ქურდობის, თაღლითობის და ა. შ.) ჩადენის ფაქტს იმისდა მიუხედავად, გასამართლებული იყო თუ არა წინათ დამნაშავე პირველად ჩადენილი გამოძალვისათვის.

97-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გამოძალვა უსჯება თავისუფლების აღკვეთის ვადით ექვს წლამდე.

§ 3. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ არაანგარებითი დანაშაულები

ა. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება და დაზიანება

ამ დანაშაულის შემადგენლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლი, რომელიც სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, მეორე ნაწილი — სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ დაზიანების ან განადგურების კვალიფიციურ სახეებს, სახელდობრ, დანაშაულს, ჩადენილს განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, სხვა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ან ანგარებითი ქვენაგრძობით, ან ცეცხლის წაქიდებით თუ სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, აგრეთვე ტყის მასივების განზრახ განადგურებას ან მნიშვნელოვან დაზიანებას ცეცხლის წაქიდებით, რაც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით. ბოლოს, მესამე ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანების განსაკუთრებით საშიშ სახეს, კერძოდ, იმავე ქმე-

დობას, რასაც მოჰყვა ადამიანთა მსხვერპლი ან განსაკუთრებით დიდი ზარალი თუ სხვა მძიმე შედეგი; სასჯელი ამ ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის — თავისუფლების აღკვეთა ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, ან გადასახლების გარეშე.

ქონების განადგურება ან დაზიანება საზოგადოებრივად მეტად საშიში დანაშაულია. საქმე ისაა, რომ მას შეუძლია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას მიაყენოს ერთობ არსებითი, ზოგჯერ აუნაზღაურებელი ზარალიც კი. ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროება კიდევ უფრო მატულობს, როცა ის ჩადენილია მე-100 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებში და რასაც შედეგად მოსდევს ადამიანთა მსხვერპლი, განსაკუთრებით დიდი ზარალი თუ სხვა მძიმე შედეგი (მესამე ნაწილი).

გასაანალიზებელი დანაშაულის ობიექტია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრება, ზოგჯერ — პიროვნების სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

განადგურების ან დაზიანების საგანი შეიძლება იყოს ყოველგვარი მატერიალური ნივთი, აგრეთვე საქონელი, ფრინველი და სხვა შინაური ცხოველები, აგრეთვე უძრავი ქონებაც, საცხოვრებელი და საწარმოო შენობები, სამეურნეო ნაგებობანი, ტყის მასივები და ა. შ.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დანაშაულებრივი განადგურების ან დაზიანების საგანი არ შეიძლება იყოს დოკუმენტები, რომლებიც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ეკუთვნით. მათი განადგურების ან დაზიანების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სს კოდექსის 211-ე მუხლით.

სამხედრო ქონების — იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის — განზრახ განადგურების ან დაზიანებისას, თუ არ არის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ნიშნები, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლით.

განადგურებისა და დაზიანების ცნებათა განხილვამდე შევენაყნეთ, რომ ისინი მონათესავე ცნებებია და ახასიათებენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დანგრევისა და ვაფუქტბ-ს სხვადასხვა ზარისხს.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ზოგიერთი სახეობის განადგურებასა და დაზიანებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სპეციალურ ნორმებში — საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 69-ე (დივერსია), 87-ე (მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებების დაზიანება), 178-ე (ტყის უკანონო გაჩეხვა), 179-ე (ნათესებისა და ნარგავების განზრახ დაზიანება), 211-ე (დოკუმენტების დატაცება ან დაზიანება), 227-ე (ტელეგრაფის საზღვაო კაბელის დაზიანება), 254-ე (ისტორიისა და კულტურის ძეგლების ან სახელმწიფოს მიერ დაცული ბუნების ობიექტების განადგურება, დანგრევა ან დაზიანება) მუხლებში.

ქონების განადგურების ცნება გულისხმობს ნივთის სრულ გაუფარავსებას, როცა იგი სამუდამოდ კარგავს სამეურნეო-ეკონომიკურ ღირებულებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დანიშნულებისამებრ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მატერიალურ საგნებზე ისეთ ფიზიკურ ზემოქმედებას, რომლის შედეგადაც მატერიალური სამყაროს ობიექტი ან წყვიტს ფიზიკურ არსებობას, ან სავსებით გამოუსადეგარი ხდება მიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით. განადგურება ნიშნავს ქონების სრულ მოსპობას: დაწვას, დაქცივას, მკვადში გახსნას, დამსხვრევას და ა. შ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონებამ თავისი ფიზიკური არსებობა შეიძლება შეწყვიტოს წალეკვის, მიუწვდომელ ადგილზე გადაადგილების შედეგად და სხვ. ქონების განადგურების ერთ-ერთ სახედ თვლება ცხოველთა და ფრინველთა დაკვლა. განადგურების თავისებურებაა ისიც, რომ შეუძლებელია ნივთის რესტავირირება შიკეთებით; ამ შემთხვევაში იგი გამოდის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების შემადგენლობიდან.

ქონების დაუფლებად და არა განადგურებად უნდა მივიჩნიოთ საგნის გამოყენება თავისი დანიშნულებისამებრ, მაგალითად, საწვავის დაწვა სათბობის სახით, საკვები პროდუქტების მოხმარება და ა. შ. ასეთი მოქმედებანი შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობათა ნიშნების არსებობისას ქმნიან დატაცების, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან სხვა დანაშაულის შემადგენლობას, რაც სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციის ქონებრივ ზიანს აყენებს.

ქონების დაზიანება ნიშნავს საგნის თვისების ისეთ ცვლილებას, რომელიც არსებითად აუარესებს, ადაბლებს მის სამომავლო ღირებულებას, ნივთს ხდის ნაწილობრივ ან დროებით უყარგისად სამეურნეო გამოყენების თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ ვერ გამოიყენება დანიშნულებისამებრ, მაგრამ მისი აღდგენა შესაძლებელია გარკვეული შრომის გაწევისა და სახსრების ხარჯვის შედეგად. სხვაგვარად, დაზიანება ესაა ნივთის გაფუჭება, რაც არსებითად ამცირებს მის ეკონომიკურ და სამეურნეო ღირებულებას. განსხვავებით განადგურებისაგან, როდესაც საგანს, ნივთს სავსებით ეკარება თავისი ქონებრივი თვისება და სამეურნეო ღირებულება, დაზიანებისას საგანი მხოლოდ თვისებრივად უარესდება, რაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ იგი აღდგეს პირველსაწყის მდგომარეობაში შეკეთებით, გასწორებით და ა. შ.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება შეიძლება განადგურებული ან დაზიანებული იქნეს მექანიკურად (ამა თუ იმ აგრეგატებიდან და მექანიზმებიდან დეტალების გამოყოფა; გაწყვეტა ელექტროსადენისა, რომელიც დენს აწვდის მტორს), ფიზიკურად (ნაგებობათა დაწვა, ბოსტნეულის გაყინვა, ცხოველების დაკვლა), ქიმიური ზემოქმედებითა და სხვა ხერხებით. ქონების განადგურება და დაზიანება, როგორც წესი, ხდება აქტიური მოქმედებით, მაგრამ საგამოძიებო პრაქტიკაში მას ჩადიან უმოქმედობითაც; მაგალითად, დამნაშავე განზრახ არ ღებულობს ზომებს ტენის, მანებლებისა და სხვა ამგვარი ფაქტორებისაგან ქონებია დასაცავად, რის შედეგად, ფაქტია, ქონება ნადგურდება ან ზიანდება. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენის მაგალითია ასევე საზოგადოებრივი პირუტყვისათვის წყლის, საკვების მიუცემლობა და სხვ.

ქონების განადგურება ან დაზიანება სისხლის სამართლის წესით ისჯება მხოლოდ მაშინ, როცა იგი მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებს. ამის გამო ქონების გაფუჭება ან მოსპობა, მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, უფრო ძვირფასი ღირებულების შენარჩუნებისათვის, გამორიცხავს დანაშაულის შემადგენლობას.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება შეიძლება განადგურდეს ან დაზიანდეს არა მარტო მას მუდმივად აღილსამყოფელზე, არამედ სხვა ადგილზეც. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ან

საზოგადოებრივი ქონების დატაცება დაკავშირებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებასთან ან დაზიანებასთან, თუ ეს უკანასკნელი შეიცავს სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედობის ნიშნებს, უნდა დაკვალიფიციკრდეს დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება და განზრახ განადგურება ან დაზიანება ამ ქონებისა. თუ, მაგალითად, დამნაშავე ფულის დატაცების მიზნით ტელეფონის ავტომატს ტეხავს (რითაც აზიანებს ან სრულიად უვარგისს ხდის მას) და იქიდან იტაცებს ფულს, სახეზე გვაქვს ორი დანაშაულის რეალური ერთობლიობა, სახელდობრ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, ჩადენილი ქურდობით (საქ. სსკ 91-ე მუხლი) და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება (მე-100 მუხლი).

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურების ან დაზიანებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა (დანაშაულის კვალიფიკაციის თვალსაზრისით) აქვს მოტივისა და მიზნის სწორ დადგენას; მაგალითად, თუ პირი მოქმედებს სახელმწიფოს ძირის გამოთხრის ან შესუსტების მიზნით, მაშინ საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით, ქმედობა კვალიფიციკრდება როგორც მავნებლობა (მუხლი 70-ე) ან დივერსია (მუხლი 69-ე).

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება შეიძლება ექვიანობის, ხულიგნური ქვენაგრძნობის, სხვა დანაშაულის დაფარვის, ანგარების, შურისძიების და სხვა მოტივით. შურისძიების მოტივით ჩადენილი დანაშაულის ნიმუშად მოგვყავს მაგალითი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკიდან: სამტრედიის რაიონის სოფ. საჯავახოს ვეტუბნის ფერწალმა ს-მ, რომელიც განაწყენებული იყო ამავე ვეტუბნის გამგე ყ-ზე, შურისძიების ნიადგზე, წამლის დიდი დოზის მიცემით დახოცა ვეტუბნეტში სამკურნალოდ მოყვანილი სამი სული მსხვილფეხა. რქოსანი საქონელი. მისი დანაშაულებრივი მოქმედება წინასწარი გამოძიებისას და სასამართლოში კვალიფიციკრებულ იქნა საქართველოს სს კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა გამასწორებელი სამუშაოები 1 წლის ვადით.

ქონების განადგურება ან დაზიანება დამთავრებულ დანაშაულად მაშინ ითვლება, როცა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე მავნებელია რეალური ქონებრივი ზარალი, ე. ი.

ისეთი მატერიალური ზიანი, რომელიც ან საერთოდ გამოარჩევას ქონების შემდგომი გამოყენების შესაძლებლობას (განადგურება), ან არსებითად ართულებს მის გამოყენებას წინასწარი აღდგენის გარეშე (დაზიანება). სხვანაირად რომ ვთქვათ, მე-100 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმ შედეგების დადგომის მომენტიდან, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული.

მე-100 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი, საქართველოს სს კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, შეიძლება იყოს როგორც კერძოდ, ასევე თანამდებობის პირი 16 წლის ასაკიდან. თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების შემთხვევაში ქმედობა კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, სახელდობრ, საქართველოს სს კოდექსის მე-100 და 186-ე მუხლებით.

მე-100 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებიდან: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი განმეორებით, ნიშნავს წინათ ასეთივე დანაშაულის ჩადენის ფაქტს იმისდა მიუხედავად, გასამართლებული იყო ამისათვის დამნაშავე თუ არა.

პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებად და დაზიანებად ითვლება ქონების ისეთი განადგურება ან დაზიანება, რომელშიც მონაწილეობს მისი ერთად ჩააღენად წინასწარ შეთანხმებული ორი ან მეტი პირი. „სხვა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით“ უნდა გავიგოთ ისეთნაირად, როდესაც ჩადენილია სხვა დანაშაული და მისი კვალის დაფარვის მიზნით ხდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება. დანაშაულის კვალიფიცირებასათვის მნიშვნელობა არა აქვს, დამნაშავემ მიაღწია თუ არა ქონების განადგურების ან დაზიანების შედეგად სხვა დანაშაულის კვალის დაფარვას. საკმარისია დადგინდეს, რომ ეს მიზანი (სხვა დანაშაულის კვალის დაფარვა) იყო ქონების განადგურების ან დაზიანების დამოძრავებელი მოტივი.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი ანგარეშითი ქვენაგრძნობით, გულისხმობს მატერიალური გამოარჩენის (ფული, ქონება, ქონებრივი უფ-

ლება, საბინაო ფართობის უზღუდა და ა. შ.) ან საკუთარი ქონების დაზოგვის სურვილს.

მე-100 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემდეგი დამამძიმებელი გარემოებაა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, ჩადენილი ცეცხლის წაყრდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. საყოველთაოდ საშიშად მიჩნეულია მოქმედების ისეთი ხერხი, რომლის გამოყენებით არა მარტო ნადგურდება ან ზიანდება ქონება, არამედ დაზიანებისა და განადგურების რეალური საფრთხე ექმნება ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, აგრეთვე სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან მოქალაქეთა პირად ქონებას. საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენების თავისებურება ისიცაა, რომ მისი გამოყენება დამნაშავეს შესაძლებლობას უსპობს, შიშდგომში დაიმორჩილოს იგი. დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს, საყოველთაოდ საშიში საშუალების გამოყენებით ქონების განადგურებას ან დაზიანებას მოჰყვა თუ არა სხვა ობიექტების ფაქტობრივი ზიანი, „საყოველთაოდ საშიში საშუალება, — აღნიშნავს პროფ. გ. ტყემელიძე, — დამნაშავემ შეიძლება დანაშაულის კვალის დაფარვისათვის გამოიყენოს: მაგალითად, მალაზიის გამგემ ცეცხლი წაუკიდა მალაზიას იმ მაზნით, რომ დაფაროს სახელმწიფო ქონების მითვისების ფაქტი. ცეცხლის წაკიდობა განიხილება როგორც სახელმწიფო ქონების მითვისების დამამძიმებელი გარემოება და ამასთან როგორც დამოუკიდებელი დანაშაული“¹, რაც ჭავსებით სწორად უნდა მივიჩნიოთ.

მოქმედების საყოველთაოდ საშიში საშუალებიდან კანონი, უპირველეს ყოვლისა, მიუთითებს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებასა და დაზიანებაზე ცეცხლის წაკიდობით, რაც ყველაზე უფრო საშიში საშუალებაა როგორც მოქმედების, ისე შესაძლო შედეგების თვალსაზრისით. გამოყო რა ცეცხლის წაკიდება, კანონმდებელმა მხედველობაში მიიღო მისი ყველაზე მეტი გავრცელებულობა და გამოყენების შედარებითი სიადვილე (ცეცხლის მოპოვების საშუალებათა საყოველთაოდ ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე). „სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებ-

¹ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბ., 1976, გვ. 233.

ბით“ ქონების განზრახ განადგურებად ან დაზიანებად უნდა მივიჩნიოთ ქონების ისეთი განადგურება ან დაზიანება, რომელიც ჩადებულია აფეთქებით, წალეკით (მაგალითად, წყალსადენის მაგისტრალის განცალკევება), ზევის მოწყობით, სახურავის დანგრევით და სხვ.

მე-100 მუხლის მეორე ნაწილი დამამძიმებელი გარემოების სახით ასევე ითვალისწინებს ტყის მასივების განზრახ განადგურებას ან მნიშვნელოვან დაზიანებას ცეცხლის წაქიდებით. ტყის მასივების განზრახ განადგურება გვექნება იმ შემთხვევაში, როცა რეცეცხლისაგან სავსებით განადგურებული იქნება და შეუძლებელი გახდება მისი გამოყენება დანიშნულებისამებრ, ხოლო მნიშვნელოვანი დაზიანება გვექნება იმ შემთხვევაში, როცა ცეცხლის წაქიდების შედეგად ტყის მასივის ნაწილი დაიწვება და რეი დაკარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას.

მე-100 მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვება, ნიშნავს თუნდაც ერთი ადამიანის დაღუპვას (ასეთი შედეგის მიმართ დამნაშავეის ბრალი გაუფრთხილებელი უნდა იყოს). საქმე ისაა, რომ, უკეთეს ადამიანის მსხვერპლი დამნაშავეის მიზანს წარმოადგენდა და სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება ამ მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენა, მაშინ ქმედობა კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით; სახელდობრ, მე-100 მუხლით და საქმის გარემოებათა მიხედვით 104-ე ან 105-ე მუხლებით. დაზარალებულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებიც დანგრეულ ან დამწვარ შენობაში იმყოფებოდნენ, მეხანძრეები ან ის პირები, რომლებიც ხანძრის ჩაქრობას ცდილობდნენ, დაზიანებული ავტობუსის მგზავრები და სხვ.

განსაკუთრებით დიდი ზარალი, როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანების შედეგი, გულისხმობს წარმოებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი ქონების ან დეფიციტური იარაღებისა და საშუალებების წყობიდან გამოყვანას, აგრეთვე ისეთი შედეგის დადგომას, რომლის გამოსწორება მნიშვნელოვან მატერიალურ ხარჯს, შრომასა და დროს მოითხოვს.

„სხვა მძიმე შედეგი“, რომელიც სახელმწიფო ან საზოგადო-

ებრივი ქონების განზრახ განადგურებას ან დაზიანებას მოჰყვა. გულისხმობს მოქალაქეებზე ამა თუ იმ ხარისხის სხეულის დაზიანების მიყენებას, წარმოების გეგმების ჩაშლას ან მის დროებით შეჩერებას და სხვ.

განსახილველი დანაშაულის შემადგენლობის სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახ ბრალს. განზრახვა შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი, ანუ ირიბი. პირდაპირი განზრახვისას დამნაშავეს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების (უმოქმედობის) საზოგადოებრივად საშიში ხასიათი; მას განზრახული აქვს განადგუროს ან დაზიანოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება და სურს ეს შედეგი ან შეგნებულად უშვებს მის დადგომას. რაც შეეხება ქონების განადგურებასთან ან დაზიანებასთან დაკავშირებულ დამატებით შედეგებს, სახელდობრ, „ადამიანთა მსხვერპლსა“ და „სხვა მძიმე შედეგს“, მათ მიმართ დამნაშავე ავლენს გაუფრთხილებლობას; მაგალითად, განზრახ შენობის დაწვისას დამნაშავე შეიძლება არც ითვალისწინებდეს, რომ იქ არიან ადამიანები, რომლებიც ცეცხლში დაიწვებიან, ან მოქალაქეები, რომლებიც ხანძარს აქრობენ, სერიოზულ დამწვრობას მიიღებენ, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა ან შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ის შედეგები, რასაც მისი მოქმედება გამოიწვევდა. ამ შემთხვევაში დამნაშავე ავლენს დანაშაულებრივ დაუდევრობას.

გაუფრთხილებელი ბრალი „ადამიანთა მსხვერპლისა“ და „სხვა მძიმე შედეგის მიმართ“ შეიძლება გამოიხატოს დანაშაულებრივ თვითიმედოვნებაშიც; მაგალითად, როცა დამნაშავე ითვალისწინებს ადამიანთა დაღუპვის, სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანების ან სხვა მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობს მისი თავიდან აცილების თავისი ძალღონის, მესამე პირთა ჩარევის (მაგალითად, მათ მიერ სახანძრო რაზმის გამოძახება) ან მექანიზმებისა და სპეციალურ საშუალებათა გამოყენების შედეგად (მაგალითად, ცეცხლსაქრობის მომზადება), და სხვ., ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულებრივი თვითიმედოვნება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი, ამავე კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, შეიძლება იყოს ყოველი შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან.

**ბ. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება
ან დაზიანება გაუფრთხილებლად**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლი დანაშაულის ამ შემადგენლობას შემდეგნაირად განმარტავს: „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება, თუ იგი ჩადენილია ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, ან თუ მას მოჰყვა ადამიანთა უბედური შემთხვევები, ან სხვა მძიმე შედეგები, აგრეთვე ტყის მასივების განადგურება ან საგრძნობი დაზიანება ცეცხლთან, ან მომეტებული საფრთხის წყაპოსთან დაუდევარი მოპყრობის შედეგად“.

გასაანალიზებელი დანაშაულის (101-ე მუხლი) ობიექტი და ობიექტური მხარის ნიშნები ძირითადად იგივეა, რაც მე-100 მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურება ან დაზიანება) გათვალისწინებული დანაშაულისა, მაგრამ გაუფრთხილებლობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურების ან დაზიანებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ მაშინ, როცა სახეზე გვაქვს ზოგიერთი ის მძიმე შედეგი, რასაც მე-100 მუხლი დამამძიმებელი ან განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოებების სახით ითვალისწინებს (მე-100 მუხლის მეორე და მესამე ნაწილები); სახელდობრ, ასეთია ტყის მასივების განადგურება ან საგრძნობი დაზიანება; ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები. „მძიმე შედეგები“ გაუფრთხილებლობით ქონების განადგურების ან დაზიანების შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, მოიცავს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე დიდი ზარალის მიყენებას. სასამართლო პრაქტიკაში ზარალს დიდად მაშინ მიიჩნევენ, როცა მატერიალურ ზარალს რამდენიმე ათასი ლარით ანგარიშობენ.

განსახილველი დანაშაულის დროს დამნაშავის მოქმედების ხერხი უმეტეს შემთხვევაში გავლენას არ ახდენს დანაშაულის კვალიფიკაციაზე. ეს შეიძლება იყოს პირის აქტიური ქცევა, მაგალითად, ძრავას ექსპლოატაციის წესის დარღვევა. რის შედეგადაც ის მწყობრიდან გამოვიდა; ასევე პირის პასიური ქცევა (უმოქმედობა), მაგალითად, ჩართული ქუროს უმეთვალყურეოდ დატოვება მალაზიაში, რის შედეგადაც მალაზია დაიწვა.

ობიექტური მხარის აუცილებელი ნიშნებია, აგრეთვე, მისე ზობრივი კავშირი პირის გაუფრთხილებელ ქმედობასა და კანონში მითითებულ მძიმე შედეგებს შორის.

როგორც ჩანს, სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლას საფუძველზე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით მხოლოდ მაშინ არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი, თუ იგი ჩადენილია იმ პირობებში, რომლის შესახებაც ლაპარაკია ზემოაღნიშნული მუხლას დისპოზიციისში. სხვა პირობებში სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს და მიყენებული ზარალი ნაზღაურდება სამოქალაქო წესით; მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კუჭუხიძისა და კვატაშიძის მიერ დაუდევრობით (ელექტროშედულების პროცესში ხანძარი გააჩინეს ცხიმქარხნის კომპრესორების საამქროში) ქარხანაზე მიყენებული 1300 ლარის ზარალი არ ცნო მძიმე შედეგად და სისხლის სამართლის საქმე შეწყვიტა ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის გამო, თანაც განჩინებაში მიუთითა, რომ ქარხანაზე მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს სამოქალაქო წესით.

სუბიექტური მხრივ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონება გაუფრთხილებლობით შეიძლება განადგურდეს ან დაზიანდეს თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით; მაგალითად, ჩადის რა ამა თუ იმ მოქმედებას, სახელდობრ, ტყეში აჩაღებს კოცონს, დამნაშავე არ ითვალისწინებს, თუშეცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ტყის მასივის განადგურების ან საგრძნობი დაზიანების შესაძლებლობა (დაუდევრობა), ან ითვალისწინებდა იმ მძიმე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, რაც მითითებულია 101-ე მუხლში, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათი თავიდან აცილებას (თვითიმედოვნება). გაუფრთხილებელი ბრალი ამასთანავე უნდა დადგინდეს არა მარტო სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურების ან დაზიანების თვით ფაქტთან, არამედ დამდგარ შედეგთან (ადამიანთა უბედური შემთხვევები ან სხვა მძიმე შედეგები, ტყის მასივების განადგურება ან საგრძნობი დაზიანება) დამოკიდებულებაშიც, ამის გამო, თუ პირი არ ითვალისწინებდა იმ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რაც მის მიერ-

მედებას მოჰყვა (მაგალითად, ადამიანთა დაღუპვა), არ უნდა გაეთვალისწინებინა და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა იგი, ამ შემთხვევაში მას ბრალი არ შეიძლება შეერაცხოს.

გაუფრთხილებლობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურების ან დაზიანების საგნად, როგორც ამის შესახებ მითითებულია განსახილველი მუხლის დისპოზიციაში, გვევლინება აგრეთვე ტყის მასივი, ე. ი. მიწის შედარებით დიდი ფართობი — 0,5—1,0 ჰექტარი და მეტი, მჭიდროდ დაფარული ტყით, რაც ბუნებრივი ლანდშაფტის ელემენტია. ცალკეული ხეები ან მათი მცირე და იშვიათი ჯგუფები, ასევე მცირეტყვიანი ნაკვეთები შეიძლება ერთ ჰექტარზე მეტ ფართობზე იყოს, მაგრამ ტყის მასივს არ ქმნიდეს სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის მნიშვნელობით. ასეთი ხეების განადგურება ან დაზიანება ცეცხლის წაქიდებით ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან დაუღევარი მოპყრობით განხილული უნდა იქნეს, როგორც ადმინისტრაციული გადაცდომა.

ცეცხლთან გაუფრთხილებელი მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაუცველობაში; მაგალითად, მშრალ ამინდში ტყეში ნამწვავის გადაგდება, ტყეში გაჩაღებული კოცონის უმეთვალყურეოდ დატოვება და სხვ.

„მომეტებული საფრთხის წყაროა“ სხვადასხვა ძრავა, მანქანა, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, ელექტროსადენი, რომელთანაც დაუღევარ მოპყრობას შეიძლება მოჰყვეს ხანძარი ტყეში, ტყის მასივების განადგურება ან საგრძნობი დაზიანება. პირები, რომელთაც მომეტებული საფრთხის წყაროსთან უხდებათ მუშაობა, ვალდებული არიან წინდაწინ მიიღონ ყველა ზომა, რათა მათმა ექსპლოატაციამ არ გაანადგუროს ან არ დააზიანოს სახ. ან საზ. ქონება.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც კერძო, ისე თანამდებობის ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 16 წლის ასაკიდან. პიროვნების გაუფრთხილებელი მოქმედება დაკავშირებული არ უნდა იყოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. თუ მძიმე შედეგი თანამდებობის პირის სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაკეთილსინდისიერი შესრულების შედეგია, მაშინ ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იქნას საქართველოს სს კოდექსის 188-ე მუხლით, როგორც დაუღევრობა.

გაუფრთხილებლობით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე.

ლიტერატურა

- ზაურ წულაია. სოციალისტური საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია. თბილისი, 1986.
- Г. А. Кригер. «Квалификация хищений социалистического имущества, М., 1974.
- «Курс советского уголовного права», т. IV, М., 1970.
- Уголовное право. Особенная часть, М., 1995.
- «Комментарий к уголовному кодексу РФ». М., 1994.

შ ი ნ ა ა რ ს ი

თავი პირველი

საქართველოს სისხლის სამართლის განსაკუთრებული

ნაწილის შესავალი

§ 1. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ცნება	8
§ 2. დანაშაულის კვალიფიკაციის არსი და მნიშვნელობა	8
§ 3. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის ნორმის სტრუქტურა	15
§ 4. სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის სისტემა	23

თავი მეორე

დანაშაული სახელმწიფოს წინააღმდეგ

I. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებული საშიში

დანაშაული

§ 1. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის ცნება და სისტემა	34
§ 2. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელუფლებას საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ ხელშეუხებლობას ან სახელმწიფო უშიშროებასა და თავდაცვის- უნარიანობას	38
ა) სამშობლოს ღალატი (სსკ 65-ე მუხლი)	38
ბ) გენოციდი (სსკ 65 ¹ -ე მუხლი)	47
გ) ჭაშუშობა (სსკ 66-ე მუხლი)	49
დ) დაქირავებული პირის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტებში ან საბრძოლო მოქმედებაში (სსკ 66 ¹ -ე მუხლი)	51
§ 3. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელუფლებას საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ სისტემას	53
ა) ტერორისტული აქტი (სსკ 67-ე მუხლი)	53
ბ) საქარო მოწოდება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების დამხობისა თუ ძალადური შეცვლისაკენ (სსკ 71-ე მუხლი)	57
გ) მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისაკენ (სსკ 71 ¹ -ე მუხლი)	59
§ 4. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელუფლებას საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკურ სისტემას	60
ა) ღივერსია (სსკ 69-ე მუხლი)	60
ბ) მავნებლობა (სსკ 70-ე მუხლი)	63

§ 5. განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს მშვიდობასა და სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას	65
ა) ტერორისტული აქტი უცხოეთის სახელმწიფოს წარმომადგენლის წინააღმდეგ (სსკ 68-ე მუხლი)	65
ბ) მოწოდება ომის გაჩაღებისაკენ (სსკ 72-ე მუხლი)	67
§ 6. ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შექმნა ან მის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა (სსკ 71-ე მუხლი)	69

II. სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სხვა დანაშაული

§ 1. სხვა სახელმწიფო დანაშაულის ზოგადი დახასიათება და სისტემა	72
§ 2. სხვა სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო მმართველობის საფუძვლებს	74
ა) ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა (სსკ 75-ე მუხლი)	74
ბ) ბანდიტიზმი (სსკ 78-ე მუხლი)	78
გ) მოქმედება, რომელსაც ღებორგანიზაცია შეაქვს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა მუშაობაში (სსკ 78 ¹ -ე მუხლი)	81
დ) მასობრივი არეულობა (სსკ მე-80 მუხლი)	84
§ 3. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას	88
ა) სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (სსკ 76-ე მუხლი)	88
ბ) სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების დაკარგვა (სსკ 77-ე მუხლი)	91
გ) სამსახურებრივი საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხოეთის ორგანიზაციისათვის (სსკ 77 ¹ -ე მუხლი)	94
დ) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში გაწვევისაგან ან ალტერნატიული შრომითი სამსახურისაგან თავის არიდება (სსკ 81-ე მუხლი)	96
ე) საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში (გამწვევ კომისიაში) გამოცხადებისათვის თავის არიდება (სსკ 81 ¹ -ე მუხლი)	100
ვ) მობილიზაციით გაწვევისაგან თავის არიდება (სსკ 82-ე მუხლი)	102
ზ) ომიანობის დროს ბეგარის შესრულებისათვის ან გადასახადთა გადახდისათვის თავის არიდება (სსკ 83-ე მუხლი)	103
§ 4. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობას	106
ა) სახელმწიფო საზღვარზე უკანონო გადასვლა (სსკ 84-ე მუხლი)	106
ბ) საერთაშორისო ფრენის წესების დარღვევა (სსკ 85-ე მუხლი)	108
§ 5. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს ეკონომიკის სფეროში	110
ა) კონტრაბანდა (სსკ 79-ე მუხლი)	110

ბ) ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება (სსკ 88-ე მუხლი)	117
§ 4. დანაშაული, რომელიც ხელყოფს ტრანსპორტის მუშაობის უსაფრთხოებას	128
ა) მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა (სსკ 86-ე მუხლი)	123
ბ) საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა (სსკ 86 ¹ -ე მუხლი)	128
გ) რკინიგზის, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების და ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება (სსკ 87-ე მუხლი)	130
§ 7. დანაშაული, რომელიც ხელყოფს საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ნორმალურ საქმიანობას. სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენ პირთა მხილებათან დაკავშირებით	135
ა) სახელმწიფო დანაშაულის განუცხადებლობა (სსკ 90-ე მუხლი)	135
ბ) სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა (სსკ 90 ¹ -ე მუხლი)	138

თავი მესამე

დანაშაული საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ

§ 1. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ დანაშაულის ზოგადი ცნება და სისტემა	142
§ 2. ანგარებითი დანაშაულები დატაცების ნიშნებით	160
ა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების ცნება	160
ბ) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება, ჩადენილი ქურდობით	172
გ) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება გაძარცვით	186
დ) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება თაღლითობით	193
ე) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით	202
ვ) ყაჩაღობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცების მიზნით	226
ზ) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით ღირებული ნივთებით დატაცება	235
§ 3. ანგარებითი დანაშაული დატაცების ნიშნის გარეშე	241
ა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გამოძალვა	241

ჭ მ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების წინააღმდეგ არაან- გარებიითი დანაშაულები	250
ა) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგუ- რება ან დაზიანება	250
ბ) სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განადგურება ან დაზიანება გაუფრთხილებლობით	259

რედაქტორი დოც. ნონა თოდუა

შეცნიერებათა ალარქინების ფონდის
გამომცემლობა „ინტელექტი“

გადაეცა წარმოებას 6.03.96. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.04.96
ქალაქი 60X841/16. გარნიტური ვენა. ბეჭდვა მაღალი.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 17.

ტირაჟი 2000. შევკ. № 62.

ფასი სახელშეკრულებო

სააქციო საზოგადოება „ქეგელი“
ვაჟა-ფშაველას გამზირი 29 ა